# საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო მომსახურების ბაზარზე კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობის ამაღლების პრობლემები და მათი გადაწყვეტის გზები

დოქტორანტი **ლაშა ტაბატაძე**

სადისერტაციო ნაშრომი წარდგენილია ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებისათვის დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად.

2016 წლის 23 მაისი

მეცნიერ-ხელმძღვანელი: **ვასილ კიკუტაძე**
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი
თბილისი 2016

სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ წინამდებარე ნაშრომი (უმაღლესი საგანმანათლებლო მომსახურების ბაზრის კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობის ამაღლების პრობლემები და მათი გადაწყვეტი გზები) ორიგინალურია. ის არ შეიცავს ისეთ მეცნიერულ თვალსაზრისს, დებულებას, თეორიას, კვლევის მონაცემებს, რომელიც ნაშრომში არ არის მითითებული დადგენილი წესით, ხოლო კვლევის მეთოდების გამოყენების დროს სრულად არის დაცული ეთიკური ასპექტები.

ლაშა ტაბატაძე

# რეზიუმე

უმაღლესი განათლების სფეროში ინვესტიციების ზრდის კვალდაკვალ სულ უფრო მეტი ყურადღება ეთმობა ფორმალური განათლებით განპირობებულ შედეგებსა და სარგებელს. დღითიდღე იზრდება ადამიანური კაპიტალის როლი და მნიშვნელობა. უმაღლესი საგანმანათლებლო მომსახურების ბაზარი, როგორც პროფესიონალი კადრების ფორმირების ძირითადი წყარო, წარმოადგენს ქვეყნის ეკონომიკური და მდგრადი განვითარების მთავარ საფუძველს. ამავე დროს, იგი ადამიანის და მთლიანად საზოგადოების ეკონომიკური უსაფრთხოების შემადგენელი ელემენტიცაა. შესაბამისად, უმაღლესი საგანმანათლებლო მომსახურების ბაზრის კვლევას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს.

წარმოდგენილი კვლევის მიზანია, საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო მომსახურების ბაზარზე კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობის მდგომარეობის მეცნიერული შესწავლა, ანალიზი, არსებითი პრობლემების გამოვლენა და მათი გადაწყვეტის ეფექტიანი გზების მოძიება. კვლევის ობიექტებად შერჩეულია უმაღლესი სასწავლო დაწესებულებები, დამსაქმებლები და უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების კურსდამთავრებულები.

კვლევის პროცესში მთავარი აქცენტები გაკეთდა სოციალური კვლევის ისეთი მეთოდებზე, როგორებიცაა კვლევის რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდები. კვლევის რაოდენობრივი მეთოდის გამოყენებისას მთავარ ინსტრუმენტად შერჩეულ იქნა მასობრივი გამოკითხვა, რომელიც დაიყო 5 ეტაპად და განხორციელდა სათანადოდ მომზადებული სამუშაო სქემით. კვლევის თვისებრივი მეთოდის გამოყენებისას განხორციელდა სიღრმისეული ინტერვიუ და ჩატარდა ფოკუს ჯგუფების გამოკითხვა. აღნიშნულმა კვლევებმა, საშუალება მოგვცა საკვლევი პრობლემები შეგვესწავლა არა მხოლოდ რიცხვებსა და პროცენტებში, არამედ ჩავწვდომოდით პრობლემათა ანთროპოლოგიას. პასუხი გავეცით არა მხოლოდ ისეთ კითხვებს, როგორებიცაა რა და რამდენი, არამედ როგორ და რატომ.

გამოყენებულ იქნა სამაგიდე კვლევაც. შესწავლილია და კრიტიკულად განხილულია უმაღლესი საგანმანათლებლო მომსახურების ბაზრის პრობლემებისადმი მიძღვნილი ქართული და უცხოური ლიტერატურა და წყაროები, ბოლო ათწლეულის საერთაშორისო ფორუმების მასალები, საერთაშორისო დეკლარაციები, შეთანხმებები და ანგარიშები.

სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობის პროცესში შემუშავებულია საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო მომსახურების ბაზრის დაფინანსების კონცეპტუალურად ახალი, ალტერნატიული მოდელი.

წარმოდგენილია საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო მომსახურების ბაზარზე სწავლების გადასახადის კალკულაციის შინაარსობრივად ახალი მეთოლოგია.

შეთავაზებულია საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო მომსახურების ბაზარზე სტუდენტთა დაკრედიტების ახალი სისტემა, რომელიც ეფუძნება უმაღლესი სასწავლებლების ბრენდირების პრინციპს.

# Resume

Along with the promotion of investments in higher education, more attention to the result and benefits due to formal education is paid. The role and the significance of human capital is increasing day by day. As the main source of formation of skilled personnel, the higher education service market represents the principal basis for economic and sustainable development of the country. At the same time, it is a component of economic safety of a person and a whole society. Accordingly, higher education market study is essentially important.

The present research purpose is to study and scientifically analyze, to identify and solve essential problems of the private sector competitiveness in higher education service market of Georgia. Proceed from the research object three independent investigations carried out in the frames of working on thesis. As an object of the research were chosen higher education institutions, employers and graduates. The social research methods such as quantitative and qualitative methods, as well as the desk research are used in the research process.  Mass survey was carried out as a main tool of quantitative research method. The research study was divided into 5 steps and was realized according to properly prepared working scheme. In-depth interviews and focus groups have been used in quantitative methods of research.  The abovementioned studies made it possible to survey research problems in not only numbers and percent but comprehend the anthropology of the problems.  We have answered not only such questions as what and how many, but how and why, as well.

Besides, we have studied and critically discussed Georgian and foreign literature and sources dedicated to the problem of higher education service market, materials of international forums, international declarations, agreements and reports.

In the process of working we worked out conceptually new alternative model of financing higher education service market. Here is also presented the contently new methodology to calculate tuition fee in higher education system of Georgia.  A new system of crediting students in HE market of Georgia is proposed based on HEI's branding principle.

## მადლიერება

სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობის პროცესში გაწეული დახმარებისათვის და ინფორმაციული მხარდაჭერისათვის მსურს მადლობა გადავუხადო გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელ პირებსა და თანამშრომლებს, ბიზნესისა და მართვის სკოლის დეკანს, პროფესორს, ბატონ მურთაზ კვირკვაიას, კვლევაში მონაწილე ყველა პირს, მათ შორის, უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების რექტორებს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელებს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსებს, კერძო კომპანიების დირექტორებსა და მენეჯერებს, ასევე კვლევაში მონაწილე უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების კურსდამთავრებულებს.

მადლობას ვუხდი სადისერტაციო ნაშრომის ხელმძღვანელს, ასოცირებულ პროფესორს, ბატონ ვასილ კიკუტაძეს, რომელმაც უაღრესად მნიშვნელოვანი დახმარება გამიწია ნაშრომის სტრუქტურისა და დეტალების დახვეწაში, სწორი მეთოდური მიდგომებისა და კვლევის დიზაინის შერჩევაში.

## მიძღვნა

დისერტაციას ვუძღვნი ჩემს სამშობლოს - საქართველოს, ჩემს ძვირფას მეუღლეს, ჩემს შვილებსა და მშობლებს.

## სარჩევი

შესავალი........................................................................................................................1

თავი 1. სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა და კვლევის თეორიული/პრაქტიკული კონტექსტი ..................................................................5

1.1 უმაღლესი საგანმანათლებლო მომსახურების ბაზრის რეგულირების სამართლებრივი საფუძვლები. .........................................................................................5

1.2 უმაღლესი საგანმანათლებლო მომსახურების ბაზრის, ხარისხი და ინტერნაციონალიზაცია. ................................................................................................27

1.3 უმაღლესი საგანმანათლებლო მომსახურების ბაზრის დაფინანსების მოდელები. .........62

თავი 2. მეთოდოლოგია და კვლევის აღწერა .....................................................................94

2.1 კვლევის სტრატეგია და კვლევის აღწერა. .....................................................................94

2.2. კვლევის მეთოდოლოგიური აპარატი. ..........................................................................98

თავი 3. კვლევის შედეგები.........................................................................................104

3.1 საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების კვლევის შედეგები..104

3.2 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების  კურსდამთავრებულთა კვლევის შედეგები. .........................................................................................................122

3.3 დამსაქმებელთა კვლევის შედეგები.........................................................................132

თავი 4. განსჯა და მეცნიერული მიგნებები.......................................................................137

4.1 უმაღლესი საგანმანათლებლო მომსახურების ბაზრის კონკურენტუნარიანობის ფორმირების თავისებურებანი.....................................................................................137

4.2 უმაღლესი საგანმანათლებლო მომსახურების ბაზრის დაფინანსება და მისი ოპტიმიზაცია.....................................................................................................147

4.3 ინტერნაციონალიზაციისა და ხარისხის უზრუნველყოფის პროცესების მართვის სრულყოფა უმაღლესი საგანმანათლებლო მომსახურების ბაზარზე. ....................................170

დასკვნა/რეკომენდაციები .........................................................................................198

ბიბლიოგრაფია.........................................................................................................203

დანართები ..............................................................................................................212

# საილუსტრაციო მასალა (დიაგრამები, ცხრილები, გრაფიკები, ფოტოები და სხვა).

დიაგრამა 1. კვლევაში მონაწილე უმაღლესი სასწავლებლების სტრუქტურა. ............................97

დიაგრამა 2. საქართველოში, უმაღლესი საგანმანათლებლო მომსახურების ბაზარზე უმაღლესი სასწავლებლების რაოდენობა. ........................................................................104

დიაგრამა 3. უმაღლესის სასწავლებლების სასწავლო–საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელების ხანრძლივობა...................................................................................105

დიაგრამა 4. უმაღლეს სასწავლებლებში პროფესიული პროგრამების განხორციელების მაჩვენებელი. .......................................................................................................106

დიაგრამა 5. დაფინანსების სახელმწიფო საგრანტო სისტემით კმაყოფილების მაჩვენებელი. ..........................................................................................................................107

დიაგრამა 6. უმაღლესი სასწავლებლების მიერს დაფინანსების ალტერნატიული მოდელების გამოყენების მაჩვენებელი. ..........................................................................................108

დიაგრამა 7. სამეცნიერო – საგრანტო პროექტებში მონაწილეობის ხელმისაწვდომობა..........108

დიაგრამა 8. ბოლო 3 წლის განმავლობაში სამეცნიერო-საგრანტო (ადგილობრივ) ან/და (საერთაშორისო) საგრანტო კონკურსში მონაწილეობის მაჩვენებელი. .....................................109

დიაგრამა 9. უმაღლესი სასწავლებლების მიერ კერძო სექტორთან გაფორმებული მემორანდუმები. ..................................................................................................111

დიაგრამა 10. უსდ–ში ერთობლივი სასწავლო პროგრამების სტატისტიკა. ..............................112

დიაგრამა 11. თანაფარდობა ადგილობრივ და უცხოელ სტუდენტებს შორის.........................113

დიაგრამა 12. უცხოელი სტუდენტების ხვედრითი წილი ადგილობრივი სტუდენტების საერთო ჯამობრივ მიმართებაში ...........................................................................113

დიაგრამა 13. უსდ–ში ინტერნაციონალიზაციის შემაფერხებელი ფაქტორების პროცენტული ..........................................................................................................................114

დიაგრამა 14. უსდ–ის მიერ განხორციელებული თვითშეფასების მაჩვენებელი.....................115

დიაგრამა 15. უსდ–ის კონკურენტუნარიანობის განმსაზღვრელი კრიტერიუმები.................115

დიაგრამა 16. უმაღლესი საგანმანათლებლო მომსახურების ბაზრის შეფასების მაჩვენებელი. ..........................................................................................................................116

დიაგრამა 17. უმაღლესი საგანმანათლებლო მომსახურების ბაზარზე კონკურენციის შემაფერხებელი ფაქტორები.........................................................................117

დიაგრამა 18. უმაღლესი საგანმანათლებლო მომსახურების ბაზარზე კონკურენციის შემაფერხებელი ფაქტორები.....118

დიაგრამა 19. უმაღლესი საგანმანთლებლო მომსახურების ბაზარზე, კონკურენტუნარიანობის ხელისშემწყობი ფაქტორები.....118

დიაგრამა 20. უმაღლესი საგანმანათლებლო პოლიტიკის და ნორმატიული აქტების შემუშავების დროს, განათლების ბაზრის ჩართულობის მიზანშეწონილობა.....119

დიაგრამა 21. უმაღლესი საგანმანათლებლო მომსახურების ბაზარზე  რიგი პროგრამების დაფინანსების ექსკლუზივის სამართლებრივი შეფასება.....120

დიაგრამა 22. საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო მომსახურების ბაზარზე უსდ–ის საერთაშორისო აკრედიტაციის აღიარების რეგულაციების შეფასებითი ანალიზი.....121

დიაგრამა 23. უსდ–ის ორგანიზაციული თავისუფლებისა და უმაღლესი განათლების საერთო სახელმწიფო წესისა და რეგულაციების ურთიერთთავსებადობა.....121

დიაგრამა 24. თანამშრომლობა, უნივერსიტეტსა და დამსაქმებელს (კერძო სექტორი/ბაზარი) შორის.....122

დიაგრამა 25. სამუშაო ძალაზე მოთხოვნის განსაზღვრისათვის, ბაზრის კვლევის მიზანშეწონილობის მაჩვენებელი.....123

დიაგრამა 26. თვითრეალიზაციისათვის საჭირო პრიორიტეტული კომპეტენციები.....123

დიაგრამა 27. უნივერსიტეტებში კარიერის სამსახურის ცნობადობის მაჩვენებელი.....124

დიაგრამა 28. სასწავლო პროგრამების თავსებადობის მაჩვენებელი, ბაზრის მოთხოვნებთან. .....125

დიაგრამა 29. სასწავლო პროგრამაში შემავალი საგნების თავსებადობა კვალიფიკაციასთან.125

დიაგრამა 30. სასწავლო პროგრამებში გამოყენებული ლიტერატურის ხარისხობრივი შეფასების მაჩვენებელი.....126

დიაგრამა 31. სასწავლო პროგრამაში, პრაქტიკული სასწავლო ელემენტების დონის მაჩვენებელი.....127

დიაგრამა 32. კურსდამთვრებულთა ცოდნისა და უნარ–ჩვევების, პრაქტიკაში რეალიზების ხარისხობრივი მაჩვენებელი.....127

დიაგრამა 33.  უნივერსიტეტების კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი .....128

დიაგრამა 34. უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში, სწავლების ხარისიხის მაჩვენებელი. 128

დიაგრამა 35. უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში სპეციალობათა შეფასების მაჩვენებელი. .....129

დიაგრამა 36. უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში მატერიალურ–ტექნიკური ბაზის ხარისხობრივი მაჩვენებელი............129

დიაგრამა 37. კურსდამთვრებულთა მომზადების დონით კმაყოფილების მაჩვენებელი.......132

დიაგრამა 38. პრიორიტეტული კომპეტენციების რეიტინგი............133

დიაგრამა 39. პროფესიული უნარების საპროგნოზო მაჩვენებელი უახლოეს 3–5 წელიწადში. ............133

დიაგრამა 40. დამსაქმებელთა რეკომენდაციების შკალა............135

დიაგრამა 41. დამსაქმებელის ჩართულობის მაჩვენებელი სასწავლო პროგრამების შედგენის,განხილვის,ანალიზის და რეალიზაცის კუთხით. ............135

დიაგრამა 42. დამსაქმებელის ჩართულობის მაჩვენებელი, საწარმოო პრაქტიკის უზრუნველყოფის პროცესში.............136

დიაგრამა 43. უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების კონკურენტუნარიანობის მთავარი კრიტერიუმები............136

სკრიპტი 1. უმაღლესი სასწავლებლების კონკურენტუნარიანობის შეფასების თანამედროვე მოდელები............114

სქემა 1. საქართველოს განათლების სისტემა. ............8

სქემა 2. დაფინანსების ბიუროკრატიული მოდელი............151

სქემა 3. დაფიანანსების კოლეგიალური მოდელი............152

სქემა 4. დაფინანსების საბაზრო მოდელი............154

სქემა 5. საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო მომსახურების ბაზრის დაფინანსების ალტერნატიული მოდელი............167

სქემა 6. სტუდენტთა დაკრედიტების ახალი სისტემა............168

ცხრილი 1. უმაღლეს საგანმანთლებლო დაწესებულებებში სხვადასხვა საგანმანთლებლო საფეხურებზე არსებული პროგრამული მიმართულებები............105

ცხრილი 2. უმაღლესი საგანმანთლებლო მომსახურების ბაზარზე კონკურენციის შემაფერხებელი ფაქტორები.............117

ცხრილი 3. უმაღლესი საგანმანთლებლო მომსახურების ბაზარზე კონკურენციის შემაფერხებელი ფაქტორები............142

# აბრევიატურებისა და ცნებების განმარტებები

ა(ა)იპ - არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი;

სსიპ - საჯარო სამართლის იურიდიული პირი;

უსდ - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება;

გვა - გამოცხადებული ვაკანტური ადგილები;

მუმ - მობილობის უფლების მოპოვება;

სსსმ - სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე;

უსდ - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება;

ესჩ - ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო;

HEI – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები;

ACA - აკადემიური თანამშრომლობის ასოციაცია;

BFUG -ბოლონიის პროცესის განხორციელების ჯგუფი;

CBHE - საზღვრისპირა უმაღლესი განათლება;

E4 group - EUA + ENQA + EURASHE + ESU – ერთობლივი სამუშაო ჯგუფი;

EAIE - საერთაშორისო განათლების ევროპული ასოციაცია;

ECA - აკრედიტაციის ევროპული კონსორციუმი;

ECTS - კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემა;

EHEA - უმაღლესი განათლების ევროპული სივრცე;

ENIC- NARIC - განათლების აღიარების ევროპული საინფორმაციო ქსელი;

ENQA - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული ასოციაცია;

EQF - მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩო;

EQAR - უმაღლესი განათლების ვროპული ხარისხის უზრუნველყოფის რეგისტრი;

ERA - კვლევის ევროპული სივრცე;

ESG – (QA) - უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის, ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული სტანდარტები და რეკომენდაციები;

ESN - ერასმუსის სტუდენტთა ქსელი;

ESIB - ევროპის სტუდენტთა ნაციონალური კავშირები;

EUA - ევროპული უნივერსიტეტების ასოციაცია;

IAU - უნივერსიტეტების საერთაშორისო ასოციაცია;

IAUP - უნივერსიტეტების პრეზიდენტების საერთაშორისო ასოციაცია;

EARASHE - ევროპის უმაღლესი განათლების ინსტიტუტების ასოციაცია;

EUROSTAT - ევროპის საზოგადოებების სტატისტიკური ოფისი;

LLL - მთელი ცხოვრების განმავლობაში სწავლის სისტემა;

LRC - აღიარების ლისაბონის კონვენცია;

NAFSA - საერთაშორისო პედაგოგთა ასოციაცია;

NQF –ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო;

QA - ხარისხის უზრუნველყოფა;

QF - საკვალიფიკაციო ჩარჩო;

TEMPUS - უნივერსიტეტში სწავლების ტრანსევროპული მობილობის სქემა;

ERASMUS - სტუდენტთა მობილობისა და გაცვლის პროგრამა;

UNESCO - გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაცია;

UNESCO-CEPES - უმაღლესი განათლების UNESCO- ს ევროპული ცენტრი;

OECD - ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია;

UNDP - გაერთიანებული ერების განვითარების პროგრამა;

UOE – UNESCO/OECD/EUROSTAT - განათლების სტატისტიკის მონაცემთა შეგროვება;

CEDEFOP - პროფესიული მომზადების განვითარების ევროპული ცენტრი;

EMIS - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა;

ESG - ევროპის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტები და სახელმძღვანელო პრინციპები;

ETF - ევროპის საგანმანათლებლო ფონდი;

PICQA - ინტერნაციონალიზაციისა და უმაღლეს განათლებაში ხარისხის უზრუნველყოფის შედარებითობის ხელშეწყობა;

CEE-Network - ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოების ქსელი;

INQAAHE - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოთა ქსელი;

IC - საინოვაციაო ცენტრი;

THES - მსოფლიო უნივერსიტეტების რეიტინგი;

ARWU - მსოფლიო უნივერსიტეტების აკადემიური რეიტინგი;

QS - ქუაქუარელ სომონდის მსოფლიო უნივერსიტეტების რეიტინგი;

WM - ვებომეტრიქსის რეიტინგი;

RAE - კვლევების რანჟირების სისტემა;

ESF – ევროპის სოციალური ფონდი;

ACCE - უწყვეტი განათლების ასოციაცია;

API - აკადემიური მწარმოებლურობის ინდექსი.

# შესავალი

**კვლევის აქტუალობა.** საქართველოს ევროპული არჩევანი და ევროპულ სტანდარტებთან მიახლოების სურვილი განსაკუთრებული გამოწვევების წინაშე აყენებს ქვეყანას. ცვლილებების მნიშვნელობითა და მასშტაბით განასაკუთრებულ ადგილს სწორედ, უმაღლესი საგანმანათლებლო მომსახურების ბაზარი იკავებს. უმაღლესი საგანმანათლებლო მომსახურების ბაზარი, როგორც პროფესიონალი კადრების ფორმირების ძირითადი რესურსი, წარმოადგენს განმსაზღვრელ ფაქტორს ბიზნესის მდგრადი და დინამიური განვითარებისათვის. უმაღლესი განათლება არის ინოვაციური ეკონომიკის უზრუნველყოფის ფუნდამენტი და ქვეყნის მდგრადი განვითარების ერთადერთი უპირობო ალტერნატივა.

უმაღლესი განათლების მხარდაჭერა არის ევროპულ სტრუქტურებთან თანამშრომლობის მზაობისა და შესაძლებლობის დასტური. 2015 წლის მაისში საქართველოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ მომზადდა ასოცირების შეთანხმების განხორციელების გრძელვადიანი პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც ითვალისწინებს ასოცირების ხელშეკრულების დანართით გათვალისწინებული ევროპარლამენტისა და ევროკავშირის საბჭოს რეკომენდაციებისა და გადაწყვეტილების განხორციელებასა და თანამშრომლობას უმაღლესი განათლების სფეროში 2015-2017 წლებში. საბოლოო მიზანს კი ევროკავშირის შესაბამის პოლიტიკასა და პრაქტიკასთან მიახლოება წარმოადგენს. აღნიშნული თანამშრომლობა ორიენტირებული იქნება შემდეგი მიმართულებების განვითარებისაკენ:

– სწავლა მთელი სიცოცხლის განმავლობაში, რომელიც წარმოადგენს კარიერული ზრდისა და სამუშაო ადგილების უზრუნველყოფის უმთავრეს ასპექტს და საშუალებას მისცემს მოქალაქეებს, სრულყოფილი მონაწილეობა მიიღონ საზოგადოებრივ ცხოვრებაში;

– განათლებისა და ტრენინგის სისტემების მოდერნიზება;

– განათლებისა ხარისხის გაუმჯობესება;

– განათლების ყველა საფეხურზე შესაბამისობისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა და უმაღლესი საგანმანათლებლო მომსახურების ბაზარზე კონკურენტუნარიანობის ამაღლება.

საქართველოში 2005 წელს დაწყებული განათლების რეფორმის საფუძველზე, რომელიც განხორციელდა ევროპაში მიმდინარე ბოლონიის პროცესის გათვალისწინებით, შეიქმნა

სამსაფეხურიანი უმაღლესი განათლების სისტემა. საქართველო, როგორც უმაღლესი განათლების ერთიანი ევროპული სივრცის წევრი, აქტიურ მონაწილეობას იღებს კვლევის ევროპულ არეალში, ვინაიდან ჩვენი ქვეყნისთვის პრინციპულად მნიშვნელოვანია, რომ ღირსეული ადგილი დაიმკვიდროს საერთო ევროპულ სივრცეში. ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისში მნიშვნელოვნად გაიზარდა საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების ჩართულობა ქვეყნის განათლების სისტემის რეორგანიზაციაში, რამაც შესაძლებელი გახადა სწრაფი და კომპლექსური სტრუქტურული ცვლილებების განხორციელება ერთდროულად მრავალი მიმართულებით. თუმცა, გრძელვადიანი სტრატეგიული ხედვის, სამოქმედო გეგმებისა და შესაბამისი სტრუქტურის არსებობის პირობებშიც კი, საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო მომსახურების ბაზარი კვლავ დგას რთული გამოწვევების წინაშე, კერძოდ:

– უმაღლესი სასწავლებლებისათვის გამოყოფილი საგრანტო და საფინანსო რესურსების განაწილების პირობების დახვეწა;
– უმაღლესი საგანმანათლებლო მომსახურების ბაზარსა და სამუშაო ძალის ბაზარს შორის კავშირ-ურთიერთობების გაღრმავება;
– უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა;
– დამსაქმებლის როლისა და ჩართულობის გაზრდა სასწავლო პროგრამების შედგენა–განვითარებასა და ასევე, მონიტორინგის განხორციელებაში;
– უმაღლესი საგანმანათლებლო მომსახურების ბაზრის ადმინისტრირების მსოფლიო სტანდარტებთან თავსებადობის მიღწევა;
– უმაღლეს განათლებაში ჩადებულ ინვესტიციასა და ქვეყნის ეკონომიკის ზრდას შორის კავშირის მნიშვნელობის გაზრდა;
– სამუშაო ძალის უნარებისა და შესაძლებლობების თავსებადობა თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნებთან/სტანდარტებთან და სხვა.

წარმოდგენილი გამოწვევებიდან გამომდინარე ნათელია, რომ მთელი რიგი საკითხები საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო მომსახურების ბაზარზე ჯერ კიდევ შესწავლილი არ არის, რის საფუძველზეც შესაძლებელი გახდებოდა კონკრეტული ნაბიჯების გადადგმა აღნიშნული გამოწვევების დასაძლევად. აღნიშნული ფაქტორის გათვალისწინებით წინამდებარე კვლევა განსაკუთრებით აქტუალურია.

**კვლევის მიზანი და კვლევის ამოცანები.** კვლევის მიზანია საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო მომსახურების ბაზარზე კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობის

მდგომარეობის მეცნიერული შესწავლა, ანალიზი, არსებითი პრობლემების გამოვლენა და მათი გადაწყვეტის ეფექტიანი გზების მოძიება. აღნიშნული მიზნის განსახორციელებლად დასახულ იქნა შემდეგი ამოცანები:

– კვლევის თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლების განსაზღვრა;

– კვლევის ჰიპოთეზის განსაზღვრა და კვლევის სტრატეგიის შემუშავება;

– კვლევის რელევანტური მეთოდოლოგიის შერჩევა, კვლევის ინსტრუმენტების, კვლევის შეზღუდვებისა და კრიტერიუმების განსაზღვრა;

– ადგილობრივი და უცხოელი მეცნიერების შრომების, საერთაშორისო და ადგილობრივი კვლევითი ორგანიზაციების კვლევის ანგარიშების, სხვადასხვა სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციების, საერთაშორისო ფორუმების მასალების, კვლევის სფეროსთან დაკავშირებული ადგილობრივი, თუ საერთაშორისო მნიშვნელობის საკანონმდებლო-ნორმატიული აქტების ბაზის განხილვა;

– ურთიერთშემხვედრი დამოუკიდებელი კვლევების დაგეგმვა, კვლევისათვის საჭირო კითხვარების მომზადება და კვლევის პროცესთან დაკავშირებული ორგანიზაციულ-ტექნიკური ხასიათის საკითხების მოგვარება;

– საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების, დამსაქმებლებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების კურსდამთავრებულთა კვლევის განხორციელება;

– კვლევის პროცესში მოპოვებული ინფორმაციის ტექნიკური დამუშავება, კვლევის შედეგების აღწერა;

– კვლევის შედეგების კრიტიკული ანალიზის და სინთეზის განხორციელება, მეცნიერული სიახლეების, დასკვნებისა და რეკომენდაციების ფორმულირება;

**ჰიპოთეზა.** აღსანიშნავია, რომ ევროპის ქვეყნებში უმაღლესი საგანმანათლებლო მომსახურების ბაზრის კონკურენტუნარიანობის გასაზრდელად შემდეგი ზოგადი სტრატეგიები გამოიყენება:

– უმაღლესი საგანმანათლებლო მოსახურების ბაზრის დაფინანსების თანამედროვე მოდელების შესწავლა და ანალიზი;

– კურსდამთავრებულთა რაოდენობის მონიტორინგი ბაზრის მოთხოვნებთან მიმართებაში, შეუსაბამობების იდენტიფიკაცია და პროგნოზირება;

– კურსდამთავრებულთა კომპეტენციებისა და ბაზრის მოთხოვნების ურთიერთ თავსებადობის მონიტორინგი;

– უმაღლესი განათლების სისტემის ხარისხისა და კვალიფიკაციის სტრუქტურის რეფორმირება პოტენციური დამსაქმებლების მოთხოვნების შესაბამისად;

– უმაღლესი საგანმანათლებლო მომსახურების ბაზრის ინტერნაციონალიზაციის დონის იდენტიფიკაცია და პროგნოზირება;

– უმაღლესი საგანმანათლებლო მომსახურების ბაზრის დაფინანსების დივერსიფიცირების უზრუნველყოფა.

საქართველო, თავისი ევროპული არჩევანით, უმაღლესი განათლების ევროპულ სივრცეში ინტეგრაციისაკენ ისწრაფვის. ჰიპოთეტურ მოდელად შეიძლება წარმოვიდგინოთ სიტუაცია, როდესაც საქართველოში უმაღლესი განათლების განვითარების პოლიტიკა ითვალისწინებს ზემოთ ჩამოთვლილი სტრატეგიების ამოქმედებასა და დახვეწას. აღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია ჩამოვაყალიბოთ რამოდენიმე ჰიპოთეზა.

**კვლევის ჰიპოთეზა (1)** უმაღლესი განათლების სფეროში ფინანსების მართვისა და დაფინანსების პირობების სრულყოფა წარმოადგენს უმაღლესი განათლების სფეროში კონკურენტუნარიანი გარემოს ფორმირების აუცილებელ წინაპირობას;

**კვლევის ჰიპოთეზა (2)** უმაღლესი საგანმანათლებლო მომსახურების ხარისხის თანამედროვე სტანდარტებთან თავსებადობის მიღწევა შეუძლებელია უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის ხარისხის (საგანმანათლებლო პროგრამების საერთაშორისო აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა, აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების საერთაშორისო მობილობა, ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება) ამაღლების გარეშე;

**კვლევის ჰიპოთეზა (3)** უმაღლესი საგანმანათლებლო მომსახურების ბაზარსა და სამუშაო ძალის ბაზარს შორის კავშირ–ურთიერთობების გაღრმავება, შესაბამისად, სწავლა-სწავლების პროცესების მიბმა პრაქტიკასთან აუცილებელია მაღალკვალიფიციური კადრების მოსამზადებლად;

**კვლევის ჰიპოთეზა (4)** უმაღლესი განათლების სფეროში საკანონმდებლო ბაზის სამართლებრივი ჰარმონიზაცია ბოლონიის პროცესის ნორმატიულ რეგულაციებთან ქმნის უმაღლესი საგანმანათლებლო მომსახურების ბაზრის სამართლიანი და ეფექტიანი განვითარების ხელშემწყობ გარემოს.

## თავი 1. სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა და კვლევის თეორიული/პრაქტიკული კონტექსტი

### 1.1 უმაღლესი საგანმანათლებლო მომსახურების ბაზრის რეგულირების სამართლებრივი საფუძვლები.

უმაღლესი საგანმანათლებლო მომსახურების ბაზრის შესახებ მრავალი საერთაშორისო კვლევა, პუბლიკაცია და ანგარიში არსებობს. თუმცაღა, განსახილველად შერჩეულ იქნა ის ნაწილი, რომელიც არსებითად ჩავთვალეთ ჩვენი კვლევის პროცესისთვის, კვლევის შედეგების შეჯერებისა და რეკომენდაციების შემუშავებისთვის. ამასთანავე, მნიშვნელოვნად მივიჩნიეთ ჩვენი განხილვის ფარგლებში მოქცეულიყო სხვადასხვა პერიოდისა და პროფილის შრომები და პუბლიკაციები.

შესწავლილ შრომებში თვალსაჩინოდ და კრიტიკულად არის გადმოცემული როგორც დასავლეთ ევროპის, ასევე ბალტიის ზღვის რეგიონის ქვეყნების უაღრესად დიდი გამოცდილება უმაღლესი საგანმანათლებლო მომსახურების ბაზრის ადმინისტრირებისა და მნიშვნელოვანი რეფორმების შესახებ. შემოთავაზებულია უმაღლესი განათლების მართვის სტრატეგიული პოლიტიკის საკმაოდ მდიდარი როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული არჩევანი და წარმოდგენილია უმაღლესი საგანმანათლებლო სისტემის განვითარებისა და მხარდაჭერის სხვადასხვა გზა და რეკომენდაცია. განხილულ ლიტერატურაში ყურადღება ეთმობა ასევე, ეროვნული და ეთნიკური კულტურის მნიშვნელობას, მათ თავსებადობას მსოფლიო კულტურასთან და წეს–ჩვეულებებთან. სწორედ ეს შედარებითი ანალიზი სამომავლო პერსპექტივაში დაეხმარება ქვეყნებს მნიშვნელოვანი რეფორმების გატარებაში უმაღლესი განათლების სფეროში. წარმოდგენილია ასევე, სკანდინავიის ქვეყნების მიერ უმაღლესი განათლების სფეროში განხორციელებული რეფორმების საკმაოდ საინტერესო და ფართო სპექტრი.

2005 წლიდან, მას შემდეგ, რაც საქართველო ოფიციალურად შეუერთდა ბოლონიის პროცესს, უაღრესად დიდი აქტუალობა შეიძინა საკითხმა საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო ნორმატიული აქტებისა და ევროპული უმაღლესი საგანმანათლებლო სამართლებრივი რეგულაციების ჰარმონიზაციის/თავსებადობის შესახებ. საკვლევი ლიტერატურის კონტექსტში განხილულ იქნა როგორც საქართველოში მოქმედი უმაღლესი განათლების

რეგულირების მთავარი ნორმატიული აქტები, ასევე ევროპის ქვეყნებში მოქმედი რეგულაციებიც.

დღეს საქართველოში უმაღლესი საგანმანათლებლო მომსახურების ბაზრის სამართლებრივი რეგულირების საფუძველს წარმოადგენს: საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ, საქართველოს კანონი  განათლების ხარისხის განვითარების შესახებ, საქართველოს კანონი მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და მათი განვითარების შესახებ, საქართველოს კანონი პროფესიული განათლების შესახებ, ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებები და სხვა კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები.

საქართველოს კანონით უმაღლესი განათლების შესახებ დადგენილია აღნიშნული კანონის მოქმედების სფერო, ტერმინთა განმარტება, განათლების ენა, საქართველოს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების უფლებამოსილება, უმაღლეს საწავლო დაწესებულებებში სტუდენტთა მიღების, სახელმწიფო გრანტის მოპოვებისა და განაწილების წესი, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დანიშნულება, სახეები, დაფუძნება, სტატუსის მოპოვება, რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია, მათი პროგრამული აკრედიტაციისა და  ავტორიზაციის წესები.

უმაღლესი განათლების შესახებ კანონით ასევე განსაზღვრულია საქართველოში უმაღლესი განათლების ძირითადი მიზნები:

– ქართული და მსოფლიო კულტურის ღირებულებების ჩამოყალიბების ხელშეწყობა, დემოკრატიისა და ჰუმანიზმის იდეალებზე ორიენტაცია, რომლებიც აუცილებელია სამოქალაქო საზოგადოების არსებობისა და განვითარებისათვის;
– პიროვნების ინტერესებისა და შესაძლებლობების შესატყვისი უმაღლესი განათლების მიღების, კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება;
– პიროვნული პოტენციალის რეალიზება, შემოქმედებითი უნარ-ჩვევების განვითარება, თანამედროვე მოთხოვნების შესატყვისი კომპეტენციის მქონე პირების მომზადება, შიდა და საგარეო შრომის ბაზარზე უმაღლესი განათლების მქონე პირთა კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფა, სტუდენტთა და ფართო საზოგადოების მოთხოვნათა შესაბამისი მაღალი ხარისხის უმაღლესი განათლების შეთავაზება დაინტერესებული პირებისათვის;

– სახელმწიფოს განვითარებისა და საკუთრივ უმაღლესი განათლების სისტემის სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველსაყოფად ახალი სამეცნიერო პერსონალის მომზადება და გადამზადება, სამეცნიერო კვლევის პირობების შექმნა, უზრუნველყოფა და განვითარება;
– უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის მობილობის წახალისება. (15, 8)

კანონის შესაბამისად, საქართველოს განათლების სისტემა სამი საფეხურისგან შედგება: ბაკალავრიატი, მაგისტრატურა და დოქტორანტურა. (იხ.სქემა.1). უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთი სასწავლო წლის განმავლობაში საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს საშუალოდ 60 კრედიტს. სწავლების პირველი საფეხურის (ბაკალავრიატი) საგანმანათლებლო პროგრამა შედგება არანაკლებ 240 კრედიტისგან.

მეორე საფეხურის (მაგისტრატურა) საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს არანაკლებ 120 კრედიტს. მაგისტრატურაში სწავლის უფლება აქვს არანაკლებ ბაკალავრის, ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს.

მესამე საფეხური (დოქტორანტურა) შედგება არანაკლებ 180 კრედიტისაგან. დოქტორანტურაში სწავლის უფლება აქვს არანაკლებ მაგისტრის, ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს. საქართველოში მოქმედებს სამი სახის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება:
– უნივერსიტეტი;
– სასწავლო უნივერსიტეტი;
– კოლეჯი.

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ბაკალავრიატის, დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის საგანმანათლებლო პროგრამით სწავლის უფლება აქვს მხოლოდ იმ აბიტურიენტს, რომელმაც გაიარა შესაბამისი ერთიანი ეროვნული გამოცდები საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესის შესაბამისად. თავისი შინაარსობრივი და პრაქტიკული მნიშვნელობით აღსანიშნავია ასევე, საქართველოს კანონი „მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და მათი განვითარების შესახებ“. კანონი ქმნის სახელმწიფო პოლიტიკის სამართლებრივ საფუძველს, რაც ქვეყნის ინტელექტუალური და ტექნოლოგიური პროგრესისა და კეთილდღეობის საწინდარია. (17,1)

კანონით აღიარებულია, რომ სამეცნიერო-ტექნოლოგიური პროგრესი საზოგადოების განვითარების, საზოგადოების კეთილდღეობის გაუმჯობესების, მისი სულიერი აღმავლობის ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია და ხელშემწყობ პირობებს უქმნის ქვეყნის ინტელექტუალურ შესაძლებლობათა გამოვლენასა და ეკონომიკის წინსვლას. (17, 1)

სქემა 1. საქართველოს განათლების სისტემა.




კანონი უზრუნველყოფს ჰუმანიტარულ, საბუნებისმეტყველო და ტექნიკურ მეცნიერებათა, როგორც ეროვნული კულტურისა და განათლების განუყოფელ შემადგენელ ნაწილთა განვითარებას და მიიჩნევს სამეცნიერო კვლევას შემოქმედებითი საქმიანობის ფორმად. კანონი განსაზღვრავს მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითად მიზნებსა და პრინციპებს, ამ პოლიტიკის განხორციელებაში სახელმწიფო ხელისუფლების საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოების უფლებამოსილებას,

მეცნიერის შემოქმედებით თავისუფლებასა და პასუხისმგებლობას, საქმიანობის სამართლებრივ ნორმებსა და გარანტიებს.

აღნიშნული კანონით სახელმწიფო აღიარებს, რომ მეცნიერების დაფინანსების ზრდა მისი ვალდებულებაა. განვითარებული ქვეყნებისათვის პრინციპულად გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს პროფესიულ განათლებას. პროფესიული განათლება წარმოადგენს სიღარიბის დაძლევისა და ქვეყნის სოციალურ–ეკონომიკური განვითარების ერთ–ერთი მთავარ საფუძველს.

დღეს საქართველოში უმაღლესი სასწავლო დაწესებულებები, გარდა მათი ძირითადი ფუნქციებისა, ახორციელებენ პროფესიული განათლების სასწავლო პროცესების უზრუნველყოფას. აღნიშნულ კონტექსტში განხილულ იქნა საქართველოს კანონი პროფესიული განათლების შესახებ. კანონი განსაზღვრავს პროფესიული განათლების მიზნებს:

– ერთიანი პროფესიულ-საგანმანათლებლო სივრცის შექმნა მთელი სიცოცხლის განმავლობაში პირის მიერ სწავლის შესაძლებლობის, სწავლების მრავალსაფეხურიანობისა და მრავალფეროვნების გათვალისწინებით;
– ინდივიდის პროფესიული განვითარების ხელშეწყობა;
– შრომის ბაზარზე ორიენტირებული, კონკურენტუნარიანი, კვალიფიციური კადრების მომზადების უზრუნველყოფა;
– ინდივიდის დასაქმების, მათ შორის, საკუთარი ბიზნესის წამოწყებისა თუ თვითდასაქმების, ხელშეწყობა;
– პროფესიული განათლების სფეროში სასწავლო-სამეწარმეო პარტნიორობის სისტემის შექმნა, საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში შესაბამისი დარგის დამსაქმებლების მონაწილეობის ხელშეწყობა. (18, 3)

ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ კანონში შესულია მნიშვნელოვანი ცვლილებები და დამატებები, რომლებიც საფუძვლად დაედო „საქართველოს პროფესიული განათლების განვითარების სტრატეგია 2013-2020“–ს და სამოქმედო გეგმას.

განხილულ იქნა ასევე პრინციპულად მნიშვნელოვანი ნორმატიული აქტი, როგორიცაა საქართველოს კანონი განათლების ხარისხის განვითარების შესახებ. საქართველოს კანონის განათლების ხარისხის განვითრების შესახებ, მთავარ მიზანს წარმოადგენს განათლების

ხარისხის განვითარების ხელშეწყობის მექანიზმების სამართლებრივი საფუძვლების განსაზღვრა. კანონით დადგენილია განათლების ხარისხის განვითარების ხელშემწყობი მექანიზმები როგორიცაა, უმაღლესი სასწავლო დაწესებულების ავტორიზაცი, უმაღლესი სასწავლო დაწესებულების პროგრამული აკრედიტაცია და უმაღლესი სასწავლო დაწესებულების თვითშეფასების ანგარიში. ასევე კანონში განსაზღვრულია უმაღლესი სასწავლო დაწესებულების ავტორიზაციის, უმაღლესი სასწავლო დაწესებულების პროგრამული აკრედიტაციის მიზანი და შინაარსი, საქართველოში და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების იურიდიული საფუძველი. კანონით დადგენილია განათლების ხარისხის განვითარების ხელშეწყობის გარე მექანიზმების განხორციელებაზე უფლებამოსილი ორგანო, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი. განსაზღვრულია განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის სამართლებრივი სტატუსი და ცენტრის საქმიანობის ძირითადი მიმართულებები.

სამეცნიერო ლიტერატურის კვლევის კონტექსტში დამატებით დამუშვებულ იქნა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2013 და 2014 წლის წლიური ანგარიშები. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2013 წლის ანგარიშში წარმოდგენილია ბოლო პერიოდის განმავლობაში განხორციელებული მნიშვნელოვანი პროექტები და ღონისძიებები. რომელთაგან აღსანიშნავია განათლების ხარისხის უზრუნველყოფის გარე მექანიზმების სრულყოფა. კერძოდ 2013 წლამდე გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ იღებდა ერთი საბჭო, 2013 წლის მარტში ეს პრინციპი შეიცვალა და საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საგანმანათლებლო დაწესებულების შესაბამისი ავტორიზაციის საბჭო.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ გზით გაიზარდა საბჭოში დაინტერესებული მხარეების რეპრეზენტატულობა განათლების შესაბამისი დონეების მიხედვით და საბჭოს კომპეტენციის დონე. საბჭოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის ხარისხის გაზრდის მიზნით დაინერგა საბჭოს წევრთა შერჩევის ახალი თანამონაწილეობის პრაქტიკა. განხორციელდა აკრედიტაციის ექსპერტთა ბაზის განახლება და გაუმჯობესების მიზნით 2013 წელს ცენტრმა დაიწყო აკრედიტაციის ექსპერტთა შერჩევის დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი პროცესი. გაანალიზდა, შემუშავდა და გაუმჯობესდა კვალიფიკაციის დამატების, შეცვლისა და ამოღების წესი და წარედგინა სამინისტროს დასამტკიცებლად. მობილობის პროცესმა, რომელიც  2013 წელს ორჯერ - შემოდგომისა და გაზაფხულის სემესტრებში განხორციელდა,

თავი მოუყარა სტუდენტთა უპრეცედენტო რაოდენობას (4968 სტუდენტი). (13, 17). ცენტრი 2013 წლის 18 სექტემბრიდან, ახორციელებს პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობისა და ხარისხის გაუმჯობესების სახელმწიფო პროგრამის ქვეპროგრამას, რომელიც ითვალისწინებს პროფესიულ კვალიფიკაციათა სისტემის განვითრებას. „პროფესიულ კვალიფიკაციათა სისტემის განვითრების" ქვეპროგრამის მიზანია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შრომის ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებული მეთოდოლოგიის დანერგვით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხისა და რელევანტურობის გაუმჯობესება. 2013 წლის ივლისიდან დეკემბრის ჩათვლით საქართველო, ლიტვის რესპუბლიკასთან ერთად, BFUG-ის, (ბოლონიის პროცესის განხორციელების ჯგუფი) თანათავმჯდომარე ქვეყანა გახლდათ. 2013 წლის 28 ოქტომბერს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპულმა ასოციაციამ (ENQA) აფილირებული ორგანიზაციის სტატუსი მიანიჭა.

2014 წლის განმავლობაში გადაიხედა ცენტრის ორგანიზაციული სტრუქტურა, სამსახურების ფუნქციები და საქმიანობის პრიორიტეტები. 2014 წლის 30 დეკემბერს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის #169 ბრძანებით, ცვლილებები შევიდა ცენტრის დებულებაში. დებულების ცვლილებით გაძლიერდა განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქცია, წინ წამოიწია ინტერნაციონალიზაციისა განვითარების კომპონენტმა.

2014 წელს ცენტრის დაკვეთით კვლევითმა ორგანიზაციამ „გამოყენებითი კვლევების კომპანიამ" ჩაატარა „განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის სერვისების მომხმარებელთა კმაყოფილების კვლევა". კვლევის ამოცანებს წარმოადგენდა:

– ცენტრის მიმართ მომხმარებლის დამოკიდებულების და განწყობის შესწავლა;
– მომხმარებლისათვის გაწეული სერვისების ხარისხის დონის შეფასება;
– ცენტრის მომსახურების ხარისხის შესწავლა გამოკვეთილი სამიზნე ჯგუფების მიხედვით, ხარვეზების იდენტიფიცირება;
– მომსახურებაში არსებული პრობლემების გამოვლენა და მომსახურების გაუმჯობესების გზების იდენტიფიცირება;
– ახალი სერვისების გამოვლენა, რომელთა საჭიროებასაც ხედავენ მომხმარებლები. (14, 10)

2014 წლიდან ცენტრი აქტიურად მუშაობს ავტორიზაციისა და აკრედიტაციის მექანიზმების დახვეწაზე. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების გადახედვის მთავარი მიზანია, ჩამოყალიბდეს განვითარებასა და შედეგის შეფასებაზე ორიენტირებული სისტემა, რაც ხელს შეუწყობს უმაღლესი განათლების ხარისხის ევროპულ სტანდარტებთან თავსებადობას. დასრულდა აკრედიტაციისა და ავტორიზაციის ექსპერტთა ბაზის განახლების პროცესი, რომელიც 2013 წელს დაიწყო. 2014 წელს აკრედიტაციისა და ავტორიზაციის სამსახურმა შეიმუშავა ეთიკის კოდექსი როგორც ავტორიზაციისა და აკრედიტაციის საბჭოების წევრებისთვის, ასევე ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ექსპერტებისთვის.

2014 წლის ივნისიდან ცენტრი ახორციელებს `ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს განვითარებისა და ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩოებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის პროექტს, რომელიც მიზნად ისახავს ევროპულ კვალიფიკაციების ჩარჩოსთან შესაბამისი ერთიანი ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს პროექტის შემუშავებას უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის კვალიფიკაციების ჩარჩოს გათვალისწინებით.

ასევე 2014 წელს განხორციელდა მნიშვნელოვანი საკონონმდებლო ცვლილებები. 2014 წლის 30 ოქტომბერს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში შევიდა ცვლილებები და დამკვიდრდა გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამისა და გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტის ცნებები. ცვლილებების შედეგად დადგინდა, რომ უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტს, რომელიც მონაწილეობს გაცვლით საგანმანათლებლო პროგრამაში, საქართველოს პარტნიორ უსდ-ში სწავლის გაგრძელება შეუძლია უმაღლესი განათლების შესაბამის საფეხურზე, ამ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ გამოცემული აქტის საფუძველზე. ხოლო გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში საქართველოდან წასულ სტუდენტს სტუდენტის სტატუსი აღარ შეუჩერდება.

2014 წლის 9 ოქტომბერს „საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურებისა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების წესში“ განხორციელდა ცვლილება, რომლის თანახმადაც ცენტრის მიერ აღიარებას დაექვემდებარა პირის მიერ უცხო ქვეყნის აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, მესამე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში მოპოვებული სწავლის

შედეგები, ხოლო უცხოეთში სწავლის პერიოდში (სამეცნიერო ნაშრომის დასრულებამდე) სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შესრულებული კვლევითი კომპონენტის აღიარების თაობაზე გადაწყვეტილების მიღებაზე უფლებამოსილ სუბიექტად განისაზღვრა ის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელშიც პირს სურს სწავლის გაგრძელება. (14, 16-17)

სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვის და კვლევის თეორიულ კონტექსტში განხილულ იქნა ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო. იგი როგორც ოფიციალური დოკუმენტი აერთიანებს საქართველოში არსებულ ყველა კვალიფიკაციას, ასახავს ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების სხვადასხვა საფეხურის სწავლის შედეგებს. ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო აყალიბებს, თუ რა ცოდნა, უნარები და ღირებულებები უნდა ჰქონდეს პირს შესაბამისი საფეხურის გავლის დამადასტურებელი დოკუმენტის მისაღებად.
ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მიზნებია:

– მოსწავლეზე, პროფესიულ სტუდენტზე და სტუდენტზე ორიენტირებული განათლების სისტემის ჩამოყალიბება;
– საქართველოში მიღებული განათლების საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოება;
– სტუდენტებისა და მოსწავლეების მობილობის პროცესის რეგულირება. (19, 2)

იგი ეფუძნება სიცოცხლის განმავლობაში სწავლის ევროპული საკვალიფიკაციო ჩარჩოთი (The European Qualifications Framework for Lifelong Learning-LLL) გათვალისწინებულ მთელი ცხოვრების განმავლობაში სწავლის სისტემას. ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო შედგება რამოდენიმე დოკუმენტისაგან:

– ზოგადი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩო;
– პროფესიულ კვალიფიკაციათა ჩარჩო;
– უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩო, რომელშიც სისტემატიზებულია საქართველოში არსებული უმაღლესი განათლების კვალიფიკაციები.

აღნიშნულ დოკუმენტში, მოცემულია მიმართულებების, დარგების/სპეციალობების, ქვედარგების/სპეციალიზაციებისა და პროფესიული სპეციალიზაციების ჩამონათვალი და კვალიფიკაციის ფორმირების წესი.

როგორც ზემოთ აღინიშნა, საქართველო 2005 წელს ბერგენის სამიტზე ოფიციალურად შეუერთდა ბოლონიის პროცესს. გასული საუკუნის მიწურულს, 1999 წლის 19 ივნისს ევროპის 29 ქვეყნის განათლებისა და მეცნიერების მინისტრებმა მსოფლიოს უძველესი

კულტურის იტალიის ქალაქ ბოლონიაში, ხელი მოაწერეს დეკლარაციას, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა ერთიანი ევროპული საგანმანათლებლო სივრცის შექმნის პროცესს და რომელიც მიზნად ისახავდა ეროვნული საგანმანათლებლო სისტემების დაკავშირებისათვის გარკვეული საშუალებებისა და ინსტრუმენტების შემუშავებას.

დოკუმენტზე ხელმოწერით სახელმწიფოებმა გამოხატეს საერთო მზადყოფნა მონაწილეობა მიეღოთ უმაღლესი განათლების ერთიანი ევროპული სივრცის ჩამოყალიბებაში. დეკლარაციაზე ხელმოწერას წინ უსწრებდა ისეთი დოკუმენტების მიღება, როგორიცაა:

– უნივერსიტეტების დიდი ქარტია (1988);
– ლისაბონის კონვენცია (1997);
– სორბონის დეკლარაცია (1998).

თავის მხრივ, თუ 2010 წლამდე ბოლონიის პროცესის ძირითადი მიზანი უმაღლესი განათლების ერთიანი ევროპული სივრცის ჩამოყალიბება იყო, ლუვენის კომუნიკეს მიხედვით მომდევნო დეკადისათვის მთავარი პრიორიტეტები ასე გამოიყურება:

– სოციალური განზომილება და მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლა;
– დასაქმება და სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება;
– განათლება, კვლევა და ინოვაცია;
– მობილობა და მონაცემების შეგროვება;
– მრავალმხრივი გამჭვირვალე მექანიზმები და დაფინანსება. (34)

ამჟამად, ბოლონიის პროცესში ჩართულია ევროპის 49 ქვეყანა. ბოლონიის პროცესის მონაწილე ქვეყნები წარმოდგენილნი არიან როგორც სამთავრობო, ასევე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების, სტუდენტების, აკადემიური პერსონალისა და დამსაქმებლების დონეზე. პროცესის ძირითადი მონაწილეები არიან:

– ბოლონიის დეკლარაციაზე ხელმომწერი ქვეყნების უმაღლეს განათლებაზე პასუხისმგებელი მინისტრები;
– ევროსაბჭო;
– ევროპის უნივერსიტეტების ასოციაცია (EUA);
– უმაღლესი პროფესიული განათლების ინსტიტუტები (EURASHE);
– ევროპის უნივერსიტეტების სტუდენტური კავშირი (ESU);
– ევროპის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტო (ENQA);
– გაერთიანებული ერების განათლების მხარდამჭერი ორგანიზაცია (UNESCO);

– განათლების პან-ევროპული საერთაშორისო სტრუქტურა;
– ევროპული ორგანიზაცია ბიზნეს-ევროპა. (34)

ზემოაღნიშნული ფაქტორების გათვალისწინებით ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო მომსახურების ბაზრის შემდგომი განვითარების და მისი კონკურენტუნარიანობის ამაღლების მთავარი გამოწვევა, სწორედ ბოლონიის პროცესებით დადგენილი რეკომენდაციების ჯეროვანი შესრულება წარმოადგენს. საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო ნორმატიული აქტებისა და ევროპული უმაღლესი საგანმანათლებლო რეგულაციების ჰარმონიზაციის ხარისხის განსაზღვრის მიზნით განხილულ იქნა, ევროპული სამართლებრივი რეგულაციები და ნორმატიული აქტები როგორიცაა:

– ლისაბონის კონვენცია (1997);
– სორბონის დეკლარაცია (1998);
– ბოლონიის დეკლარაცია (1999);
– პრაღის კომუნიკე (2001);
– ბერლინის კომუნიკე (2003);
– ბერგენის კომუნიკე (2005);
– უმაღლესი განათლების კვალიფიკაციების ჩარჩო - დუბლინის დესკრიპტორი (2005);
– ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული სტანდარტები (2005);
– ლონდონის კომუნიკე (2007);
– ლუვენის კომუნიკე (2009);
– ბუდაპეშტი-ვენის დეკლარაცია (2010);
– ერევნის კომუნიკე (2015);

აღსანიშნავია, რომ სწორედ ლისაბონის 1997 წლის კონვენცია, წარმოადგენს უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის შექმნის პირველ სამართლებრივ საფუძველს. სწორედ ლისაბონის კონვენციით იქნა მიღებული ევროპის რეგიონში უმაღლესი განათლების კვალიფიკაციების ცნობა. მასში ჩამოყალიბებულია საბაზისო მოთხოვნები და აღიარებულია, რომ ცალკეულ ქვეყნებს შეუძლიათ კვალიფიკაციების ცნობის უფრო კონსტრუქციულ სქემებში მონაწილეობა. იგი ქმნის აკადემიური ხარისხების პროფესიული მიზნებისთვის ურთიერთაღიარების ზოგად საფუძველს ევროკავშირის დირექტივების გამოყენებით. კონვენციით მიჩნეულია რომ ევროპის რეგიონის რომელიმე სხვა ქვეყანაში გავლილი სასწავლო კურსების, მოწმობების, დიპლომებისა და ხარისხების ცნობა არის მნიშვნელოვანი

ღონისძიება, მიმართული მხარეებს შორის აკადემიური მობილობის გაფართოების ხელშეწყობისაკენ. (21, 2–3)

ლისაბონის კონვენციით უმაღლეს ხარისხშია აყვანილი უმაღლეს სასწავლებელთა ავტონომიის პრინცი. გაცნობიერებულია ამ პრინციპის განმტკიცებისა და დაცვის აუცილებლობა. მოცემული კონვენცია განიხილება UNESCO-ს კონვენციებისა და საერთო რეკომენდაციების კონტექსტში, რომლებიც ეხება მსოფლიოს სხვა რეგიონებსაც. გამოკვეთილია ასევე უმაღლესი განათლების ეროვნული სისტემების შიგნით სამართლებრივი აქტების, შესაბამისობაში მოყვანის აუცილებლობა საერთაშორისო დონეზე. (21, 10)

უაღრესად დიდი შინაარსობრივი დატვირთვა აქვს ასევე 1998 წლის სორბონის დეკლარაციას. ,,განათლება და საგანმანათლებლო თანამშრომლობა გადამწყვეტი ფაქტორია სტაბილური, მშვიდობიანი და დემოკრატიული საზოგადოების განვითარებისა და გაძლიერებისათვის, არ უნდა დავივიწყოთ, რომ ევროპა არა მარტო საერთო ვალუტა, ბანკები და ეკონომიკაა, არამედ იგი ასევე უნდა გახდეს "ცოდნის ევროპა", ამას კი უმეტეს წილად განსაზღვრავს უნივერსიტეტები, რომელთა როლი გადამწყვეტია ასეთი განვითარებისათვის." (22, 1-2).
ამ მოსაზრებებზე დაფუძნებულმა 1998 წლის 25 მაისის სორბონის დეკლარაციამ გამოკვეთა უნივერსიტეტების ცენტრალური როლი ევროპის კულტურულ განზომილებათა განვითარებაში. სორბონის დეკლარაციაში ყურადღება გამახვილებულია განათლების სფეროში საერთაშორისო კონკურენციაზე და აღნიშნულია უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის განსაკუთრებული როლი და მნიშვნელობა. ,,სწავლების ორივე, დიპლომამდელ და დიპლომის შემდგომ, საფეხურზე ხელი უნდა შევუწყოთ სტუდენტებს, რათა მათ ერთი სემესტრი მაინც გაატარონ საზღვარგარეთის უნივერსიტეტებში, ამასთან ერთად, მეტმა პედაგოგმა და მეცნიერმა უნდა იმუშაოს საზღვარგარეთ, ევროპულ ქვეყნებში". (22, 2-3)

სორბონის დეკლარაციით უმაღლესი განათლების სფეროს მიეცა აბსოლუტური მხარდაჭერა, სტუდენტებისა და პედაგოგების მობილობის უზრუნველყოფის საქმეში. საფუძველი ჩაეყარა ერთიან, კრედიტების ტრანსფერის ევროპული სისტემას (ESTC–ს) და მიღებული ცოდნისა და შესაბამისი აკადემიური ხარისხების გამარტივებულ აღიარებას.

1999 წლის ბოლონიის დეკლარაციამ მთელ ევროპაში საფუძველი დაუდო ბოლონიის პროცესებს. დეკლარაციაში აღნიშნულია, რომ უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის შექმნას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება მოქალაქეთა მობილობის, დასაქმების გაუმჯობესებისა და კონტინენტის ყოველმხრივი განვითარებისათვის. თავის მხრივ, ევროპის უმაღლესმა სასწავლებლებმა მიიღეს გამოწვევა და მთავარი როლი იტვირთეს უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის შექმნასა და ბოლონიის 1988 წლის უნივერსიტეტების დიდი ქარტიის (Magna Charta Universitatum) ფუნდამენტური პრინციპების აღორძინებაში. ხაზგასმით აღნიშნულია, რომ სწორედ უნივერსიტეტების დამოუკიდებლობა და ავტონომია უზრუნველყოფს უმაღლესი განათლებისა და კვლევის მუდმივ შესაბამისობას ცვალებად საჭიროებებთან, საზოგადოების მოთხოვნებსა და მეცნიერული ცოდნის განვითარებასთან. ,,განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ უმაღლესი განათლების ევროპული სისტემის საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის ზრდას, მათ შორის დიპლომის დანართის დანერგვის გზით, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს ევროპის მოქალაქეების დასაქმებასა და უმაღლესი განათლების ევროპული სისტემის საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის ამაღლებას“. (23, 2).

1999 წლის ბოლონიის დეკლარაციაში გამოკვეთილია მთავარი სტრატეგიული მიმართულებები როგორიცა:

– ევროპული სივრცის შექმნა ევროპაში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიმზიდველობისა და კონკურენტუნარიანობის გაუმჯობესებისათვის სწავლების ხარისხის ამაღლება;

– სწავლების ორ მთავარ საფეხურზე დაფუძნებული სისტემის შემოღება, დიპლომამდელი და დიპლომის შემდგომი საფეხურები;

– კრედიტების სისტემის (კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის (ECTS-ის), როგორც სტუდენტების მობილობის ხელშემწყობი საშუალების შემოღება;

– მობილობის ხელშეწყობა ისეთი წინააღმდეგობების დაძლევით, რომელიც ხელს უშლის თავისუფალ გადაადგილებას;

– ხარისხის უზრუნველყოფის საკითხში ევროპული თანამშრომლობის ხელშეწყობა შესადარებელი კრიტერიუმებისა და მეთოდოლოგიების შემუშავების კუთხით;

– უმაღლეს განათლებაში აუცილებელი ევროპული განზომილებების დანერგვა, განსაკუთრებით, კურიკულუმების (საგანმანათლებლო პროგრამების) განვითარება,

სასწავლებლებს შორის თანამშრომლობა, მობილობის სქემებისა და სწავლების, წვრთნისა და კვლევების ინტეგრირებული პროგრამების შექმნა და სხვა. (23, 2-3)

პრაღის 2001 წლის 19 მაისის კომუნიკე წარმოადგენს ერთგვარ მთავარ რეზიუმეს და უარესად მნიშვნელოვან კომენტარებს ბოლონიის დეკლარაციის შესახებ. პრაღის კომუნიკეთი მხარდაჭერილ იქნა იდეა, რომ უმაღლესი განათლება უნდა განიხილებოდეს, როგორც საზოგადოებრივი დოვლათი, რომელიც არის და რჩება საზოგადოებრივ პასუხისმგებლობად, და რომ სტუდენტები არიან უმაღლესი განათლების ერთობის სრულფასოვანი წევრები. მასში განხილულია უმაღლესი განათლების ისეთი სტრატეგიული მიმართულებები:

– იოლად გასაგები და შესადარებელი აკადემიური ხარისხების სისტემის შემოღება; აღნიშნულია, რომ ,,მინისტრებმა მოუწოდეს ისეთ ორგანიზაციებსა და ქსელებს, როგორიცაა აკადემიური ცნობის ეროვნული საინფორმაციო ცენტრები (NARIC) და საინფორმაციო ცენტრების ევროპული ქსელი (ENIC) ინსტიტუციურ, ეროვნულ და ევროპულ დონეზე ხელი შეუწყონ მარტივი, ეფექტური და სამართლიანი აღიარების პროცედურას, რომელიც ასახავს კვალიფიკაციების არსებულ მრავალფეროვნებას“. (24, 2)

– ორ მთავარ საფეხურზე დაფუძნებული აკადემიური ხარისხების სტუქტურა, რომელიც დიპლომამდელ და დიპლომის შემდგომ სწავლებად იყოფა.უნდა აღინიშნოს, რომ ევროპის ქვეყნებში აქტიურად განიხილება და ინერგება ორ მთავარ საფეხურზე დაფუძნებული აკადემიური ხარისხების სტუქტურა, რომელიც დიპლომამდელ და დიპლომის შემდგომ სწავლებად იყოფა. ზოგიერთ ქვეყანაში ეს სტრუქტურა უკვე მიღებულია, ზოგში კი დიდი ინტერესით განიხილება.

– კრედიტების სისტემის შემოღება; კრედიტების სისტემის შემოღებასთან დაკავშირებით ხაზი გაესვა სწავლისა და კვალიფიკაციების მინიჭების პროცესის მეტ მოქნილობას. კვალიფიკაციების ერთიანი ქვაკუთხედის მიღების საჭიროებას, რომელიც დაეფუძნება ისეთ საკრედიტო სისტემას, როგორიცაა კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემა (ECTS).

აღინიშნა, რომ ,,ხარისხის უზრუნველყოფის საზოგადოდ აღიარებულ სისტემებთან ერთად, მსგავსი შეთანხმებები გააადვილებს სტუდენტების მიღებას ევროპულ შრომის ბაზარზე და აამაღლებს ევროპული უმაღლესი განათლების თავსებადობას, მიმზიდველობასა და კონკურენტუნარიანობას“. (24, 3)

– მობილობის ხელშეწყობა; მობილობის ხელშეწყობასთან დაკავშირებით დაადასტურებულ იქნა, სტუდენტების, მასწავლებელების, მეცნიერებისა და ადმინისტრაციული პერსონალის მობილობის გაუმჯობესების (როგორც ეს ბოლონიის დეკლარაციაშია დასახული) უდიდესი მნიშვნელობა.

– ხარისხის უზრუნველყოფა; ხარისხის უზრუნველყოფის საკითხში ევროპული თანამშრომლობის ხელშეწყობასთან დაკავშირებით აღიარებულ იქნა ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის სასიცოცხლო როლი, მთელ ევროპაში მაღალი ხარისხის სტანდარტების დანერგვისა და კვალიფიკაციების შესადარებლობის გამარტივებაში. დადებითად შეაფასდა კვალიფიკაციების ცნობისა და ხარისხის უზრუნველყოფის ქსელებს შორის მჭიდრო თანამშრომლობა. ხაზგასმულია ევროპის დონეზე ხარისხის უზრუნველყოფის ეროვნული სისტემების მჭიდრო თანამშრომლობის, ურთიერთნდობისა და აღიარების აუცილებლობის საკითხი.

2003 წლის 19 სექტემბრის ბერლინის კომუნიკეს ფარგლებში კიდევ ერთხელ დადასტურდა ბოლონიის პროცესის სოციალური განზომილების მნიშვნელობა. აღსანიშნავია ისიც, რომ პროცესი 40 ევროპულ ქვეყნამდე გაფართოვდა. ბერლინის კომუნიკეს ჩანაწერში აღნიშნულია, რომ ,,კონკურენტუნარიანობის გაზრდის საჭიროება გაწონასწორებული უნდა იქნეს უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის სოციალური მახასიათებელების გაუმჯობესებით, რომელთა მიზანია სოციალური თანადგომის გაძლიერება და სოციალურ და გენდერულ უთანასწორობათა შემცირება ნაციონალურ თუ ევროპულ დონეზე“. (25, 1)

განსაკუთრებული აქცენტები გაკეთებულია ხარისხის უზრუნველყოფაზე. აღებულია ვალდებულება ხარისხის უზრუნველყოფის განვითარების ინსტიტუციურ, ეროვნულ და ევროპულ დონეზე. აღნიშნულია ხარისხის უზრუნველყოფის საკითხში ერთობლივად მიღებული კრიტერიუმებისა და მეთოდოლოგიების საჭიროების შესახებ. მიღწეულ იქნა შეთანხმება, რომ 2005 წლისათვის ხარისხის უზრუნველყოფის ეროვნულ სისტემაში შევა:

– პროცესში ჩართული ორგანიზაციებისა და ინსტიტუტების პასუხისმგებლობის განსაზღვრა;

– პროგრამების ან სასწავლებლების შიდა და გარე შეფასება, სტუდენტების მონაწილეობითა და შედეგების გამოქვეყნებით;

– აკრედიტაციის, სერტიფიკაციის ან სხვა შესაბამისი პროცედურების სისტემა;

– საერთაშორისო მონაწილეობა, თანამშრომლობა და საერთო ქსელის შექმნა. (25, 3)

ასევე მიეცათ დავალება ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული ქსელის (ENQA) წევრებს, ევროპის უნივერსიტეტების ასოციაციასთან (EUA), უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ევროპულ ასოციაციასთან (EURASHE) და ევროპის სტუდენტებისეროვნულ კავშირებთან (ESIB) თანამშრომლობით განავითარონ ხარისხის უზრუნველყოფის შეთანხმებული სტანდარტები, პროცედურები და ინსტრუქციები, შეისწავლონ ხარისხის უზრუნველყოფის და/ან აკრედიტაციის სააგენტოების, ან ორგანოებისათვის შემოწმების ადეკვატური სისტემების უზრუნველყოფის გზები. მიღწეულ იქნა შეთანხმებები მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის უზრუნველყოფის გასაძლიერებლად. მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ბოლონიის პროცესში ამჟამად არსებული უმაღლესი განათლების ორი ძირითადი საფეხურის გარდა მესამე საფეხურად დოქტორანტურის სწავლების საფეხურის განსაზღვრის შესახებ.

განხილული ევროპული რეგულაციებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია ბერგენის კომუნიკე, რადგნაც 2005 წელს საქართველო სწორედ ბერგენის სამიტზე შეუერთდა ევროპის ერთიან საგანმანათლებლო სივრცეს.

მასში გაკეთებულია მნიშვნელოვანი ჩანაწერი: ,,ვადასტურებთ ჩვენს ვალდებულებას, ბოლონიის პროცესის ფარგლებში ჩვენი პოლიტიკის კოორდინირების მეშვეობით 2010 წლისათვის შეიქმნას უმაღლესი განათლების ევროპული სივრცე და გამოვთქვამთ მზაობას, დავეხმაროთ ახალ მონაწილე ქვეყნებს ბოლონიის პროცესის მიზნების განხორციელებაში“. (26, 1)

ბერგენის კომუნიკეში აღნიშნულია ბიზნესის წარმომადგენლებისა და სოციალური პარტნიორების მხარდაჭერაც. მიღწეულია შეთანხმება ნაციონალური სამოქმედო გეგმის შემუშავებისათვის, რომლის მიზანიც იქნება უცხოეთში მიღებული კვალიფიკაციის აღიარების გაადვილება. გაკეთებულია პრინციპულად მნიშვნელოვანი ჩანაწერებიც: ,,ჩვენ აღვნიშნავთ კვლევებისა და კვლევის სფეროში წვრთნის მნიშვნელობას ხარისხის შენარჩუნებისა და გაუმჯობესებისათვის და უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის კონკურენტუნარიანობის გაზრდისათვის, ამ მიზნების მიღწევისათვის დოქტორანტურის დონის კვალიფიკაცია, რომელიც განისაზღვრება შედეგებზე დაყრდნობით, სრულად უნდა შეესაბამებოდეს უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის კვალიფიკაციების ძირითად სტრუქტურას. დოქტორანტების განათლების ძირითად კომპონენტს წარმოადგენს ცოდნის გაღრმავება ორიგინალური კვლევის მეშვეობით“. (26, 4-5)

გაკეთებულია მოწოდება უმაღლესი სასწავლო დაწესებულებებისადმი უზრუნველყონ სადოქტორო პროგრამებში ინტერდისციპლინური მიდგომა და ისეთი უნარ-ჩვევების განვითარება, რითაც ისინი შრომის ბაზრის მოთხოვნებს უკეთ დააკმაყოფილებენ.

მკაფიოდ ფორმულირებული და ჩამოყალიბებულია ძირითადი საიმპლემენტაციო მიმართულებები:

– ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტებისა და მითითებების დანერგვა, ისე როგორც ეს მოცემულია ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული ასოციაციის ანგარიშში;

– კვალიფიკაციების ნაციონალური სტრუქტურების დანერგვა;

– ერთობლივი აკადემიური ხარისხების მინიჭება და აღიარება, დოქტორანტურის დონის ჩათვლით;

– უმაღლეს განათლებაში მოქნილი სასწავლო გზების შემუშავება, წინა სწავლების აღიარების ჩათვლით. (26, 6-7)

უმაღლესი განათლების კვალიფიკაციების ჩარჩო-დუბლინის დესკრიპტორი, რომელიც მიღებულია 2005 წელს უმაღლესი განათლების ევროპული სივრცისათვის, მოიცავს სწავლების სამ საფეხურს, თითოეული საფეხურისათვის სწავლის შედეგებსა და კომპეტენციებზე დაფუძნებულ საერთო აღწერებსა და კრედიტების განსაზღვრისა და განაწილების წესს. აღნიშნულ დოკუმენტში განსაზღვრულია ასევე, კვალიფიკაციები სწავლების პირველი, მეორე და მესამე საფეხურებისათვის და შემუშავებულია ზოგადი კომპეტენციები კერძოდ:

– კომუნიკაცია მშობლიურ ენაზე;

– კომუნიკაცია უცხო ენაზე;

– მათემატიკის, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ტექნოლოგიის საფუძვლების ცოდნა;

– დიგიტალური ტექნოლოგიების ცოდნა;

– სწავლის უნარი;

– სამოქალაქო კომპეტენცია;

– სამეწარმეო უნარები;

– კულტურული კომპეტენცია. (27, 2)

2005 წლის ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტები და სახელმძღვანელო პრინციპები, რომელიც ევროპის უმაღლესი განათლების სივრცისათვის შეიქმნა, წარმოადგენს ბერლინის კომუნიკეთი გათვალისწინებული ძირითადი პრინციპებისა და ვალდებულებების ერთგვარ ნორმატიულ რეგულაციას. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ ბოლონიის პროცესის ხელმომწერი ქვეყნების მინისტრებმა მოიწვიეს უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული ქსელის (ENQA) წევრები, რომლებსაც EUA-ს, EURASHE-ს და ESIB-ის წევრებთან ერთად დაევალათ ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტების, პროცედურებისა და სახელმძღვანელო პრინციპების ერთმანეთთან შეთანხმებული კრებულის შემუშავება და ხარისხის უზრუნველყოფისა და სააკრედიტაციო სტრუქტურებისათვის ადეკვატური შეფასების სისტემის შექმნის გზების დადგენა. შესაბამისად 2005 წელს უმაღლეს განათლებაში ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული ასოციაცია (ENQA)–ს მიერ შემუშავებულ იქნა ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტები და სახელმძღვანელო პრინციპები ევროპის უმაღლესი განათლების სივრცისათვის.

აქვე განსაზღვრულია სტანდარტებისა და სახელმძღვანელო პრინციპების მიზნები და ამოცანები:

– უმაღლესი განათლების ინსტიტუტების წახალისება, რაც დააჩქარებს ინტელექტუალურ და საგანმანათლებლო მიღწევებს;

– დახმარებისა და რჩევების მიწოდება უმაღლესი განათლების ინსტიტუტებისათვის და სხვა შესაბამისი სააგენტოებისათვის, რომლებიც საკუთარი ხარისხის უზრუნველყოფის კულტურას ავითარებენ;

– უმაღლესი განათლების ინსტიტუტების სტუდენტების დამსაქმებელთა და სხვა დაინტერესებულ მხარეთა ინფორმირება უმაღლესი განათლების შედეგებსა და პროცესების შესახებ;

– ევროპის უმაღლესი განათლების სივრცეში უმაღლესი განათლებისთვის და ხარისხის უზრუნველყოფისთვის საერთო კრიტერიუმებისა და სფეროების შეთავაზება;

– დოკუმენტში განსაზღვრულია უმაღლესი განათლების ხარისხის შიდა და გარე უზრუნველყოფის ევროპული სტანდარტები და წარმოდგენილია მათი ძირითადი პრინციპები:

– უმაღლესი განათლების მომწოდებლების უპირველესი ვალდებულებაა მათ მიერ მოწოდებული განათლების ხარისხი და მისი უზრუნველყოფა;

– საზოგადოების ინტერესი უმაღლესი განათლების ხარისხისა და სტანდარტების მიმართ უნდა იყოს გარანტირებული და დაზღვეული. აკადემიური პროგრამების ხარისხი

უნდა იყოს განვითარებული და გაუმჯობესებული სტუდენტებისა და უმაღლესი განათლების სხვა მომხმარებლებისთვის ევროპის უმაღლესი განათლების სივრცეში;

– საჭიროა ეფექტური და ქმედითი ორგანიზაციული სტრუქტურის არსებობა, რომლის შიგნითაც მოხდება აკადემიური პროგრამების შეთავაზება და მათი მხარდაჭერა;

– ხარისხის უზრუნველყოფის პროცესში მნიშვენლოვანია გამჭვირვალობა და გარე ექსპერტიზის გამოყენება;

– უმაღლესი განათლების ინსტიტუტებში წახალისებული უნდა იყოს ხარისხის კულტურა;

– პროცესები იმგვარად უნდა იყოს წარმართული, რომ უმაღლესი განათლების ინსტიტუტებს შეეძლოთ სახელმწიფო და კერძო ფინანსურ ინვესტიციებზე ანგარიშვალდებულების წარმოჩენა;

– ინსტიტუტებს უნდა შეეძლოთ მათი ხარისხის როგორც ადგილობრივად, ისე საერთაშორისო დონეზე წარმოდგენა. (28, 9-10)

2007 წლის ლონდონის კომუნიკეში აღნიშნულია ის მთავარი მიღწევები, რომლებიც განხორციელდა ერთიანი ევროპული სივრცის შექმნის ინიციატივის ფარგლებში და გამოკვეთილია მთავარი შედეგები, როგორიცაა:

– სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის მობილობა. მიჩნეულია, რომ იგი ავითარებს პიროვნულ შესაძლებლობებს, აძლიერებს საერთაშორისო თანამშრომლობას ადამიანებსა და ინსტიტუციებს შორის, ზრდის უმაღლესი განათლებისა და კვლევის ხარისხს და ხელს უწყობს ევროპული განზომილების დამკვიდრებას;

– უმაღლესი განათლების ხარისხების სისტემა. აქ გამოკვეთილია სამსაფეხუროვანი სისტემის უპირატესობანი და მიღებულია გადაწყვეტილება საფეხურებს შორის მომავალში დაბრკოლებების მოხსნისა და მათ შორის გადასვლის გასაუმჯობესებლად ასევე სწავლის შედეგების და სტუდენტის დატვირთვის გათვალისწინებით, ევროპული კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების სისტემის სწორად გამოყენებისათვის;

– ურთიერთაღიარების საკითხები. ბოლონიის პროცესის 38 წევრი ქვეყნის მიერ რატიფიცირებულია ,,ევროსაბჭო/იუნესკოს ევროპის რეგიონში უმაღლესი განათლების კვალიფიკაციის აღიარების კონვენცია". (ლისაბონის კვალიფიკაციის აღიარების კონვენცია).

ლონდონის კომუნიკეთი გაზრდილია სოციალური განზომილების როლი და მნიშვნელობა და გაკეთებულია ჩანაწერი: ,,უმაღლესმა განათლებამ მნიშვნელოვანი როლი უნდა ითამაშოს სოციალური ერთიანობის ხელშეწყობის, უთანასწორობის შემცირების და საზოგადოებაში

ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების დონის ამაღლებაში. ამიტომ, პოლიტიკა მიზნად უნდა ისახავდეს ინდივიდუალური პოტენციალის ამაღლებას, პიროვნულ განვითარებას და მდგრადი და დემოკრატიული, ცოდნაზე დაფუძნებული საზოგადოების ჩამოყალიბების პროცესში მათი წვლილის გაზრდას“. (29, 6)

გამოკვეთილია უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის მნიშვნელობა გლობალურ კონტექსტში. ,,ჩვენ ვიღებთ სტრატეგიას ,,ევროპის უმაღლესი განათლების სივრცე გლობალურ გარემოში" და განვაგრძობთ მუშაობას ამ პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების გასავითარებლად. ჩვენ გავაუმჯობესებთ ინფორმაციის მიწოდებას უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის შესახებ და ხელს შევუწყობთ სივრცის მიმზიდველობასა და კონკურენტუნარიანობას". (29, 6-7)

2009 წლის ლუვენის კომუნიკეში გაკეთებულია მნიშვნელოვანი ჩანაწერები და განსაზღვრულია მომავალი დეკადის მთავარი პრიორიტეტები:

– სწავლების მეთოდების სრულყოფა და სწავლის ხარისხის ეტაპობრივი ზრდა;
– უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, რათა მეტად თავსებადობაში მოვიდეს მსოფლიო გლობალიზაციის პროცესით განსაზღვრულ ახალ ყოფით რეალობასთან;
– განათლების ხელმისაწვდომობის ეტაპობრივი ზრდის ხელშეწყობა;
– შრომის ბაზრის გაზრდილი მოთხოვნებისა და სტანდარტების დაკმაყოფილება შესაბამისი შრომითი რესურსებით მათი კვალიფიკაციის ზრდის ხარჯზე;
– საწავლო გეგმებისა და საწავლო პროგრამების განახლება კერძო სექტორის გაზრდილი მოთხოვნების შესაბამისად, კვლევებისა და სამეცნიერო ინოვაციების ხელშეწყობა და სხვა. (30, 2-3)

უნდა აღინიშნოს, რომ მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლების პრინციპი სულ უფრო და უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს მზარდი მეცნიერულ-ტექნოლოგიური სიახლეების ფონზე. მსოფლიო ფინანსური კრიზისის მართვის ერთ-ერთ მთავარ ბერკეტად დასახელებულია უმაღლესი განათლების სრულყოფა.

2010 წლის ბუდაპეშტი-ვენის დეკლარაციაში განხორციელებულია მნიშვნელოვანი ჩანაწერები. ,,ჩვენ, მინისტრები, კიდევ ერთხელ ვადასტურებთ, რომ აკადემიური თავისუფლება ისევე, როგორც უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტონომია

და ანგარიშვალდებულება, წარმოადგენს უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის პრინციპებს და ხაზგასმით აღვნიშნავთ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების როლს მშვიდობიანი დემოკრატიული საზოგადოებისა და სოციალური ერთობის განვითარებაში”. (31, 2)

,,ჩვენ ვაღიარებთ აკადემიური საზოგადოების: ინსტიტუციური ლიდერების, მასწავლებლების, მკვლევრების, ადმინისტრაციული პერსონალისა და სტუდენტების წამყვან როლს უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის რეალურ ფუნქციონირებაში, სტუდენტებისათვის იმ ცოდნისა და უნარების განვითარებაში, რომელიც ხელს შეუწყობს, როგორც კარიერულ განვითარებასა და დემოკრატიულ საზოგადოებაში ცხოვრებას, ასევე მათ პერსონალურ განვითარებას”. (31, 2-3)

,,ჩვენ, მინისტრები, კიდევ ერთხელ ვადასტურებთ, რომ უმაღლესი განათლება არის საზოგადოებრივი პასუხისმგებლობის ობიექტი. პასუხისმგებლობას ვიღებთ, რომ მიუხედავად არსებული რთული ეკონომიკური პერიოდისა, უზრუნველვყოფთ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს აუცილებელი რესურსებით იმ ფარგლებში, რომელიც ჩამოყალიბებულია და არსსებობს საჯარო ხელისუფლების მეთვალყურეობის ქვეშ”. (31, 3)

2015 წლის ერევნის კომუნიკე წარმოადგენს პრინციპულად მნიშვნელოვან დოკუმენტს. კომუნიკეში აღნიშნულია, რომ ბოლონიის რეფორმის წყალობით, გაიზარდა სტუდენტებისა და კურსდამთავრებულთა მობილობის შესაძლებლობები ევროპული უმაღლესი განათლების სივრცის ფარგლებში მათი კვალიფიკაციებისა და სწავლის პერიოდის აღიარების გზით და საგანმანათლებლო პროგრამები კურსდამთავრებულებს უზრუნველყოფს ცოდნით, უნარებითა და კომპეტენციებით, რათა მათ სწავლა გააგრძელონ, ან შეუერთდნენ ევროპულ შრომის ბაზარს.

2015 წლის ერევნის კომუნიკეში გაკეთებულია მნიშვნეოლვანი ჩანაწერები: ,,სწავლებისა და სწავლის ხარისხისა და რელევანტურობის გაუმჯობესება წარმოადგენს ევროპული უმაღლესი განათლების სივრცის მთავარ მისიას. ჩვენ წავახალისებთ და მხარს დავუჭერთ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და აკადემიურ პერსონალს, რათა სტუდენტზე ორიენტირებულ სასწავლო გარემოში განავითარონ პედაგოგიური ინოვაციები და სწავლა და სწავლება-სწავლისათვის სრულად გამოიყენონ ციფრული ტექნოლოგიების პოტენციური სარგებელი“. (32, 2-3)

,,კურსდამთავრებულთა დასაქმებულობის ხელშეწყობა მათი შრომითი ცხოვრების განმავლობაში სწრაფად ცვალებად შრომის ბაზარზე, რომელიც ხასიათდება ტექნოლოგიური განვითარებით, ახალი სამუშაო პროფილების წარმოშობით, დასაქმებისა და თვითდასაქმების მზარდი შესაძლებლობებით, და წარმოადგენს ევროპული უმაღლესი განათლების სივრცის მთავარ მიზანს“. (32, 3)

,,სისტემების ინკლუზიურობის უზრუნველყოფა არის მნიშვნელოვანი მიზანი ევროპული უმაღლესი განათლების სივრცისათვის, რადგან ჩვენი მოსახლეობა უფრო და უფრო დივერსიფიცირებული ხდება ემიგრაციისა და დემოგრაფიული ცვლილებების გამო“. (32, 3).

კომუნიკეში აღნიშნულია: ,,უზრუნველყოფილ იქნას, რომ კომპეტენციების შესახებ მოთხოვნები საზოგადოებრივი დასაქმებისათვის იძლეოდეს სამართლიანი ხელმისაწვდომობის საშუალებას უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის აკადემიური ხარისხის მფლობელთათვის და წაახალისონ დამსაქმებლები, სათანადოდ გამოიყენონ უმაღლესი განათლების ყველა კვალიფიკაციის, მათ შორის, პირველი საფეხურის კვალიფიკაციის მქონე პირები“. (32, 3-4)

,,უზრუნველყოფილ იქნას უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობით შრომის ბაზარზე კურსდამთავრებულთა კარიერული ზრდისა და პროგრესის შესახებ სანდო და მნიშვნელოვანი ინფორმაციის მიწოდება დაწესებულების ლიდერების, პოტენციური სტუდენტების, მათი მშობლებისა და ზოგადად, საზოგადოებისათვის“.  (32, 4)

,,გადასინჯულ იქნას ეროვნული კანონმდებლობა ლისაბონის აღიარების კონვენციასთან სრული თავსებადობის დადგენის მიზნით, ბოლონიის სამდივნოსთან ანგარიშგებით 2016 წლის ბოლოს, და ბოლონიის პროცესის განხორციელების ჯგუფი სთხოვს კონვენციის კომიტეტს, ENIC NARIC-ის ქსელთან თანამშრომლობით, მოამზადოს ანგარიშების ანალიზი 2017 წლის ბოლოსათვის, კონვენციის კომიტეტის მიერ განხორციელებული კონვენციის მონიტორინგის შედეგების გათვალისწინებით“. (32, 4-5)

,,გადასინჯულ იქნას ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოები და გათვალისწინებულ იქნას, რომ სწავლების გზები ჩარჩოში ადეკვატურადაა მოწოდებული წინმსწრები განათლების

აღიარების ხელშეწყობის მიზნით და ხელშეწყობილ იქნას აკადემიური პერსონალის მობილობა ინტერნაციონალიზაციისა და მობილობის სახელმძღვანელო პრინციპების გათვალისწინებით, რათა ჩვენი უმაღლესი განათლება სოციალურად უფრო მეტად ინკლუზიური ევროპული უმაღლესი განათლების სივრცის სოციალური განზომილების სტრატეგიის განხორციელების მეშვეობით“. (32, 5-6)

,,უზრუნველყოფილ იქნას, რომ ევროპული უმაღლესი განათლების სივრცის სხვა ქვეყნების კვალიფიკაციები ავტომატურად იყოს აღიარებული იმავე დონეზე, როგორც შესაბამისი ეროვნული კვალიფიკაციები, ამასთანავე საშუალება მიეცეს ჩვენს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს, გამოიყენონ უმაღლესი განათლებისათვის ევროპული ხარისხის უზრუნველყოფის რეესტრში (EQAR) დარეგისტრირებული სააგენტო მათი ხარისხის უზრუნველყოფის გარე პროცესისათვის, პატივი სცენ ეროვნულ შეთანხმებას ხარისხის უზრუნველყოფის შედეგების შესახებ გადაწყვეტილების მიღებაზე“. (32, 6-7)

## 1.2 უმაღლესი საგანმანათლებლო მომსახურების ბაზრის, ხარისხი და ინტერნაციონალიზაცია.

იმ უცხოურ კვლევებს შორის, რომელთაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს უმაღლესი საგანმანათლებლო მომსახურების ბაზრის შესწავლაში, აღსანიშნავია ლიტვის მიკოლას რომერის უნივერსიტეტის, პროფესორების Egle Bileviciute–ეს და Inga Zaleniene–ს ნაშრომი: ,,უმაღლესი განათლების რეფორმა ლიტვაში, ლიტვის განათლების სტრატეგიის გათვალისწინებით“. (Bileviciute. Egle., Zaleniene. Inga., (2013), ,,Higher Education Reform in Lithuania With Emphasis on Lithuanian Educational Strategy“ , Mykolas Romeris University).

წარმოდგენილ ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია უმაღლესი საგანმანათლებლო მომსახურების ბაზრის რეფორმების უმნიშვნელოვანესი ასპექტების მხარდაჭერაზე და მიიჩნეულია, რომ უმაღლესი განათლება არის ფუნდამენტი ინოვაციური ეკონომიკის უზრუნველსაყოფად და ქვეყნის მდგრადი განვითრების ერთადერთ უპირობო ალტერნატივას წარმოადგენს. უმაღლესი განათლების მხარდაჭერა ეს არის ასევე დასტური ევროპულ სტრუქტურებთან თანამშრომლობის მზაობისა და შესაძლებლობისა. ავტორთა აზრით, ,,უმაღლესი განათლების მხარდაჭერა განხილულ უნდა იქნას, როგორც

მწარმოებლურობის, რენტაბელობის და ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ამაღლების, სოციალური უთანასწორობის შენელებისა და აღმოფხვრის წინაპირობა“. (49, 124-125).

ნაშრომში განხილულია, უმაღლესი საგანმანათლებლო მომსახურების ბაზრის ინტერნაციონალიზაციის თანამედროვე გამოწვევები და ის ძირითადი მიმართულებები, რომელიც უზრუნველყოფს უმაღლესი საგანმანათლებლო მომსახურების ბაზრის ინტერნაციონალიზაციის ხარისხის ამაღლებას. ჩვენი კვლევისთვის არსებითია ნაშრომში წარმოდგენილი ვრცელი და არგუმენტირებული მსჯელობა განვითარებადი ქვეყნების უმაღლესი საგანმანათლებლო მომსახურების ბაზრის ინტერნაციონალიზაციაზე. უმაღლესი საგანმანათლებლო მომსახურების ბაზრის ხარისხის ეფექტურობის ასამაღლებლად წარმოდგენილია რეკომენდაციები.

კრიტიკულადაა განხილული, როგორც ლიტვის რესპუბლიკის, ასევე სხვა განვითარებადი და პოსტ საბჭოთა ქვეყნების უმაღლესი საგანმანათლებლო პოლიტიკა. ყურადღება გამახვილებულია პოლიტიკის რეალიზაციის ნაკლოვანებებზე, სადაც აქცენტები კეთდება რეფორმების რეალიზების დაბალ ტემპებზე და განხორციელების დაბალ ხარისხზე.
თავის მხრივ, ლიტვის უმაღლესი საგანმანათლებლო სისტემის რეტროსპექტივის განხილვის დასაწყისია გასული საუკუნის 90-იანი წლები, როდესაც საფუძველი ჩაეყარა ძირეულ სტრუქტურულ ცვლილებებს. სწორედ ამ პერიოდში ლიტვამ მიიღო ევროკავშირის რეკომენდაცია, სადაც გაკეთდა შემდეგი ჩანაწერი: ,,მსხვილი, მასშტაბური ინვესტიციები უმაღლესი განათლების სფეროში, ესაა პირდაპირი ინვესტიცია ლიტვის ევროპულ მომავალში“. (49, 136-137).

ევროკავშირმა ლიტვას მისცა პირდაპირი დირექტივა, ერთი მხრივ, მოუწოდა რა განეხორციელებინა მსხვილი ინვესტიციები უმაღლესი განათლების სისტემაში, მეორე მხრივ, ეს განხილული იქნებოდა, როგორც ინვესტიცია, ლიტვის ევროპული მომავლის უზრუნველსაყოფად.

მათი აზრით, მთავარი მიზანი არ არის ამ ეტაპზე მსოფლიო კონკურენციაში ჩაბმა, მაგრამ უაღრესად მნიშვნელოვანია ლიტვის უმაღლესი საგანმანათლებლო სისტემის განხილვა, როგორც მსოფლიო კონკურენციის შემადგენელი ნაწილი.

ნაშრომის მიხედვით, 2003 წლის 4 ივლისს ლიტვის პარლამენტმა დაამტკიცა უმაღლესი განათლების ნაციონალური სტრატეგია, სადაც გამოიკვეთა სამი ძირითადი პრიორიტეტი:

– უმაღლესი საგანმანათლებლო მომსახურების ბაზრის მიზნობრივი დაფინანსება;

– განათლების სფეროში არსებული რესურსების რაციონალურად გამოყენება;

– უმაღლესი საგანმანათლებლო მომსახურების ბაზრის ადმინისტრირების სისტემის განვითრება;

– უწყვეტი განათლების სისტემის შექმნა, როგორც სოციალური სამართლიანობის მხარდაჭერა, რაც საბოლოოდ შექმნის ხარისხის უზრუნველყოფის გარანტიას.

მოგვიანებით, ლიტვის მთავრობის 2005 წლის 24 იანვრის მთავრობის დადგენილებით, ინიცირებულ იქნა ცვლილება და დამატებით პრიორიტეტებად განისაზღვრა ხუთი ძირითადი მიმართულება:

– უმაღლესი საგანმანათლებლო მომსახურების ბაზრის მიზნებისა და ამოცანების განსაზღვრა;

– უმაღლესი საგანმანათლებლო მომსახურების ბაზრის ადმინისტრირების სრულყოფა;

– საკადრო რესურსების/პერსონალის გადახალისება;

– უმაღლესი საგანმანათლებლო მომსახურების ბაზრის ინფრასტრუქტურის განვითარება;

– მთავრობის სხვადასხვა დონეზე ლოჯისტიკის უზრუნველყოფა.

როგორც ვხედავთ უმაღლესი განათლების ხარისხის მთავარ პრიორიტეტებად სახელმწიფო ადმინისტრირების სრულყოფა, საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის განვითარება და შინაარსობრივი სრულყოფა,ასევე საკადრო პოლიტიკის დახვეწა განისაზღვრა.

2009 წელს, მთავრობის ახალ დადგენილებაში გაკეთდა უაღრესად მნიშვნელოვანი ჩანაწერი, სადაც დადგინდა, რომ ,,ლიტვის სასწავლო, სამეცნიერო–კვლევითი და აკადემიური პოტენციალი ძალზედ ჩამორჩება განვითარებული ქვეყნების პოტენციალს, რაც განსახორციელებელ რეფორმებს სერიოზული საფრთხის ქვეშ აყენებს“. (49, 126).

ამის საპირისპიროდ მთავრობამ დაადგინა, რომ უნდა გაიზარდოს დაფინანსების ოდენობა კონკრეტულად ამ მუხლის მიმართულებით. წინააღმდეგ შემთხვევაში რეფორმების ის ტენდენციები, რაც უკვე დაწყებული იყო, ვეღარ გაგრძელდებოდა და მთლიანად საფრთხის

ქვეშ დააყენებდა რეფორმების ეფექტიანობას. ავტორები ყურადღებას ამახვილებენ შემდეგ სერიოზულ პრობლემებზე:

– დიპლომების დევალვაცია;
– სამეცნიერო–კვლევითი აქტიურობის დაქვეითება;
– უნივერსიტეტებისა და კოლეჯების ფუნქციების დისბალანსი;
– დაბალი აკადემიური კონტროლი და კონკურენციის შეფერხება;
– კერძო უმაღლესი დაწესებულებების მრავალდონიანი დისკრიმინაცია. (49, 126-127).

აღნიშულის მოსაგვარებლად შეთავაზებულ იქნა შემდეგი ქმედითი ღონისძიებები:

– საბაზრო მოთხოვნების და პრინციპების ოპტიმიზაცია;
– საბაზრო მოთხოვნების და პრინციპების ჰარმონიზაცია საზოგადოებრივ მოთხოვნებთან და პრინციპებთან;
– კონკურენციის და ეფექტინობის გაზრდა, როგორც მისაღები კონტინგენტის (სტუდენტები) თვალსაზრისით, ასევე თვითონ უმაღლესი დაწესებულებების გათვალისწინებით.

როგორც სჩანს, უმაღლესი საგანმანათლებლო მომსახურების ბაზრის განვითარება ორ ძირითად ასპექტს უკავშირდება. ესენია: შიდა და გარე ფაქტორების როლი და მნიშვნელობა შიდა ფაქტორი წარმოდგენილია უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობით, ხარისხის მართვით და განათლების უზრუნველყოფით. გარე ფაქტორი კი წარმოდგენილია მსოფლიო თანამეგობრობის, მათ შორის ევროკავშირის გამოწვევების რეალიზაციით. ნაშრომში უმაღლესი საგანმანათლებლო მომსახურების ბაზრის მთავარ გამოწვევებად ავტორები მიიჩნევენ შემდეგ სტრატეგიულ მიმართულებებს:

– საერთაშორისო დონის კვლევითი ცენტრების შექმნა;
– უმაღლესი განათლების ხარისხის კონტროლის ამაღლება;
– ადმინისტრაციული პერსონალის განახლება;
– მატერიალურ–ტექნიკური ბაზის განახლება;
– სტუდენტთა სოციალური გარანტიის უზრუნველყოფა;
– სტუდენტთა საერთო საცხოვრებლებით უზრუნველყოფა;
– სწავლების ეფექტიანი დაფინანსების უზრუნველყოფა;
– ადმინისტრირების თანამედროვე მეთოდების გამოყენება;

– ინტერნაციონალიზაციის ამაღლება, მეტი სასწავლო/სამეცნიერო პირობების უზრუნველყოფა, როგორც სტუდენტებისათვის, ასევე აკადემიური პერსონალისათვის. (49, 129).

როგორც ვხედავთ, აქცენტები გაკეთდა მსოფლიო სტანდარტებთან თავსებადი კვლევითი ინფრასტრუქტურის, პროფესიონალი აკადემიური პერსონალის და მათი მობილობის, ფინანსური რესურსებისა და ადმინისტრირების მაღალი სტანდარტების რეალიზებაზე.ნაშრომში ასევე აღწერილია ის ახალი რეკომენდაციები, რომელიც ლიტვამ 2012 წელს მიიღო ევროკავშირისაგან, სადაც წამყვანი ადგილი ისეთ მიმართულებებს უკავია, როგორიცაა:

– სამეცნიერო კადრების მომზადება და პრაქტიკის უზრუნველყოფა;

– სტუდენტთა დაკრედიტების სისტემის უზრუნველყოფა;

– სტუდენტთა სასწავლო და სამეცნიერო პოტენციალის ამაღლების მიზნით კერძო სექტორის მეტი ჩართულობა უმაღლესი განათლების მხარდასაჭერად;

– კერძო უმაღლესი სასწავლებლების ხელშეწყობა;

– უმაღლესი საგანმანათლებლო მომსახურების ბაზრის სახელმწიფო რეგულირების ლიბერალიზაცია;

– უმაღლესი სასწავლო დაწესებულებებისათვის აკადემიური თავისუფლების უზრუნველყოფა;

– პლაგიატის წესის გამკაცრება და გამოვლენის მეტი გარანტიების უზრუნველყოფა.

ნაშრომის დასკვით ნაწილში ყურადღება ეთმობა ორ უმთავრეს დოკუმენტს: ლიტვის კანონს უმაღლესი გნათლების შესახებ და ლიტვის განვითარების სტრატეგიას - ,,ლიტვა 2030“. პირველ დოკუმენტში ყურადღება მახვილდება ისეთ ფასეულობებზე, როგორიც არის :

– ცოდნის აუცილებლობის მნიშვნელობა;

– ადამიანის თვითშეგნება და კეთილსინდისიერება;

– დამოუკიდებლობა და პატრიოტიზმის მნიშვნელობა;

– სამოქალაქო საზოგადოებაში ურთიერთობის უნარ-ჩვევების განვითარება;

– ინტერნაციონალური კულტურის ამაღლება;

– თვითკრიტიკისა და კონკურენტუნარიანობის ამაღლება, რათა თითოეულმა მოქალაქემ შეძლოს თვითდამკვიდრება ახალი რეალობის პირობებში და მოახდინოს საკუთარი თავის რეალიზაცია.

მეორე დოკუმენტში კი აქცენტები გაკეთებულია ახალი კომპეტენციების ათვისებაზე, რომელიც საშუალებას მისცემს თითოეულ ინდივიდს გაუძლოს თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნებს და გამოწვევებს, იყოს მისი აქტიური განუყოფელი ნაწილი და არ მოძველდეს მორალურად, რაშიც მუდმივი, მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლების სისტემას გადამწყვეტი როლი ექნება.

ასევე, ავტორები ყურადღებას ამახვილებენ, ეროვნული და ეთნიკური კულტურის მნიშვნელობაზე, მათ თავსებადობაზე, მსოფლიო კულტურასთან და წეს–ჩვეულებებთან, სწორედ ეს შედარებითი ანალიზი სამომავლო პერსპექტივაში დაეხმარება ქვეყნებს უმაღლესი განათლების სფეროში მნიშვნელოვანი რეფორმების გატარებაში.

განსაკუთრებული ადგილი ნაშრომში უკავია, ასევე, უმაღლესი განათლების ხარისხის კონტროლს. როგორც აღნიშნულია სამომავლო პერსპექტივაში უმაღლესი განათლების სფეროში აუცილებელია მეტი ორგანიზაციული და აკადემიური ავტონომიურობის უზრუნველყოფა და კერძო უმაღლესი საგანმანათლებლო მომსახურების ბაზრის ხელშეწყობა. ხარისხის ამაღლება მეტად მიღწევადი იქნება, თუ ლიტვა განახორციელებს დაფიანანსების ახალ, სრულიად განსხვავებულ სტრატეგიას, რომელიც უნდა უნდა დაეფუძნოს პრინციპს: "money follows the students" – „ფული სტუდენტს“.(49, 137).

გარდა ამისა, უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველსაყოფად, პრინციპულად მნიშვნელოვანია, რომ დაფინანსებამ შეადგინოს მთლიანი შიდა პროდუქტის არა ნაკლებ 2,5-3%, წინააღმდეგ შემთხვევაში, არასაკმარისი ოდენობის თანხები ვერ შეასრულებს სათანადო როლს უმაღლესი განათლების რეფორმირების ცენტრალურ საკითხებში.

უმაღლესი საგანმანათლებლო მომსახურების ბაზრის ადმინისტრირებასთან დაკავშირებით საკმაოდ სიღრმისეულ დისკუსიას გვთავაზობს, ესტონეთის უმაღლესი განათლების ხარისხის კონტროლის სააგენტოს ხელმძღვანელი (2012-2014 წლებში), ტალინის ტექნოლოგიური უნივერსიტეტის პროფესორი Jakob Kübarsepp–ი თავის ნაშრომში - ,,უმაღლესი განათლების მხარდამჭერი რეფორმა ესტონეთში ორი ათწლეულის მაგალითზე“ (Kübarsepp. Jakob. (2012). ,,Reforms in Estonian Higher Education System during two decades“).

წარმოდგენილ ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია, უმაღლესი განათლების მხარდაჭერის საერთაშორისო პროგრამების: Socrates-ს, Leonardo da Vinci-ის, Erasmus Mundus-

ის, Tempus-ის მნიშვნელობაზე. როგორც ლიტერატურაშია აღნიშნული, მიუხედავად იმისა, რომ ევროსაბჭოს პოლიტიკით უმაღლესი განათლება არ რეგულირდება ევროპის ქვეყნებში, რითაც ევროსაბჭო ევროპის ქვეყნებს უტოვებს სარეგულაციო ავტონომიის უფლებას, მსგავსი საერთაშორისო პროგრამების განხორციელება სასიცოცხლო მნიშვნელობის მატარებელია განვითარებადი ქვეყნების უმაღლესი განათლების სისტემისათვის. ნაშრომშიგამოკვეთილია პროგრამების მთავარი პრიორიტეტები:

– ინტერნაციონალიზაციის მოდული;

– ხარისხის უზრუნველყოფის მოდული;

– განათლებისა და სწავლების მოდული;

– მასიური უმაღლესი განათლების მხარდაჭერის მოდული;

– უმაღლესი განათლების დაფინანსების მოდული.

აქვე ხაზგასმულია, რომ სწორედ ამ მოდულებმა გადამწყვეტი როლი ითამაშეს ესტონეთის უმაღლესი განათლების რეფორმების სრულყოფაში. ავტორი ღრმად აანალიზებს თითოეულ მოდულს და მიაჩნია, რომ ინტერნაციონალიზაციის მოდულის მთავარი გამოწვევებია:

– უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების ქმედუნარიანობა;

– უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების მიერ საერთაშორისო ერთობლივი პროექტების მხარდაჭერისა და განხორციელების შესაძლებლობა;

– უცხოელი აკადემიური პერსონალისა და უცხოელი სტუდენტებისათვის უმაღლეს სასწავლებლებში ინტეგრირების შესაძლებლობების ხელშეწყობა;

– სასწავლო და საგანმანათლებლო ინფორმაციის უცხო ენაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;

– უცხოეთის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან მემორანდუმების გაფორმება, რითაც თვითოეული უნივერსიტეტი აიღებს ვალდებულებას, ხელი შეუწყოს ინტერნაციონალიზაციის პროცესს. (73, 6-7).

ხარისხის უზრუნველყოფის მოდულის ნაწილში განსაკუთრებით საყურადღებოა ისეთი მიმართულებები, როგორიცაა:

– სასწავლო პროგრამების/კურიკულუმის შედგენა და განვითარება;

– სამეცნიერო ხარისხის განსაზღვრის, მინიჭების, აღიარების რეგლამენტაციის დახვეწა და რეალიზაცია;

– აკადემიური თანამდებობების დაკავების შინაარსობრივად ახალი საკონკურსო სისტემის შემოღება და მისი რეალიზების უზრუნველყოფა.

რაც შეეხება განათლებისა და სწავლების მოდულს, აქ მთავარი გამოწვევებია:

– სასწავლო პროგრამების/კურიკულუმის შედგენა და განვითარება;

– სამსაფეხუროვანი სწავლების უზრნველყოფა;

– ევროპული შეფასების სისტემის (ECTS) დანერგვა;

– ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს შექმნა და ევროპის საერთაშორისო სტანდარტებთან თავსებადობაში მოყვანა;

– უწყვეტი განათლების (Life Long Learning ) მხარდაჭერა;

– სტუდენტთა შიდა და საერთაშორისო მობილობის უზრუნველყოფა.

ავტორი ახორციელებს მასიური უმაღლესი განათლების მხარდაჭერისა და მისი დაფინანსების მოდულის ღრმა ანალიზსაც. უნდა აღინიშნოს, რომ ამ მხრივ ყველაზე მეტად საპასუხისმგებლოა უმაღლესი განათლების დაფინანსების საკითხი. დაფინანსების ოდენობა უნდა იყოს თავსებადი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების რიცხოვნობასთან, სტუდენტთა კონტიგენტთან, თუმცა დაფინანსების სიდიდე, ასევე უნდა იყოს ადეკვატური ევროპულ სტანდარტებთანაც, რათა შენარჩუნებულ იქნას კონკურენტუნარიანობა და ხარისხი. დღესდღეობით, ესტონეთში არსებული დაფინანსების მოცულობა, რომელიც შეადგენს მშპ–ს 2%–ს ჯერ კიდევ არ არის იდეალური და საჭიროებს გადახედვას, ავტორის თანახმად. (73, 10-11).

საინტერესოა ზემოხსენებული ნაშრომის დასკვნითი ნაწილიც. როგორც ნაშრომშია აღნიშნული, ესტონეთში პრიორიტეტად გამოცხადებულმა განათლების სისტემამ და ამ მიმართულებით სწორად განხორციელებულმა რეფორმამ ეს პატარა პოსტსაბჭოთა ქვეყანა სანიმუშოდ აქცია სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნებისთვის ბევრი თვალსაზრისით.

1992 წელს მოპოვებული დამოუკიდებლობის შემდეგ ქვეყნის ეკონომიკა 10-ჯერ გაიზარდა და საერთაშორისო სავალუტო ფონდმა ის მოწინავედ მიიჩნია. ქვეყანა მოწინავეა ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარების თვალსაზრისითაც. ამ წარმატების ისტორიაში საყურადღებო ის არის, რომ ეს შედეგები არც შემთხვევითია და არც სპონტანური. ეს იმ ეროვნული სტრატეგიის შედეგია, რომელიც ქვეყანამ ჯერ კიდევ 1998 წელს კონკრეტულად განათლების სისტემის განვითარების მიმართულებით შეიმუშავა და დღემდე მიჰყვება.

დღეს ესტონეთი უმაღლესი განათლების განვითარების თვალსაზრისით პოსტსაბჭოთა ქვეყნებს შორის ერთ-ერთი ყველაზე წარმატებულია. შეიძლება ისიც აღინიშნოს, რომ ესტონეთი 2006-2012 წლებში ლიდერ პოზიციას იკავებს PIZA შედეგებითაც და ევროკავშირის ქვეყნებს შორის მეორე ადგილზეა როგორც მათემატიკაში, ისე საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში.

ტარტუსა და ტალინის ტექნოლოგიურმა უნივერსიტეტებმა საპატიო ადგილები მოიპოვეს ბრიტანული კვლევითი ორგანიზაციის Quacquarelli Symonds-ის მიერ მომზადებულ მსოფლიო უნივერსიტეტების ბოლო წლების სარეიტინგო სიებში, რომლებიც შემდეგი კრიტერიუმებით დგება:

- უნივერსიტეტის აკადემიური რეპუტაცია;
- რეპუტაცია თანამშრომლებს შორის;
- სტუდენტებისა და ლექტორების თანაფარდობა;
- უცხოელი პროფესორებისა და სტუდენტების რაოდენობა;
- ეფექტური ინტერნეტრესურსები და გამოქვეყნებული სტატიების რაოდენობა

პროფესორების რაოდენობასთან თანაფარდობით. (73, 102).

და ბოლოს, თუ იმასაც მივიღებთ მხედველობაში, რომ ქვეყანამ თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარების მხრივ დიდი ნაბიჯი გადადგა, ვინაიდან ,,სკაიპის" პროგრამული უზრუნველყოფის ავტორი ქვეყანა სწორედ ესტონეთია და ქვეყანა ელექტრონული მთავრობის პირველი მერცხალია, ესტონეთის განათლების სისტემის წარმატება კიდევ უფრო თვალსაჩინო ხდება და პროფესორის Jakob Kübarsepp–ის ნაშრომში აღწერილი სტრატეგიული მიმართულებები კიდე უფრო მეტ აქტუალობას იძენს.

უცხოურ კვლევებს შორის, ასევე გამოირჩევა, ლატვიის მეცნიერებათა აკადემიის პროფესორების, Brence Ieva–ს და Rivza Baiba–ს, საერთაშორისო კონფერენციის სტატიის მასალები: ,,უმაღლესი განათლების პროგრამების ხარისხის შეფასება ლატვიაში: პროცესი და გამოწვევები". (Brence Ieva, Rivza Baiba, (2012), ,,Quality Evaluation Of Higher Education Programmes: Process and challenges in Latvia").

აღნიშნული კონფერენცია 2012 წელს ორგანიზებულ იქნა ევროპის საციალური განვითარების ფონდისა და ლატვიის მეცნიერებათა აკადემიის მიერ. კვლევა, რომელიც დაფინანსებული იყო ევროპის საციალური განვითარების ფონდის მიერ, მიზნად ისახავდა ლატვიის

უმაღლესი საგანმანათლებლო მოსახურების ბაზრის ადმინისტრირების, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების პროგრამული აკრედიტაციის, ასევე განათლების ხარისხის შეფასებასა და ანალიზს. ნაშრომში საკმაოდ სიღრმისეულადაა წარმოადგენილი ის მთავარი პრობლემები, რომელიც უკავშირდება უმაღლესი განათლების ხარისხის მართვას და პროგრამულ აკრედიტაციას. აღნიშნულია, რომ განათლების ხარისხი ქვეყნის ეკონომიკური მწარმოებლურობის მნიშვნელოვანი ფაქტორია. სწორად შერჩეული განათლების ხარისხის შეფასების სტრატეგია უმაღლესი განათლებიდან მიღებული ეკონომიკური უკუგების მთავარი განმსაზღვრელია. ავტორთა აზრით: ,,უმაღლესი განათლების ხარისხის სრულყოფის ერთ–ერთი პრობლემა მდგომარეობს სწავლების პროცესის სრულყოფაში, რაც მოიაზრებს სტუდენტებისათვის სასწავლო პროცესის შინაარსობრივ და თვისობრივ გამარტივებას განათლების ხარისხის დონის ზრდის პარალელურად“. (50, 788-789).

სტატიაში გამოკვეთილია ასევე უშუალოდ სწავლების პროცესის ხარისხთან დაკავშირებული სხვა პრობლემებიც, სადაც ყურადღება გამახვილებულია უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში სწავლების თანამედროვე მეთოდების უდიდეს მნიშვნელობაზე. მიჩნეულია, რომ სწავლების პროცესის პარალელურად უნდა დაინერგოს სწავლების შეფასების გარე პრაქტიკაც, რაც მოიაზრებს სწავლების შეფასებას უმაღლესი სასწავლო დაწესებულებისგან დამოუკიდებელი ინსტანციის მიერ. როგორც ავტორები აღნიშნავენ, უმაღლესი განათლების ხარისხის მთავარი განმსაზღვრელი ფაქტორებია:

– აკადემიური პერსონალი, რომელიც მოიაზრებს:
– აკადემიურ კვალიფიკაციას;
– პროფესიულ გამოცდილებას;
– კომუნიკაბელურობის მაღალ უნარ-ჩვევებს;
– კეთილგანწყობილების უზრუნველყოფის უნარ-ჩვევებს;
– კერძო სექტორთან მჭიდრო კავშირურთიერთობებს;
– სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის გამოცდილებას.
– ადმინისტრაციული რესურსი და მომსახურება:
– მაღალი ტემპის ადმინისტრაციული მომსახურება;
– კეთილგანწყობილების და სასიამოვნო გარემოს ფორმირება;
– ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, მაღალი ინფორმირებულობის უზრუნველყოფა;
– მკაფიოდ ფორმულირებული გაიდლაინებისა და საინფორმაციო ბროშურების მომზადება;

– (IT) support–ქსელური საინფორმაციო სისტემის უზრუნველყოფა და ადმინისტრაციული საქმიანობის მხარდაჭერა მაღალი საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით;

– ინტერნეტ-რესურსების სათანადო ათვისება, მათი დანერგვა და გამოყენება.

– ინფრასტრუქტურა და მატერიალურ ტექნიკური ბაზა:

– მდგრადი შენობების, ნათელი და საინსოლაციო ნორმებით დაკმაყოფილებული სასწავლო აუდიტორიების და შესაბამისი სამეცნიერო ლაბორატორიების არსებობა;

– კვების ობიექტის უზრუნველყოფა;

– უფასო სტუდენტური საცხოვრებლების არსებობა;

– სპორტული სავარჯიშო დარბაზების არსებობა;

– სამედიცინო–გადაუდებელი დახმარების პუნქტის უზრუნველყოფა;

– სოციალური, კულტურული და მასობრივი ღონისძიებები მხარდამჭერი სათანადო დარბაზის არსებობა.

– თანამედროვე ბიბლიოთეკა:

– თანამედროვე სახელმძღვანელოებისა და ჟურნალების ხელმისაწვდომობა;

– მომსახურების მაღალი ტემპის უზრუნველყოფა;

– კეთილგანწყობილების და სასიამოვნო გარემოს ფორმირება;

– ელექტრონული ბიბლიოთეკის არსებობა;

– სწრაფი მოძიების სისტემის არსებობა;

– მსოფლიო საბიბლიოთეკო სისტემების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

– სასწავლო გეგმები:

– მოთხოვნადი და შინაარსობრივად მკაფიოდ ფორმულირებული სასწავლო მოდულების უზრუნველყოფა;

– სათანადო სასწავლო რესურსებითა და მასალებით მხარდაჭერა;

– მოდულების ეფექტურობა და მათი მაღალი რეალიზაციის შესაძლებლობის უზრუნველყოფა;

– მოდულების აღწერილობის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;

– სხვადასხვა მოდულების, (სპეციალობების, სფეროების მიხედვით) შეთავაზების უზრუნველყოფა;

– სასწავლო მოდულების შესაბამისად, სათანადო ლაბორატორიების (კერძო სექტორის მოთხოვნების გათვალისწინებით) არსებობა.

– კარიერული ზრდის მხარდაჭერა/კარიერის სამსახურების არსებობა:

– პროფესიული კარიერის მხარდაჭერის უზრუნველყოფა;

– საზღვარგარეთ სწავლების შესაძლებლობის უზრუნველყოფა;

– უცხოური ერთობლივი სასწავლო და პრაქტიკული პროექტების განხორციელება;

– კერძო სექტორთან - დამსაქმებელთან მჭიდრო სამუშაო კავშირურთიერთობების არსებობა;

– კერძო სექტორის აქტიური ჩართვა სტუდენტების სასწავლო და სამუშაო პრაქტიკის უზრუნველსაყოფად. (50, 789-793).

გამოკვეთილია ასევე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების პროგრამული აკრედიტაციის მნიშვნელოვანი ასპექტები, როგორიცაა სასწავლო პროგრამების რანჟირება კატეგორიებად:

– სასწავლო პროგრამები, რომელთა განხორციელება მიზანშეწონილია;

– სასწავლო პროგრამები, რომელთა განხორციელება უაღრესად დიდ პრობლემებთან არის დაკავშირებული და საჭიროებს სრულყოფას;

– სასწავლო პროგრამები, რომელთა განხორციელება არ არის მიზანშეწონილი.

წარმოდგენილია არსებითი პრობლემებიც, რომელიც აფერხებს შეფასების პროცესს:

– აკადემიური პერსონალის რაოდენობრივი დეფიციტი, მისი შეუთავსებლობა პროგრამების მასშტაბებთან;

– განსახორციელებელი სასწავლო პროგრამები ეფექტიანობის დაუსაბუთებლობა;

– ადრე განხორციელებული შეფასებით გათვალისწინებული რეკომენდაციების შეუსრულებლობა;

– სხვადასხვა სახის ინფორმაციის მოწოდების შესაძლებლობის არ არსებობა,, კერძოდ, მოთხოვნა არსებულ პროგრამებზე, სასწავლო პროგრამების რეიტინგები შესაფასებლად წარმოდეგნილი სასწავლო პროგრამების კურსდამთავრებულთა რაოდენობა, კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი და სხვა.

აღსანიშნავია, ევროპის პარლამენტის 2015 წლის სტრატეგიული კვლევის ანგარიში, ,,უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაცია“, რომელიც მომზადებულია უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის საერთაშორისო ცენტრის ექსპერტების: Hans de Wit–ის, Fiona Hunter–ის,  ევროპის საერთაშორისო განათლების ასოციაციის ექსპერტის, Laura Howard–ისა და უნივერსიტეტების საერთაშორისო ასოციაციის ექსპერტის, Eva Egron-Polak–ის მიერ. (Hans de Wit, Fiona Hunter, (Centre for Higher Education Internationalisation –CHEI), Laura Howard, (European Association for International Education –EAIE), Eva Egron-Polak, International Association of Universities – IAU), (2015), ,,Internationalization of Higher Education”).

კვლევის ანგარიშში სიღრმისეულად არის წარმოდგენილი უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის ადმინისტრირების მთავარი სტრატეგიული მიმართულებები, რომელიც ეყრდნობა ევროპის ისეთი განვითარებული ქვეყნების მონაცემებსა და გამოცდილებას, როგორიცაა: საფრანგეთი, გერმანია, ფინეთი, ნიდერლანდები, ნორვეგია და დიდი ბრიტანეთი. მოყვანილია მაგალითები მსოფლიოს სხვა განვითარებული ქვეყნების (ავსტრალია, იაპონია, კანადა, აშშ) პრაქტიკის გათვალისწინებით.

ავტორთა აზრით: ,,უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციას დღეს უკვე ახალი დეფინიცია გააჩნია და აღქმულია, როგორც უმაღლესი საგანმანათლებლო მომსახურების ბაზრის კონკურენტუნარიანობის ამაღლების მთავარი მიმართულება“. (66, 27).

ინტერნაციონალიზაცია ასევე განიხილება, როგორც უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების რეპუტაციისაა და რეიტინგის განმსაზღვრელი მთავარი ფაქტორი. იგი გაგებულია როგორც ნიჭიერი სტუდენტების და ახალგაზრდა მეცნიერების შესაძლებლობების, მათი მობილობის უზრუნველმყოფელი მთვარი ინსტრუმენტი. წარმოდგენილია 10 საკვანძო საკითხი რომელიც კვლევის შედეგად იდენტიფიცირებულ იქნა:

– უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის პროცესის გაზრდილი როლი და მნიშვნელობა უმაღლესი განათლების ხარისხის ამაღლებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების კონკურენტუნარიანობის გაზრდის თვალსაზრისით;

– სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის მობილობის, ერთობლივ საგანმანათლებლო პროგრამებისა და კვლევითი პროექტების ფარგლებში საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავება.

– საწავლო გეგმის კურიკულუმის ინტერნაციონალიზაცია;

– ტრანსნაციონალური განათლებისა და ელექტრონული სწავლების მხარდაჭერა;

– ინტერნაციონალიზაციის ინსტიტუციონალური ზრდა ჰომოგენიზაციის პრობლემების გათვალისწინებით;

– ინტერნაციონალიზაციის დაფინანსების პრობლემა მსოფლიო მასშტაბით;

– უმაღლესი საგანმანათლებლო მომსახურების ბაზრის მიერ ინტერნაციონალიზაციის პროცესების აქტიური მხარდაჭერა, მსოფლიო გლობალური ინტერნაციონალიზაციის კონვერგენციის ხელშეწყობა;

– უმაღლესი საგანმანათლებლო მომსახურების ბაზარზე არსებული კოოპერირებული ინტერნაციონალიზაციის ეტაპობრივი ჩანაცვლების უზრუნველყოფა კონკურენტული ინტერნაციონალიზაციით;

– ინტერნაციონალიზაციის განვითარების, ინფორმაციული მდგრადობის უზრუნველყოფა;

– ინტერნაციონალიზაციის ხარისხის მონიტორინგი.

ავტორები განიხილავენ იმ აქტუალურ პრობლემებს, რომელიც უკავშირდება, ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობას აღმოსავლეთ და ცენტრალურ ევროპაში: როგორიცაა, აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების მეტი მობილობის უზრუნველყოფა, ორმაგი ხარისხის პროგრამების მეტი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, ერთობლივი სასწავლო და სამეცნიერო კოოპერირების წახალისება და სხვა.

აღნიშნულია, რომ დღევანდელი მდგომარეობით უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაცია უზრუნველყოფს ქვეყნის ჰარმონიულ ინტეგრირებას მსოფლიო გლობალიზაციის პროცესებში. შემოთავაზებულია რეკომენდაციები, რომელიც მხარს უჭერს უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის გაღრმავების პროცესებს ევროპაში და მსოფლიო დონეზე. ეს რეკომენდაციებია:

– სასწავლო პროგრამებისა და სასწავლო გეგმების სრულყოფა მსოფლიო გამოცდილების გათვალისწინებით;

– სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის მობილობის ხელშეწყობის უზრუნველყოფა;

– ბიუროკრატიული ბარიერების მინიმიზაცია, რომელიც ხელს შეუშლის ორმაგი ხარისხის სასწავლო პროგრამულ კოოპერირებას;

– სწავლების თანამედროვე მეთოდების, მათ შორის ციფრული, ელექტრონული და შერეული პრაქტიკის მხარდაჭერა;

– ინტერნაციონალიზაციის მხარდაჭერის არეალის გაფართოვება და მისი გადატანა სწავლების დაწყებით საშუალო და პროფესიული სწავლების დონეების გათვალისწინებით;

– ბილინგვური სწავლების დანერგვა ზოგადი და საშულო განათლების დონეზე აღნიშნული პროცესის მეტი სინერგიის მხარდასაჭერად.

ძალზედ საინტერესოა ევროკომისიის 2013 წლის კვლევის ანგარიში: ,,აკადემიური მობილობა უმაღლეს განათლებაში", რომელიც მომზადებულ იქნა ევროკომისიის ექსპერტების, Cornelia Rack–ეს, Bernadette Forsthuber–ის და David Crosier–ის ავტორობით. (Cornelia Rack, Bernadette Forsthuber, David Crosier, (2013), ,,Staff Mobility in Higher Education"). მიმოხილვაში ყურადღება გამახვილებულია ევროპული უმაღლესი განათლების

პოლიტიკაში პერსონალის მობილობის გაზრდის მნიშვნელობაზე და აღნიშნულია, რომ მობილობა და ინტერნაციონალიზაცია მიიჩნევა ბოლონიის პროცესის ძირითად ასპექტებად, რასაც ევროპული უმაღლესი განათლების სივრცეში მინისტრების მიერ შემუშავებული სტრატეგია 2020-იც ადასტურებს. ანგარიში მომზადდა ევროპის მოწინავე ქვეყნების (საფრანგეთი, იტალია, გერმანია, დიდი ბრიტანეთი, სლოვენია, უნგრეთი, ფინეთი, ნორვეგია, ლიტვა, ესტონეთი, ლატვია) გამოცდილების გათვალისწინებით.

ზემოხსენებული შედარებითი რეპორტის მიზანია, უმაღლესი განათლების სფეროში ეროვნული პოლიტიკებისა და პერსონალის მობილობის მაჩვენებლების მიმოხილვა. ანგარიში განასხვავებს ეროვნულ, ორმხრივ და რეგიონალურ (სამთავრობო) პროგრამებს, რაც ხელს შეუწყობს პერსონალის მობილობას უმაღლესი განათლების სფეროში.

ავტორები შენიშნავენ, რომ ,,მიუხედავად საკითხის უაღრესად დიდი პოლიტიკური მნიშნველობისა, აკადემიური წრეების მობილობის შესახებ მცირე ინფორმაცია არსებობს ევროპულ დონეზე და საჭიროა ამ მიმართულებით მეტი ძალისხმევის განხორციელება“. (83, 6). აქვე განმარტებულია აკადემიური პერსონალის მობილობის მნიშვნელობა და ვადები, რაც გულისხმობს მოკლე ვადით, ან ხანგრძლივად გატარებულ დროს ქვეყნის ფარგლებს გარეთ. მობილობად მიჩნეულია მონაწილეობა საერთაშორისო კონფერენციებსა და სასწავლო ვიზიტებში სწავლებაში ჩართვის პერიოდით, ან აკადემიური გაცვლის პროგრამის ვადით. მობილობის დაფინანსების წყაროებად მიჩნეულია გრანტები და სტიპენდიები, ასევე შესაძლებელია ითვალისწინებდეს შრომითი ხელშეკრულება.

გამოკვეთილია ეროვნული, ორმხრივი და რეგიონალური პროგრამების მნიშვნელობა. კერძოდ, ეროვნული პროგრამების ორგანიზება ხდება ეროვნულ დონეზე და თითო ქვეყანა არის პასუხისმგებელი დაფინანსებასა და კოორდინაციაზე. მაგალითად, გაერთიანებული სამეფოს შემთხვევაში, ინგლისი, უელსი, ირლანდია და შოტლანდია განიხილება ცალ-ცალკე.

ორმხრივი პროგრამები განმარტებულია, როგორც ორი სახელმწიფოს თანამშრომლობისა და თანადაფინანსების შედეგად განხორციელებული პროგრამები. ხოლო, რეგიონალური პროგრამები მოიცავს ორზე მეტ ქვეყანას ევროპის ერთი რეგიონიდან. მათ შეუძლიათ ჩაერთონ ორმხრივ  გაცვლით პროგრამებში, მაგრამ მაშინ ისინი უნდა მონაწილეობდნენ ბევრ ქვეყნებს შორის ფართო თანამშრომლობის ჩარჩოებში.

რეპორტში მოყვანილია მსოფლიოს მოწინავე ქვეყნების (ლიტვა, ლატვია, ესტონეთი, სლოვენია, სლოვაკეთი, უნგრეთი, პოლონეთი, რუმინეთი იტალია, საფრანგეთი, გერმანია, ფინეთი, ესპანეთი, პორტუგალია, შვედეთი, ავსტრია, საბერძნეთი, ბელგია, ლუქსემბურგი, ნორვეგია, გაერთიანებული სამეფო) სხვადასხვა მონაცემები უმაღლესი განათლების სისტემის ეროვნული პოლიტიკის, ეროვნული, ორმხრივი და რეგიონალური პროგრამებისა და მათი მახასიათებლების - ზოგადი ჩართულობის, მონაწილეთა ხელფასის, ფინანსური კომპენსაციისა და სოციალური დაცვის მონაცემებისა, და აღიარების მექანიზმების მიხედვით.

უმაღლესი განათლების სისტემის ეროვნული პოლიტიკა. მიმოხილული ქვეყნების უმეტესობა მხარს უჭერს უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცეში ინტერნაციონალიზაციის მაღალ ხარისხსა და პერსონალის მობილობას. თუმცა, ნახევარზე ნაკლებს თუ მოეპოვება კონკრეტული მონაცემები აღნიშული თემების ირგვლივ. ბალტიის ზღვის რეგიონის ქვეყნები-ლიტვა, ლატვია, ესტონეთი), ,ასევე გერმანია, სლოვენია, უნგრეთი, ფინეთი და ნორვეგია გამოირჩევა ციფრობრივი მახასიათებლებით.

მაგალითად, ლიტვის 2011-2012 წლების პროგრამა „ინტერნაციონალიზაცია უმაღლეს განათლებაში“ მიიჩნევს აკადემიური პერსონალის მობილობას ძირითად მიზნად და განსაზღვული აქვს სამიზნე ქვეყნებიც ესენია: ევროკავშირისა და სკანდინავიის ქვეყნები, ავსტრალია, იაპონია და ამერიკა. რაც შეეხება რაოდენობრივ მახასიათებლებს, როგორც რეპორტიდან ირკვევა: ,,დაფიქსირებულია გარე მობილობის წლიური 8%-იანი ზრდა, ხოლო შიდა მობილობის 5%-იანი მიზნობრივი მატება“. (83,8-9).

ფინეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროს 2009 წლის სტრატეგიაში მკვეთრად დასახულია ინტერნაციონალიზაციის ხარისხის ამაღლების მიზნები 2015 წლისთვის, რაც გულისხმობს, რომ ,,4000 პედაგოგი და ექსპერტი პოლიტექნიკური დარგიდან გაატარებს მინიმუმ 2 კვირას საზღვარგარეთ და უნივერსიტეტის 4000 პედაგოგი და მკვლევარი - მინიმუმ 2 კვირას. რაც შეეხება შიდა მობილობას, განსაზღვრულია შესაბამისად 3000 და 4000 ერთეულით“. (83, 10).

აღწერილია ასევე, სხვა ქვეყნებს მიზანმიმართული პოლიტიკა, რომელიც გულისხმობს აკადემიური პერსონალის ხარისხობრივი მახასიათებლლების ზრდასა და კვალიფიციური

უცხოელი პედაგოგოებისა და მკლევარების გამოცდილების ათვისება/გაზიარების მიზნით უცხოურ პროგრამებში ჩართულობას უმაღლეს განათლებაში ხარისხის ამაღლების მიზნით. გერმანიის მთავრობამ შეიმუშავა სტრატეგია, რომლის მიზანია, გერმანელი მეცნიერ მკვლევარეის საერთაშორისო მობილობის გაზრდა, რაც თავის მხრივ, ხაზს უსვამს მის მიზანს მოიზიდოს საუკეთესო მკვლევარები მთელი მსოფლიოდან.

იტალია მხარს უჭერს ახალგაზრდა მკვლევარებისა და მეცნიერების ჩართულობას საერთაშორისო მობილობასა და აკადემიურ პროგრამებში და მიზნად ისახავს სხვადასხვა ქვეყნებთან და უნივერისტეტებთან თანამშრომლობის ხელშეკრულების დადებას, რაც უზრუნველყოფს იტალიელების მონაწილეობის ზრდას ევროკავშირის კვლევით ინიციატივებში. ლატვიის ეროვნული განვითარების გეგმა (2014-2020), ხაზს უსვამს აკადემიური და კვლევითი პერსონალის მობილობის მნიშვნელობას და უცხოელი ლექტორების ჩართვას სასწავლო პროცესებში, და აღიარებს მათ, როგორც საერთაშორისოდ კონკურენტუნარიანი გარემოს ფორმირების წინაპირობად. ევროკავშირსა და მის გარეთ არსებული ქვეყნებიდან პროფესორთა მოწვევის მიზნით მთავრობის სამოქმედო გეგმა გულისხმობს უცხო ენების გამოყენებას სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებლებში. ზოგი ქვეყანა მხარს უჭერს ინტერნაციონალიზაციასა და აკადემიური პერსონალის მობილობის პროცესს თუმცა, არ არის მიზნები კონკრეტულ პროექტებთან და პროგრამებთან მიბმული. მაგალითად, ესტონეთი და საფრანგეთი უმაღლესი განათლების სტრატეგიის ძირითად ფაქტორად, უმაღლესი განათლების კონკურენტუნარიანობის მიზნით, მიიჩნევენ მობილობას. თუმცა, არ გააჩნიათ კონკრეტული ციფრობრივი სამიზნეები.

რაც შეეხება ეროვნული, ორმხრივი და რეგიონალური უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებს, ქვეყნების უმეტესობას, რომელთაც გააჩნიათ უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციისა და მობილობის ეროვნული პოლიტიკა, აქვთ ასევე, ეროვნულ პროგრამებიც. ლიტვაში ეროვნული პროგრამებით გათვალისწინებულია პედაგოგების, დოქტორანტების, ახალგაზრდა მკვლევარებისა და მეცნიერების გამგზავრება კვლევითი ინსტიტუტებიდან და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან მაქსიმუმ 30 დღიანი კვლევითი ვიზიტის, ან სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობის მიზნით 5 დღიანი ვიზიტის დაფინანსება სახელმწფო ბიუჯეტიდან ან/და ევროკავშირის ფონდებიდან. (83, 15).

საფრანგეთი „Zhang Heng“–ის პროგრამის ფარგმებში სთავაზობს 40 წლამდე ახალგაზრდა მკვლევარებს ერთკვირიან ვიზიტს ჩინეთში, რომელსაც აფინანსებს საფრანგეთის საელჩო ჩინეთში. ზოგი ქვეყანა ხელს უწყობს როგორც საერთაშორისო, ასევე პედაგოგთა შიდა მობილობას. აღნიშნულია, რომ ზოგჯერ მობილობა მიმართულია ქვეყნის ენისა და კულტურის შესწავლისაკენ. ასეთ ქვეყნებს მიეკუთვნება ესტონეთი, რეპორტის თანახმად. ცნობილია Kristjan Jaak–ის სასტიპენდიო პროგრამა, რომელიც ფარავს მოგზაურობისა და ცხოვრების ხარჯებს 3-21 დღის ოდენობით 35 წლამდე ლექტორებისთვის. (83, 16).

ლიტვაში  ეროვნული პროგრამით უზრუნველყოფილია 2 კვირიდან 2 თვემდე უცხოელი პედაგოგების სასწავლო ვიზიტები როგორც სასწავლო პროგრამის კურსი, ან მოდული 3 კრედიტითა და კვირაში მინიმუმ 10 საკონტაქტო საათით. ლიტვის განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, მასთან არსებული გაცვლითი პროგრამების მხარდამჭერ საზოგადოებასთან ერთად, თავად ახორციელებს საბუთების მიღებას, კანდიდატების შერჩევასა და პროგრამის ადმინისტრირებას.

ფინეთი აცხადებს სხვადასხვა პროგრამებს პედაგოგთა მობილობის მიზნით. პირველი პროგრამა ითვალისწინებთ მობილობას ფინეთსა და რუსეთს შორის. აზიის ქსელის პროგრამა სთავაზობს ფინეთს, ჩინეთში, ინდოეთსა და სამხრეთ კორეას შორის პედაგოგების მობილობას. ასევე, ჩრდილოეთ–სამხრეთის უმაღლესი განათლების  ინსტიტუტების ქსელის პროგრამა (North-South Higher Education Institution Network Programme), აფინანსებს პედაგოგებს ფინეთიდან განვითარებად ქვეყნებში. სამივე შემთხვევაში საერთშორისო მობილობის ცენტრი პასუხისმგებელია პროგრამის ადმინისტრირებაზე, ხოლო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები და პარტნიორი ინსტიტუტები უზრუნველყოფენ კოორდინაციასა და პროექტის მართვას. პროგრამები ფინანსდება განათლებისა და კულტურის სამინისტროს ან საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ.

რეპორტში მიმოხილულ ბევრ ქვეყანას გააჩნია ეროვნული პროგრამები, რომელიც მიმართულია როგორც უნივერსიტეტების პედაგოგების, ასევე მკვლევარებისკენ.  ასეთია მაგალითად გერმანია, რომელსაც აქვს შიდა და გარე მობილობის პროგრამები. ლექტორებისთვის და უნივერსიტეტის სხვა პერსონალისთვის, რომელიც ორგანიზებულია გერმანიის აკადემიური გაცვლითი პროგრამების სერვისების მიერ (DAAD – Deutscher Akademischer Austausch Dienst) და ფინანსდება ფედერალური მთავრობის მიერ.

იტალიას აქვს დამატებითი პროგრამა, რაც გულისხმობს იტალიელი მეცნიერების (რომელიც მუშაობენ საზღვარგარეთ), იტალიიის უმაღლეს საგანმანათლებლო ინსტიტუტებში დაბრუნებას. აღსანიშნავია ,,Rita Levi Montalcini"-ს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც  ხელსუწყობს ახალგაზრდა მკვლევარებს და მისი მიზანია იტალიელი და უცხოელი პოსტდოქტორების მუშაობა საზღვარგარეთ,  იტალიის უნივერსიტეტებში კვლევის ჩატარების მიზნით.

მკვლევართა და პროფესორ-მასწავლებლთა საერთაშორისო რეკრუტირების ხელის შეწყობის მიზნით შექმნილია ასევე სხვა პროგრამებიც, რომლებიც ხელს უწყობს ინტერნაციონალიზაციის ამაღლებას და საერთაშორისო მკვლევარებსა და პროფესორებს სხვა ქვეყანაში სწავლების, ან იტალიაში კვლევის ჩატარების საშუალებას აძლევს..

ამასთანავე, ეროვნული კვლევის პროგრამა მკვლევარებსა და მეცნიერებს სთავაზობს საერთაშორისო მობილობის მხარდაჭერას, უზრუნველყოფს  პროგრამების ორგანიზებას, კოორდინაციას და დაფინანსებას განათლებისა და კვლევის სამინისტროს მხარდაჭერით. განათლებისა და კვლევის სამინისტრო განსაზღვრავს დაფინანსების პრიორიტეტებს, ანაწილებს რესურსებს, იღებს გადაწყვეტილებას მონაწილეების შესახებ, აცხადებს მიღებას და  და ირჩევს ბენეფიციარებს.

აკადემიური პერსონალის უნარების გაძლიერების მიზნით ევროპის მრავალ ქვეყანას აქვს 4-5 წელიწადში ერთხელ სავალდებულო ანაზღაურებადი სამეცნიერო შვებულება 12 თვის ხანგრძლივობით, რომელიც მიმართულია სამეცნიერო კვლევების მხარდასაჭერად. თუმცა, ზოგ შემთხვევაში შესაძლებელია ჩანაცვლებულ იქნას პროფესიული განვითარებით, ან სწავლებით სხვა უნივერსიტეტში.

ლატვიაში აკადემიურ პერსონალს შეუძლია ისარგებლოს 6 თვიანი სამეცნიერო კვლევითი შვებულებით და იმავე დროით პროფესორებს. ასოცირებულ პროფესორებსა და ასისტენტ-პროფესორებს შეუძლიათ ისარგებლონ ანაზღაურების გარეშე 2 წლიანი სამეცნიერო შვებულებით და იმუშაონ სხვა უნივერსიტეტში, ასევე საზღვარგარეთ მიწვეულ ლექტორად.
ლიტვის, უმაღლესი განათლებისა და კვლევის შესახებ 2009 წლის კანონის თანახმად, პედაგოგები შესაძლოა ჩამოშორებულ იქნან პედაგოგიურ საქმიანობას ერთი წლის ვადით კვლევის ჩატარების, ან სამეცნოერო და პედაგოგიური კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით. (83, 20).

ამ შემთხვევაში შესაძლოა გაიცეს მისი ხელფასის საშუალო ოდენობა აღნიშნულ პერიოდზე. სამეცნიერო შვებულების პროცედურებს განსაზღვრავს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება. საფრანგეთში კვლევის მიზნით ანაზღაურებადი სამეცნიერო შვებულება შეადგენს 6-12 თვეს. იტალიის კანონმდებლობით მკვლევარებსა და მეცნიერებს აქვთ შესაძლებლობა სამეცნიერო შვებულება გაატარონ საზღვარგარეთ 5 წლამდე ვადით სამუშაო ჩარჩოს, ან უნივერსიტეტებს შორის არსებული გარკვეული შეთანხმების საფუძველზე. იტალიელი პროფესორ-მკვლევარების ანაზღაურებას ახორციელებს მასპინძელი ქვეყანა და არა იტალიური მხარე.

ყველა საგანმანათლებლო სისტემა, რომელიც მიმოხილულია რეპორტში მოიცავს სასტიპენდიო პროგამებს სხვა ქვეყნებთან ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე. ერთი-ერთი ასეთი საყოველთაოდ ცნობილი პროგრამაა ,,Fulbright"–ი, რომელიც მხარს უჭერს მკვლევართა მობილობას ამერიკის შეერთებულ შტატებსა და სხვა ქვეყნებს შორის. განხილულ ქვეყნებს შორის არის გერმანია, რომელშიც ,,DAAD"-ი სხვა პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად ახორციელებს ორმხრივ გაცვლით პროგრამებს და ფინანსურ პროგრამებს სხვადასხვა ქვეყნებში სამეცნიერო თანაშრომლობის გასაძლიერებლად.

ზემოაღნიშნულ პროგრამებში პირველ ეტაპზე მყოფი მკვლევარების მობილობაც დასაშვებია. საფრანგეთში არსებობს სხვა ქვეყნებთან მობილობის პროგრამები ორმხრივი თანამშრომლობის საფუძველზე, რომელიც ორგანიზდება და ფინანსდება საგარეო საქმეთა სამინისტროსა და უმაღლესი განათლებისა და კვლევების სამინისტროს მიერ. პროგრამების ადმინისტრირება გადაეცა „Campus France"–ის სააგენტოს. ფონდი Hubert Curien–ი სთავაზობს მობილობის დაფინანსებას ზოგადი კვლევის მიზნით ორ კვლევით გუნდს, ერთს - საფრანგეთიდან და ერთს - სხვა ქვეყნიდან.

იტალია თანამშრომლობს კულტურის სფეროში სხვადასხვა ქვეყნებთან საგარეო საქმეთა სამინისტროსთან ერთად, რომლიც მხარს უჭერს იტალიელი მეცნიერების მიერ მოკლევადიან სასწავლო, ან კვლევით მივლინებას პარტნიორ ქვეყანაში. ლატვიის მთავრობის სასტიპენდიო პროგრამა ემყარება შიდასამთავრობო თანამშრომლობას ლატვიის განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან, რომელიც უზრუნველყოფს მობილობის დაფინანსებას ლატვიიდან სხვა ქვეყანაში. მიზნობრივი ჯგუფები განისაზღვრება თითოეული შიდასამთავრობო თანამშრომლობის შეთანხმების საფუძველზე, თუმცა

მიმართულია პედაგოგების, მკვლევარებისა და დოქტორანტებისკენ. პროგრამა ადმინისტრირდება სახელმწიფო განათლების განვითარების სააგენტოს მიერ. საერთაშორისო შეთანხმებებისა და ორმხრივი გაცვლითი პროგრამების საფუძველზე, ლიტვა სთავაზობს სახელმწიფო სტიპენდიას ადგილობრივ და უცხოელ დოქტორანტებს, ლექტორებსა და მკვლევარებს კვლევით ვიზიტებს 10 თვემდე ვადით და ინტენსიურ საზაფხულო კურსებს 3-4 კვირის, ან 1-3 თვის ვადით უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და/ან კვლევით ინსტიტუტებში ლიტვასა და უცხოეთში.

სტიპენდიას აფინანსებს ლიტვის სახელმწიფო და ორგანიზებას უწევს „განათლების გაცვლითი პროგრამების მხარდამჭერი საზოგადოება“. განსაკუთრებული ორმხრივი პროგრამა იქნა შეთანხმებული უკრაინასა და ბელარუსთან, რაც გულისხმობს კვლევის დაფინანსებას 1 თვის ვადით. ასეთი პროგრამები ხორციელდება ლიტვის კვლევითი საბჭოს და მასთან დაკავშირებული ორგანოების მიერ ბელარუსსა და უკრაინაში.

ორმხრივი პროგრამების პარალელურად, ბევრი უმაღლესი განათლების სისტემა ჩართულია ასევე, მრავალმხრივ რეგიონალურ პროგრამებში, რომლებიც ასევე ხშირად ემყარება ორმხრივ გაცვლას. ეროვნული, თუ ორმხრივი პროგრამებისგან განსხვავებით რეგიონალური პროგრამები ფოკუსირებულია პედაგოგთა მობილობაზე.

საინტერესოა ჩართულობის მაჩვენებლები და მონიტორინგიც. მობილობის პროგრამაში მონაწილეობის მაჩვენებლები ჩვეულებრივ გროვდება პროგრამის ადმინისტრაციაზე პასუხისმგებელი ორგანოს მიერ. ზოგ შემთხვევაში იგივე ადმინისტრაცია აგებს პასუხს პროგრამის განხორციელების მონიტორინგზე, ზოგჯერ კი გადაეცემა ცალკეულ სააგენტოს. სამწუხაროდ ისეც ხდება, რომ სისტემატიური დაკვირვების შედეგები არ არსებობს. მაგალითად, გერმანიაში მეცნიერთა და მკვლევართა საერთაშორისო მობილობის სტატისტიკური ინფორმაცია ქვეყნდება ,,Wissenschaft weltoffen“-ში, რომელიც გამოდის „გერმანიის აკადემიური გაცვლითი პროგრამების სერვისები“-სა და „უმაღლესი განათლების კვლევის ინსტიტუტი“-ს მიერ ყოველწლიურად.

2010 წელს სხვადასხვა ორგანიზაციებმა ჯამურად დააფინანსეს 30781 უცხოელი მეცნიერი და მკვლევარი გერმანიაში ისევე, როგორც 8083 გერმანელი მეცნიერი და მკვლევარი საზღვარგარეთ. იტალიაში მონაცემთა შეგროვების კოორდინაციას ახორციელებს განათლებისა და კვლევის სამინისტრო. ლატვიაში სახელმწიფო განათლების განვითარების

სააგენტო აგროვებს ინფორმაციას მობილობის პროგრამების განხორციელების შესახებ. 2012/2013 წელს ლატვიის მთავრობის სასტიპენდიო პროგრამამ მიიღო 11 აპლიკაცია კვლევის დაფინანსების მოთხოვნით. ზოგადად უმაღლეს განათლებაში მობილობის შესახებ მონაცემთა შეგროვება ეროვნულ თუ სხვა პროგრამებზე მცირედ ხორციელდება. ქვეყნები ძირითადად აცხადებენ, რომ მონიტორინგს არ ახორციელებენ, ხოლო თუ ახორციელებენ, მხოლოდ გარე სააგენტოები, ან პროგრამის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირები.

გერმანიაში საერთაშორისო გაცვლითი პროგრამები ფასდება დამოუკიდებელი სააგენტოების და ექსპერტების მიერ. საფრანგეთში კი მონიტორინგს ახორციელებს კვლევისა და უმაღლესი განათლების შეფასების სააგენტო. (83,30).

დაჯილდოვების/აღიარების მექანიზმები. მობილობაში მონაწილე პირების დაჯილდოვების მექანიზმი არ არის ბევრ ქვეყანაში მიღებული. ხოლო სადაც მიღებულია, ძირითადად გამოიხატება კარიერული წინსვლის ინსტიტუციური, ან ეროვნული სისტემით. ზოგ ქვეყანაში (იტალია სლოვენია, სლოვაკეთი, ფინეთი) დაჯილდოვების ფორმა დამოკიდებულია უმაღლეს საგანმანათლებლო ინსტიტუტზე. იტალიაში უმაღლესი საგანმანათლებლო დაეწსებულება გასცემს ფინანსურ დანამატს, ან ამცირებს სამსახურებრივ დატვირთულობას. საფრანგეთში პროფესორი, რომელიც მუშაობდა სულ მცირე 2 წლით საზღვარგარეთ ან 1 წლით ევროკავშირის, ან ევროპის ეკონომიკური არეალის ქვეყნებში მოთხოვნის საფუძველზე დაემატებათ ერთწლიანი სტაჟი ერთი საფეხურით წინსვლის კონტექსტში.

იგივე ვრცელდება მკვლევარზე, რომელმაც გაატარა მინიმუმ ორი წელი უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, კვლევით ინსტიტუტში, საჯარო ხელისუფლებისა, თუ სახელმწიფო, ან კერძო დაწესებულებაში საზღვარგარეთ. ლატვიაში აკადემიური პერსონალი ღია კონკურსის წესით იღებს არჩევნებში მონაწილეობას ყოველ 6 წელიწადში. იურიდიულად კლასიფიცირებულია ხარისხის კრიტერიუმების მიხედვით მობილობის შემთხვევაში შესაძლებელი ხდება დამატებით ერთი კრიტერიუმის მხედველობაში მიღება.პედაგოგების სწავლების ან ტრეინინგების მიზნის საზღვარგარეთ გაგზავნის შემთხვევაში უმაღლესი განათლების დაწესებულება ლიტვაში აღიარებს მას, როგორც უწყვეტ პროფესიონალურ განვითარებას. უფრო მეტიც, კონკრეტულ წესებზე დაყრდნობით თითოეულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გადაუხადოს

მკვლევარებსა და პედაგოგებს დანამატი თავის ოფიციალურ ხელფასზე პრემიის სახით საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობისა და უცხოური გამოცდილების გაზიარების გამო.

ქართულ სამეცნიერო პუბლიცისტიკაში უმაღლესი საგანმანათლებლო მომსახურების ბაზრის შესახებ ფუნდამენტური კვლევები, შრომები ნაკლებად (თითქმის არ) მოიძებნება. აღნიშნული მიმართულებით კვლევების სიმწირის გათვალისწინებით, საინტერესოდ მივიჩნიეთ განათლების პოლიტიკის დაგეგმვისა და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტის (საქართველო), კვლევის ანგარიში (2013), ბაქრაძე ლ. ,,უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების სტრატეგიული განვითარება საქართველოში“. მასში აღნიშნულია, რომ უმაღლესი განათლების სისტემური რეფორმა, რომელიც 2004 წელს დაიწყო, ძველი, ჯერ კიდევ საბჭოთა სისტემის ნარჩენების დემონტაჟსა და უმაღლესი განათლების ევროპულ სივრცეში ინტეგრაციას ისახავდა მიზნად. (2,27).

კვლევის ანალიზით, ირკვევა, რომ დღეს კვლავ აქტუალურია უმაღლესი განათლების ხარისხის მართვისა და ადმინისტრირების საკითხები, მაგრამ რეფორმის ახალი ტალღის დაწყებამდე აუცილებელია სისტემაში ამ პერიოდამდე მიმდინარე ცვლილებების შეფასება და ანალიზი, არსებული მდგომარეობის ძლიერი და სუსტი მხარეების იდენტიფიცირება ისევე, როგორც ყველა დაინტერესებული მხარის მონაწილეობა და ჩართულობა. აღნიშნული კვლევა ძირითადად ეხება:

– არსებული მდგომარეობის ანალიზს;
– უნივერსიტეტების ავტონომიასა და აკადემიურ თავისუფლებას;
– უმაღლესი განათლებისა და კვლევის დაფინანსებას და ფინანსურ მართვას;
– სწავლებისა და კვლევის ინტეგრაციას;
– უმაღლესი განათლებისა და დასაქმების უკუკავშირებს;
– ხარისხის უზრუნველყოფას;
– უმაღლესი საგანმანათლებლო მომსახურების ბაზრის ძირითად პრობლემებს.

კვლევაში ყურადღება გამახვილებულია, რომ რეფორმის განხორციელებას წინ უნდა უძღოდეს თვალსაჩინო მონაცემებზე დაფუძნებული სარეფორმო პოლიტიკის შემუშავება. სწორედ ამიტომ, 2013 წლის ივნისში შეიქმნა არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების ჯგუფი, რომლის მიზანი იყო, ერთი მხრივ, ქვეყნის უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების განვითარების სტრატეგიული მიმართულებების იდენტიფიცირება და სექტორის გარდაქმნის სტრატეგიული გეგმის შემუშავებისათვის

ერთობლივი პროექტის ფარგლებში დახმარების გაწევა სახელმწიფო სტრუქტურების ფართო საზოგადოების და დაინტერესებული ჯგუფების მობილიზებაში, ხოლო, მეორე მხრივ, შეეფასებინა და გაეანალიზებინა საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემაში არსებული მდგომარეობა, გამოკვეთა ძლიერი და სუსტი მხარეები.

უნდა აღინიშნოს, რომ უმაღლესი განათლების ხარისხის გაუმჯობესებისათვის, მხოლოდ დაფინანსების გაზრდა არ არის საკმარისი. მნიშვნელოვანია ის, თუ სად და როგორ დაიხარჯება გაზრდილი დაფინანსება. შესაბამისად ხარისხის გასაზრდელად მინიმუმ სამი პირობის შესრულებაა საჭირო: უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაცია, სწავლების სტანდარტიზაცია და იერარქიზაცია.

ინტერნაციონალიზაცია გულისხმობს, რომ საჭიროა ქართული უმაღლესი განათლების სისტემის ჩართვა ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში. ამისთვის თვითონ სწავლების პროცესი უნდა დაუახლოვდეს საერთაშორისო სტანდარტებს. მთავარი აქცენტი უნდა გააკეთდეს არსებული აკადემიური პოტენციალის გაუმჯობესებაზე, რაც პირველ რიგში, შესაძლებელი იქნება გაცვლითი პროგრამების სტიმულირებით. არა მხოლოდ აკადემიური პერსონალი უნდა მონაწილეობდეს რამდენიმეთვიან და თუნდაც ერთწლიან გაცვლით პროგრამებში საერთაშორისო დონის უნივერსიტეტებში, არამედ ამ პროცესში დოქტორანტებიც აქტიურად უნდა იყვნენ ჩართულნი. ასეთი პროგრამები უნდა გულისხმობდეს არა მხოლოდ კვლევის ხარისხის ამაღლებას, არამედ სასწავლო კურიკულუმების შემუშავებას და დახვეწასაც.

ქართულენოვან კურსებთან ერთად, ინგლისურენოვანი კურსების არსებობა, სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ ბილინგვური სწავლება, ხელს შეუწყობს არა მხოლოდ ენობრივი დონის ამაღლებას, არამედ საერთაშორისო სტანდარტების უკეთ გაცნობასაც, ვინაიდან ასეთი კურსები შეიძლება წაიყვანონ საზღვარგარეთიდან მოწვეულმა, საერთაშორისო დონის პროფესორებმა.

ინტერნაციონალიზაცია მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯი იქნება, მაგრამ არაფერი გამოვა სისტემური მიდგომის შემუშავების გარეშე. შეუძლებელია გქონდეს საერთაშორისო სტანდარტების განათლების სისტემა იმ პირობებში, როცა არ არის განსაზღვრული ერთიანი სტანდარტები იმისა, თუ მაგალითად, რას ნიშნავს იყო სოციოლოგი, იურისტი, ფიზიკოსი, ეკონომისტი, ინჟინერი და ა.შ. ზოგიერთი უნივერსიტეტი ამ იდეამ შესაძლოა დიდად არ

მოხიბლოს, რადგან მიიჩნიონ, რომ ეს უნივერსიტეტის შიდა საქმეებში უხეში ჩარევა იქნება, მაგრამ სულაც არ არის აუცილებელი, რომ ამგვარი სტანდარტები სავალდებულო იყოს. შესაძლოა, არსებობდეს სარეკომენდაციო სტანდარტები და თითოეულმა უნივერსიტეტმა გადაწყვიტოს, თუ რა დონეზე გაითვალისწინებს მათ. ყოველ შემთხვევაში, სტანდარტების არარსებობა უკვე თავისთავად პრობლემაა ქვეყანაში, სადაც ბევრი გაურკვეველი და სინამდვილეში არაფრისმომცემი საგანმანათლებლო დაწესებულება ფუნქციონირებს.

უმაღლესი განათლების რეფორმის მესამე მნიშვნელოვანი კომპონენტი არის იერარქიზაცია, ანუ პრიორიტეტულობის მიხედვით სხვადასხვა სფეროს დაყოფა. აქ მნიშვნელოვანია ის, რომ ობიექტურად მოხდეს იმის შეფასება, თუ სად უფრო დიდი შანსი აქვს ქართულ საგანმანათლებლო დაწესებულებებს, რომ სტუდენტს საერთაშორისო სტანდარტების განათლება მიაწოდონ. ეს გულისხმობს არა მხოლოდ არსებული აკადემიური პერსონალის დონის შეფასებას, არამედ ისეთი დარგების გამოვლენას, სადაც პატარა, განვითარებად ქვეყანას შეუძლია სტუდენტს საერთაშორისო დონის განათლება შესთავაზოს.

მაგალითად, ცხადია, რომ ისეთ დარგებს, როგორიც არის ექსპერიმენტული, ან კვანტური ფიზიკა, სჭირდება გაცილებით მეტი რესურსი, ვიდრე შეიძლება ჰქონდეს საქართველოსნაირ ქვეყანას. დღესდღეობით გაცილებით უფრო პრაგმატული იქნება ისეთ სფეროებზე კონცენტრირება, რომლებიც არ მოითხოვს ამხელა რესურსების არსებობას, მაგალითად, კომპიუტერულ მეცნიერებაზე, ან ისეთ სფეროებზე, სადაც გარკვეული აკადემიური პოტენციალი უკვე არსებობს.

საქართველოს მომავალი იმ პირობებში, როდესაც ინფორმაციულ ეპოქაში ცოდნის მნიშვნელობა დღითი დღე იზრდება, მთლიანად არის დამოკიდებული უმაღლესი საგანმანათლებლო მომსახურების ბაზრის კონკურენტუნარიანობაზე და მის შემდგომ განვითარებაზე. დღევანდელი მონაცემებით კი, ამ თვალსაზრისით, საქართველო რეგიონალურ დონეზეც კი ვერ გამოირჩევა. ვითარების გამოსასწორებლად საჭიროა სწრაფი და ეფექტური რეფორმები, სხვა შემთხვევაში, ისტორიულ შანსს დავკარგავთ.

როგორც მკვლევარები აღნიშნავენ, ევროპის უნივერსიტეტების ასოციაციის ლისაბონის 2007 წლის დეკლარაცია განსაზღვრავს ავტონომიის ოთხ ძირითად განზომილებას:

– ორგანიზაციულ ავტონომიას;
– ფინანსურ ავტონომიას;

– კადრებით უზრუნველყოფის ავტონომიას;

– აკადემიურ ავტონომიას. (2,12).

საყურადღებოა ის რისკები, რომლებიც უკავშირდება სახელმწიფო გრანტის მოპოვების მექანიზმს. ერთიანი ეროვნული გამოცდების მოდელი (უნივერსიტეტს არ შეუძლია სტუდენტების დამოუკიდებლად შერჩევა და პროცესი მთლიანად გატანილია უნივერსიტეტის ფარგლებს გარეთ) ეწინააღმდეგება უნივერსიტეტების ავტონომიურობის პრინციპს. ასევე, რისკის შემცველია სახელმწიფოს მიერ უნივერსიტეტებში განსაზღვრული სპეციალობების დაფინანსება ერთიანი წესის შემუშავებისა და მოსალოდნელი შედეგების პროგნოზირების გარეშე. სახელმწიფო უნივერსიტეტებისა და კერძო უნივერსიტეტების საგრანტო დაფინანსების მოქმედი მოდელი უნივერსიტეტების ავტონომიის შეზღუდვასთან ერთად უმაღლესი განათლების სფეროში თავისუფალი კონკურენციის შემაფერხებელ ფაქტორადაც გვევლინება.

აკადემიური ავტონომიის სფეროში უნივერსიტეტებს (როგორც სახელმწიფოს, ისე კერძოს) არსებითად შეზღუდული აქვთ დამოუკიდებლობა სწავლების ენის, სტუდენტთა რაოდენობის, აბიტურიენტებისადმი (ბაკალავრიატის, დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგიის პროგრამებზე) წაყენებული კრიტერიუმებისა და ამ კრიტერიუმების შეფასების წესის განსაზღვრაში. გარდა ამისა, მათ არ აქვთ აბიტურიენტთა შეფასების (გამოცდების ჩატარების) პროცედურის განხორციელების უფლებამოსილებაც. ყოველივე ეს ეწინააღმდეგება ავტონომიურობის პრინციპს და მრავალ რისკს ქმნის, რომელთა გათვალისწინება აუცილებელია სისტემის შედეგებზე ორიენტირებული განვითარების ინტერესებიდან გამომდინარე. უნივერსიტეტების ავტორიზაცია/აკრედიტაციის მოქმედი მექანიზმი არა ხარისხის უზრუნველყოფის, არამედ უფრო უნივერსიტეტების საქმიანობაზე სახელმწიფო გავლენის განხორციელების მექანიზმია.

ქართულ სამეცნიერო პუბლიცისტიკაში ასევე განსაკუთრებული ადგილი უკავია, პროფესორების მამუკა თავხელიძის და ბელა გომელაურის 2004 წელს პუბლიცირებულ წიგნს ,,უმაღლესი განათლების ხარისხის მართვა-აკრედიტაცია“. ხაზგასმით აღსანიშნავია, რომ წიგნი წარმოადგენს პირველ პრეცედენტს საქართველოს უნივერსიტეტებში არსებული რეალობისა და წამყვანი ქვეყნების გამოცდილების გათვალისწინებით განიხილოს უმაღლესი განათლების ხარისხის მართვა–აკრედიტაციის აქტუალური საკითხები. მასში ლაკონურად

თავმოყრილია, ფართო მკითხველისათვის სპეციალურად გამარტივებული თავები, პროფესორთა მამუკა თავხელიძის და ბელა გომელაურის მონოგრაფიებიდან და პუბლიკაციებიდან.

ავტორთა ღრმა კომპეტენცია და უაღრესად დიდი გამოცდილება ხარისხის მართვის ინსტიტუციური სისტემის ფორმირებაში, ზემოაღნიშნულ ნაშრომს განსაკუთრებულ მნიშვნელობას მატებს. პროფესორთა აზრით: ,,განათლების ხარისხი წარმოადგენს მუდმივად ცვალებად მდგომარეობას, მაგალითად უნივერსიტეტის სწავლის რესურსები, რაც დღეს შეიძლება დამაკმაყოფილებელ ხარისხად ითვლებოდეს, ხვალ შეიძლება შეფასდეს არადამაკმაყოფილებლად“.(3,3) ,,ხარისხი არის დინამიკური მდგომარეობა, რომელიც დაკავშირებულია პროდუქტთან, მომსახურებასთან, ადამინებთან, პროცესებთან, გარემოსთან, იგი ზოგჯერ აკმაყოფილებს, ხოლო ზოგჯერ არ ამართლებს დამკვეთის მოლოდინს“. (3, 3-4)

წიგნში წარმოადგენილია და ღრმად არის განხილული ისეთი მნიშვნელოვანი თემატური მიმართულებები როგორიცაა:

– უმაღლესი განათლების ინსტიტუტების აკრედიტაციის ზოგადი საფუძვლები;
– ინსტიტუციური აკრედიტაცია და უმაღლესი სკოლის ტიპები;
– პროგრამულ–დისციპლინური აკრედიტაცია;
– უმაღლესი განათლების ინსტიტუტების ხარისხის შეფასები და სხვა.

ავტორთა აზრით ,,აკრედიტაციის ეროვნული სისტემის ჩამოყალიბება აუცილებელია, რათა განათლების ეროვნული სისტემა დაუბრკოლებლად ჩაერთოს მსოფლიო საგანმანათლებლო და სააკრედიტაციო სტრუქტურებში, უფლებამოსილი გახდეს გასცეს საერთაშორისო შრომის ბაზარზე აღიარებული აკადემიური ხარისხები და სერტიფიკატები, სისტემური ხასიათი მისცეს სტუდენტების, მეცნიერების და პედაგოგების გაცვლას“. ( 3, 6-7)
განხორციელებულია შედარებითი და კრიტიკული ანალიზი, ევროპისა და მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების გამოცდილების გათვალისწინებით.

დაბოლოს აღსანიშნავია, რომ ნაშრომში ავტორთა მიერ გამოთქმული მაღალკომპეტენტური მოსაზრებები ეყრდნობა უმაღლესი განათლების ხარისხის მენეჯმენტისა და აკრედიტაციის პრობლემაზე ათწლიანი მეცნიერული მუშაობის შედეგად შეძენილ ცოდნასა და პარლამენტის განათლებისა და მეცნიერების კომისიასთან არსებულ აკრედიტაციის საბჭოში

მუშაობის შედეგად მიღებულ გამოცდილებას. წიგნს თან ერთვის მასში გამოყენებული ცნებების, დეფინიციების, ციტირებული ლიტერატურის სია და ინფორმაცია აკრედიტაციის დიზაინის მოქმედ საერთაშორისო ექსპერტთა შესახებ.

უმაღლესი საგანმანათლებლო მომსახურების ბაზრის ადმინისტრირებასთან დაკავშირებით ვრცელ და უაღრესად საინტერესო დისკუსიას გვთავაზობენ პროფესორები: ვახტანგ სართანია, მიხეილ თოქმაზიშვილი და შორენა მაღლაკელიძე (2004), წიგნში ,,განათლების ეკონომიკის პრინციპები“. ნაშრომში ავტორთა მიერ ღრმად არის გაანალიზებული განათლების ეკონომიკის მნიშვნელობა. მასში გადმოცემულია განათლების ეკონომიკის ისეთი ფუნდამენტალური საკითხები, როგორიც არის:

– საგანმანათლებლო სარგებლობა და ადამიანისეული კაპიტალი;
– ადამიანისეული კაპიტალი და განათლებით სარგებლობის განსაზღვრა;
– განათლებით სარგებლობის შეფასების თეორიული მოდელები;
– სახელმწიფოს როლი განათლების სისტემის განვითრებაში;
– განათლების დაფინანსების ძირითადი პრინციპები;
– განათლება და ეკონომიკური ზრდა;
– განათლების წარმოებრივი და ღირებულებითი ფუნქცია;
– გლობალიზაცია და უმაღლესი განათლების როლი სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებაში და სხვა.

ავტორთა აზრით: ,,განათლება არის ცოდნის, უნარის, დახელოვნების, აზროვნების კულტურის, ხასიათის და სხვა თვისებების სწავლების და განვითრების პროცესი ლეგალურ სასწავლო დაწესებულებებში“. (8, 6-7). ,,განათლების ეკონომიკის ცნება დაკავშირებულია განათლებისა და ეკონომიკის ფუნქციების განხორციელებასთან, იგი არის ცოდნა იმის შესახებ, თუ როგორ აკეთებს არჩევანს ადამიანი და საზოგადოება ფულის მეშვეობით ან უსასყიდლოდ იმისათვის, რომ გამოიყენოს შეზღუდული რესურსები და განახორციელოს სხვადასხვა ტიპის სწავლება, განავითაროს ცოდნა, გონება, აზროვნება, ხასიათი, გაანაწილოს სწავლების პროცესში წარმოებული სულიერი და განივთებული დოვლათი და მოიხმაროს იგი ინდივიდისა და საზოგადოების მიზნების შესაბამისად“. ( 8, 7-8).

ნაშრომში აღნიშნულია, რომ განათლება ზემოქმედებას ახდენს ეკონომიკურ და სოციალურ პროგრესზე და მიმართულია ეკონომიკური ზრდის შესაძლებლობების განვითარებისაკენ. იმის მიხედვით, თუ რამდენად ორიენტირებულია სახელმწიფო პოლიტიკა განათლების

სფეროზე, ადამიანისეულ რესურსებში განხოციელებული კაპიტალდაბანდებების უკუგებაც შესაბამისად აისახება ქვეყნის ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლებში. დახასიათებულია განათლების ეკონომიკური კონცეფციები და პრინციპები, თანამედროვე სოციალურ ეკონომიკური აზრის განვითარების მიმართულებები, განათლების სისტემის ევოლუცია, უმაღლესი სკოლის სტრუქტურული რეფორმების სტრატეგია და მიმართულებები გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში. გაზიარებულია საგანმანათლებლო პოლიტიკის ისტორიული და თანამედროვე გამოცდილება და წარმოდგენილია განათლების რეფორმის განვითარების მთავარი ღონისძიებები:

– განათლების სისტემის განვითარების ერთიანი პოლიტიკის შემუშავება;
– საშუალო სპეციალურ და პროფესიული განათლების, გარდამავალ პერიოდში სახელმწიფოს მხრიდან მეტი ხელშეწყობის უზრუნველყოფა;
– განათლების ხარისხობრივ მაჩვენებლებზე მეტი ყურადღების გამახვილება, საერთშორისო სტანდარტების დანერგვა;
– საგანმანათლებლო პროგრამების და შეფასების სიტემის შესაბამისობაში მოყვნა;
– განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდა და სოციალური უთანასწორობის შემცირება;
– განათლების ხარისხის რეგულირება, კერძო სექტორთან უფრო აქტიური კოოპერირების ხარჯზე;
– განათლების დაფინანსების წყაროების დივერსიფიკაციის უზრუნველყოფა და სხვა.

ქართული სამეცნიერო ლიტერატურის კვლევის კონტექსტში, განხილულ იქნა პროფესორის, ავთანდილ ასათიანის ნაშრომი, (2014), ,,უმაღლესი სკოლის პედაგოგიკა“. ზემოხსენებულ ნაშრომში ავტორი ყურადღებას ამახვილებს უმაღლესი საგანმანათლებლო მომსახურების ბაზრის არა ერთ საკვანძო და სტრატეგიულ მიმართულებაზე, კერძოდ: უმაღლესი განათლების მენეჯმენტი, უმაღლესი განათლების ინფორმატიზაცია და გლობალიზაცია, სწავლების თანამედროვე ორგანიზაციული ფორმები, სწავლების მეთოდები და ტექნოლოგიები.

ავტორის აზრით: ,,დასავლურ ლიტერატურაში საგანამნათლებლო მენეჯმენტი გამოიყენება:

- ადამიანთა ჯგუფის პროფესიული ნიშნით წარმოჩენისათვის, რაც იმას ნიშნავს, რომ მენეჯმენტში მოიაზრება ისეთი ჯგუფის ადამიანები, რომლებიც განათლების სისტემაში მმართველობით ფუნქციებს ასრულებენ;

- ცალკეული პიროვნებების აღნიშვნისთვის, რომლებიც სასწავლო დაწესებულებებში მმართველობითი ამოცანებით არიან დაკავებულები;

- სასწავლო საგნების (კურსების) აღსანიშნავად: ზოგადად მენეჯმენტიც და მასთან ერთად განათლების მენეჯმენტიც კონკრეტული სპეციალიზაციის საგანს წარმოადგენს, რაც იმას ნიშნავს, რომ იგი განსაკუთრებული ცოდნის სფეროა და მისი დაუფლება მიმდინარეობს როგორც უმაღლესი განათლების ჩარჩოებში (ბაკალავრიატის დონეზე, რაც ძალზე იშვიათია), ისე მაგისტრატურის და დოქტორანტურის დონეებზე, ან კიდევ დამატებითი სერთიფიცირებული განათლების მეშვეობით;

- სპეციალიზებული პროცესის აღნიშვნისთვის: მენეჯმენტი ისეთ პროცესად მიიჩნევა, რომელიც ითვალისწინებს მთელი რიგი საქმიანობისა და ფუნქციების შესრულებას - მაგალითად ისეთს, როგორიცაა: დაგეგმვა, პროგნოზირება, ორგანიზაცია, მოტივირება, სასწავლო პროცესის კოორდინაცია, სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის კონტროლი, საგანმანათლებლო საქმიანობის შედეგების მონიტორინგი, ადამიანური და ფინანსური რესურსების მართვა და სხვა.“ (1, 214)

ნაშრომში ასევე აღნიშნულია, რომ მაღალგანვითარებული ქვეყნების გამოცდილების საფუძველზე, უმაღლესი განათლების მენეჯმენტის განვითარების მიზნით საქართველოში გატარდა უმნიშვნელოვანესი ღონისძიებები უმაღლესი განათლების რეფორმების ფარგლებში და პირველი ნაბიჯი სამართლებრივი ბაზის შექმნისათვის გადაიდგა. უნდა აღინიშნოს, რომ სწორედ რეგლამენტირებული სამართლებრივი ურთიერთობები ქმნიან ზოგადად მართვის მეცნიერებისთვისა და მოცემულ შემთხვევაში კი განათლების მენეჯმენტისათვის მკვიდრ საფუძველს.

ნაშრომში ავტორი საკმაოდ უღრმავდება უმაღლესი განათლების გლობალიზაციის საკითხებსაც. მისი აზრით: ,,გლობალიზაცია და მის ფარგლებში ქვეყანათა დაახლოების პრაქტიკა ავალდებულებს ქვეყნებს აკრედიტაციის და საგანმანათლებლო სტანდარტების შემოღებისკენ და სწავლების ხარისხის ამაღლებისაკენ. ავტორის აზრით, უმაღლესი განათლების გლობალიზაციას განაპირობებენ ისეთი ფაქტორები, როგორებიც არის:

– სხვადასხვა ქვეყნების უმაღლესი განათლების სისტემების დაახლოება და ინტეგრირება;

– ტელესაკომუნიკაციო ტექნოლოგიების საფუძველზე, ღია განათლების სისტემის დამკვიდრება;

– 	უმაღლესი განათლების კომერციალიზაცია და მის მიმართ საერთაშორისო შრომის ბაზრის ინტერესების ზრდა;

– 	ტრანსნაციონალური კომპანიების გავლენა საგანმანათლებლო პროცესებზე“. (1, 67).

ნაშრომში გაკეთებულია გლობალიზაციის დადებითი და უარყოფითი ფაქტორების ღრმა ანალიზი. წარმოდგენილია უმაღლესი განათლების ადმინისტრირების თანამედროვე თეორიები, კონცეფციები და აღნიშნულია, რომ სწორედ ადმინისტრირება გვევლინება გადამწყვეტ ფაქტორად უმაღლესი განათლების განვითარებისათვის. ,,აღსანიშნავია, რომ საქართველოში მოქმედმა ნორმატიულმა აქტებმა, კანონი უმაღლესი განათლების შესახებ, კვალიფიკაციის ეროვნულმა ჩარჩომ, სათავე დაუდეს უმაღლესი განათლების მართვის/ადმინისტრირების თანამედროვე მიმართულებებს. შესაბამისად, ადმინისტრირება, განსაკუთრებით კი, საკადრო ადმინისტრირება წარმოადგენს გადამწყვეტ ფაქტორს უმაღლეს საგანმანათლებლო სისტემაში“. (1, 70).

ნაშრომში ასევე საინტერესოდ განხილულია სწავლების ორგანიზაციის ფორმები, ლექციის ტიპები, სასწავლო ლექციის არსი, სასწავლო ლექციის სტრუქტურა, ლექციის ჩატარების მეთოდიკა და სხვა. აღნიშნულია, რომ თანამედროვე უმაღლესი სკოლა სწავლების ორგანიზაციის შემდეგ ფორმებს აღიარებს: ლექცია, სემინარი, პრაქტიკული მეცადინეობა, ლაბორატორიული სამუშაო, კონსულტაცია, საქმიანი თამაში, იმიტაცია, კოლოკვიუმი, დამოუკიდებელი მუშაობა, გამოცდა, სასწავლო ექსკურსია და სხვა.

როგორც ნაშრომში გადმოცემულია სწავლების ორგანიზაციის ფორმების დაჯგუფებისას ორ მიმართულებას გამოყოფენ. ესენია: ზუსტად რეგლამენტირებული და არალეგლამენტირებული მეცადინეობები. პირველში ერთიანდება სააუდიტორიო, ანუ ლექტორთან საკონტაქტო მეცადინეობები, ხოლო მეორეში დამოუკიდებელი მუშაობა და თვითგანათლება.

აღსანიშნავია, რომ მეორე მიმართულება არათუ ჩამორჩება სააუდიტორიო საკონტაქტო მეცადინეობებს, არამედ ზოგიერთი პარამეტრით კიდეც აჭარბებს მათ. ამიტომ, დამოუკიდებელი სამუშაოების შერჩევასა და მისი მიმდინარეობის რეგულირებას არსებითი მნიშვნელობა ენიჭება, განსაკუთრებით დღეს, როცა უმაღლესი განათლების სისტემამ რეალურად იბრუნა პირი ამ სფეროს სრულყოფისაკენ, რომელსაც ადრე სათნადო ყურადღება არ ექცეოდა.

,,თუმცა თუ სიმართელს გავუსწორებთ თვალს, უნდა ვაღიაროთ, რომ სტუდენტთა ცოდნის სიმტკიცე და შემეცნებითი უნარები, სწორედ დამოუკიდებელი მუშაობის პროცესში ყალიბდება. ამიტომ, სტუდენტთა დამოუკიდებელი მუშაობის აქტივიზაციის ხერხების ძიება თითოეული ლექტორის მუდმივი ყურადღებისა და ზრუნვის საგნად უნდა იქცეს. დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის მომზადებაში, სწორედ დამოუკიდებელი მუშაობის უნარ–ჩვევების ფორმირებას ენიჭება წამყვანი ადგილი“. - შენიშნავს პროფესორი ასათიანი. (1, 170-171)

,,სწავლების ორგანიზაციის ფორმებთან ორგანულადაა დაკავშირებული სწავლების მეთოდები და სწავლების ტექნოლოგიები. სწავლების ამა, თუ იმ მეთოდის არჩევა და მისი საქმიანობის მოქმედ იარაღად ქცევა პირადად პედაგოგის ფუნქციაა, ხოლო სწავლების ორგანიზაციის ფორმას სასწავლებლის ხელმძღვანელები წყვეტენ. საბოლოოდ ფორმებზე ახლოს პედაგოგთან მაინც მეთოდებია, რადგან მეთოდი მასწავლებლის შრომის იარაღია. ამიტომ, მის მომარჯვებაზე ბევრადაა დამოკიდებული წარმატება, თუ მარცხი“ - მიიჩნევს ავტორი. ( 1, 178)

ამჟამად, უმაღლესი სკოლის დიდაქტიკაში მიღებულია სწავლების მეთოდთა შემდეგი კლასიფიკაცია:

- ვერბალური, ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი;
- წიგნზე მუშაობის მეთოდი და ელექტრონული სწავლების მეთოდი;
- ლაბორატორიული მეთოდი და დემონსტრირების მეთოდი. ეს უკანასკნელი თავისმხრივ გულისხმობს შემდეგი სახის აქტივობებს: ცდების დაყენება, ვიდეომასალების ჩვენება, დინამიკური ხასიათის მასალა და სხვა;
- წერითი მუშაობის მეთოდი, რომელიც გულისხმობს შემდეგი სახის აქტივობებს: ამონაწერებისა და ჩანაწერების გაკეთება, მასალაის დაკონსპექტება, თეზისების შედგენა, რეფერატის, ან ესეს შესრულება, და ა.შ.;
- პრაქტიკული მეთოდები აერთიანებს სწავლების ყველა იმ ფორმას, რომელიც სტუდენტს პრაქტიკულ უნარ–ჩვევებს უყალიბებს. აქ სტუდენტი შეძენილი ცოდნის საფუძველზე დამოუკიდებლად ასრულებს ამა, თუ იმ აქტივობას, მაგალითად, საწარმოო და პედაგოგიური პრაქტიკა, საველე მუშაობა და სხვა. (1, 179)

ნაშრომში ასევე ვრცლად არის მიმოხილული უმაღლესი სასწავლებლების საფინანსო ეკონომიკური საკითხები. წარმოდგენილია უმაღლესი საგანმანათლებლო მომსახურების ბაზრის დაფინანსების წყაროები ,კერძოდ:

– სწავლის საფასური, რომელიც იფარება სახელმწიფო სასწავლო გრანტით;

– კერძო გრანტის, შემოწირულობების სახით, ან ანდერძით მიღებული შემოსავლები;

– საკონკურსო შერჩევის საფუძველზე სახელმწიფოს მიერ გაცემული სამეცნიერო კვლევითი გრანტები;

– უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სახელმწიფოსათვის პრიორიტეტულ ერთეულებზე აბიტურიენტთა მიღების წახალისების მიზნით გამოყოფილი სპეციალური საბიუჯეტო ასიგნები;

– დარგობრივი სამინისტროების მიერ გამოყოფილი ასიგნები;

– საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლები;

– შრომის ბაზრის გავლენა, საგანმანათლებლო პროცესებზე.

როგორც პროფესორი ასათიანი შენიშნავს: ,,თანამედროვე კონკურენტულ გარემოში, კვალიფიკაციის შესაბამისი სამუშაო ადგილის მოპოვება მხოლოდ ხარისხიანი განათლების მიღების შედეგადაა შესაძლებელი, შესაბამისად უმაღლესმა სასწავლო დაწესებულებებმა, ყურადღებით უნდა შეისწავლონ ინტელექტუალური ბაზრის კონიუნქტურა და მოთხოვნები, რათა დააკმაყოფილონ ბაზარზე არსებული სტანდარტები“. (1, 229–230).

განხილულ იქნა სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტის (საქართველო) მიერ, 2015 წელს, ,,ფონდი ღია საზოგადოება საქართველო“ ფინანსური მხარდაჭერით განხორციელებული კვლევის ანგარიში, კაჭკაჭიშვილი ი, მაჭარაშვილი ნ, გოგსაძე გ, – ,,სტუდენტზე ორიენტირებული საუნივერსიტეტო განათლების ხელშეწყობა“. კვლევის ანგარიშში ყურადღება გამახვილებულია უმაღლესი საგანმანათლებლო მომსახურების ბაზარზე არსებულ იმ პრობლემატურ საკითხებზე, რომელიც უკავშირდება სტუდენტზე ორიენტირებული საუნივერსიტეტო განათლების ხელშეწყობას საქართველოში.

განხორციელებულია  სიღრმისეული კვლევა სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების ინდიკატორების დასადგენად, ასევე სტუდენტთა საჭიროებებისა და ამ საჭიროებების შესაბამისი სერვისების მიწოდების თანაფარდობის გამოსავლენად.

წარმოდგენილია აღნიშნული სფეროს საკმაოდ მდიდარი დასავლური, საერთაშორისო გამოცდილება და უნივერსიტეტებში სტუდენტთა თანამონაწილეობის მოწინავე უცხოური მოდელები.

შემოთავაზებულია უმაღლესი განათლების ხარისხის მართვის და სტუდენტზე ორიენტირებული საგანმანათლებლო სისტემის ევროპული პრინციპები:

– სტუდენტზე ორიენტირებული სერვისების გამართულობა;
– აკადემიური კონსულტირება;
– კარიერული კონსულტირება;
– აქტიური სწავლების სისტემა;
– უკუკავშირის მექანიზმების არსებობა და აქტიური გამოყენება;
– პროპორცია პედაგოგებსა და სტუდენტებს შორის;
– სტუდენტთა შეფასების  მრავალფეროვანი სისტემის გამოყენება ;
– საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკის სივრცის ხელმისაწვდომობა;
– ინკლუზიური საგანმანათლებლო გარემო;
– ანტიდისკრიმინაციული პოლიტიკა და სტუდენტთა ინტერესების დაცვა;
– სტუდენტთა წარმომადგენლობა და სტუდენტთა ჩართულობა საუნივერსიტეტო და საზოგადოებრივ საქმიანობაში. (4, 9-10).

ყურადღება გამახვილებულია სწავლების და შეფასების თანამედროვე მეთოდებზე:

– პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება;
– ჯგუფურ პროექტებზე მუშაობა;
– სტუდენტზე ცენტრირებული აქტიური სწავლება;
– რესურსებზე დაფუძნებული სწავლება;
– შემთხვევების შესწავლის მეთოდის გამოყენება;
– როლური თამაშები;
– საკლასო პრაქტიკული ხასიათის სამუშაოები;
– ჯგუფური პრეზენტაციები;
– ვებ-საკონფერენციო სივრცის ათვისება ელექტრონული რესურსების აქტიური გამოყენებით, განსაკუთრებით ციფრული სწავლების შემთხვევაში;
– ვიდეო-ჩანაწერები სტუდენტთა მიერ სწავლის მოსალოდნელი შედეგებისა და შესრულების ხარისხის თვითკონტროლისთვის. (4, 16-17).

კვლევის ანგარიშში ფორმულირებულია სალექციო/სასემინარო ფორმატის დროს გამოყენებული შეფასებების მეთოდები:

– როლური თამაშები;

– დისკუსიები წყვილებში;

– დისკუსიები „თოვლის გუნდის“ პრინციპით (წყვილებში მომუშავე დისკუსიის მონაწილეები თანმიმდევრულად საკითხს შემდგომ წყვილთან განიხილავენ);

– ჯვარედინი დისკუსიები (ორ-ორი წყვილის დაჯგუფება და დისკუსიის ამ გზით წარმართვა;

– სადისკუსიო რაუნდები (სტუდენტების მიერ საკუთარი პოზიციისა და დამოკიდებულებების თანმიმდევრულად გადმოცემა);

– საკონსულტაციო ჯგუფების სახით სტუდენტების დაჯგუფება;

– ქვიზები;

– სტუდენტთა პრეზენტაციები;

– სტუდენტთა პრეზენტაციები პოსტერებით;

– როლური თამაშები;

– გონებრივი იერიშების შედეგების პრეზენტაცია. (4, 17-18).

აქვე თავმოყრილია ლექციის/სემინარის მიღმა არსებული ფორმატის დროს გამოყენებული შეფასების მეთოდები:

– ინდივიდუალური პროექტები;

– ჯგუფური დისკუსიები;

– სტუდენტების მიერ ერთმანეთის შეფასება და დავალებების შესრულების ხარისხის მონიტორინგი;

– გუნდური მუშაობა;

– დებატები;

– გასვლითი ვიზიტები და საველე სამუშაოები/პრაქტიკები;

– დღიურები და ანგარიშები;

– აუდიო-ვიდეო ჩანაწერები, სტატიები მედიაში და პორტფოლიოებზე მუშაობა. (4, 17-18). იდენტიფიცირებულია უმაღლესი განათლების ხარისხის ამაღლების პრობლემები, როგორც სწავლების საბაკალავრო, ასევე სწავლების სამაგისტრო დონეზე - კერძოდ, სასწავლო კურსების შესაბამისობა სილაბუსებთან, პროფესორთა მომზადების დონე (კვალიფიკაცია), სასწავლო მასალების ფართო არჩევანის შესაძლებლობები და სხვა. ამავდროულად წარმოდგენილია მნიშვნელოვანი დასკვნები და რეკომენდაციები.

## 1.3 უმაღლესი საგანმანათლებლო მომსახურების ბაზრის დაფინანსების მოდელები.

უმაღლესი საგანმანათლებლო მომსახურების ბაზრის დაფინანსებასთან დაკავშირებით, საინტერესოა მსოფლიო ბანკის, 2014 წლის დასკვნითი ანგარიში: ,,უმაღლესი განათლების დაფინანსება ლატვიაში – ძლიერი და სუსტი მხარეების ანალიზი“, რომელიც შესრულებულ იქნა მსოფლიო ბანკის საკონსულტაციო ჯგუფის მიერ. (,,Higher Education Financing in Latvia - Analysis of Strengths and Weaknesses“, World Bank, Final Report 18 March, 2014).

ზემოაღნიშნული ანგარიში წარმოადგენს მსოფლიო ბანკის მიერ ლატვიის უმაღლესი განათლების სისტემის დაფინანსების შესაძლებლობების და მიზანშეწონილობის ანალიტიკურ დოკუმენტს. ანგარიში მომზადებულია მსოფლიო ბანკის, ლატვიის განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს და სამთავრობო ორგანიზაციების მხარდაჭერით. ასევე, ე.წ. სტეიკჰოლდერებთან (ბენეფიციარ მხარეებთან) მჭიდრო კონსულტაციებით, რომელიც მოიცავდა სამუშაო შეხვედრებსა და ინტერვიუებს.

ნაშრომი ასახავს ლატვიის დაფინანსების სისტემის სუსტ და ძლიერ მხარეებს ევროპული განვითარების კუთხითა და დაფინანსების საუკეთესო მოდელის ზოგად კრიტერიუმებთან შედარებით. აღნიშნული კრიტერიუმები მიღებულია საუკეთესო გამოცდილებაზე დაყრდნობით და სრულიად დამოუკიდებელია ქვეყნის კონტექსტისგან.

წარმოდგენილია ლატვიის უმაღლესი განათლების სისტემის არსებული დაფინანსების მოდელი მთავრობის მიერ არჩეული სტრტეგიული მიმართულებებით და პრიორიტეტებით. შემოთავაზებულია უმაღლესი განათლების დაფინანასების სამომავლო მოდელი ლატვიისათვის.

კვლევაში აღნიშნულია, რომ უმაღლესი განათლება არის მრავალი ქვეყნის ეროვნული პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი საკითხი, ვინაიდან ის გახლავთ ქვეყნის ეკონომიკური კონკურენტუნარიანობის საფუძველი მზარდ ცოდნაზე ორიენტირებულ გლობალურ ეკონომიკაში. შესაბამისად მრავალი სისტემა დგას გამოწვევების წინაშე ხარისხსა და რელევანტურობაში, ისევე როგორც ეფექტიანობის ზრდასა და ფასეულობის შენარჩუნებაში

უმაღლესი განათლების სფეროში, რომლის დაფინანსების ახალი მოდელები მუშავდება ბევრ ევროპულ ქვეყანაში, როგორც არსებულ გამოწვევებზე საპასუხო პოლიტიკა.

მიუხედავად იმისა, რომ ლატვია უმაღლესი განათლების დაფინანსებით ყველაზე ბოლო ადგილასაა ევროპულ ქვეყნებთან შედარებით, დაფინანსების წილი მშპ–თან მიმართებაში საკმაოდ სოლიდურია და შეადგენს მშპ–ის 2%–ს, ანალოგიური მაჩვენებელი ლიტვაში 2.7%–ია, ხოლო ესტონეთში 2.6%–ი. (93, 12-13)

გარდა ამისა, ანგარიში მიმოიხილავს უაღრესად საინტერესო და პრინციპულად მნიშვნელოვან საკითხს, რომელიც დგას ზოგადად უმაღლეს განათლებასთან მიმართებაში, არა მხოლოდ ლატვიაში. საკითხი წარმოდგენილია შემდეგი დეფინიციით: ,,უმაღლესი განათლება საზოგადოებრივი საკუთრებაა, თუ კერძო? შესაბამისად, სახელწიფო ფინანსებით უნდა იყოს უზრუნველყოფილი თუ - კერძო“. (93, 16)

მოცემულია დასკვნები, რომ უმაღლესი განათლებით მიღებულ შედეგები ახასიათებს, როგორც კერძო ასევე სახელმწიფო საქონელს, შესაბამისად ეკონომიკური არგუმენტების დახმრებით შესამლებელია თავიდან იქნას აცილებული პოლიტიკური რეფორმების ბლოკადა. სტუდენტის დაფინანსება – სტუდენტის მონაწილეობა, ძირითადად (სწავლის გადასახადი და სხვა გადასახდელები) და სტუდენტის ფინანსური მხარდაჭერის სისტემა, (ძირითადად გრანტები და სესხები) არის ყველაზე საკამათო და საპირისპირო საკითხები უმაღლესი განათლების დაფინანსების სფეროში. მიდგომები რომელიც მოიცავს გადასახადებსა და სესხებს, ასევე ხშირად ხდება კრიტიკის ობიექტი მთელს ევროპაში კაპიტალზე მათი მოსალოდნელი უარყოფითი ეფექტის გამო.

სწავლის გადასახადი სხვა კარგად მიზნობრივ სტუდენტურ მხარდაჭერასთან ერთად ქმნის დამატებით შემოსავალს უმაღლესი განათლების ინსტიტუტებისთვის, ვინაიდან იწვევს აქტივობის მაღალ დონეს. ნაშრომში მოცემულია, რომ ლატვიას აქვს ევროპის სხვა ქვეყნებთან შედარებით მაღალი ფინანსური ავტონომიურობა აღნიშნულ სისტემაში. უფრო კონკრეტულად კი, ის იკავებს მე–4 ადგილს 28 ევროპულ უმაღლეს საგანმანათლებლო სისტემას შორის. (93, 15)

ლატვიის მაგალითზე შეჯამებულია, რომ ინსტიტუციონალური ავტონომია იძლევა უკეთეს შედეგებს ფინანსური და მეტერიალურ–ტექნიკური თვალსაზრისით, რომელიც მიიღწევა

საკუთარ სტრატეგიაზე თავისუფლად ორიენტირებით და განათლებასა და კვლევებს შორის ბალანსის მიღწევით. შეჯამებაზე დაყრდნობით ირკვევა, რომ სამთავრობო ხელისუფლება, მათ შორის ევროპულ ქვეყნებში გამოყოფენ უმაღლესი განათლებისთვის გრანტებს, რათა თავისუფლად მართონ რესურსები და გაატარონ შემოსავალზე ორიენტირებული პოლიტიკა.

როგორც ლიტერატურაშია მოცემული ისევე, როგორც სხვა ევროპული უმაღლესი საგანმანათლებლო სისტემები, ლატვიის არსებული დაფინანსების მოდელი ორიენტირებულია შესრულებასა და გამოშვებაზე. შესაბამისად ფინანსური რესურსების მიზანმიმართვა ეფუძნება სამ ძირითად მიმართულებას:

– საბაზისო დაფინანსება;
– შესრულებაზე დაფუძნებული დაფინანსება;
– ტექნიკური სასწავლო პროფილების დაფინანსება და ინოვაციების მხარდაჭერა.

სიღრმისეულად წარმოდგენილია, როგორც ბალტიის ზღვის რეგიონის ასევე ევროპის სხვა ქვეყნების უმაღლესი საგანმანათლებლო მომსახურების ბაზრის დაფინანსების მოდელები. ყურადღება ფოკუსირებულია დაფინანსების შემდეგ მოდელებზე:

– უმაღლესი საგანმანათლებლო მომსახურების ბაზრის დაფინანსების ბიუროკრატიული მოდელი;
– უმაღლესი საგანმანათლებლო მომსახურების ბაზრის დაფინანსების კოლეგიალური მოდელი;
– უმაღლესი საგანმანათლებლო მომსახურების ბაზრის დაფინანსების საბაზრო მოდელი;
– უმაღლესი საგანმანათლებლო მომსახურების ბაზრის დაფინანსების ინსტიტუციონალური მოდელი;
– უმაღლესი საგანმანათლებლო მომსახურების ბაზრის დაფინანსების პროგრამული ფინანსირებისა და მომსახურების მიმღების დაფინანსების მოდელი;
– უმაღლესი საგანმანათლებლო მომსახურების ბაზრის დაფინანსების ბლოკ–გრანტული მოდელი.

განხორციელებულია თითოეული მოდელის დადებითი და უარყოფითი მხარეების ანალიზი შინაარსობრივ და თვისობრივ ჭრილში. აღსანიშნავია, რომ ლატვიას აქვს დივერსიფიცირებული უმაღლესი განათლების სექტორი, რომელიც განსხვავდება დედაქალაქის, რეგიონის, საჯარო და კერძო უმაღლესი სასწავლებლების მიხედვით.

უნივერსიტეტებს გააჩნიათ ფინანსური ავტონომია, რომელიც რესურსების დივესრიფიკაციის საშუალებას იძლევა. სწავლაზე მორგებული დაფინანსება, რაც უზრუნველყოფს პირველად სტაბილურობას სექტორისათვის, და ასევე დაკავშირებულია მომიჯნავე სექტორის შრომის ბაზრის დაგეგმვასთან.

უფრო მეტიც, ლატვიას ჰყავს მრავალი, სრულ დაფინანსებაზე მყოფი სტუდენტი, კვლევების დაფინანსების მნიშვნელოვანი წილი კი მოდის ევროკავშირის ფონდებიდან. ამდენად, როგორც აღინიშნა სისტემა საკმაოდ მნიშვნელოვნად დაფინანსებულია ევროპის სხვა ქვეყნებთან შედარებით. დღესდღეობით, ლატვიაში სახელმწიფო დაფინანსების როლი შემდეგი სახითაა წარმოდგენილი:

– სტუდენტთა დაფიანანსება საგრანტო წესით;
– მიზნობრივი სასწავლო–კვლევითი დაფინანსება;
– სასწავლო სესხების დაფინანსება სტუდენტებისათვის;
– სამეცნიერო კველვების სრული და ნაწილობრივი დაფინანსების უზრუნველყოფა.

გარდა ამისა, აღნიშნულია, რომ ლატვია ცდილობს ახალი ფინანსური მოდელის დანერგვას, რომელიც მიმართული იქნება ხარისხისკენ, საბაზრო მოთხოვნების გაძლიერებისკენ და უმაღლესი განათლების შედეგებისკენ. იგი თავს აარიდებს საბიუჯეტო რესურსების დანაწევრებას და ხელს შეუწყობს უმაღლესი განათლების სხვა მიზნების მიღწევას. ამ კუთხით ფინანსური სისტემა მოიცავს ოთხ ძირითად განზომილებას.

– უმაღლესი განათლების ფინანსური ავტონომია (ერთიანი თანხები, ფინანსების განკარგვის მოქნილობა და თავისუფლება, ფინანსური რეზერვების მობილიზება, ფინანსური რეგულაციები, დისკრეტული - შეხედულებისამებრ დაწესებული ხელფასები და სხვა);
– უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ფინანსური რესურსების დივერსიფიკაცია და მასთან დაკავშირებული წესები და რეგულაციები. (ევროკავშირის ფონდები, სწავლის საფასური, საბაზრო შემოსავლები, გარე კვლევებიდან შემოსავლები, ტრანსფერული ქმედებები და სხვა);
– უმაღლესი განათლების სახელმწიფო დაფინანსების ინსტრუმენტები (სახელმწიფო ბიუჯეტიდან გადმორიცხული თანხები, კვლევების დაფინანსება და სხვა);
– სტუდენტების მიერ დაფინანსება და მხარდაჭერა (განსაკუთრებით სწავლის საფასური, სესხები, სტიპენდიები და სხვა).

აღნიშნულის გათვალისწინებით უახლესი ევროპული განვითარება და ზოგადი კრიტერიუმები დაფინანსების კარგი მოდელისათვის განხილულია დადებითი და უარყოფითი მხარეების მიხედვით, რაც უზრუნველყოფს ლატვიის უმაღლესი განათლების დაფინანსების სისტემის ფართო აღწერას. ეს კი - თავის მხრივ, მოიცავს ლატვიის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ფინანსურ ავტონომიას, მათ დივერსიფიკაციას და სახელმწიფო, თუ სტუდენტის მიერ დაფინანსების მოდელებს. ამდენად, რეპორტი გვთავაზობს დაფინანსების ბოლოდროინდელ ევროპულ ტრენდს. „არსებობს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების დაფინანსების მრავალი გზა, რომელთა შორის კატეგორიზდება მოლაპარაკებითი დაფინანსება, დამატებითი დაფინანსება, ფორმულით დაფინანსება და კონკურენტული დაფინანსება“. (93, 34)

მიუხედავად უმაღლესი განათლების ევროპული სისტემის მრავალფეროვნებისა, აღნიშნული სამი მოდელი უმეტეს სისტემებს ერგება. საბაზისო დაფინანსება შეიძლება აღიწეროს, როგორც საჯარო ფინანსების ნაწილი, რომელიც რჩება სტაბილური დიდი ხნის განმავლობაში. საბაზისო დაფინანსების ძირითადი მიზანია უზრუნველყოს პროგნოზირებადი და სანდო დაფინანსება, რომელიც ფარავს საოპერაციო ხარჯების ძირითად ნაწილს და აძლევს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას საშუალებას შეასრულოს სწავლებისა და კვლევის ძირითადი ამოცანები. როგორც აღნიშნულია რეპორტში, საჯარო ხელისუფლება ანაწილებს საბაზისო დაფინანსებას უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის ბლოკ გრანტების მეშვეობით. ბლოკ გრანტის საერთო თანხა შეიძლება განისაზღვროს სხვადასხვაგვარად, მოლაპარაკებით, დამატებითი თანხების გამოყოფით, ან დაფინანსების ფორმულით. ამ განსხვავებული ელემენტების მნიშვნელობა განსხვავებულია დაფინანსების სისტემების მიხედვით. შესრულების საფუძველზე გაცემული დაფინანსების ძირითადი მიზანია ფინანსური წახალისების შექმნა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის, შესრულების გაუმჯობესების მიზნით სხვადასხვა აქტივობებში. ასეთი დაფინანსებით ჯილდოვდებიან უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები მათი წარსული სწავლებისა და კვლევის შედეგების საფუძველზე. მიუხედავად ტერმინის განმარტების სიმარტივისა, ის სხვადასხვაგვარად აღიქმება მთელს ევროპაში. სისტემების უმრავლესობა მიიჩნევს, რომ ნაწილი დაფინანსებისა გამოყოფილია სწავლებისთვის და ნაწილი კვლევებისათვის.

დაფინანსების მოდელის მესამე ფორმა „ინოვაციებსა და პროფილზე ორიენტირებული დაფინანსებაა“, რომელიც ემყარება მომავალში განსახორციელებელ მიმართულებებს. უფრო

კონკრეტულად კი, ასეთი ტიპის დაფინანსება ხშირად მოიხსენება, როგორც „მიზნობრივი დაფინანსება“, „კონკურენტული დაფინანსება“, „სტრატეგიული დაფინანსება“, „პროექტზე ორიენტირებული დაფინანსება“, „საუკეთესო ინიციატივის დაფინანსება“. მიუხედავად სახელისა, ყველა ეს დაფინანსების ინსტრუმენტი ორიენტირებულია ინოვაციების ინიცირებაზე, კვლევის/სწავლების წარმატებასა და/ან ინსტიტუციონალური პროფილის განვითარება/გაუმჯობესებაზე. ინოვაციებსა და პროფილზე ორიენტირებულ დაფინანსებას შესაძლებელია ჰქონდეს სხვადასხვა ფორმა, როგორიცაა დაფინანსება, რომელიც გაიცემა კონკურენტულ საფუძველზე. ასეთი არის მაგალითად, ირლანდიაში და ეწოდება სტრატეგიული ინოვაციის დაფინანსება, რომელიც შექმნილია, როგორც ინსტიტუციონალური რესტრუქტურიზაციისა და მოდერნიზაციის მექანიზმი, ან არაკონკურენტულ საფუძველზე-პირდაპირ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიმართულებით. როგორიც არის მაგალითად, გაერთიანებულ სამეფოში - ეწოდება უმაღლესი განათლების ინოვაციების დაფინანსების სქემა და ფოკუსირებულია ცოდნის გაცვლაზე. აღნიშნული მოდელი შეიცავს ასევე საუკეთესო ინციატივას. მაგალითად, გერმანიის „საუკეთესო ინიციატივა“ ისევე, როგორც „პროექტების დაფინანსების პროგრამა სტრატეგიული კვლევების განსახორციელებლად“ არსებობს ბევრ ევროპულ ქვეყანაში. (93, 20).

რეპორტში აღწერილია ბოლოდროინდელი ტრენდები ევროპის მასშტაბით, უმაღლესი განათლების დაფინანსების აღნიშნული მოდელების გათვალისწინებით. საბაზისო დაფინანსება ხდება უფრო დინამიური და მოთხოვნაზე ორიენტირებული (ვიდრე მიწოდებაზე ორიენტირებული) „ფული-სტუდენტს“ მიდგომის მეშვეობით, სადაც ჯილდოები და ინიციატივები ემყარება სტუდენტის ჩარიცხვასთან დაკავშირებულ ფაქტორებს, და არა აკადემიურ პერსონალსა და წარსულ ინსტიტუციონალურ დანახარჯებს. შესრულებაზე დამყარებული და ფორმულით დაფინანსების მექანიზმი უფრო და უფრო ხშირად გამოყენება,  ვინაიდან ის ხელს უწყობს უნივერსიტეტების მიერ ინიციატივების მკვეთრად დასახვას და მათი ხარისხის გაუმჯობესება-ეფექტიანობას. მხედველობაში მისაღებია ის ფაქტიც, რომ ინოვაციებზე ორიენტირებული დაფინანსების კომპონენტების წონა და შესაბამისობაც გაიზარდა, კერძოდ,  კონკურენტუნარიანობისა და მიზნობრივი დაფინანსების ფორმით, რომლის საფუძველია ინოვაცია და წარმატებაზე ორიენტაცია.

ამდენად, რეპორტში მიმოხილული საკითხების თანახმად სჩანს, რომ შიდა კრიტერიუმები და ფორმულით დაფინანსება არის მნიშვნელოვანი ლატვიაში, სადაც არსებობს მცირე და

დიდი მესამე მხარის დაფინანსების წყაროები, მათ შორის ევროკავშირის სტრუქტურული ფონდები, რომელიც არ შედის სახელმწიფო დაფინანსების სისტემაში. რაც შეეხება შემდეგ საკითხს, რომელიც მიმოხილულია რეპორტში, ეს არის სტუდენტებისმიერი დაფინანსება, რომელიც გულისხმობს სტუდენტთა წვლილს და სტუდენტების ფინანსური მხარდაჭერის სისტემები (სესხები და გრანტები). საფასურთან და სესხებთან დაკავშირებული საკითხები დასაწყისშივე იმსახურებს კრიტიკას ყველა ქვეყანაში სამართლიანობის კუთხით, თუმცა ამავდროულად, ეს საკითხები სარგებლობს დიდი პოპულარობით ყველა ქვეყანაში, ასევე, სამართლიანობის კუთხით. ,,სწავლის საფასური - ადეკვატურ და სწორად ტარგეტირებულ სტუდენტთა მხარდაჭერის სქემასთან ერთად ქმნის დამატებით შემოსავლებს უნივერსიტეტებისთვის“. (93, 40).

ზოგადად საფასურის პოლიტიკა შესაძლებელია დაიყოს ორად: წინასწარ გადახდა -- სწავლის საფასურის გადავადებული გადახდა და უნივერსალური საფასური - ორმაგი საფასურის გადახდა. წინასწარი გადახდა ხორციელდება უნივერსიტეტში ჩარიცხვისთანავე და საფასურის დონე არ არის დამოკიდებული სტუდენტის, ან მისი ოჯახის შემოსავლების მოცულობაზე. გადავადებული საფასური კი გადაიხდება კურსის დასრულების შემდეგ შემოსავლის მოცულობის მიხედვით, ანუ მას შემდეგ, რაც შემოსავლის დადგენილ მოცულობას მიაღწევს კურსდამთავრებული. შემოსავლის მოცულობის მიხედვით სესხები ასევე არის ძალიან გავრცელებული საფასურის გადავადებისას, რაც იმას ნიშნავს, რომ სტუდენტს შეუძლია ისწავლოს უფასოდ და გადაიხადოს სწავლის საფასური კურსის დამთავრების და სამსახურის დაწყების შემდეგ, ე.წ. „კურსდამთავრებულის გადასახადის“ მეშვეობით მთელი ეკონომიკური სასიცოცხლო ციკლის განმავლობაში. რეპორტის თანახმად, ევროპაში მხოლოდ გაერთიანებულ სამეფოში არსებობს საფასურის გადავადების ზემოთაღნიშნული ფორმა (შემოსავალზე დამოკიდებული სესხი).

იმ სისტემებში, სადაც არსებობს უნივერსალური გადახდის, ან უფასო სწავლების სისტემა, სტუდენტები ან იხდიან, ან არ იხდიან საფასურს, მიუხედავად მათი აკადემიური მოსწრება/დამსახურებისა და შემოსავლების მოცულობისა. იმ სისტემებში, სადაც არსებობს სახელმწიფოს მიერ სუბსიდირებული, ან მთავრობის მიერ დაფინანსებული ადგილები, სტუდენტების რაოდენობას ირჩევს ხელისუფლება მაშინ, როდესაც სხვა ადგილები ხელმისაწვდომია დაბალი აკადემიური მოსწრების მქონე სტუდენტებისთვის საფასურის გადახდის საფუძველზე. უფასო ადგილები ძირითადად ნაწილდება აკადემიური დამსახურების საფუძველზე. თუმცა, ხდება ფინანსური საჭიროების გათვალისწინებაც.

ლატვიის გარდა ევროპის ქვეყნებიდან იგივე გამოცდილებას იზიარებს უნგრეთი, ლიტვა, სლოვენია, სადაც სტუდენტების უმრავლესობა სარგებლობს სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული ადგილებით. ლატვიაში პირველი საფეხურის სტუდენტების 55% და მეორე საფეხურის სტუდენტების 40% იხდის სწავლის საფასურს. (93, 50-51).

რეპორტი გვთავაზობს ანალიზის მეთოდოლოგიას, დაფინანსების კარგი მოდელის კრიტერიუმებს და ასკვნის, რომ ერთი შეხედვით უმაღლესი განათლების დაფინანსების მოდელის სუსტი და ძლიერი მხარეების შეფასება მარტივი ჩანს. თუმცა, ლატვიის უმაღლესი განათლების სისტემის განხილვისა და იმ გზების შეფასების შემდეგ, რომელსაც უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები გადიან, ან ვერ გადიან, ნათელი გახდა, რომ არსებობს ანალიტიკური პრობლემები, მაგ. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესრულება მოიცავს არა მხოლოდ დაფინანსების სტრუქტურასა და დონეს, არამედ ბევრ სხვა ფაქტორს, როგორიცაა საკადრო პოლიტიკა, ხარისხის დაზღვევის სისტემები, ბოლონიის პროცესი, მთავრობის სტრუქტურები და სხვა. შესრულება არის სხვადასხვა ფაქტორთა შედეგი და უაღრესად რთულია მხოლოდ დაფინანსების გავლენის გამოყოფა სხვა ფაქტორებიდან. იმისათვის, რომ გამოიკვეთოს სექტორში დაფინანსების სისტემის შესრულება, ორი მიდგომაა მოცემული რეპორტში: დაფინანსების მოდელი გაანალიზებულია დაფინანსების კარგი მოდელის კრიტერიუმებთან მიმართებაში, რომელიც აღებულია ევროპული გამოცდილებიდან. ევროპული გამოცდილების ანალიზს კი მივყავართ კრიტერიუმების კატალოგთან, რომელშიც შეჯამების გაკეთება შესაძლებელია ასე: "თუ კრიტერიუმი X შესრულდება, მაშინ გვაქვს პოტენციური ეფექტის მოლოდინი Y სფეროში.". ლატვიის დაფინანსების მოდელი გაანალიზებულია მისი ეროვნული პოლიტიკის მიზნებთან მიმართებაში. არსებული სტრატეგიული დოკუმენტიდან, სტრატეგიული მიზნებიდან გამომდინარე ანალიზი აჩვენებს არის, თუ არა დაფინანსების არსებული ელემენტები თანმიმდევრული, ნეიტრალური, ან შეუსაბამო. როგორც რეპორტშია მოცემული, არსებული დაფინანსების სისტემის სუსტი და ძლიერი მხარეების შეფასებისა და ადეკვატური რეფორმების სტრატეგიის რეკომენდაციის მიზნით, უნდა მოხდეს დაფინანსების კარგი მოდელის ნორმატიული კრიტერიუმების შეფასება.

კრიტერიუმები გადაიქცევა ინსტრუმენტებად ემპირიული ანალიზის გასაკეთებლად. კრიტერიუმების ფორმულირება მოახდინა მსოფლიო ბანკის გუნდმა. ეს კრიტერიუმებია:

– საერთაშორისო გამოცდილება და „კარგი" დაფინანსების მოდელის სტანდარტები;
– უკუკავშირი და მოწონება;

– ბენეფიციარების შეფასების გამოვლენა სხვადასხვა კრიტერიუმის მნიშვნელობის კუთხით ინტერვიუების მეშვეობით.

ამდენად, რეპორტი აფასებს ლატვიის უმაღლესი განათლების დაფინანსების სისტემის 6 ძირითად კრიტერიუმს:

– სტრატეგიული ორიენტაცია;
– ინიციატივაზე ორიენტირება;
– მდგრადობა;
– ლეგიტიმურობა;
– ავტონომია და მოქნილობა;
– პრაქტიკული მიზანშეწონილობა.

ეროვნული სისტემის საინფორმაციო ფურცლები (2014-2015), ,,ევროპის უმაღლესი განათლების სტუდენტთა სწავლის საფასური და ეროვნული მხარდაჭერის სისტემები", რომელიც შემუშავებულია ევრო კომისიის მიერ, წარმოადგეს დოკუმენტს, რომელიც მიმოიხილავს უმაღლესი განათლების სწავლის საფასურის მხარდაჭერის სისტემას. (National System Information Sheets 2014-2015), ,,National Student Fee and Support Systems in European Higher Education", Developed by Euro Commission. ინფორმაცია ეხება როგორც კერძო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს, ასევე სახელმწიფო უნივერსიტეტებს. დოკუმენტი მოიცავს ინფორმაციას, სწავლების პირველი და მეორე ციკლის სტუდენტების შესახებ, ვინაიდან დოქტორანტურაში სწავლის ღირებულება არ ფინანსდება. წარმოდგენილ ანგარიშში არ შედის ასევე ინფორმაცია სტუდენტთა საცხოვრებლის, ტრანსპორტირებისა და კვების შესახებ.

დოკუმენტი აღწერს სწავლების საფასურის სხვადასხვა სახეებს, ფორმებს და გამოყოფს დაფინანსების ევროპაში არსებულ ყველაზე განსხვავებულ პოლიტიკებს. ქვეყანათა უმეტესობას, ძირითადად სკანდინავიის ქვეყნებიდან არ გააჩნიათ სტუდენტების სწავლის საფასური. ხოლო იმ ქვეყნებში, სადაც სტუდენტებისთვის სწავლა ფასიანია, პირველ საფეხურზე, ანუ ბაკალავრიატზე აღწევს 5000 ევროს წელიწადში. (52, 7-8). ასეთი ქვეყნებია: ესტონეთი, ირლანდია, ლიტვა, უნგრეთი სლოვენია, გაერთიანებული სამეფო, თურქეთი. თუმცაღა, სიტუაცია ამ უმაღლესი განათლების სისტემებში განსხვავებულია. უნგრეთში, ლიტვასა და სლოვენიაში სტუდენტების უმეტესობა სარგებლობს სახელმწიფო დაფინანსების ადგილებით და არ იხდიან სწავლის საფასურს. სახელმწიფოს მიერ

დაფინანსებული ადგილები ძირითადად ივსება აკადემიური მოსწრების საფუძველზე. ამდენად, აღწერილი სისტემები იმსახურებს კრიტიკას, რადგან დაფინანსების მოდელი არ არის მიმართული სოციალური უთანაბრობისაკენ. დოკუმენტში არსებული მიმოხილვა ცხადჰყოფს, რომ ესტონეთი არის ერთ-ერთი იმ მცირე ქვეყანათაგან, რომელთაც მნიშვნელოვნად შეცვალეს საფასურის სისტემა 2013/2014 წელს, მიაბეს რა სწავლის გადასახადი სწავლის ხარისხს. ყველა სტუდენტი, რომელიც შეძლებს დააგროვოს 30 კრედიტი სემესტრში და 60 კრედიტი წელიწადში ესტონეთში სწავლისას, შეუძლიათ ისწავლონ გადასახადის გარეშე. ამავდროულად, უნივერსიტეტს აქვს უფლება (არა ვალდებულება) დაუწესოს გადასახადი ყოველი კრედიტისათვის ნაკლები კრედიტის მქონე სტუდენტებს. სწორედ ამიტომ, ესტონეთში სწავლის საფასური ორივე საფეხურზე მერყეობს 0-დან 7200 ევრომდე. თურქეთში სწავლის გადასახადი პირველ საფეხურზე არის 540 ევრო, ხოლო მეორეზე 151 ევრო. თუმცაღა, კომერციული ფონდების უნივერსიტეტებში, რომელთაც შეუძლიათ მთავრობისგან მხოლოდ მცირე მხარდაჭერის მიღება, სწავლის საფასურია პირველ საფეხურზე 22 866 და მეორეზე 17 290 ევრო.( 80, 48).

უნდა აღინიშნოს, რომ ინგლისმა გაატარა რადიკალური რეფორმა სწავლის გადასახადისა და მხარდაჭერის სისტემაში 2013 წელს. ასევე, მნიშვნელოვანია ითქვას, გადახდის მოდელი განსხვავებულია სხვა ქვეყნებისგან. ნაცვლად ჩარიცხვისას გადახდისა, სწავლის საფასურის გადახდა ხდება კურსის დასრულების შემდეგ საგადასახადო სისტემის მეშვეობით კურსდამთავრებულის მიერ შემოსავლის გარკვეული რაოდენობის მიღწევის შემდეგ. დოკუმენტში განხილულია ასევე, გრანტები და სესხები. გრანტის ორი ძირითადი ფორმა იკვეთება

- პირველი გაიცემა ფინანსური საჭიროების არსებობისას,
- მეორე აკადემიური დამსახურების საფუძველზე.

საჭიროების მიხედვით გრანტი ხშირად გამოიყენება ევროპულ სისტემებში. მხოლოდ ისლანდია და მონტენეგრო არ იყენებს მსგავს გრანტს. აკადემიური დამსახურების მიხედვით გაცემული გრანტი უფრო იშვიათად გამოიყენება უმაღლესი განათლების სისტემაში. მიმოხილული 39-დან 20 სისტემაში გვხვდება აკადემიურ დამსახურებაზე გასაცემი, კონკრეტული მოცულობის თანხა, და არა სრულად სწავლის გადასახადი.

ზემოხსენებული გრანტის ორივე სახე გვხვდება ბელგიის (ფლამანდიურ ნაწილში), საბერძნეთსა და იტალიაში. რაც შეეხება გადასახადის სისტემას, ესტონეთი არის

ერთადერთი ქვეყანა, რომელმაც განახორციელა მნიშვნელოვანი ცვლილებები სტუდენტთა მხარდაჭერის სისტემაში, რაც გულისხმობს 2013/2014 წლებში აკადემიური დამსახურების მიხედვით გრანტის გაცემიდან გადასვლას საჭიროების საფუძველზე გრანტის გაცემას. ბევრ ქვეყანაში (დანია, ირლანდია, ესპანეთი იტალია, ავსტრია, პორტუგალია, ფინეთი, უელსი, შვეიცარია, ბელგია-ფლამანდიური ნაწილი) გაიცემა მაქსიმუმ 5000 ევრომდე საჭიროების საფუძველზე. გერმანიაში, ლიხტენშტაინსა და ნორვეგიაში არსებობს კომბინირებული სისტემა - ნაწილობრივ გაიცემა გრანტი და ნაწილობრივ დაბრუნებადი სესხი. განხილულია ასევე, სოციალური მდგომარეობის მიხედვით დახმარება. სტუდენტური მხარდაჭერის სისტემა განიხილავს ინდივიდს ცალკე, ან ოჯახთან ერთად, რომელიც საჭიროებს დახმარებას. სკანდინავიურ ქვეყნებში სტუდენტი არ განიხილება ოჯახთან ერთად და იღებს დახმარებას ინდივიდუალურად. თუმცა, ბევრ ქვეყანაში მხარდაჭერა დამოკიდებულია ოჯახის ზოგად მდგომარეობაზე. დახმარების ასეთი ფორმები არსებობს განხილული უმაღლესი განათლების სისტემების თითქმის ნახევარში.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, უმაღლესი განათლების მხარდაჭერის პროგრამები, დაგეგმილი რეფორმები და ზოგიერთი ძირითადი დეტალი არის მიმოხილული დოკუმენტში ქვეყნების მიხედვით. სტუდენტები სახელმწიფო სუბსიდირებულ ადგილებზე არ იხდიან გადასახადს. 55% პირველი საფეხურის და 40% მეორე საფეხურის სტუდენტები იხდიან სწავლის საფასურს. საღამოს კურსებზე, დისტანციურ კურსებზე და ერთობლივ პროგრამებზე ჩარიცხული სტუდენტების უმრავლესობა იხდის სწავლის საფასურს. თითოეული უნივერისტეტს შეუძლია თავად დააწესოს სწავლის საფასური, რომელიც მერყეობს LVL 680 დან 3 400 მდე წელიწადში სრულ განაკვეთზე მსწავლელთათვის და LVL 630 დან 1 460 მდე ნახევარ განაკვეთზე მსწავლელთათვის პირველ საფეხურზე. LVL 800 დან 4 582 მდე სრულ განაკვეთზე მოსწავლეთათვის და LVL 640 დან 2 288 ნახევარ განაკვეთზე მოსწავლეთათვის მეორე საფეხურზე. (80, 24-25).

კოლეჯის პროგრამებსა და მოკლევადიან პროგრამებზე ფასი მერყეობს. LVL 550-დან 900-მდე. თუმცა, უნივერსიტეტები აწესებენ დივერსიფიცირებულ საფასურს და ხშირ შემთხვევაში პირველი სასწავლო წლის საფასური შედარებით დაბალია. სახელმწიფო გრანტები გაიცემა აკადემიური დამსახურების საფუძველზე, რომელიც გამოყოფილია მხოლოდ პრიორიტეტულ მიმართულებებზე, როგორიცაა ამჟერად საბუნებისმეტყველო მეცნიერებები, კომპიუტერული მეცნიერებები და ინჟინერია. სხვა სახელმწიფო გრანტებიც გაიცემა აკადემიური დამსახურების საფუძველზე, თუმცა მხედველობაში მიიღება ასევე

საჭიროების კრიტერიუმი, რომელიც გულისხმობს უნარშეზღუდულ, ან ობოლ ბავშვებს, დიდი ოჯახის შვილებს, ან ეკონომიკურ სიდუხჭირეს. დაახლოვებით 4000 სტუდენტი იღებს სახელმწიფო გრანტს ყოველ სემესტრში. სტუდენტების 12% სწავლობს სახელმწიფო სუბსიდირებულ ადგილებზე (2013/2014). (80, 27).

უმაღლესი განათლების გრანტები გაიცემა ევროპის სოციალური ფონდიდან მაგისტრატურის პროგრამების მხარდასაჭერად. პრიორიტეტული მიმართულებებია: საბუნებისმეტყველო მეცნიერებები, მათემატიკა, ინფორმაციული ტექნოლოგიები, ინჟინერია, ჯანდაცვა, გარემოს მეცნიერებები და კრეატიული ინდუსტრია. 2013/11 წელს მაგისტრატურის სრულ განაკვეთზე პრიორიტეტულ მიმართულებებზე ჩარიცხული სტუდენტების 42%-მა მიიღო გრანტი. ასევე, საგადასახადო შეღავათები უწესდებათ 24 წლამდე ასაკის სტუდენტების მშობლებს. დოკუმენტში მიმოხილულია დაგეგმილი რეფორმებიც. მინისტრთა კაბინეტის ღონისძიებების დეკლარაცია და ლატვიის სტრატეგიული განვითარების გეგმის 2010-2013 თანახმად განათლების სამინისტროს დაევალა ფუნდამენტურად ახალი დაფინანსების მოდელის - შესრულებაზე დაფუძნებული დაფინანსების მექანიზმის პროექტის მომზადება, რაც ასევე შეცვლის სტუდენტების მიერ საფასურის გადახდის სისტემას.

აღნიშნული დოკუმენტი მიმოიხილავს ასევე ლიტვის უმაღლესი განათლების სისტემის დაფინანსების მოდელსა და წყაროებს. სახელმწიფო სუბსიდირებულ ადგილებზე სტუდენტები არ იხდიან გადასახადს. თუმცა, არის გამონაკლისები პროგრამის შეცვლის შემთხვევაში. (თუ ახალ პროგრამაზე ფასი მეტია ვიდრე წინაზე). სწავლის საფასური განსხვავდება სწავლის პროგრამებისა და ფორმების მიხედვით (სრული, ნახევარ განაკვეთიანი). რაც შეეხება მხარდაჭერას, ლიტვაში არსებობს სამი ტიპის სტიპენდია/გრანტი: აკადემიური დამსახურების, სოციალური სტიპენდია და სასწავლო სტიპენდია. სტიპენდიის მოცულობა აკადემიური დამსახურების მიხედვით რეგულირდება თითოეული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ და მერყეობს LTL 20-დან 1040-მდე თვეში. სტიპენდიის მიღების ვადა განისაზღვრება უნივერსიტეტის მიერ და მერყეობს 10-დან 12 თვემდე. სასწავლო სტიპენდია იგივეა, რას სწავლის გადასახადი და განსხვავდება პროგრამების მიხედვით. (80, 28-29).

სოციალური სტიპენდია ხელმისაწვდომია დაბალი სოციალური-ეკონომიკური მდგომარეობის მქონე სტუდენტებისთვის. სტუდენტს შეუძლია მოიპოვოს სტიპენდია წელიწადში ორჯერ. ხოლო, თუ ორივეჯერ დააკმაყოფილებს მოთხოვნებს, მიიღებს მას 12

თვის განმავლობაში. პირველი საფეხურის, ან ინტეგრირებული სწავლების სტუდენტებს, რომელთაც არ უფინანსდებათ სწავლა სახელმწიფოს მიერ, მაგრამ წარჩინებით ასრულებენ მინიმუმ პირველ ორ აკადემიურ წელს შეუძლიათ მოიპოვონ დაფინანსება სწავლის დარჩენილი პერიოდის განმავლობაში. დაახლოებით 2500 სტუდენტი იღებს ასეთ მხარდაჭერას.

2013 წელს სტუდენტთა თითქმის 12%-მა აიღო სტუდენტური სესხი. (5.68%-მა მიღო სახელმწიფოს მიერ მხარდაჭერილი სესხი საცხოვრებელი ხარჯების დასაფარად, 4.32%-მა სწავლის საფასურის დასაფარად). 2%-მა მიიღო სახელმწიფოს მიერ მხარდაჭერილი სესხი კვლევების ნაწილობრივ დასაფინანსებლად დეპარტამენტთაშორისი შეთანხმების თანხმად. (80, 40). მხოლოდ 2009 წლამდე ჩარიცხულებს აქვთ სესხის აღების უფლება. საგადასახადო შეღავათები იმ მშობლებისათვის, რომლებიც იხდიან სწავლის გადასახადს, არის საშემოსავლო გადასახადის ანაზღაურება სწავლის საფასურის 15%-ის ოდენობით. სტუდენტთა მშობლები იღებენ სახელმწიფოს მხრიდან დახმარებას, თუ ჰყავთ 18 წლიდან 3 და მეტი შვილი, ვიდრე ისინი არიან სრული განაკვეთის სტუდენტები და შეუსრულდებათ 24 წელი. (80, 41-42).

ესტონეთის უნივერსიტეტებს ორივე საფეხურზე აქვთ უფლება დააწესონ სწავლის საფასური გარკვეული პირობების გათვალისწინებით. ყველა სტუდენტი, რომელიც შეძლებს დააგროვოს 30 კრედიტი სემესტრში და 60 კრედიტი წელიწადში ესტონურად სწავლისას, შეუძლიათ ისწავლონ გადასახადის გარეშე. თუ სტუდენტი დააგროვებს 29 კრედიტს სემესეტრში, უნივერსიტეტს აქვს უფლება (არა ვალდებულება) დააწესოს გადასახადი თითოეული კრედიტისათვის. სწავლის საფასურს არეგულირებს მთავრობა. კრედიტის მაქსიმალური საფასური არის 50 ევრო. გამონაკლისები დაშვებულია ხელოვნების, მედიცინის, ვეტერინარიის, სტომატოლოგიისა და საავიაციოს მიმართულებებზე, სადაც კრედიტის ღირებულება მეტია. საფასური არ რეგულირდება სახელმწიფოს მიერ უცხო ენაზე სწავლის, ნახევარ განაკვეთზე სწავლისა და კერძო უნივერსიტეტებისათვის, რომლებიც არ იღებენ სახელმწიფო დაფინანსებას. რაც შეეხება მხარდაჭერის პროგრამებს, 2013/14 წლიდან ახალი საგრანტო სისტემა არსებობს, რომელიც საჭიროებაზეა დამყარებული და დამოკიდებულია სტუდენტის, ან მისი ოჯახის შემოსავალზე. გრანტები ხელმისაწვდომია პირველი და მეორე საფეხურის სტუდენტების დაახლოვებით 17-%სთვის. გრანტები ძირითადად გაიცემა დამსახურების საფუძველზე. სრული განაკვეთის სტუდენტებისთვის გაიცემა სახელმწიფო თავდებით სესხი. ესტონეთის მოქალაქეს ცხოვრების უფლებით,

რომელიც სწავლობს სრულ განაკვეთზე კურიკულუმის მიხედვით, 9 თვის შემდეგ აქვს უფლება მოითხოვოს სასწავლო სესხი მაქსიმუმ 1920 ევროს ოდენობით წელიწადში. საგადასახო შეღავათები მშობლებისათვის დამოკიდებულია სტუდენტების სტატუსსა და სამოქალაქო სტატუსზე (ასაკი, სოციალური სტატუსი და სხვა). (80, 48).

საინტერესოა პროფესორების, Enora Bennetot Pruvot–ის, Anna-Lena C.Laeys-Kulik–ის და Thomas Estermann–ის მიერ, ერთობლივად მომზადებული 2013 წლის ნაშრომი: ,,ევროპის უმაღლესი განათლების ეფექტიანი დაფინანსების სტრატეგიის შემუშავება“. (Prof.Dr.Enora–Bennetot Pruvot, Prof.Dr.Anna-LenaClaeys-Kulik, Prof.Dr.Thomas Estermann, (2013), ,,Designing strategies for efficient funding of higher education in Europe”, European Union’s Association. განმარტებულია, რომ EUA – (European University Association) – ევროპის უნივერსიტეტების ასოციაცია არის უნივერისტეტებისა და რექტორების კონფერენციების წარმომადგენლობითი ორგანიზაცია 47 ქვეყანაში, რომელიც თამაშობს გადამწყვეტ როლს ბოლონიის პროცესსა და უმაღლეს საგანმანათლებლო სისტემაში ევროკავშირის პოლიტიკის გატარებაში, კვლევასა და ინოვაციებში. რეპორტში მიმოხილულია უმაღლესი განათლების დაფინანსება შემოსავლის სტრუქტურების მიხედვით, სახელმწიფო დაფინანსების თავისებურებები და შესრულებაზე დაფუძნებული დაფინანსება.

წარმოდგენილი ანალიზი არის ასოციაციის მიმდინარე პროექტის - უმაღლესი განათლების დაფინანსების ეფექტიანობის ნაწილი, რომელიც უზრუნველყოფს მონაცემებისა და რეკომენდაციების მოწოდებას დაფინანსების ეფექტიანობის გაზრდისკენ მიმართული სტრატეგიების შემუშავების მხარდასაჭერად. ავტორები იმედოვნებენ, რომ აღნიშნული საკითხი შეიტანს გარკვეულ წვლილს უმაღლესი განათლების დაფინანსების პოლიტიკის განხორციელებაში და შესაბამისად ხელს შეუწყობს ეფექტიანობას. ასევე, პროექტის მიგნებები დაეხმარება ევროპულ დონეზე უნივერსიტეტებს უპასუხონ მიმდინარე გამოწვევებს უმაღლესი განათლების დაფინანსების სექტორში. ევროპულ უნივერისტეტთა ასოციაცია მუშაობს უნივერსიტეტების ფინანსურ სტაბილურობაზე, ფოკუსირებულია რა შესაძლებლობებსა და გამოწვევებზე შემოსავლების წყაროებთან მიმართებაში და ასევე, ფინანსური მართვის ადეკვატური ინსტრუმენტების განვითარების კუთხით.

აღნიშნულმა ასოციაციამ შექმნა ევროპულ უნივერსიტეტთა ასოციაციის სახელმწიფო დაფინანსების ობსერვატორია სახელმწიფო დაფინანსების ტრენდების მონიტორინგის მიზნით ევროპის მასშტაბით. რეპორტი, თავის მხრივ, უპირველესად მიმართავს ევოლუციას

სახელმწიფო დაფინანსების გზებისკენ და იმ თავისებურებების გაუმჯობესებისკენ, რომელიც აამაღლებს სისტემაში დაფინანსების ეფექტიანობას. 2012 წელს 13 ქვეყანაში შემცირდა დაფინანსების მოცულობა 2008 წელთან შედარებით (ინფლაციის გათვალისწინებით). შესაბამისად, უნივერსიტეტების დაფინანსების წყაროებისთვის მნიშვნელობის მინიჭება არსებითია მათი გრძელვადიანი სტაბილური განვითარებისთვის.

რეპორტის თანახმად, ევროპული ქვეყნები იყოფა ორ ჯგუფად. ერთი, სადაც ვსაუბრობთ სწავლის საფასურზე, როგორც შემოსავლის წყაროზე. საფასურიდან მიღებული შემოსავალი წარმოადგენს უნივერსიტეტების შემოსავლის 5%-ზე ნაკლებს სკანდინავიის ქვეყნებში (ისლანდია, ნორვეგია, შვედეთი, ფინეთი, დანია) ისევე, როგორც ავსტრიაში, ბელგიაში, ჩეხეთში, საფრანგეთსა და გერმანიაში. (48, 7-8).

ესტონეთი არის რეფორმის პროცესში. მან სრულიად გააუქმა საფასური 2013/14 წლებში იმ სტუდენტებისთვის, რომლებიც წარჩინებით დააკმაყოფილებენ კურიკულუმის მოთხოვნებს (30 კრედიტი - სემესტრში). და მეორე ჯგუფი ქვეყნებისა სადაც სწავლის საფასური ძირითადად წარმოადგენს უნივერსტეტების საშუალო შემოსავლების 10%-ს, რაც ნიშნავს, რომ სახელმწიფო დაფინანსების შემდეგ ყველაზე მნიშვნელოვანი შემოსავლის წყაროა სწავლის საფასურის სტუდენტისმიერი დაფინანსება. ასეთი ქვეყნებია: უნგრეთი, ირლანდია, იტალია, ნიდერლანდები, ლატვია, პოლონეთი, სლოვაკეთი და ესპანეთი ისევე, როგორც გაერთიანებული სამეფო. (48, 8).

გამომდინარე იქედან, რომ სწავლის საფასურის მნიშვნელობა უნივერსტეტების საშუალო შემოსავლების სტრუქტურაში დიდია, შემოსავლის წყაროების ვარიაციებიც მოახდენს უნივერსტეტების ფინანსების სტრუქტურაზე გავლენას. ასევე, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ეფექტი უმალ აისახება უნივერსიტეტებზე, რადგან ზრდის, შემცირების, თუ გაუქმების გადაწყვეტილება მიიღება ექსტერნალურად, სახელმწიფო ხელისუფლების მიერ ბევრ ქვეყანაში. როგორც რეპორტშია აღნიშნული, შემოსავლის სხვა წყაროები ხდება მნიშვნელოვანი სტრატეგიული აქტივი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის. „სახელმწიფო დაფინანსებაზე გაზრდილი ზეწოლის პირობებში დღითიდღე უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს უნივერსტეტებისათვის დაფინანსების სხვა ალტერნატიული წყაროების მოძიება გრძელვადიანი ფინანსური სტაბილურობის მიზნით“. (48, 19).

ასეთი შეიძლება იყოს შემოსავლები იჯარიდან, კატერინგის სერვისიდან, საკონსულტაციო სერვისიდან და სხვა. დამატებითი შემოსავლის წყაროები აჭარბებს უნივერსიტეტების საშუალო შემოსავლების 10%-ს. ბოლოდროინდელი სამწუხარო ტენდენცია ზოგ ქვეყანაში გულისხმობს, რომ ეროვნული ხელისუფლება ცდილობს ევროპული ფონდების მიმართვას სახელმწიფო ხარჯების შემცირების კომპენსირებისკენ. ეს არის პრობლემური არა მხოლოდ იმიტომ, რომ მნიშვნელოვანი თანადაფინანსება მოითხოვება, არამედ იმიტომაც, რომ ევროპული ფონდებიდან თანხები გაიცემა კონკურენციის საფუძველზე, კონკურენციაში წარმატება კი მოითხოვს ინსტიტუციონალურ შესაძლებლობებს და რესურსებს, რომელიც თავის მხრივ, დამოკიდებულია ფინანსურ საშუალებებზე.

რეპორტში აღწერილია დაფინანსების მოდელების სახესხვაობანი, რომელიც აპრობირებულია ევროპულ ქვეყნებში. „თუმცა ფორმულაზე დაფუძნებული, ბლოკ გრანტით სახელმწიფო დაფინანსების მიღება ხორციელდება 8 ქვეყანაში, მოლაპარაკებითი ბლოკ გრანტი რჩება მნიშვნელოვან მექანიზმად რიგ ქვეყნებში, როგორიცაა ავსტრია, გერმანია, ესპანეთი. ქვეყნების უმეტესობას გააჩნია დაფინანსების სხვადასხვა მოდელი. ქვეყნებში, სადაც სწავლისა და კვლევისთვის განკუთვნილი ფონდები გასხვავდება ერთმანეთისგან, ფორმულით დაფინანსება არის ერთადერთი გზა სწავლის დასაფინანსებლად, ხოლო კვლევა ფინანსდება ფორმულით, ან „კონკურენტული დაფინანსებით."

შესრულებაზე დაფუძნებული დაფინანსების მექანიზმი რომელიც განხილულია რეპორტში აღიქმება სხვადასხვაგვარად ევროპის მასშტაბით. უმეტეს შემთხვევაში ის ასოცირდება ფორმულით დაფინანსებასთან ისე, რომ არ მიიღება მხედველობაში „შიდა და გარე" კრიტერიუმები, რომელიც ფორმულაშია გამოყენებული. კონკურენტული დაფინანსება ასევე, ხშირად ასოცირდება შესრულებაზე დაფუძნებულ დაფინანსებასთან. სისტემათა უმრავლესობა ევროპაში იყენებს დაფინანსების ორივე მოდელს - ნაწილობრივ შესრულებაზე დაფუძნებულ მოდელს და ნაწილობრივ ფორმულით დაფინანსებას.

განხილულ იქნა პროფესორების Ilga Kreituse–ს და Simona Gurbo–ს საერთაშორისო კონფერენციის რეპორტი (2012), ,,უმაღლესი განათლება რეფორმების ზღვარზე ლატვიაში". (Prof.Dr.Ilga Kreituse and Prof.Dr.Simona Gurbo, (2012), ,,Higher Education in Latvia on the Threshold of Reforms". მასში აღნიშნულია, რომ უმაღლეს განათლებას მოაქვს რეალური და მნიშნვნელოვანი შედეგები ევროკავშირისათვის, რაც მოიცავს უკეთესი შესაძლებლობებისთვის კარის გაღებას და ცხოვრებისეული შანსის მიცემას

ინდივიდებისთვის იმ უპირობო უნარებისა და კვალიფიკაციის შესაძენად, რომელსაც ითხოვს დამსაქმებელი, რაც თავის მხრივ, ევროკავშირის ეკონომიკის გრძელვადიან განვითარებას უზრუნველყოფს.

აშკარაა, რომ უმაღლეს დამთავრებულთა დასაქმებისა და გამომუშავების მაჩვენებლები რჩება მაღალი, სხვებთან შედარებით. ცხადია, რომ ევროკავშირის ეკონომიკის წარმატება რისკის ქვეშ დადგება, თუ კადრების უნარები დამსაქმებელის მოთხოვნას ვერ დააკმაყოფილებს. ევროკავშირის წინაშე მდგარი ეკონომიკური გამოწვევა მოითხოვს, რომ ევროკავშირის ეკონომიკური პოტენციალი იქნას ათვისებული. კურსდამთავრებულთა რაოდენობის ნებისმიერი, გრძელვადიანი, მდგრადი მატება ახდენს გავლენას უმაღლესი განათლების სექტორის დაფინანსებაზე. უნივერსიტეტებისა და მთავრობისათვის მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს ის, რომ დააფინანსონ მაღალკვალიფიციური სტუდენტები ევროკავშირის ეკონომიკური პერსპექტივებისთვის საჭირო რაოდენობით.

აქვე განმარტებულია, რომ ნებისმიერ დაფინანსების მექანიზმი ხელს უნდა უწყობდეს სტუდენტების ხელმისაწვდომობას დაფინანსებაზე. მიუხედავად მათი საფუძვლისა და შერჩეული სასწავლო კურსისა. ევროკავშირის უნივერსიტეტების მუშაობის შემდეგი ეტაპი იქნება პრაქტიკული გადაწყვეტილებების მიღება არსებული გამოწვევების გადასალახად. ცხადია, რომ ევროკავშირმა უნდა წამოწიოს ეს საკითხი იმისათვის, რომ დარჩეს მსოფლიოს ერთ–ერთ მთავარ მოთამაშედ. (70, 2)

გარდა ამისა, რეპორტში დეტალურად გაანალიზებულია უმაღლესი განათლების სისტემის ფინანსური მოდელი. ყურადღება გამახვილებულია განვლილი პერიოდის, (საბჭოთა პერიოდი) უმაღლესი განათლების ეკონომიკურ ნაკლოვანებებზე. როდესაც განათლება იყო აბსოლუტურად უფასო. სახელმწიფო განსაზღვრავდა თითოეულ ფაკულტეტზე ადგილების რაოდენობას. კერძოდ, სამინისტროები აწვდიდნენ მათთვის სასურველი ,,პროფესიონალების“ რაოდენობას თითოეულ სფეროში, რის შემდეგაც ხდებოდა კურსდამთავრებულთა განაწილება ასევე სახელმწიფოს მიერ სამუშაო ადგილებზე 3 წლის ვადით, რაც წარმოადგენდა ერთგვარად ფინანსური კონტრიბუციის გამართლებას.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებს ჰქონდათ ვიწრო სპეციალიზაციები და არსებობდა უნივერსიტეტად წოდებული მხოლოდ ერთი უგდ. აღნიშნულია, რომ ბალტიის ზღვის რეგიონის ქვეყნებში, განათლების რეფორმის შემდეგ დღეს დღეობით, რთულად

მოიძებნება სპეციალიზირებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, ვინაიდან ვიწრო სპეციალობის ინსტიტუტები გადაიქცნენ ფართო სპეციალობების უნივერსიტეტებად. თუმცა, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტრუქტურულმა რეორგანიზაციამ მთლიანად არ მოიცვა მათი ფინანსური მოდელის რესტრუქტურიზაცია. შედეგად, ჯერ კიდევ არიან უნივერსიტეტები, რომლებიც ფინანსურად სამინისტროებზეა მიბმული. რაც წინააღმდეგობაში მოდის უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების ფინანსურ ავტონიმიის კონცეფციასთან.

2006 წლის მინისტრთა კაბინეტის მიერ მიღებული რეგულაციით განისაზღვრა, რომ ფინანსური განაწილება ბიუჯეტიდან უნდა მოხდეს შესრულების ინდიკატორზე დაყრდნობით. მოგვიანებით განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში აუდიტის ჩატარების შემდეგ სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა დაასკვნა, რომ ფინანსური მოდელი არ იყო გამჭვირვალე, ვინაიდან ფინანსები იყოფა საბიუჯეტო დაფინანსების პროგრამებად და ქვე-პროგრამებად, მაგრამ არ არის ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ პროგრამების რეალიზაციაზე. (70, 2-3).

მაშასადამე, ფინანსების განაწილების უმნიშვნელოვანესი პრინციპი არის დარღვეული. „შესრულების ინდიკატორი“ არ არის მხედველობაში მიღებული. ავტორები მიიჩნევენ, რომ სახელმწიფოს მიერ უფასო ადგილების განსაზღვრა არის პრობლემა, ვინაიდან ის უგულებელყოფს კანონით განსაზღვრულ პირობას. თუ უსდ ექვემდებარება კონკრეტულ სამინისტროს, მაგრამ ამავდროულად აგრძელებს ისეთი პროგრამების შეთავაზებას, რომელიც არ უზრუნველყოს პოტენციურად სახელმწიფო შეკვეთას უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის. ავტორების მოსაზრებების თანახმად, ასეთი მდგომარეობა გამოიწვევს საბიუჯეტო სახსრების გახარჯვის სხვადასხვა ინტერპრეტაციას, რის შედეგად მიიღება ურთიერთ საწინააღმდეგო და კითხვის ნიშნების შემცველი ქმედებები. (70, 4).

რეპორტში მიმოხილულია სხვაობა ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტების დაფინანსებას შორის. ბოლონიის პროცესების თანახმად საჭირო გახდა მაგისტრატურის არსებობა, რამაც ხელი შეუშალა სტუდენტების ხელმისაწვდომობას და კონკურენციას შრომის ბაზარზე. კერძოდ, 4 წლიანი საბაკალავრო პროგრამები გახდა 3 წლიანი იმ პერსპექტივით, რომ ემატება ორწლიანი მაგისტრატურა. ავტორები გვთავაზობენ გარკვეულ ცვლილებებს. რეპორტში გაანალიზებულია უმაღლესი განათლების მარეგულირებელი

ნორმები. აქვე აღნიშნულია, რომ კანონმდებლობის თანახმად განათლების პოლიტიკაზე პასუხისმგებელი არის განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. აქ გაურკვეველი ხდება რატომ განსაზღვრავს ნორმატიულ და სამართლებრივ საფუძვლებს განათლების სამინისტრო მაშინ, როდესაც განათლების პრაქტიკული ასპექტების რეალიზაცია და ასევე, საბიუჯეტო ადგილების განსაზღვრა ხდება სხვა სამინისტროების მიერ. იგივე წინააღმდეგობას ვაწყდებით უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ განხორციელებული პროგრამების ხარისხისა და აკრედიტაციის პრაქტიკული შეფასებისას.

უმაღლესი განათლების დაფინანსება სხვადასხვა სამინისტროების მიერ იწვევს ბოლონიის პროცესის განხორციელების სხვა მნიშვნელოვან პრობლემებს. მაგალითად, უმაღლესი განათლების შესახებ კანონის თანახმად, თუ სტუდენტი გადავა ერთი უნივერსიტეტიდან მეორეში და ფაკულტეტსაც შეიცვლის, ის დაკარგავს სახელმწიფო დაფინანსებას და მოუწევს თავად გადახდა. მიუხედავად იმისა, რომ ლატვია განიხილება, როგორც ერთ–ერთი პროგრესული ქვეყანა, როგორც რეპორტშია აღნიშნული, ევროსტატის მიხედვით ლატვიის განვითარების დონე ევროპის სხვა ქვეყნებთან შედარებით დაბალია. ასე რომ, აშკარაა უმაღლესი განათლების დაფინანსების სისტემას ჯერ კიდევ რეფორმები ესაჭიროება. ამ ეტაპზე დაფინანსების რამოდენიმე მოდელის კერძოდ, დაფინანსების კოლეგიალური და საბაზრო მოდელის სრულყოფა ხორციელდება.

პროფ. ვ.დომბროვსკის საერთაშორისო კონფერენციის სტატია - ,,უმაღლესი განათლების დაფინანსება, რა საჭიროა ცვლილება?" (2013), წარმოადგენს მოკლე რეზიუმეს, უმაღლესი საგანმანათლებლო მომსახურების ბაზრის დაფინანსების დივერსიფიცირების მნიშვნელობის შესახებ. (Prof.Dr.V.Dombrovskis, (2013), ,,Financing of higher education, why change anything"). რეპორტი იწყება საინტერესო მიმოხილვით უმაღლესი განათლების დაფინანსების სხვადასხვა სისტემების შესახებ, რომელიც იძლევა მკითხველისთვის საბაზისო სურათს ევროპაში არსებული ვითარების შესახებ. წარმოდგენილია საინტერესო ჰიპოთეზები, რომელიც აანალიზებს დაფინანსების სისტემების სახესხვაობებს და სტუდენტებზე მათ გავლენას. განხილულია ერთი მხრივ, სტუდენტებზე უმაღლესი განათლების დაფინანსების ზემოქმედება და მეორე მხრივ, დაფინანსების სისტემასა და სტუდენტების რაოდენობას შორის კორელაცია.

სტატიაში არგუმენტირებულია მოსაზრებები უმაღლესი განათლების დაფინანსების როგორც სახელმწიფო პოლიტიკის, ასევე უმაღლესი განათლების დაფინანსების კერძო სისტემის

მხარდაჭერის შესახებ. სიღრმისეულადაა ახსნილი საკითხი, თუ რატომ არის მნიშვნელოვანი ინვესტირება უმაღლეს განათლებაში. განხორციელებულია შედარებითი ანალიზი მათი დადებითი და უარყოფითი ფაქტორების შეფასებით. აღნიშნულია, რომ სწავლის დაფინანსების შესახებ ზოგად ხმაურს ემატება არამდგრადი გლობალური ეკონომიკური სიტუაცია, გაზრდილი საჯარო და კერძო სექტორის ვალები.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების დღევანდელი სისტემა ეფუძნება როგორც საბიუჯეტო ადგილების გამოყოფას ცენტრალური დაგეგმვის საფუძველზე, ასევე კერძო დაფინანსებას. სახელმწიფო ფარავს განათლების საფასურს გარკვეული რაოდენობის სტუდენტებისთვის. სახელმწიფოს მიერ სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებული ადგილების რაოდენობას განსაზღვრავს განათლების სამინისტრო. ლატვიის განათლებისა და მეცნიერების მინისტრი რობერტ კილისი კი მიიჩნევს, რომ „სწავლის დაფინანსების სახელმწიფო მხარდაჭერის სისტემა პრობლემურია და საჭიროებს მეტ სრულყოფას“. (55, 2).

აღწერილია სისტემის პრობლემები და არგუმენტირებულია სისტემის შეცვლის სამი მიზეზი:

1. ცენტრალური დაგეგმვის საფუძველზე გამოყოფილი საბიუჯეტო ადგილების არსებობა, რაც ნიშნავს, რომ უმაღლეს სასწავლებლებში ფოკუსირება ხდება ბიუჯეტიდან დაფინანსებაზე, და არა სტუდენტების უნარების გამოვლენასა და დამთავრების შემდეგ სათანადო კვალიფიკაციის მინიჭებაზე. უფრო მეტიც, ვინაიდან საბიუჯეტო ადგილები გამოყოფილია მხოლოდ სახელმწიფო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებში, კონკურენცია სტუდენტებს შორის მცირდება.
2. ერთგვარი დისკრიმინაციის საფრთხე. არსებული სისტემა ერთგვარ დისკრიმინაციას ახორციელებს საზოგადოების არაპრივილეგირებული ფენების მიმართ. დაფინანსების არსებული მოდელის ფარგლებში სახელმწიფო ადგილებზე სწავლის შესაძლებლობა ეძლევათ მდიდარი ოჯახებიდან მომავალ აბიტურიენტებს, რაც იმით აიხსნება, რომ მათ აქვთ უკეთესი შესაძლებლობები ატარონ საკუთარი შვილები უკეთეს სკოლებში, კერძო გაკვეთილებზე და სხვა. შესაბმისად უყალიბდებათ უკეთესი უნარები და სახელმწიფო ადგილების მოპოვების მეტი შანსი აქვთ. არსებული სისტემის ფარგლებში საბიუჯეტო ადგილების დასაფინანსებლად ყველა მოქალაქე იხდის გადასახადების სახით, მათ შორის ისიც, ვინც არასდროს ჩაირიცხება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებაში.
3. უმაღლესი განათლების ადეკვატურად დაფინანსების უუნარობა. არსებული დაფინანსების მოდელი ეფუძნება რა სახელმწიფო საგადასახადო შემოსავლებს, ჩამორჩება თანამედროვე ბაზრის განვითარების ტემპებს, რითაც ხშირ შემთხვევაში სცილდება

თანამედროვე ბაზრის მოთხოვნებს. შედეგად სექტორი ხდება კონკურენტუუნარო. ვინაიდან, საგადასახადო შემოსავლების გაზრდა უახლოეს მომავალში, ნაკლებ სავარაუდოა, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ უმაღლესი განათლების დაფინანსების დონეც დარჩება უცვლელი. (55, 4-5)

სწავლის დაფინანსების მოდელი ეფუძნება იდეას, რომ გაუქმდეს ყველა საბიუჯეტო ადგილი უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, ამავე დროს, თავიდან იქნას აცილებული სისტემის არსებული პრობლემები და შეიქმნას უმაღლესი განათლების ბაზრის ახალი დაფინანსების მოდელი - უმაღლესი განათლების დაფინანსების ისეთი მოდელი, სადაც მცირე რაოდენობით იქნება გამოყოფილი საბიუჯეტო ადგილები და სტუდენტებს ექნებათ სწავლის დაფინანსების ვალდებულება. მსგავსი დაფიანსების მოდელი აპრობირებულია ამერიკის შეერთებულ შტატებში. ამ სისტემის უპირატესობები არის ის, რომ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში არესებობს უამრავი მაღალი დონის რესურსი (მატერიალური, სასწავლო, სამეცნიერო, საკადრო, ადმინისტრაციული და სხვა).

აღნიშნული სიტუაცია, სადაც სწავლის საფასური არის ერთადერთი პასუხისმგებლობა სტუდენტებისთვის, ქმნის თავისუფალ ბაზარს. როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო უმაღლესი სასწავლებლები არიან თანაბარ კონკურენციაში იმ პროგრამების მიხედვით, რომელსაც სთავაზობენ სტუდენტებს. ამ უკანასკნელთ კი აქვთ საშუალება პირადი დაფინანსების ფარგლებში შეარჩიონ სასწავლებელი შრომის ბაზარზე მათთვის საუკეთესო უნარების ათვისების შესაძლებლობის მიხედვით. შესაბამისად, უმაღლეს სასწავლებლებს აქვთ ყველაზე ნიჭიერი და შრომისმოყვარე სტუდენტების მოზიდვის და მათი წარმატებული კარიერისთვის მომზადების შესაძლებლობა. ამერიკის შეერთებული შტატების უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები მუდმივად ხვდებიან მსოფლიო რანგის საუკეთესო უნივერსიტეტებს შორის რეიტინგში. უფრო მეტიც, მათი რეპუტაცია, განსაკუთრებით მიმზიდველს ხდის მათ მსოფლიოში საუკეთესო აკადემიური პერსონალისთვის.

მხოლოდ 2012 წელს სტენფორდის უნივერსიტეტმა მიიღო ერთი მილიარდი დოლარის შემოსავალი ერთი წლის განმავლობაში. უნდა ვაღიაროთ, რა თქმა უნდა, რომ უმაღლესი განათლების ამერიკული დაფინანსების მოდელი უნაკლო არ არის, რასაც ამტკიცებს სწავლის მაღალი საფასური და მასთან დაკავშირებული სესხების ზრდა. 1985 წლიდან, სწავლის საფასურის აშშ-ში ხუთჯერ გაიზარდა საშუალოდ, რამაც გადააჭარბა მოცემული პერიოდის ინფლაციის მაჩვენებელს 2,5-ჯერ. სტუდენტების საერთო ვალმა 2007 წლიდან მიაღწია 1.1

ტრილიონი აშშ დოლარს. მშობლებს შეუმცირდათ შესაძლებლობები სტუდენტთა განათლების დასაფინანსებლად 2008 წლის ფინანსური კრიზისის შემდეგ. (55, 6).

დასკვნით ნაწილში ყურადღება გამახვილებულია უმაღლესი საგანმანათლებლო მომსახურების ბაზრის დაფინანსების კიდევ ერთ მოდელზე. აღნიშნულია, რომ სტუდენტი დაფარავს სწავლის საფასურს სახელმწიფო კრედიტის აღების გზით, რომელსაც თავის მხრივ, გადაიხდის მხოლოდ მას შემდეგ, რაც ისინი მიაღწევენ ფინანსური სტაბილურობის გარკვეულ დონეს. ამჟამად, ასეთი სისტემა წარმატებით მუშაობს ავსტრალიაში, ახალ ზელანდიაში, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში და დიდ ბრიტანეთში.

ქართული საკვლევი ლიტერატურის განხილვის კონტექსტში განხილულ იქნა განათლების პოლიტიკის, დაგეგმვისა და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტის მიერ 2013 წელს ჩატარებული კვლევის ანგარიში (ფინანსური ნაწილი). ბაქრაძე ლ. ,,უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების სტრატეგიული განვითარება საქართველოში, სწავლებისა და კვლევის ინტეგრაცია“. მასში აღნიშნულია, რომ ,,2004 წელს უმაღლესი სასწავლებლების დაფინანსების სისტემა საქართველოში არსებითად შეიცვალა, რაც უპირველეს ყოვლისა, გულისხმობდა უნივერსიტეტების პირდაპირი წესით დაფინანსების ჩანაცვლებას სტუდენტზე მიბმული დაფინანსებით“. (2, 3)

ცვლილებების განხორციელების დროს სისტემის შეცვლის მიზანი იყო უნივერსიტეტებში სტუდენტების მიღების, უმაღლეს სასწავლებლებზე სახელმწიფო თანხების განაწილებისა და განკარგვის პროცესებში არსებული კორუფციული პრაქტიკის აღმოფხვრა. სახელმწიფომ თანდათან მინიმუმამდე დაიყვანა უმაღლესი სასწავლებლების პირდაპირი დაფინანსება და თითქმის მთლიანად ჩაანაცვლა იგი სტუდენტების დაფინანსებით. მიუხედავად იმისა, რომ გარკვეული მსგავსება შეინიშნება ევროპის ქვეყნებში დაფინანსების არსებულ სისტემასთან, რომელშიც უნივერსიტეტების დაფინანსების ფორმულის უმთავრეს კომპონენტს სასწავლებელში სტუდენტების რაოდენობა წარმოადგენს, დაფინანსების ეს მექანიზმი მაინც საგრძნობლად განსხვავებულია. უპირველეს ყოვლისა, სახელმწიფოს მიერ თითო სტუდენტზე გაცემული თანხა ფარავს მხოლოდ ე.წ. სწავლების საფასურს.

გარდა ამისა, სახელმწიფო გასცემს დაფინანსებას არა სტუდენტთა რაოდენობის, არამედ ერთიან ეროვნულ გამოცდებზე წარმატებულ სტუდენტთა რაოდენობის მიხედვით. დანარჩენმა სტუდენტებმა კი სწავლების საფასური თავად უნდა დაფარონ. საქართველოში

განათლების სახელმწიფო დაფინანსება სხვა პრიორიტეტულ მიმართულებებთან შედარებით 2000-იან წლებში ნაკლებად გაიზარდა. საკუთრივ უმაღლესი განათლებისა და კვლევის დაფინანსების დინამიკიდან ჩანს, რომ ჯამური დაფინანსების წილმა 2000-2005 წლებში ოდნავ იმატა, მაგრამ უკანასკნელ წლებში ისევ შემცირდა. კლება განსაკუთრებით საგრძნობი იყო კვლევების მიმართულებით. 2005 წლის მაჩვენებელთან შედარებით 2011 წელს მშპ-ში კვლევის დაფინანსების წილი ორჯერ შემცირდა. (2, 3-4).

ანალიზის შედეგად, ნათლად გამოჩნდა, რომ უმაღლესი განათლებისა და სამუშაო ბაზრის ურთიერთმიმართების შესახებ ინფორმაცია საქართველოში დღეისათვის ძალიან მწირია. ამ დეფიციტს პირველ რიგში განაპირობებს ის, რომ ეროვნულ დონეზე არ არსებობს სისტემური მიდგომა ბაზრისა და განათლების სიტემის ურთიერთკავშირის ანალიზისათვის. საჭირო ცვლადები არ არის ინტეგრირებული ისეთ მნიშვნელოვან ინსტრუმენტებში, როგორებიცაა მოსახლეობის აღწერის კითხვარები, შინამეურნეობის კვარტალური კვლევის ინსტრუმენტები.

ასევე აღსანიშნავია, რომ ექსპერტების გარკვეული ნაწილი უარყოფითად აფასებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ დაფინანსების უფლების მოპოვებას პროგრამული აკრედიტაციის საფუძველზე, რადგან აღნიშნულმა პროცესმა შეიძინა ფორმალური ხასიათი და ვერ იქცა ხარისხის განვითარების რეალურ მასტიმულირებელ ძალად, რასაც შესაბამისი სტატისტიკური მონაცემებიც ცხადჰყოფს. უნივერსიტეტების ავტონომიურობისა და აკადემიური თავისუფლების თვალსაზრისით მნიშვნელოვანი პრობლემაა სხვადასხვა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით დაფუძნებული უნივერსიტეტებისათვის უფლებამოსილებების კანონით არაერთგვაროვანი რეგლამენტაცია.

განსხვავებულია მათი ავტონომიის დონეც. აუცილებელია, რომ უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების განვითარების გრძელვადიანი სტრატეგია ქვეყნის სოციალური და ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის საფუძველზე შემუშავდეს და ამავე დროს, მკაფიოდ განსაზღვროს შესაბამისი ფინანსური რესურსები. უნდა დაიგეგმოს მშპ-სთან დაკავშირებით უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების დაფინანსების სტაბილური ზრდა. სოციალური სამართლიანობის პრინციპის განხორციელებისათვის უნდა გაუმჯობესდეს სოციალურად დაუცველი ფენების ფინანსური მხარდაჭერის სისტემა.

სახელმწიფო და კერძო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების კანონმდებლობით უზრუნველყოფილი უნდა იქნას თანაბარი კონკურენტული გარემო, ავტონომიის მაღალი ხარისხი და აკადემიური თავისუფლება, ასევე ეფექტური ანგარიშვალდებულების სისტემის ფუნქციონირება. სწავლებისა და კვლევის ერთიანობის პრინციპის განხორციელებისათვის უნივერსიტეტებში უნდა ჩამოყალიბდეს სადოქტორო განათლების შესაბამისი სტრუქტურები (სადოქტორო სკოლები). უნდა განისაზღვროს ქვეყნის სამეცნიერო პრიორიტეტები და უზრუნველყოფილი იქნას დოქტორანტურის ინტერნაციონალიზაცია მიზნობრივი დაფინანსების გზით.

მასში ასევე განხილულია უმაღლესი განათლების ფინანსური მხარდაჭერის მოდელები ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა გაერთიანებული სამეფო, გერმანია და ესტონეთი. აღნიშნულია, რომ ინგლისში საჯარო თანხები ნაწილდება დუალური სისტემით: საბაზო და საგრანტო. ინგლისში მთავრობა არის უნივერსიტეტების ერთ-ერთი ძირითადი დამფინანსებელი. 2010-2011 წლისათვის სწავლა და კვლევა დაფინანსდა 7,4 მლრდ ფუნტით. უმაღლეს სასწავლებლებს შორის აღნიშნული თანხის განაწილება უმაღლესი განათლების აქტით (1992) ინგლისის უმაღლესი განათლების დაფინანსების საბჭოს (HEFCE) ვალდებულებაა. (2, 4-5).

ამასთან, ის ვალდებულია დააფინანსოს ხარისხიანი კვლევა და სწავლება. განმარტებულია, რომ HEFCE საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხისთვის იყენებს ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოს (QAA) შეფასებებს, ხოლო კვლევების შესაფასებლად კი ე.წ. კვლევების შეფასების ჩარჩოს (RAE/REF), რომელიც საექსპერტო შეფასებაზეა (per review) დაფუძნებული. HEFCE-ს ხარისხზე დაფუძნებული ბლოკ-გრანტი არის სწავლებისა და კვლევების სტაბილური განვითარების საფუძველი. ეს დაფინანსება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების შემოსავლების 40%-მდეა. უმაღლესების შემოსავლების მეორე მნიშვნელოვანი წყარო სწავლის გადასახადია. (2, 5).

არსებობს პროექტულ დაფინანსებაზე ორიენტირებული 7 სხვადასხვა მიმართულების „კვლევების საბჭო". გაერთიანებული სამეფოში 2011 წლის მონაცემებით მშპ-ს 1,75% დაიხარჯა კვლევასა და განვითარებაზე, რაც საშუალო ევროპულზე დაბალი მაჩვენებელია, თუმცა უნივერსიტეტები ჯერჯერობით ინარჩუნებენ მსოფლიო მოწინავე პოზიციებს. (2, 5-6).

საინტერესოა გერმანიის მაგალითიც. გერმანიაში უნივერსიტეტების მხარდაჭერის სამდონიანი სისტემა მოქმედებს: (საბაზო, საგრანტო დაფინანსება და ე.წ. ექსელენს

ინიციატივა). საბაზო დაფინანსების შემთხვევაში, გერმანიის მთავრობა უზრუნველყოფს უნივერსიტეტების სტაბილურ განვითარებას და უნივერსიტეტებსა და საუნივერსიტეტო კვლევების მთავარი დამფინანსებელია. კერძო ფინანსება მნიშვნელოვანია და 16-20%-ს შეადგენს.(2, 5-6). უნივერსიტეტსა და მიწის სამინისტროს შორის გაფორმებული მიზნობრივი ხელშეკრულების საფუძველზე შემუშავებული უნივერსიტეტის წლიური ბიუჯეტი არის მიწის ბიუჯეტის შემადგენელი ნაწილი და მტკიცდება შესაბამისი მიწის პარლამენტის მიერ. პროფესორებისა და მეცნიერების სახელფასო სარგოები უნიფიცირებულია. საგრანტო დაფინანსების შემთხვევაში მეცნიერების მხარდაჭერა ხორციელდება სხვადასხვა ორგანიზაციისა და კომპანიის მიერ (მ.შ. უმსხვილესი - DFG, DAAD, BMBF, BOSCH, VOLKSWAGEN). (2, 6).

მიზნობრივი საგრანტო დაფინანსება – ექსელენს ინიციატივა არის მესამე დონის მხარდაჭერა და ითვალისწინებს სტაბილურად განვითარებადი, მაღალი რეიტინგის უნივერსიტეტების მიზნობრივ დაფინანსებას კონკურსის საფუძველზე სამი მიმართულებით: სადოქტორო სკოლები, ექსელენს კლასტერები, საუნივერსიტეტო კვლევითი სტრატეგიები. გერმანული მეცნიერების მსოფლიოში წამყვან მეცნიერებად წარმოჩენის მიზნით.

პირველი ფაზა (2006-2011 წწ) მოიცავდა 1,9 მლრდ ევროს; მეორე ფაზა (2012-2017) – 2,7 მლრდ ევრო. ძლიერი კვლევითი უნივერსიტეტების გვერდით არსებობს რამდენიმე სამეცნიერო საზოგადოება, მათ შორის აღსანიშნავია მაქს პლანკის საზოგადოება. მისი მისიაა მსოფლიოში წამყვანი კვლევების განხორციელება. მისიიდან გამომდინარე მაქს პლანკის ინსტიტუტები იქმნება მხოლოდ და მხოლოდ მსოფლიოში წამყვან მკვლევართა გარშემო. R&D დაფინანსებამ გერმანიაში 2011 წელს მშპ-ს 2,87% შეადგინა, რაც საშუალო ევროპულ მაჩვენებელზე მაღალია და ევროკავშირის მიზანი - 2020 წლისთვის მშპ-ს 3%-ის მიღწევა კვლევასა და განვითარებაზე - მისთვის იოლად დასაძლევია. (2, 6-7).

ამდენად, გერმანიაში უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების სტაბილური განვითარების საფუძველს სახელმწიფოს უხვი საბაზო დაფინანსება უზრუნველყოფს. მეცნიერების ხელშემწყობი საგრანტო და მიზნობრივი დაფინანსება კი სტაბილურად განვითარებადი უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების საერთაშორისო დონეზე წარმატების მიღწევის დამატებითი სტიმულია.

შთამბეჭდავია ესტონეთის განათლებისა და მეცნიერების სისტემის განვითარების მაღალი ტემპი. სისტემის გარდაქმნა დაიწყო 90-იანი წლების დასაწყისში. 1997 წ. კვლევებისა და განვითარების აქტით შეიქმნა სამართლებრივი საფუძველი კვლევითი ინსტიტუტების უნივერსიტეტებთან გაერთიანებისათვის. ინსტისტუტებს მიეცათ 6-თვიანი ვადა გადაწყვეტილების მისაღებად. მათი უმეტესობა შეუერთდა უნივერსიტეტებს. 2005 წლისთვის ჰუმანიტარული და სოციალური მიმართულების ინსტიტუტები შეუერთდნენ ტალინის უნივერსიტეტს. (2, 7).

2005 წლიდან შეიქმნა სადოქტორო სკოლები. 2009 წელს 2009-2015 წწ. ვადით მიზნობრივი დაფინანსებით (16,5 მლნ ევრო) შეიქმნა ახალი 13 სადოქტორო სკოლა, რომლებშიც ჩართულია ექვსივე სახელმწიფო უნივერსიტეტი. სკოლების მიზანია აამაღლოს ხელმძღვანელობის ხარისხი, ხელი შეუწყოს ინტერდისციპლინურობას და გაზარდოს საერთაშორისო და ეროვნული კოოპერაცია. (2, 7-8).

სამეცნიერო კვლევების დაფინანსება ხორციელდება საბაზო, საგრანტო და მიზნობრივი დაფინანსების სისტემით. განათლებისა და მეცნიერების განვითარების სტრატეგიული გეგმის 10-წლიანი პრიორიტეტები არის დაფინანსების ერთ-ერთი საფუძველი. საბაზო დაფინანსების საფუძველია სამეცნიერო კვლევების შეფასება. უმაღლესი განათლება და კვლევა ექვემდებარება გარე შეფასებას. შეფასების ერთ-ერთი გამორჩეული ნიშანი მისი ინტერნაციონალიზაციაა.

კვლევების მეორე შეფასება, რომელიც უკვე მყარ სამართლებრივ ბაზას ეფუძნებოდა, განხორციელდა 2000-2003 წლებში საექსპერტო შეფასების პრინციპით. შეფასება განახორციელა 46 ჯგუფმა (200 უცხოელი ექსპერტი 18 ქვეყნიდან). 2010 წლიდან განისაზღვრა კვლევითი საქმიანობის რეგულარული შეფასება ყოველ 7 წელიწადში. მიდგომა: ნებაყოფლობითობა, მოიცავს მთელ R&D სისტემას. სწრაფი, დაბალი ღირებულების, ნაკლები ბიუროკრატია - ეფუძნება არსებულ ინფორმაციას - ესტონეთის კვლევების საინფორმაციო ბაზას.

შეფასებას ატარებენ უცხოელი ექსპერტები. შეფასების შედეგად წვდომა საჯარო ფინანსებზე; უმაღლესი განათლებისათვის კი კვლევების შეფასება სადოქტორო განათლების განხორციელების წინაპირობაა. კვლევების უმეტესობა ხორციელდება უნივერსიტეტებში. ყველაზე დიდი საჯარო კვლევითი უნივერსიტეტია ტარტუს უნივერსიტეტი. მასზე მოდის

ISI Web of Knowledge-ზე არსებული ესტონელ მეცნიერთა ნაშრომების 50%-ზე მეტი. უმაღლეს სასწავლებლებს შორის კვლევა კონცენტრირებულია ორ უნივერსიტეტში. ტარტუსა და ტალინის ტექნოლოგიურ უნივერსიტეტებზე მოდის ესტონეთის კვლევებისა და განვითარების 70% (მათ შორის პუბლიკაციები, პატენტები, სადოქტორო დისერტაციების დაცვა, შემოსავალი საკონტრაქტო კვლევებიდან). (2, 8).

ევროსტატისტიკის მიხედვით, ესტონეთის მიერ 2011 წელს კვლევაზე დახარჯული თანხები მშპ-თან დაკავშირებით შთამბეჭდავი და საშუალო ევროპულ მაჩვენებელზე (2.03%) მაღალია. ამ მონაცემებით უსწრებს გაერთიანებულ სამეფოს და უპირობო ლიდერია ყოფილ ბალტიისპირეთის რესპუბლიკებში.

ამდენად, წინამდებარე კვლევის ანგარიშზე დაყრდნობით, მისი ანალიზის შედეგად, შეგვიძლია მივიჩნიოთ, რომ უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების დაფინანსების მექანიზმები ეტაპობრივად უნდა შეიცვალოს. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებმა სასწავლო გრანტების გარდა უნდა მიიღონ სპეციალური ფორმულის საფუძველზე დაანგარიშებული ბლოკგრანტები, ხოლო გრძელვადიან პერსპექტივაში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების დაფინანსების სისტემა მთლიანად ბლოკგრანტებით დაფინანსებაზე უნდა გადავიდეს.

ბლოკგრანტის დასაანგარიშებლად გამოყენებული ფორმულა უნდა შედგებოდეს როგორც რესურსების, ასევე შედეგების ინდიკატორებისაგან. ფორმულა უნდა ითვალისწინებდეს ისეთ კომპონენტებს, როგორებიცაა: სტუდენტებისა და პერსონალის რაოდენობა, აკადემიური პერსონალის კვალიფიკაცია, საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხი. კვლევითი ბლოკგრანტის მოცულობა კი უნდა განისაზღვროს ისეთი პარამეტრების გათვალისწინებით, როგორებიცაა: პუბლიკაციებისა და დაცული დისერტაციების რაოდენობა, მონაწილეობა საერთაშორისო კვლევით პროექტებში და სხვა.

საინტერესოა ექსპერტთა ჯგუფის: ნინო ჯავახიშვილის – (ჯგუფის ხელმძღვანელი), გვანცა ჯიბლაძის, ნატალია ხუჯაძის და ლია ძაგანიას მიერ, 2011 წელს ევროკავშირის დაფინანსებით და ევროკავშირის უმაღლესი განათლების განვითარების ხელშემწყობი პროგრამის TEMPUS–ის მხარდაჭერით განხორციელებული უმაღლესი საგანმანათლებლო მომსახურების ბაზრის კვლევის ანგარიში, ,,სტუდენტების დასაქმების ხელშეწყობა საქართველოს უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების მიერ“

.

კვლევის ანგარიშში ფართოდაა განხილული კარიერის პროგრამების პოლიტიკის მნიშვნელობა. წარმოდგენილია ევროპისა და მსოფლიოს სხვადასხვა განვითარებული ქვეყნების: (გერმანია, ხორვატია, იაპონია, ავსტრალია, აშშ, კანადა, დიდი ბრიტანეთი) ძალზედ მდიდარი გამოცდილება. სიღრმისეულად შესწავლილია პრინციპულად მნიშვნელოვანი საკითხები როგორიცაა:

– დამსაქმებლის შეხედულება კარიერის სამსახურზე;
– დამსაქმებლის თანამშრომლობა უმაღლეს სასწავლებლებთან;
– დასაქმებისათვის საჭირო უნარები;
– დასაქმებისათვის საჭირო უნარების განვითარება და სხვა; (12, 3-4)

ვრცლად არის დახასიათებული კარიერის სამსახურების ფუნქციონალური დატვირთვა, უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში. შესწავლილია სფეროს პრობლემატური საკითხები და გაკეთებულია შემდეგი მიმართულების ანალიზი:

– კარიერის სამსახურის მიღწევები და ეფექტურობა;
– უმაღლეს სასწავლო დაწესებულებების ურთიერთობა დამსაქმებელთან, (კერძო ბაზარი);
– აღნიშნული სფეროს სტრატეგიული პოლიტიკა, ზრუნვა საჭირო უნარების განვითარებაზე. (12, 4-5)

განხორციელებულია საქართველოს კარიერის პროგრამების პოლიტიკის შედარებითი ანალიზი, მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების გამოცდილების გათვალისწინებით და გამოკვეთილია საკვანძო საკითხები, კერძოდ:

– როგორ ესმით უმაღლესი სასწავლებლების წარმომადგენლებს და დამსაქმებლებს კარიერის სამსახურის არსი?
– კარიერის სამსახურის არსებობის შემთხვევაში, რა არის მათი ძირითადი ფუნქციები და სერვისები?
– რა მიღწევები აქვს უნივერსიტეტში კარიერის სამსახურს და რამდენად ეფექტურია ის?
– თანამშრომლობენ თუ არა დამსაქმებლები და უმაღლესი სასწავლებლები და რა სახის არის ეს თანამშრომლობა?
– რა უნარებს ითხოვენ ძირითადად დამსაქმებლები შერჩევისას?

– რა უნარების განვითარებაზე უნდა ზრუნავდეს უმაღლესი სასწავლებელი სტუდენტების დასაქმების ხელშეწყობისთვის?

– რა უნარების განვითარებაზე ზრუნავს უნივერსიტეტი და რა გზებით? (12, 6)

წარმოდგენილია დასკვნები და მნიშვნელოვანი რეკომენდაციები:

– კარიერის სამსახურები ჯერ კიდევ არ არის განვითარებული ყველა უმაღლეს საწავლო დაწესებულებაში, მიზანშეწონილია საკითხის სამართლებრივ ჩარჩოში მოქცევა;

– დამსაქმებელს უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების აბსოლუტური უმრავლესობის მიმართ გააჩნიათ ინდიფერენტული დამოკიდებულებაა კოოპერირების კუთხით. უნდა მოხდეს განათლების ხარისხის ზრდა და კავშირურთიერთობების გარმავება;სტუდენტთა დასაქმების ხელშეწყობა ზოგიერთ უმაღლეს სასწავლებელში არ წარმოადგენს უნივერსიტეტის ერთიანი პოლიტიკის შემადგენელს, მიზანშეწონილია საკითხის ცენტრალიზაცია;

– უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში, შეინიშნება საკადრო პრობლემები კარიერის სამსახურებში. უნდა მოხდეს კადრების ფორმირება მკაცრი საკონკურსო პირობების გათვალისწინებით;

– დამსაქმებელთან ურთიერთობები და თანამშრობლობა უმეტეს შემთხვევაში მაინც პირად კონტაქტებზეა დაფუძნებული და არაფორმალურ ხასიათს ატარებს. მიზანშეწონილია ურთიერთობების სამართლებრივ ჩარჩოში მოქცევა. (12, 13-14).

განხილულ ქართულ სამეცნიერო პუბლიცისტიკაში უაღრესად საინტერესოა განათლების პოლიტიკის დაგეგმვისა და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტის (საქართველო) 2013 წლის კვლევის ანგარიში. მაჩაბელი გ, ანდღულაძე ნ, ბრეგვაძე თ, აფხაზავა რ, ,,უმაღლესი განათლების გავლენა სამუშაო ძალის ფორმირებაზე“. კვლევაში მიმოხილულია ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიცა: განათლების სფეროში ინვესტიციებისა და განათლებაში ჩართულობის მაჩვენებლები. კრიტიკულადაა გაანალიზებული ისეთი პრობლემები, როგორიცაა უმაღლეს განათლების დაფინანსება და სახელმწიფო და კერძო ინვესტიციების უკუგება და მიზანშეწონილობა უმაღლესი განათლების სფეროში. შეჯერებულია სტრატეგიული მიმართულებებიც:

– უმაღლესი განათლების უკუგება;

– განათლების ეკონომიკური და სოციალური ეფექტის საზომები;

– განათლება და სამუშაო ძალა საქართველოში;

– უმაღლესი განათლება და უმაღლესი საგანმანათლებლო მომსახურების ბაზრის სტრუქტურა;

– სოციალური თანასწორობა შემოსავლებსა და დასაქმებაში. (6, 5-6).

კვლევის ანალიზით ირკვევა, რომ განათლების უკუგება (ამონაგები განათლებაზე გაწეული ინვესტიციებიდან) წარმოადგენს განათლებაზე გაწეული (საზოგადოებრივი და კერძო) დანახარჯებისა და განათლებიდან მიღებული საზოგადოებრივი და პირადი ფინანსური სარგებლის მიმართებას განათლების დონეების მიხედვით.

კერძო უკუგების ანალიზი ემყარება სტუდენტის მიერ განათლებაზე გაწეული დანახარჯებისა და მის მიერ მიღებული სახელფასო სარგებლის (გადასახადების დაფარვის შემდეგ) შედარებას. როგორც, კვლევაშია გადმოცემული, განათლებიდან საზოგადოებრივი ამონაგები წარმოადგენს სახელმწიფოს ან საზოგადოების მიერ გაწეული ხარჯების შეფარდებას დასაქმებიდან მიღებულ შემოსავლებთან (გადასახადებამდე).

განათლებიდან საზოგადოებრივ სარგებლის მაჩვენებელს იყენებენ განათლებაზე სახელმწიფოს მიერ გაწეული ხარჯების ეფექტურობის შესაფასებლად ფარდობითი სარგებელი განათლების დონეების მიხედვით. ამ მაჩვენებლის გამოსაანგარიშებლად საზოგადოებრივ და კერძო სარგებელს (ნამატს შემოსავლებში და დასაქმების შანსების ნამატს) ადარებენ განათლების დონეების მიხედვით.

ათვლის წერტილს, როგორც წესი, საშუალო განათლება წარმოადგენს. უმაღლეს განათლებაზე გაწეული ინვესტიციებიდან ამონაგების შესახებ პირველი კვლევის შედეგები 1967 წელს გამოჩნდა სამეცნიერო ჟურნალებში და მექსიკის, იტალიის, შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის შედეგებს განიხილავდა. მკვლევართა აზრით, მსოფლიოს ათობით ქვეყანაში ჩატარებული ეს კვლევები გვიჩვენებს შემდეგს:

– საშუალოდ, ერთი დამატებითი განათლების წლიდან ამონაგები 10 პროცენტზე მაღალია;

– ამონაგები განათლებაზე მნიშვნელოვნად განსხვავდება ქვეყნის განვითარების დონის მიხედვით და იგი ყველაზე მაღალი დაბალშემოსავლიან, ყველაზე დაბალი კი მაღალშემოსავლიან ქვეყნებშია;

– განათლებიდან კერძო უკუგება მაღალია საზოგადოებრივ უკუგებაზე;

– განათლებაზე ინვესტიციებიდან ამონაგებზე, სხვა საქონლისა და მომსახურების მსგავსად, მოქმედებს მიწოდების ზრდაც და შესაბამისად, განათლების საშუალო დონის ზრდასთან;

– განათლებიდან ამონაგები უფრო მაღალია ქალებისთვის. მაგრამ გამონაკლისი დაწყებითი განათლებაა, სადაც კაცებში ამონაგები უფრო მაღალია (კაცებში 20% და ქალებში - 13%);

– განათლებაში ინვესტიციებიდან ამონაგები აჭარბებს ზოგიერთი სხვა ტიპის ინვესტიციებიდან ამონაგებს. (6, 7-8).

ძირითადი სამუშაო ლიტერატურის განხილვამ წარმოაჩინა უაღრესად საინტერესო გარემოება. გასული საუკუნის ბოლო პერიოდიდან ჩნდება უმაღლესი განათლების აღქმისა და განვითარების თვისობრივად ახალი მიდგომები და მეთოდები. იბადება ერთიანი ევროპული საგანმანათლებლო სივრცის შექმნის იდეა, რომლის მთავარი პათოსია ის, რომ ინვესტიცია უმაღლესი განათლების სფეროში სხვა არაფერია, თუ არა ინვესტიცია ქვეყნის მომავალში. თანამედროვე მსოფლიოში ქვეყნის კონკურენტუნარიანობის მთავარ განმსაზღვრელ ფაქტორად მიჩნეულია, სწორედ კონკურენტუნარიანი უმაღლესი საგანმანათლებლო მოსახურების ბაზრის ფორმირება.

როგორც დავინახეთ, ავტორთა ნაშრომები თვისობრივად განსხვავდება ერთმანეთისაგან, თუმცაღა ძირითადი კონცეპტუალური შინაარსი ერთია. ევროპული ქვეყნების უმაღლესი საგანმანათლებლო სისტემის განვითარება ორ ძირითად ასპექტს უკავშირდება როგორიცაა, შიდა და გარე ფაქტორების როლი და მნიშვნელობა. შიდა ფაქტორი წარმოდგენილია განათლების ხელმისაწვდომობით, ხარისხის მართვით და განათლების უზრუნველყოფით და გარე ფაქტორი წარმოდგენილია მსოფლიო თანამეგობრობის გამოწვევების რეალიზაციითა და მასიური უმაღლესი განათლების მხარდაჭერით.

განხილულ ლიტერატურაში, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ეროვნული და ეთნიკური კულტურის მნიშვნელობას, მათ თავსებადობას მსოფლიო კულტურასთან და წეს–ჩვეულებებთან. აქცენტები გაკეთებულია ისეთ ფასეულობებზე, როგორიცაა:

– ცოდნის აუცილებლობის მნიშვნელობა;

– ინტერნაციონალური კულტურის ამაღლება;

– თვითკრიტიკისა და კონკურენტუნარიანობის ამაღლება, რათა თითოეულმა მოქალაქემ შეძლოს თვითდამკვიდრება ახალი რეალობის პირობებში და მოახდინოს საკუთარი თავის რეალიზაცია.

– ადამიანის თვითშეგნება და კეთილსინდისიერება;

– დამოუკიდებლობა და პატრიოტიზმის მნიშვნელობა;

– სამოქალაქო საზოგადოებაში ურთიერთობის უნარ-ჩვევების განვითარება და სხვა.

# თავი 2. მეთოდოლოგია და კვლევის აღწერა

## 2.1 კვლევის სტრატეგია და კვლევის აღწერა.

სადისერტაციო კვლევის ფარგლებში 2015 წელს, უმაღლესი საგანმანათლებლო მომსახურების ბაზრის საძიებო, სამეცნიერო–თეორიული საკითხების შესასწავლად და გასაანალიზებლად დაიგეგმა და დამოუკიდებლად განხორციელდა 3 (სამი) ურთიერთშემხვედრი კვლევა. ჩატარებულ იქნა საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების, დამსაქმებლებისა და კურსდამთავრებულების კვლევები.
საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების კვლევის მიზანი იყო საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების კონკურენტუნარინობის შესწავლა და ანალიზი. კვლევის პროცესისათვის განსაზღვრულ იქნა უმაღლესი საგანმანთლებლო დაწესებულებების შერჩევის კრიტერიუმები:

– უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების გეოგრაფიული ადგილმდებარეობა;
– უმაღლესი საგანმანთლებლო დაწესებულებებში სტუდენტთა რაოდენობა;
– უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი;
– უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის საფასური.

იმდენად, რამდენადაც კანონი უმაღლესი განათლების შესახებ აწესრიგებს მთლიანად საქართველოში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანთლებლო და სამეცნიერო–კვლევითი საქმიანობის განხორციელების პროცესს, უმაღლესი განათლების მართვისა და დაფინანსების პრინციპებსა და წესს, ადგენს ყველა უმაღლესი საგანმანთლებლო დაწესებულებების სტატუსს, მათი დაფუძნების, საქმიანობის, რეორგანიზაციის, ლიკვიდაციისა და აკრედიტაციის ნორმებს, კვლევის პროცესში, მიზანშეწონილად ჩავთვალეთ, უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების შერჩევა გეოგრაფიული ადგილმდებარეობის მიხედვით, რათა განსახორციელებელი კვლევის ფარგლებში მთლიანად ყოფილიყო მოცული საკვლევი სფერო, როგორც ცენტრის ასევე, რეგიონების დონეზე, რაც თავისმხრივ უფრო სრულყოფილ სურათს შექმნიდა კერძო სექტორში, უმაღლესი საგანმანათლებლო მომსახურების ბაზარზე არსებულ, კონკურენტუნარიანობის არსებით პრობლემებთან დაკავშირებით.

გარდა ამისა, გეოგრაფიულ ადგილმდებარეობას აქვს კიდევ მეორე გადამწყვეტი ფაქტორი, რაც აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს ნებისმიერმა მკვლევარმა. ეს არის

დაინტერესებული მხარისათვის, (აბიტურიენტი–პოტენციური სტუდენტი) ხელსაყრელი პირობების არსებობის ფაქტორი. კერძოდ ცენტრში მაცხოვრებელი, აბიტურიენტების უმრავლესი ნაწილისათვის, უფრო ხელსაყრელია უმაღლესი განათლება მიიღონ სწორედ ქალაქიდან გაუსვლელად და პირიქით რეგიონში მაცხოვრებელთათვის, ასევე ხელსაყრელ ფაქტორს წარმოადგენს უმაღლესი განათლების მიღების შესაძლებლობა რეგიონიდან გაუსვლელად.

სტუდენტთა რაოდენობა უმაღლესი სასწავლებლების მიხედვით აბსოლუტურად განსხვავებულია და მერყეობს საშუალოდ 200 სტუდენტიდან 1500–2000 სტუდენტამდე, (სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებლებში აღინიშნება სტუდენტთა მეტი რაოდენობაც). აღნიშნული გარემოების გათვალისწინებით, მიზანშეწონილად მივიჩნიეთ, რომ კვლევა განგვეხორციელებინა, სწორედ იმ უმაღლეს სასწავლებლებში, სადაც საშუალოდ სწორედ 500–1500 სტუდენტი სწავლობს, რათა კვლევის მასშტაბები და არეალი არ ყოფილიყო შეზღუდული, სტუდენტთა მცირე ან/და პირიქით დიდი აუდიტორიის ფაქტორის გათვლისწინებით და არ შექმნილიყო პოტენციური საფრთხე სრულყოფილი კვლევის განსახორციელებლად.

საქართველოს უმაღლესი განათლების შესახებ კანონით, განსაზღვრულია საქართველოში მოქმედი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტატუსი. აღსანიშნავია, რომ უმაღლესი სასწავლებლების სამივე კატეგორია (კოლეჯი, სასწავლო უნივერსიტეტი, უნივერსიტეტი), მიუხედავად საერთო უმაღლესი სასწავლო პროფილისა, სასწავლო გეგმებით, პროგრამებით, შინაარსითა და მიზნებით აბსოლუტურად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, შესაბამისად საკვლევი ობიექტების რანჟირების პრინციპიდან, გამომდინარე არჩევანი გაკეთდა სწორედ სამივე კატეგორიაზე.

აღნიშნულმა მიდგომამ საშუალება მოგვცა უფრო სიღრმისეულად განგვეხორციელებინა კვლევა, ხოლო კვლევის რადიუსმა მთლიანად დაფარა უმაღლესი სასწავლებლების ყველა კატეგორია. ნებისმიერი პროდუქციის ფასი, (იქნება ეს წარმოების, თუ მომსახურების სფერო), მომხმარებლის მიერ არჩევანის გაკეთებისას უმრავლეს შემთხვევაში გადამწყვეტი მნიშვნელობის მატარებელია. ბიზნესის ადმინისტრირების ეს ფუნდამენტალური პრინციპი, უმაღლესი განათლების სფეროშიც უაღრესად აქტუალურ საკითხად რჩება. აღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია საკვლევი ობიექტების შერჩევა

რელევანტური ფასის მიხედვით, რომელიც მეტად ხელმისაწვდომი იქნება ფართო მასებისათვის, როგორც უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის წინაპირობა.

დღეს უმაღლესი საგნამანთლებლო მომსახურების ბაზარზე ყველაზე დაბალი ფასი სახელმწიფო საგრანტო სისტემით ფორმირდება და მასზე დაბალი ფასი უმაღლესი საგანმანთლებლო მომსახურების ბაზარზე არ არსებობს. საქართველოს უმაღლესი საგნამანთლებლო მომსახურების ბაზარზე საკმაოდ მრავალფეროვანი საფასო პალიტრა იკვეთება და საფასო სკალა პროგრამების მიხედვით მერყეობს 2250 დან 8000–15000 ლარის ფარგლებში. ამდენად, საკვლევი ობიექტები შეირჩა რელევანტური ფასის მიხედვით, რომელიც მეტად ხელმისაწვდომი იქნებოდა ფართო მასებისათვის, როგორც უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის წინაპირობა. კვლევის პროცესში მონაწილეობა მიიღეს ზემოთაღნიშნული უნივერსიტეტების, ადმინისტრაციის, ხარისხის სამსახურისა და აკადემიური პერსონალის სტატუსის მქონე რესპოდენტებმა.

ამასთან, კვლევითი პროცესის სარეალიზაციოდ, შემუშავდა მულტიპროფილის მატარებელი, უნიფიცირებული კვლევის კითხვარი, რომელიც 4 (ოთხ) მაპროფილებელ ბლოკად დაიყო, კერძოდ:

– ზოგადი ბლოკი;
– ფინანსური და კერძო სექტორან ურთიერთობის ბლოკი;
– ინტერნაციონალიზაციისა და ხარისხის ბლოკი;
– ადმინისტრირებისა და სამართლებრივი რეგულირების ბლოკი.

საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების კვლევის სამიზნე ობიექტებად შერჩეულ იქნა 15 (თხუთმეტი) უმაღლესი სასწავლებელი, მათი სტატუსებისა და კლასიფიკაციის (კოლეჯი, სასწავლო უნივერსიტეტი, უნივერსიტეტი), დაფუძნების სახეების (კერძო და საჯარო) და განლაგების (ცენტრისა და რეგიონების დონეზე) მიხედვით (იხ.დიაგრამა1) და ჩატარებულ იქნა მასობრივი გამოკითხვა. განხორციელებულ კვლევაში მონაწილე უნივერსიტეტებია:

– შ.პ.ს. ,,უმაღლესი სასწავლებელი განათლების აკადემია”
– შ.პ.ს. ,,ახალი უმაღლესი სასწავლებელი”
– შ.პ.ს. ,,საქართველოს ბიზნესის აკადემია”
– შ.პ.ს. ,,სასწავლო ეროვნული უნივერსიტეტი”
– შ.პ.ს. ,,გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტი”

– შ.პ.ს. ,,სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტი (ქ.გორი)”
– შ.პ.ს. ,,გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტი”
– შ.პ.ს. ,,საქართველოს უნივერსიტეტი”
– შ.პ.ს. ,,კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი”
– შ.პ.ს. ,,ქუთაისის უნივერსიტეტი”
– ს.ს.ი.პ ,,ბათუმის შოთა რუსთველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი”
– ს.ს.ი.პ ,,ქუთაისის აკაკი წერეთელის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი”
– ს.ს.ი.პ ,,ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი”
– ს.ს.ი.პ ,,ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი”
– ს.ს.ი.პ ,,საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი”.

**დიაგრამა 1. კვლევაში მონაწილე უმაღლესი სასწავლებლების სტრუქტურა.**




დამსაქმებელთა კვლევის მიზანს წარმოადგენდა დამსაქმებელსა და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის კავშირ–ურთიერთობების ხარისხის განსაზღვრა და ანალიზი. დამსაქმებელთა კვლევის დროს, სამიზნე ობიექტებად შეირჩა, საქართველოში არსებული 12 (თორმეტი) კერძო კომპანია, საბანკო, სადაზღვევო, კავშირგაბმულობის და წარმოების სფეროებიდან, ვინაიდან სწორედ აღნიშნული პროფილის კომპანიები არიან დღეის მდგომარეობით კურსდამთავრებულთა ძირითადი დამსაქმებლები.

დამსაქმებელთა კვლევის დროს, ჩატარებულ იქნა, როგორც ანონიმური გამოკითხვა, ასევე 10 (ათი) კომპანიის წარმომადგენელთან განხორციელდა ჩაღრმავებული ინტერვიუები კომპანიის სხვადასხვა დონის და პროფილის მენეჯერებთან. თითოეული ინტერვიუს ხანგრძლივობა 45 წუთს შეადგენდა, რისთვისაც დამატებით შემუშავებულ იქნა სათანადოდ მომზადებული კვლევის კითხვარი.

კურსდამთავრებულთა კვლევის ძირითადი მიზანი იყო, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების კურსდამთავრებულთა სწავლების პროცესით და სწავლებით მიღებული შედეგებით კმაყოფილების განსაზღვრა და ანალიზი. კვლევაში მონაწილეობა მიიღო 1000–ზე მეტმა კურსდამთავრებულმა 15(თხუთმეტი), სამიზნე უმაღლესი სასწავლებლიდან, წინასწარ სათანადოდ შემუშავებული კვლევის კითხვარის საფუძველზე.

კურსდამთავრებულთა კვლევის უდიდესი ნაწილის ადმინისტრირება განხორციელდა ონლაინ რეჟიმში Google - ის აპლიკაციის, გამოყენებით სტუდენტების წინასწარი შერჩევის გარეშე. მსგავსი პრაქტიკა გავრცელებულია სხვადასხვა ქვეყნებში ანალოგიური კვლევების შესრულებისას. გარდა ამისა უმაღლეს სასწავლებელთა კურსდამთავრებულთა კვლევის დროს 9 უნივერსიტეტში ჩატარდა ფოკუს ჯგუფები, თითოეული ფოკუს ჯგუფის ხანგრძლივობა 60 წუთს შეადგენდა. შერჩეულმა სტრატეგიამ აამაღლა კვლევისა და ბაზარზე არსებული პრობლემების შეფასების ხარისხი, დამსაქმებელთა და კურსდამთავრებულთა შეხედულებების გათვალისწინებით.

## 2.2. კვლევის მეთოდოლოგიური აპარატი.

კვლევის მეთოდოლოგიური აპარატის შემუშავება მოხდა კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, რისთვისაც კვლევის პროცესში განხორციელდა საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო მომსახურების ბაზრის, კვლევის დოკუმენტის შესამუშავებლად საჭირო ინფორმაციის შეკრება და ანალიზი. კვლევის მეთოდოლოგიური აპარატის ფორმულირებისათვის განხორციელებულ იქნა მეორადი ინფორმაციის კვლევა. შესწავლილ და კრიტიკულად განხილულ იქნა, უმაღლესი საგანმანათლებლო მომსახურების ბაზრის პრობლემებისადმი მიძღვნილი ქართველი და უცხოელი ავტორების შრომები, სხვადასხვა სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციების, საერთაშორისო ფორუმების მასალები, საერთაშორისო ორგანიზაციების კვლევების ანგარიშები, კვლევის სფეროსთან დაკავშირებული ადგილობრივი თუ საერთაშორისო მნიშვნელობის საკანონმდებლო-ნორმატიული აქტები, მათ შორის დეკლარაციები და შეთანხმებები.

კვლევის პროცესში აქტიურად გამოყენებულ იქნა სოციალური კვლევის ისეთი მეთოდები როგორიცაა **კვლევის რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდები.** აღნიშნული მეთოდების გამოყენება მიჩნეულ იქნა რელევანტურად, რადგანაც მეთოდები აბსოლუტურად

თავსებადია საკვლევი ობიექტის/დარგის სპეციფიკასა და პროფილთან. კვლევის რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდების გამოყენებით უმაღლესი საგანმანათლებლო მომსახურების ბაზარზე სისტემატურად ხორციელდება მსგავსი კვლევების ჩატარება. კვლევის აღნიშნული მეთოდები, პოპულარულია და ფართოდ გავრცელებულია მთელ რიგ სამეცნიერო დისციპლინებში, მათ შორის ეკონომიკასა და ბიზნესში. სოციალური კვლევის მეთოდები მონაცემების მოპოვების საიმედო და აღიარებულ ტექნიკადაა მიჩნეული მთელ მსოფლიოში, ხოლო მათი რეპრეზენტატიულობა კი განსაკუთრებით მიმზიდველს ხდის მათ მკვლევართათვის.

კვლევის რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდების უპირატესობებზე, თავიანთ ნაშრომებში ყურადღებას ამახვილებენ, მსოფლიო დონის სახვადასხვა მეცნიერები. პროფესორები Helena Stimac–ი და Mirna Leko Simic–ი, საკუთარ ნაშრომში ,,უმაღლესი განათლების კონკურენტუნარინაობა, ხარისხის უზრუნველყოფის და მარკეტინგის მნიშვნელობა“,(Helena Stimac, Mirna Leko Simic, (2012), ,,Competitiveness in Higher Education: A Need for Marketing Orientation and Service Quality”), აღნიშნავენ: ,,ამ მეთოდებს შორის პრინციპული განსხვავებაა, კვლევის რაოდენობრივი მეთოდები დაკავშირებულია შესასწავლი ერთობლიობების რიცხობრივ მაჩვენებლებთან, რომლებიც სტატისტიკური ანალიზისათვის გამოიყენება, რაოდენობრივი კვლევის მეთოდები სტატისტიკურ კანონზომიერებებს ემყარება და იძლევა შედეგების განზოგადების საშუალებას, თვისებრივ მეთოდებს, პირიქით საქმე აქვს შესასწავლი მოვლენებისა და საგნების მახასიათებლებთან, რომლებიც გამოსახულია თვისებრივი კატეგორიებით და დიდად ეხმარება მკვლევარს, მსგავსი შინაარსის კვლევისა განხორციელების დროს“, (90, 3-4).

,,თვისებრივი მეთოდები საშუალებას აძლევს მკვლევარს გაერკვეს მომხმარებლის მოქმედების რთულ და მრავალმხრივ ბუნებაში. თვისებრივი ხასიათის მონაცემები გროვდება იმისათვის, რომ მეტი გავიგოთ იმ საგნებზე, რომელთა პირდაპირი გზით დაკვირვება და გაზომვა შეუძლებელია, გრძნობები, აზრები, განზრახვა, წარსული ქმედება და უამრავი სხვა სახის ინფორმაცია შეიძლება მივიღოთ ამ მეთოდის გამოყენებით“. (90, 5).

თვისებრივი მეთოდის მნიშვნელობაზე არგუმენტირებულ მოსაზრებებს გვთავაზობენ ასევე, პროფესორები Laszlo Tamandl-ი, და David Nagy–ი, თავიანთ ნაშრომში: ,,უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების კონკურენტუნარიანობის ფაქტორები, უნგრეთის ქალაქების მაგალითზე“. (Laszlo Tamandl, David Nagy, (2013), ,,Competitiveness Factors of Higher Education Institutions,

with Particular Respect to Hungarian Cities”). როგორც პროფესორები აღნიშნავენ: ,,თვისებრივი მეთოდები არის უფრო მეტად ინტენსიური და ნაკლებად სტუქტურირებული, ვიდრე სტანდარტიზებული ინტერვიუს დროს, რომელიც ტარდება ანკეტის საშუალებით, ურთიერთობა რესპონდენტთან უფრო ხანგრძლივი და მოქნილია, ხოლო მიღებული მონაცემები უფრო სრული და ღრმა შინაარსის, რაც ნიშნავს ახალი იდეების და გაგების შესაძლებლობის გაზრდას“. (91, 2-3).

კვლევის რაოდენობრივი მეთოდების მნიშვნელობაზე საუბრობს პროფესორი Marijk van der Wende თავის ნაშრომში ,,გლობალური კონკურენტუნარიანობის ევროპული ხედვა, უმაღლეს განათლებაში”. (Marijk van der Wende, (2009), ,,European Responses to Global Competitiveness in Higher Education“). როგორც პროფეოსორი აღნიშნავს: ,,რაოდენობრივი კვლევის მთავარი ამოცანაა შესასწავლი თემის შესახებ რიცხობრივი შეფასების მიღება, ასეთი გამოკვლევები გამოიყენება, ბაზრის კონკურენტუნარიანობის შესასწავლად, როდესაც აუცილებელია ზუსტი, სტატისტიკური საიმედო რიცხობრივი მონაცემები“. (74, 3).

პროფესორი Marijk van der Wende, ყურადღებას ამახვილებს მეთოდის უპირატესობებზეც: ,,სწორედ რაოდენობრივ მეთოდი, იძლევა არა უბრალოდ აზრის ან ჰიპოთეზების მიღების, არამედ ზუსტი მათემატიკური მაჩვენებლების ახსნის საშუალებას, რაოდენობრივი კვლევის შედეგები სტატისტიკურად სანდოა და შესაძლებელია მისი შესასწავლ ერთობლიობაზე განზოგადება, რაოდენობრივი მეთოდის გამოყენებით კვლევის ჩატარება ეს არის გადაწყვეტილების მიღებისა და დაგეგმისათვის აუცილებელი ინფორმაციის მიღების ძირითადი ინსტრუმენტი“. (74, 4-5).

წინამდებარე კვლევისათვის ასევე გამოყენებულ იქნა ტრიანგულაციის მიდგომა. აღნიშნულმა სტრატეგიამ საშუალება მოგვცა ერთმანეთთან შეგვედარებინა ორი მეთოდით მიღებული შედეგები. აღმოჩნდა, რომ თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევები შედეგობრივად ძირითადად ერთმანეთს ემთხვევა, თუმცა არის განსხვავებებიც განსაკუთრებით უმაღლესი საგანმანათლებლო მომსახურების ბაზრის კონკურენტუნარიანობის შეფასებასთან დაკავშირებით. ფოკუს ჯგუფის მონაწილეები გაცილებით მეტად აკრიტიკებენ უმაღლესი საგანმანათლებლო მომსახურების ბაზარზე არსებულ მდგომარეობას, ვიდრე გამოკითხულები.

**კვლევის რაოდენობრივი მეთოდის** გამოყენებისას მთავარ ინსტრუმენტად შერჩეული იქნა, კვლევის ისეთი ინსტრუმენტი როგორიცაა, მასობრივი გამოკითხვა, რომელიც დავყავით 5 ეტაპად და განვახორციელეთ შემდეგი სამუშაო სქემით:

– შევიმუშავეთ საკვლევი ჰიპოთეზა;

– შევარჩიეთ საკვლევი ინსტრუმენტები, აქცენტები გაკეთდა ანკეტირებაზე და სტრუქტურირებულ ინტერვიუზე, რომლისთვისაც შევადგინეთ სათანადოდ მომზადებული კითხვარი;

– განვახორციელეთ სამიზნე ჯგუფების კვლევა;

– მოვახდინეთ მოპოვებული მონაცემების კომპიუტერული დამუშავება;

– წარმოვადგინეთ კვლევის ანგარიში, რომელშიც აისახა ჩატარებული კვლევის შედეგები. კვლევის აღნიშნული მეთოდის გამოყენებამ საშუალება მოგვცა მიგვეღო ზუსტი, სტატისტიკურად საიმედო რიცხობრივი მონაცემები. ასევე, რაოდენობრივი კვლევის მეთოდებმა განაპირობეს კვლევის ობიექტური რეალობის წვდომის შესაძლებლობა.

**კვლევის თვისებრივი მეთოდის** გამოყენება განხორციელდა შემდეგი სამუშაო სქემით:

– მოვახდინეთ ფოკუს–ჯგუფების განსაზღვრა;

– განვახორციელეთ ჩაღრმავებული ინტერვიუ.

(შენიშვნა): თითოეული ინტერვიუს ხანგრძლივობა დაახლოებით 45 წუთი გრძელდებოდა, ფოკუს ჯგუფში შემავალ წევრთა რაოდენობა 3–4 რესპოდენტი. მიუხედავდ იმისა, რომ რომ რაოდენობრივი კვლევის მეთოდები ობიექტური რეალობის წვდომის უკეთეს შესაძლებლობას იძლევა, ვიდრე თვისებრივი კვლევის მეთოდები, რომლებიც დიდადაა დამოკიდებული მკვლევარის სუბიექტურ ინტერპრეტაციაზე, თვისებრივი მეთოდის გამოყენებამ, საშუალება მოგვცა ჩავწვდომოდით ისეთი სიღრმისეული ნიუანსებს, რომელიც რაოდენობრივი კვლევისას არ შეიმჩნევა.

კვლევის რაოდენობრივი მეთოდისაგან განსხვავებით, რომელშიც ინტერვიუერს შესაძლებლლობა აქვს აირჩიოს წინასწარ დაგეგმილიდან მისთვის მისაღები პასუხი, თვისებრივი კვლევის მეშვეობით გამოვლენილ იქნა თავად რესპოდენტის მიდგომა, აზრი ანუ, საკვლევი ობიექტის თვალით იქნა დანახული პრობლემა. შესაბამისად კვლევის აღნიშნული მეთოდიც რელევანტურად იქნა მიჩნეული.

გარდა ამისა, კვლევის თვისებრივი მეთოდის გამოყენებამ, განსხვავებით რაოდენობრივი კვლევის მეთოდისაგან, საშუალება მოგვცა, საკვლევი პრობლემები შეგვესწავლა არა

მხოლოდ ციფრობრივ მონაცემებში, არამედ ჩავწვდომოდით პრობლემათა ანტროპოლოგიას და გვეპასუხა, არა მხოლოდ ისეთ კითხვებზე როგორიცაა რა და რამდენი, არამედ განხორციელებულმა კვლევამ საშუალება მოგვცა პასუხი გაგვეცა ისეთ კითხვებზე როგორიცაა როგორ და რატომ.

კვლევის პროცესში გამოყენებული იქნა **სტატისტიკური ანალიზის, შედარების, ინდუქციისა და დედუქციის მეთოდებიც. სტატისტიკური ანალიზის მეთოდის** გამოყენებით განხორციელდა მოპოვებული მონაცემების დამუშავება, რამაც საშუალება მოგვცა შეგვეფასებინა საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო მომსახურების ბაზარზე შესასწავლი სუბიექტების კონკურენტუანრიანობის განმსაზღვრელი ფაქტორების კორელაციური დამოკიდებულება რაოდენობრივ მაჩვენებლებში.

**შედარების მეთოდის** გამოყენებით შესაძლებელი გახდა გამოგვევლინა საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო მომსახურების ბაზარზე ოპერირებადი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების კონკურენტუნარიანობის ამაღლების პრიორიტეტული მიმართულებები, უცხოური გამოცდილების გათვალისწინებით.

**ინდუქციისა და დედუქციის მეთოდების** გამოყენებით განხორციელდა კვლევის შედეგად მოძიებული მონაცემების დამუშავება, არსებული შედეგებს შორის ლოგიკური ურთიერთკავშირების დადგენა, საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო მომსახურების ბაზარზე არსებული ტრენდის ფორმირების თავისებურებების განსაზღვრა და შეფასება, რაც ასახულია კვლევის შემაჯამებელ შედეგებში.

**კვლევის პროცესს თან ახლდა გარკვეული შეზღუდვებიც კერძოდ:**

– კითხვარი მოიცავდა ფინანსური ინფორმაციის (სწავლის გადასახადის კალკულაცია, გაცემული სტუდენტური სტიპენდიების ოდენობა, ხარჯთაღრიცხვა და სხვა) მიწოდების მოთხოვნას, თუცაღა რესპოდენტების ერთობლივი მოთხოვნით აღნიშნული მიმართულების შეკითხვები ამოღებულ იქნა კვლევის კითხვარიდან;

– ზოგიერთი კითხვარი, რომელიც აკადემიურმა პერსონალმა შეავსო, იყო არასრულად შევსებული. ნაწილობრივ, ამის მიზეზია ის, რომ ინტერვიუს დროს რესპოდენტებმა უარი განაცხადეს, პასუხი გაეცათ კონკრეტულ კითხვებზე, რომლებიც მათი აზრით ზედმეტად პირადული იყო;

– კითხვარების ნაწილი, რომელიც ელექტრონულად გადაეგზავნათ რესპონდენტებს (ძირითადად, რესპოდენტთა იმ ნაწილს, რომლებიც რეგიონებში ცხოვრობენ) შესავსებად, ზოგიერთ შემთხვევაში არასრულად იყო შევსებული;

– ინტერნეტ მონაცემთა ბაზები, რომელთა დახმარებითაც გვსურდა ქართველი პროფესორების კვლევითი პროდუქტიულობის გაზომვა, არ აღმოჩნდა ინფორმატიული, სამწუხაროდ, ვერ მოვიძიეთ მრავლისმომცველი მონაცემთა ბაზები, რომლებიც საქართველოში წარმოებული კვლევის პროდუქტიულობის შესახებ საერთო სურათს მოგვცემდა, ქართულ და უცხოურ ენაზე ჩატარებული კვლევების სიმცირის გამო. თუმცაღა, საბოლოო ჯამში აღნიშნულ შეზღუდვებს პრინციპულად მნიშვნელოვანი გავლენა არ მოუხდენია კვლევის მიმდინარეობაზე და კვლევის შედეგების რელევანტურობაზე.

კვლევის შემუშავებულმა მეთოდოლოგიამ საშუალება მოგვცა:

– გამოგვევლინა და აგვეღწერა უმაღლესი საგანმანათლებლო მომსახურების ბაზარზე კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობასთან დაკავშირებული პრობლემების ფართო სპექტრი და მათი წარმომავლობა;

– განგვესაზღვრა სამიზნე ჯგუფების დამოკიდებულება უმაღლესი განათლების სტრუქტურული და პრინციპულად მნიშვნელოვანი ისეთი საკითხებისადმი, როგორიცაა უმაღლესი განათლების არსებული დაფინანსების მოდელი, უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის აქტუალური პრობლემები, განათლების ხარისხი, უმაღლესი სასწავლო დაწესებულებებისა და კერძო სექტორის ურთიერთდამოკიდებულების მნიშვნელობა სექტორის კონკურენტუანრიანობის განსაზღვრისას და სხვა.

# თავი 3. კვლევის შედეგები

## 3.1 საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების კვლევის შედეგები.

2015 წლის 1 აპრილიდან 30 ივლისის ჩათვლით, უმაღლესი საგანმანათლებლო მომსახურების ბაზარზე დამოუკიდებლად ჩატარებულმა კვლევამ გამოვლინა არა ერთი მნიშვნელოვანი საკითხი და მიმართულება.

დღეს საქართველოში რეგისტრირებულია 75 უმაღლესი სასწავლებელი, მათ შორის 55 კერძო უმაღლესი სასწავლებელი, და 20 სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებელი (იხ.დიაგრამა 2), სადაც სწავლობს დაახლოვებით 167 247 სტუდენტი. (33).

**დიაგრამა 2. საქართველოში, უმაღლესი საგანმანათლებლო მომსახურების ბაზარზე უმაღლესი სასწავლებლების რაოდენობა.**




კვლევის შედეგებით, კვლევაში მონაწილე უნივერსიტეტების უდიდეს ნაწილს (90%) უმაღლესი საგანმანათლებლო მომსახურების ბაზარზე ოპერირების მრავალი წლის გამოცდილება გააჩნია. ხოლო 10%–ს, უმაღლესი საგანმანათლებლო მომსახურების ბაზარზე ყველაზე მცირე 7-8 წლიანი სამუშაო გამოცდილება აქვს. (იხ.დიაგრამა 3).

ასევე, კვლევაში მონაწილე ყველა უნივერსიტეტს (100%) გავლილი აქვს სახელმწიფო ავტორიზაცია, პროგრამული აკრედიტაცია და გააჩნიათ შესაბამისი ლიცენზია საგანმანათლებლო მომსახურების გასაწევად.

უმაღლესი სასწავლო დაწესებულებები მინიჭებული სტატუსის შესაბამისად ახორციელებენ სხვადასხვა საფეხურის სასწავლო პროგრამებს. აქტიურად არიან ჩართულნი პროფესიული მომზადებისა და სწავლების პროცესში. შექმნილია და წარმატებით მიმდინარეობს არაერთი პროფესიული სასწავლო პროგრამა.

კითხვაზე: თუ რომელი მიმართულებით რა საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამებს ახორციელებენ, უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა უმრავლესობით აღნიშნეს, რომ ახორციელებენ სამივე საფეხურის სასწავლო პროგრამებს: სწავლების საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო დონეზე. (იხ.ცხრილი1.) თავის მხრივ, კვლევის შედეგებმა აჩვენეს, რომ საქართველოში უმაღლესი საგანმანათლებლო მომსახურების ბაზარზე არსებული უნივერსიტეტების მხოლოდ მცირე რაოდენობა ახორციელებს პროფესიული მომზადების სასწავლო პროგრამებს.

**დიაგრამა 3. უმაღლესის სასწავლებლების სასწავლო–საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელების ხანრძლივობა.**




**ცხრილი 1. უმაღლეს საგანმანთლებლო დაწესებულებებში სხვადასხვა საგანმანთლებლო საფეხურებზე არსებული პროგრამული მიმართულებები.**

| | პროფესიული | საბაკალავრო | სამაგისტრო | სადოქტორო |
|---|---|---|---|---|
| ეკონომიკა და ბიზნესი | P | B | M | Phd |
| სამართალი | P | B | M | Phd |
| აგრარული მეცნიერება | P | B | M | Phd |
| საბუნებისმეტყველო მეცნიერება | P | B | M | Phd |
| სამედიცინო | P | B | M | Phd |
| სამშენებლო | P | B | M | Phd |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ხელოვნება | P | B | M | Phd |
| ტექნიკური მეცნიერება | P | B | M | Phd |
| სხვა | P | B | M | Phd |

კითხვაზე:,,გთხოვთ მიუთითოთ, ახორციელებთ თუ არა სწავლების პროფესიულ პროგრამებს?“ უმაღლესი საწავლო დაწესებულებების მხოლოდ 40%–მა აღნიშნა, რომ ახორციელებს პროფესიული მოზადების სასწავლო პროგრამას სხვადასხვა მიმართულებით. რესპოდენტთა 60%–მა უპასუხა, რომ ამ ეტაპზე აღნიშნული მიმართულების პროგრამები არ ხორციელდება, თუმცაღა მომზადების სტადიაშია. (იხ.დიაგრამა 4).

**დიაგრამა 4. უმაღლეს სასწავლებლებში პროფესიული პროგრამების განხორციელების მაჩვენებელი.**




საკმაოდ საინტერესოა კვლევის კითხვარის ფინანსური ბლოკის შედეგებიც. უნდა აღინიშნოს, რომ ფინანსური ბლოკის განხილვისას, ყველა ჩვენი ვარაუდი და დაშვება (ჰიპოთეზა) კონკრეტულ სეგმენტში დადასტურდა.

კითხვაზე: ,,თქვენის აზრით რამდენად ეფექტიანია უნივერსიტეტისათვის, დაფინანსება სახელმწიფო საგრანტო სისტემით და ხომ არ შეიტანდით რაიმე დამატებას მასში?“ რესპოდენტთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ (90%) აღნიშნა, რომ არ არის ეფექტიანი. მათი აზრით, გრანტი არ უნდა იყოს მიბმული აკრედიტაციაზე და უნდა იყოს მიბმული ავტორიზაციაზე.

ასევე რესპოდენტებს მიაჩნიათ, რომ აუცილებელია გრანტი გავრცელდეს პროფესიულ სწავლებაზე, მაგისტრატურასა და დოქტორანტურაზე. ამასთანავე, ფინანსური რესურსების მეტი ოპტიმიზაციისათვის გრანტის ზღვარი უნდა ამაღლდეს, რაც ორგვარი ეფექტის მომტანი გახდება. ის საშუალებას მოგვცემს გაიზარდოს დაფინანსების ოდენობა და ხარისხი.

რესპოდენტებმა ასევე აღნიშნეს, რომ სასურველია განისაზღვროს ერთგვარი ზღვარი, რომლის ქვევითაც ფასი არ უნდა დაეშვას, რადგან რიგ შემთხვევებში ფასი აბსოლუტურად ვერ უზრუნველყოფს და ვერ აკმაყოფილებს უმაღლესი სასწავლებლების ფუნქციონირების მიზნებს. თავის მხრივ, რესპოდენტთა აბსოლუტურმა უმცირესობამ (10%) აღნიშნა, რომ დაფინანსება სახელმწიფო საგრანტო სისტემით მისაღებია. (იხ.დიაგრამა 5).

**დიაგრამა 5. დაფინანსების სახელმწიფო საგრანტო სისტემით კმაყოფილების მაჩვენებელი.**




<u>კითხვაზე</u>: ,,სახელმწიფო საგრანტო დაფინანსებით გათვალისწინებული სწავლების გადასახადი წლიურად 2250 ლარი, რამდენად შეესაბამება საბაზრო ფასს?", რესპოდენტთა (100%)–მა, უპასუხა, რომ 2250 ლარი მხოლოდ ნაწილობრივ შეესაბამება სწავლების საბაზრო ფასს და იგი არ წარმოადგენს რეალურ საბაზრო ღირებულებას, რადგან სასწავლო ინფრასტრუქტურის, მატერიალურ ტექნიკური ბაზისა და სწავლების თანამედრო მეთოდების გათვალისწინებით, ფასი გაცილებით მეტი უნდა იყოს. აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ არსებული საბაზრო ფასის პირობებში, უმაღლესი საგანმანათლებლო მომსახურების ბაზარზე სრულყოფილ კონკურენციაზე საუბარი, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ნაადრევია. რესპოდენტთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ (100%) აღნიშნა, რომ დღეის მდგომარეობით, საბაზრო ფასი საშუალოდ 2500–5000 ლარის ფარგლებში მერყეობს.

<u>კითხვაზე</u>: ,,იცნობთ, თუ არა უმაღლესი საგანმანთლებლო მომსახურების ბაზრის დაფინანსების ალტერნატიულ მოდელებს? ხომ არ იყენებთ, და რა სახით იყენებთ უმაღლესი საგანმანთლებლო მომსახურების ბაზარზე დაფინანსების ალტერნატიულ მოდელებს", რესპოდენტთა უმრავლესობამ (80%), განაცხადა რომ მათთვის ცნობილია დაფინანსების მოდელები, თუმცაღა უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში უმაღლესი საგანმანათლებლო მომსახურების ბაზრის დაფინანსება უმრავლეს შემთხვევაში, სამწუხაროდ, შემოიფარგლება

მხოლოდ უნივერსიტეტის შიდა სტიპენდიით. გამოკითხულთა 20%–მა კი განაცხადა, რომ არ იყენებენ დაფინანსების არც ერთ მოდელს. (იხ.დიაგრამა 6).

**დიაგრამა 6. უმაღლესი სასწავლებლების მიერს დაფინანსების ალტერნატიული მოდელების გამოყენების მაჩვენებელი.**




<u>კითხვაზე</u>: ,,თქვენის აზრით რამდენად კონკურენტული და სამართლიანი გარემოა სამეცნიერო საგრანტო პროექტებში მონაწილეობის დროს?“ რესპოდენტთა უმრავლესობამ (80%) აღნიშნა, რომ სრულიად უსამართლო და არაკონკურენტული გარემოა. ხშირ შემთხვევაში მათ უჭირთ პირველივე საკონკურსო ეტაპის (კონკურსანტების დოკუმენტაციის განხილვა) გადალახვა. მხოლოდ 20%–მა განაცხადა, რომ გარემო კონკურენტული და სამართლიანია. (იხ.დიაგრამა 7).

**დიაგრამა 7. სამეცნიერო – საგრანტო პროექტებში მონაწილეობის ხელმისაწვდომობა.**




<u>კითხვაზე</u>: ,,ბოლო 3 წლის განმავლობაში, ხომ არ მიგიღიათ მონაწილეობა სამეცნიერო (ადგილობრივ) საგრანტო ან/და (საერთაშორისო) საგრანტო კონკურსში?“ რესპოდენტთა უმრავლესობამ (80%), განაცხადა, რომ მათ ზემოაღნიშნული ფაქტორების გათვალისწინებით არ მიიღეს მონაწილეობა. რესპოდენტთა მხოლოდ (20%) გამოირჩევა ამ მიმართულების აქტივობით, რაც ძალზედ არასახარბიელოა. (იხ.დიაგრამა 8).

დიაგრამა 8. ბოლო 3 წლის განმავლობაში სამეცნიერო-საგრანტო (ადგილობრივ) ან/და (საერთაშორისო) საგრანტო კონკურსში მონაწილეობის მაჩვენებელი.




კითხვებზე: ,,თქვენის აზრით, რამდენად მნიშვნელოვანია უნივერსიტეტისა და კერძო სექტორის (დამსაქმებლის) ურთიერთკავშირი, უნივერსიტეტი ოფიციალურად, თუ თანამშრომლობს კერძო სექტორთან (დამსაქმებელთან)? რა სახით ახორციელებს უნივერსიტეტი კავშირ ურთიერთობას დამსაქმებელთან", რესპოდენტთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ (100%) აღნიშნა, რომ ძალიან მნიშვნელოვანია უნივერსიტეტისა და კერძო სექტორის (დამსაქმებლის) ურთიერთკავშირი და უმაღლესი სასწავლებლები ახორციელებენ მათთან კავშირურთიერთობებს, თუმცაღა დღესდღეობით მაინც გაუცემელი რჩება პასუხი ისეთი საკვანძო საკითხებზე როგორიცაა:

– არსებობს, თუ არა სტუდენტთა დასაქმების ხელშემწყობი რომელიმე კომპონენტი საქართველოს უნივერსიტეტებში?

– როგორ ესმით ქართულ უნივერსიტეტებს სტუდენტთა დასაქმების კონცეფცია და კავშირების არსებობა შრომით ბაზართან? და სხვა.

ეს არის არასრული ჩამონათვალი იმ შეკითხვებისა, რომელიც პირველი კატეგორიის მნიშვნელობისაა და რომელი შეკითხვებიც ხშირად ისმება, როგორც წესი, როდესაც ხორციელდება მსგავსი შინაარსის კვლევა. არ შეიძლება არ აღინიშნოს ამ მხრივ განვითარებული ქვეყნების გამოცდილება და მათი დამოკიდებულება აღნიშნული პრობლემისადმი.

განვითარებული ქვეყნების უნივერსიტეტები აქტიურად ადევნებენ თვალს საკუთარი სტუდენტების კარიერის განვითარებას, აქვთ დასაქმებულ სტუდენტთა ბაზა და ყველა უნივერსიტეტებში არსებობს კარიერის სამსახურები, ან მსგავსი სახის სტრუქტურები, რომლებიც უზრუნველყოფენ სტუდენტებს პროფესიული სამომავლო შესაძლებლობების მხარდაჭერით.

თუმცაღა სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ საქართველოში აღნიშნული გამოცდილება ბოლო პერიოდში ინერგება სხვადასხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში. მათ ორგანიზაციულ სტრუქტურაში ჩნდება კარიერის მართვის ოფისები, თუმცა მათი არსებობა პირდაპირ არ ნიშნავს მათ ეფექტიან ქმედუნარიანობას.

განხორციელებულმა კვლევამ დაადასტურა ჩვენი ჰიპოთეზა და აჩვენა, რომ უფრო მეტად უნდა ხდებოდეს უმაღლესი სასწავლებლების მიერ კერძო სექტორის შესწავლა და უნდა გაძლიერდეს საქმიანი ორმხრივი კავშიურთიერთობები.

ამასთანავე, პერიოდულად უნდა ხორციელდებოდეს სამუშაო ძალის ბაზრის ანალიზი და ახალი სტანდარტებისა და მოთხოვნების გაცნობა. სამწუხაროდ, დღესდღეობით ამ მიმართულებით სერიოზული პრობლემებია უმაღლესი საგანმანათლებლო მომსახურების ბაზარზე, რაც გამოიხატება იმაში, რომ ხშირ შემთხვევაში უნივერსიტეტის კურსდამთავრებული ვერ, ან მხოლოდ ნაწილობრივ პასუხობს კერძო სექტორის და ზოგადად დამსაქმებლის მოთხოვნებს.

კითხვაზე: ,,რა სახით ახორციელებთ ურთიერთობას კერძო სექტორთან/დამსაქმებელთან“, რესპოდენტების 80%–მა აღნიშნა, რომ დამსაქმებელთან თანამშრომლობს ერთობლივი მემორანდუმების ფარგლებში. თუმცაღა, უნდა შევნიშნოთ ისიც, რომ საჯარო სექტორთან გაფორმებული მემორანდუმების რაოდენობა აჭარბებს კერძო სექტორთან გაფორმებული მემორანდუმების რაოდენობას და მათი თანამშრომლობის შინაარსი უმრავლეს შემთხვევაში გამოხატულია ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით სტუდენტთა სასწავლო პრაქტიკასთან დაკავშირებით.

ისეთი ფუნდამენტური მიმართულებების რეალურად განხორციელება, როგორიც არის მემორანდუმი სტუდენტთა დასაქმებასთან დაკავშირებით, მემორანდუმი სასწავლო პროგრამების და გეგმების შედგენისა და შემდგომი რეალიზაციის მონიტორინგის შესახებ, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ საჭიროებს ორმხრივ ინტენსიფიკაციას. რესპოდენტთა მხოლოდ 20%–ი პროცენტი ახორციელებს მრავალდონიან (სტუდენტთა სასწავლო პრაქტიკა, დასაქმება და ა.შ.) დამსაქმებელთან აქტიურ თანამშრომლობას. (იხ.დიაგრამა 9).

**დიაგრამა 9. უმაღლესი სასწავლებლების მიერ კერძო სექტორთან გაფორმებული მემორანდუმები.**




სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს ის შესაძლო მიზეზებიც, რითაც პროვოცირებულია საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო მომსახურების ბაზარზე არსებული რეალობა. რაღა თქმა უნდა, ყოველივე შესაძლებელია უკავშირდებოდეს ქვეყნის ეკონომიკის დაბალ აქტივობასაც. ნათელია ისიც, რომ წარმოდგენილ სტატისტიკას ეკონომიკური საფუძველი გააჩნია.

მაშასადამე, დღეს როდესაც საქართველოში უმაღლესი სასწავლებლების რაოდენობა 75 ერთეულს შეადგენს, კერძო სექტორმა სრულად და ეფექტიანად შეძლოს მათი მოთხოვნების დაკმაყოფილება ორმხრივი მემორანდუმების ფარგლებში, რაც არარეალურად გვეჩვენება. ამდენად, უმაღლესი საგანმანათლებლო მომსახურების ბაზარსა და სამუშაო ძალის ბაზარს შორის კავშირ–ურთიერთობების გაღრმავება, შესაბამისად სწავლა-სწავლების პროცესების მიბმა პრაქტიკასთან, წარმოადგენს მაღალკვალიფიციური კადრების მომზადების აუცილებელ წინაპირობას.

უაღრესად საინტერესოა ასევე, კვლევის კითხვარის, ინტერნაციონალიზაციისა და ხარისხის ბლოკის შედეგებიც. უპირველეს ყოვლისა, ვიდრე კვლევის შედეგების წარმოდგენას შევუდგებოდეთ, უნდა აღინიშნოს, რომ დღეს თანამედროვე მსოფლიოში ინტერნაციონალიზაციას, უაღრესად დიდი ყურადღება ეთმობა, როგორც უმაღლესი საგანმანათლებლო მომსახურების ბაზრის მხარდაჭერისა და სრულყოფის ერთ–ერთ მთავარ განმსაზღვრელ კომპონენტს და როგორც მისი კონკურენტუნარიანობის ზრდის წინაპირობას.

თავის მხრივ, ჩვენი ჰიპოთეზა, რომ უმაღლესი განათლების სფეროში ინტერნაციონალიზაციის ხარისხის (საგანმანათლებლო პროგრამების საერთაშორისო აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა, აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების საერთაშორისო მობილობა, ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება,

პუბლიკაციები გამოქვეყნება საერთაშორისოდ რეფერირებად ჟურნალებში) ამაღლება უმაღლესი საგანმანათლებლო მომსახურების ხარისხის თანამედროვე სტანდარტებთან თავსებადობის მიღწევის აუცილებელი პირობაა, ამ მხრივადაც გამართლდა.

კითხვაზე: ,,გააჩნია, თუ არა  თქვენდამი დაქვემდებარებულ უმაღლეს სასწავლებელს ერთობლივი სასწავლო პროგრამა“,  რესპოდენტთა 60%-მა განაცხადა, რომ გააჩნიათ ერთობლივი სასწავლო პროგრამა, გამოკითხულთა 40%-მა კი აღნიშნა, რომ მათ არ გააჩნიათ ერთობლივი სასწავლო პროგრამა. (იხ დიაგრამა 10).

**დიაგრამა 10. უსდ–ში ერთობლივი სასწავლო პროგრამების სტატისტიკა.**




კითხვაზე: ,,თქვენის აზრით რამდენად მნიშვნელოვანია უნივერსიტეტისათვის საერთაშორისო აკრედიტაცია და გააჩნია თუ არა უნივერსიტეტს საერთაშორისო აკრედიტაცია“, გამოკითხულთა 100%–მა უპასუხა, რომ უაღრესად მნიშვნელოვანია საერთაშორისო აკრედიტაცია, როგორც კონკურენტუნარიანობის ამაღლების წინაპირობა. სამწუხაროდ, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში უმაღლესი საგანმანათლებლო მომსახურების ბაზარზე ოპერირებად უმაღლეს საწავლო დაწესებულებებს საერთაშორისო აკრედიტაცია არ გააჩნიათ.

კითხვაზე: ,,როგორია თქვენდამი დაქვემდებარებულ უმაღლეს სასწავლებელში აკადემიური პერსონალის შემადგენლობა ქვეყნების მიხედვით“, გამოკითხულთა 100%–მა უპასუხა, რომ მათი აკადემიური პერსონალის აბსოლუტური უმრავლესობა დაკომპლექტებულია ადგილობრივი კადრებით და ჩართულია სასწავლო პროცესებში.

საინტერესოა ასევე უმაღლეს საგანმანათლებლო დაწსებულებაში ინტერნაციონალიზაციის კიდევ ერთი მაჩვენებელი - თანაფარდობა ადგილობრივ და უცხოელ სტუდენტებს შორის. საქართველოდან უცხოეთში გაგზავნილი სტუდენტების რიცხოვნობა საქართველოში მყოფ,

უცხოელ სტუდენტებთან მიმართებაში 2014-2015 სასწავლო წლების მიხედვით, დაახლოვებით 9%–ს შეადგენს. (იხ დიაგრამა 11). (40)

**დიაგრამა 11. თანაფარდობა ადგილობრივ და უცხოელ სტუდენტებს შორის.**




თუმცაღა, უცხოელი სტუდენტების ხვედრითი წილი ადგილობრივ სტუდენტების საერთო ჯამობრივ მიმართებაში 2014-2015 სასწავლო წლების მიხედვით, 2.8%-ს არ აღემატება. (იხ დიაგრამა 12). (40)

თავის მხრივ, პირველ შემთხვევას, შესაძლებელია ეკონომიკური ახსნა მოეძებნოს. ჩვენს ქვეყანაში გაცილებით იაფია როგორც სწავლა, ასევე ცხოვრება. მეორე შემთხვევის სტატისტიკა კი მიუთითებს ჩვენს ქვეყანაში დაბალ ინტერნაციონალიზაციაზე. სახეზეა, როგორც სჩანს, პრობლემათა ფართო სპექტრი.

**დიაგრამა 12. უცხოელი სტუდენტების ხვედრითი წილი ადგილობრივი სტუდენტების საერთო ჯამობრივ მიმართებაში**




კითხვაზე: ,,დაასახელეთ ინტერნაციონალიზაციის შემაფერხებელი ფაქტორები“, რესპოდენტთა 90%–მა აღნიშნა, რომ უმაღლესი საგანმანთლებლო მომსახურების ბაზრის ადმინისტრირების დაბალი ხარისხი, არსებული ნორმატიული ბაზა, ფინანსების სიმცირე,

ქვეყნის მსოფლიო იმიჯი, ბაზარზე არსებული დაბალი მოთხოვნა აფერხებს ინატერნაციონალიზაციას. 10%–მა კი აღნიშნა, რომ უჭირს პასუხის გაცემა. (იხ.დიაგრამა 13).

**დიაგრამა 13. უსდ–ში ინტერნაციონალიზაციის შემაფერხებელი ფაქტორების პროცენტული მაჩვენებელი.**




კითხვაზე: ,,ბოლო 3 წლის განმავლობაში, ხომ არ მოუხდენია უნივერსიტეტს (საკუთარი) კონკურენტუნარიანობის თვითშეფასება?“ (შენიშვნა: უმაღლეს სასწავლებლებს წარედგინა კლევისთვის სპეციალურად შემუშავებული, კონკურენტუნარიანობის შეფასების თანამედროვე მოდელები. (იხ.სკრიპტი 1), რესპდენტთა 100%–მა აღნიშნა, რომ სისტემატიურად ახორციელებენ თვითშეფასებას. თუმცაღა, განხორციელებულმა კვლევამ აჩვენა, რომ უმრავლეს შემთხვევაში უმაღლესი სასწავლო დაწესებულებები შემოიფარგლებიან მხოლოდ განათლების სამინისტროს განათლების ხარისხის განვითრების ეროვნული ცენტრის მოთხოვნის შესაბამისად ყოველწლიური თვითშეფასების ანგარიშის წარდგინებით.

**სკრიპტი 1. უმაღლესი სასწავლებლების კონკურენტუნარიანობის შეფასების თანამედროვე მოდელები**

**ბოლო 3 წლის განმავლობაში, ხომ არ მოუხდენია უნივერსიტეტს, (საკუთარი) კონკურენტუნარიანობის თვითშეფასება ?**

ა) დიახ
ბ) არა
**შენიშვნა.** პასუხზე დიახ, გთხოვთ მიუთითოთ რომელი მოდელით განახორციელეთ თვითშეფასება

□ ISO 9001;
□ ISO 9004;
□ EFQM მოდელი;
□ MAB მოდელი;
□ SWOT ანალიზის მოდელი;
□ სხვა;

კვლევის შედეგად გაირკვა, რომ საქართველოში არსებული უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების 80%, სწორედ ზემოხსენებულ პრაქტიკას მიჰყვება, მხოლოდ 20%, აღნიშნავს, რომ საკუთარი კონკურენტუნარიანობის შესაფასებლად ე.წ. ,,SWOT“ ანალიზის მოდელს იყენებს. (იხ.დიაგრამა 14).

**დიაგრამა 14. უსდ–ის მიერ განხორციელებული თვითშეფასების მაჩვენებელი.**




კითხვაზე: ,,თქვენის აზრით რა კრიტერიუმებით განისაზღვრება უმაღლესი სასწავლებლების კონკურენტუნარიანობა“, გამოკითხულთა 50%-მა აღნიშნა, რომ სტუდენტების რაოდენობა უმთავრესი ინდიკატორია, 30%–ს მიაჩნია, რომ კურსდამთავრებულების დასაქმების რაოდენობა წარმოადგენს ერთ–ერთ მთავარ მაჩვენებელს, 10%–მა განაცხადა, რომ მატერიალურ ტექნიკური ბაზა და სასწავლო ინფრასტრუქტურა ქმნის კონკურენტულ უპურატესობებს. ასევე, 10%–ს მიაჩნია, რომ აკადემიური პერსონალი უზრუნველყოფს და განსაზღვრავს კონკურენტუნარიანობას.  (იხ.დიაგრამა 15).

**დიაგრამა 15. უსდ–ის კონკურენტუნარიანობის განმსაზღვრელი კრიტერიუმები.**




კითხვაზე:,,როგორია უმაღლესი საგანმანათლებლო მომსახურების ბაზარზე კონკურენცია“, კვლევაში მონაწილე უმაღლესი სასწავლებლების აბსოლუტურმა უმრავლესობამ, 100%–მა, უპასუხა, რომ დღეის მდგომარეობით, უაღრესად დიდი კონკურენციაა.

კითხვაზე: ,,დაასახელეთ უმაღლესი საგანმანათლებლო მომსახურების ბაზარზე კონკურენტუნარიანი უმაღლესი სასწავლებლების პროცენტული სიდიდე“, გამოკითხულთა უმრავლესობამ 70%–მა განაცხადა, რომ დღეს საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო მომსახურების ბაზარზე მყოფი უნივერსიტეტების მხოლოდ 40-50%–ია კონკურენტუნარიანი,

30%–მა კი განაცხადა, რომ ქვეყნის უმაღლესი განათლების ბაზარზე მოღვაწე უნივერსიტეტების მხოლოდ 20-30%–ია კონკურენტუნარიანი. (იხ.დიაგრამა 16.).

**დიაგრამა 16. უმაღლესი საგანმანათლებლო მომსახურების ბაზრის შეფასების მაჩვენებელი.**




პარადოქსია. გამოდის, რომ ქვეყანაში უმაღლეს საგანმანათლებლო მომსახურების ბაზარს, საკმაოდ მნიშვნელოვანი წილით, წარმოადგენენ კონკურენტუუნარო უმაღლესი სასწავლებლები, რაც მინიმუმ ორი დასკვნის გამოტანის საშუალებას გვაძლევს:

– სახეზეა კონკურენცია ,,უპირატესად კონკურენტუუნარო“ უმაღლეს სასწავლებლებს შორის;

– მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაში მოქმედებს საკმაოდ მკაცრი ავტორიზაციის და აკრედიტაციის წესებისა და ნორმების ერთობლიობა, ხშირ შემთხვევაში ბაზარზე მაინც გვხვდება კონკურენტუუნარო უსდ–ების საკმაოდ მნიშვნელოვანი რაოდენობა, რაც უმაღლესი საგანმანათლებლო მომსახურების ბაზარზე უსდ–ების კონკურენტუნარიანობის ამაღლების წინაპირობად არ შეიძლება განხილულ იქნას. ფაქტია, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო მომსახურების ბაზარზე სრულყოფილი კონურენციას ჯერ კიდევ მრავალი ფაქტორი გვაშორებს. ამ ფაქტორთა გამოსავლენად, სპეციალურად კვლევისათვის, დამატებით შემუშავებულ იქნა უნიფიცირებული კითხვარის ერთგვარი სკალა. (იხ. ცხრილი 2).

კითხვაზე: ,,დაასახელეთ უმაღლესი საგანმანთლებლო მომსახურების ბაზარზე კონკურენციის შემაფერხებელი ფაქტორები“, რესპოდენტთა 90%–მა აღნიშნა, რომ უმაღლესი საგანმანთლებლო მომსახურების ბაზარზე კონკურენციას უაღრესად აფერხებს: ერთიანი ეროვნული გამოცდების პრაქტიკა, სახელმწიფო დაფინანსების საგრანტო სისტემა, ავტორიზაციის და აკრედიტაციის სტანდარტები, უმაღლესი სასწავლებლების კონტროლის დაბალი სტანდარტები.

**ცხრილი 2. უმაღლესი საგანმანთლებლო მომსახურების ბაზარზე კონკურენციის შემაფერხებელი ფაქტორები.**

| -2<br>უაღრესად აფერხებს | -1<br>აფერხებს | 0<br>არ ზემოქმედებს | 1<br>მცირედით აფერხებ | 2<br>აფერხებს რიგ შემთხვევებში<br>**(საპასუხო ვარიანტები)** | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| არსებული ნორმატიული ბაზა | –2 | –1 | 0 | 1 | 2 | |
| ბაზარზე არსებული დაბალი მოთხოვნა | –2 | –1 | 0 | 1 | 2 | |
| ერთიანი ეროვნული გამოცდების პრაქტიკა | –2 | –1 | 0 | 1 | 2 | |
| ავტორიზაციის და აკრედიტაციის დაბალი სტანდარტები | –2 | –1 | 0 | 1 | 2 | |
| სახელმწიფო დაფინანსების საგრანტო სისტემა | –2 | –1 | 0 | 1 | 2 | |
| უმაღლესი განათლების ბაზრის კონტროლის დაბალი სტანდარტები | –2 | –1 | 0 | 1 | 2 | |
| შრომის ბაზრის და განათლების ბაზრის დაბალი კომუნიკაცია | –2 | –1 | 0 | 1 | 2 | |
| ბაზარზე მყოფი უნივერსიტეტების რაოდენობა | –2 | –1 | 0 | 1 | 2 | |
| სააწავლო პრაქტიკისა და დასაქმების დაბალი დონე | –2 | –1 | 0 | 1 | 2 | |

10%–ს მიაჩნია, რომ ერთიანი ეროვნული გამოცდების პრაქტიკა, სახელმწიფო დაფინანსების საგრანტო სისტემა, ავტორიზაციის და აკრედიტაციის დაბალი სტანდარტები, უმაღლესი სასწავლებლების კონტროლის დაბალი სტანდარტები აფერხებენ უმაღლესი საგანმანთლებლო მომსახურების ბაზარზე კონკურენციას რიგ შემთხვევებში. (იხ.დიაგრამა 17).

**დიაგრამა 17. უმაღლესი საგანმანათლებლო მომსახურების ბაზარზე კონკურენციის შემაფერხებელი ფაქტორები.**




ამასთანავე, რესპოდენტთა 80%–მა განაცხადა, რომ უმაღლესი საგანმანთლებლო მომსახურების ბაზარზე კონკურენციას აფერხებს: ბაზარზე მყოფი უნივერსიტეტების რაოდენობა, ბაზარზე არსებული დაბალი მოთხოვნა, კერძო სექტორთან კომუნიკაციის დაბალი დონე, ხოლო 20% აღნიშნავს, რომ ბაზარზე მყოფი უნივერსიტეტების რაოდენობა, ბაზარზე არსებული დაბალი მოთხოვნა, კერძო სექტორთან კომუნიკაციის დაბალი დონე უმაღლესი საგანმანთლებლო მომსახურების ბაზარზე არსებულ კონკურენციაზე არ ზემოქმედებს. (იხ.დიაგრამა 18).

კითხვაზე: ,,დაასახელეთ კითხვარში მითითებული ვარიანტებიდან უმაღლესი საგანმანთლებლო მომსახურების ბაზარზე კონკურენტუნარიანობის ხელშემწყობი

ფაქტორები“, რესპოდენტთა 90%–მა აღნიშნა, რომ უმაღლესი საგანმანთლებლო მომსახურების ბაზარზე, კონკურენტუნარიანობის ხელისშემწყობ ფაქტორებად შესაძლებელია მივიჩნიოთ:

– უნივერსიტეტის ფინანსური ავტონომია;

– ორგანიზაციული ავტონომია;

– ადამიანური რესურსების მართვისა და მოზიდვის ავტონომია;

აკადემიური ავტონომია.

**დიაგრამა 18. უმაღლესი საგანმანათლებლო მომსახურების ბაზარზე კონკურენციის შემაფერხებელი ფაქტორები.**




გამოკითხული უმაღლესი სასწავლებლების 10%–მა კი განაცხადა, რომ უნივერსიტეტის ფინანსური ავტონომია, ორგანიზაციული ავტონომია, ადამიანური რესურსების მართვისა და მოზიდვის ავტონომია, აკადემიური ავტონომია, უმაღლესი საგანმანთლებლო მომსახურების ბაზარზე კონკურენტუნარიანობის ხელისშეწყობაზე მცირე ზეგავლენას ახდენს. (იხ.დიაგრამა 19)

**დიაგრამა 19. უმაღლესი საგანმანთლებლო მომსახურების ბაზარზე, კონკურენტუნარიანობის ხელისშემწყობი ფაქტორები.**




კითხვაზე: ,,როგორ ფიქრობთ, სახელმწიფოს მიერ, უმაღლესი განათლების სფეროში ერთიანი სახელმწიფო საგანმანათლებლო პოლიტიკის შემუშავების და განხორციელების

დროს, უნდა იყოს, თუ არა ჩართული უმაღლესი საგანმანათლებლო მომსახურების ბაზრის სექტორი“, რესპოდენტთა უმრავლესობამ 90%–მა განაცხადა, რომ სახელმწიფოს მიერ, უმაღლესი განათლების სფეროში ერთიანი სახელმწიფო საგანმანათლებლო პოლიტიკის შემუშავების და განხორციელების დროს, უნდა იყოს ჩართული უმაღლესი განათლების კერძო სექტორი, რათა ზემოაღნიშნული პოლიტიკა მეტად ეფექტიანად წარიმართოს. 10%–მა აღნიშნა, რომ ერთიანი სახელმწიფო საგანმანათლებლო პოლიტიკის შემუშავების და განხორციელების დროს სამუშაო პროცესებში უმაღლესი განათლების კერძო სექტორის ჩართულობა არ წარმოადგენს აუცილებლობას. (იხ.დიაგრამა 20).

**დიაგრამა 20. უმაღლესი საგანმანათლებლო პოლიტიკის და ნორმატიული აქტების შემუშავების დროს, განათლების ბაზრის ჩართულობის მიზანშეწონილობა.**




კითხვებზე: ,,საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო შეიმუშავებს საგრანტო პრიორიტეტებს და ოდენობებს. შემდგომ ამისა, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარდგინებით ხდება სახელმწიფო სასწავლო გრანტის წლიური მოცულობების და ოდენობების დამტკიცება. თქვენი უნივერსიტეტი, თუ ღებულობს აღნიშნულ პროცესში პირდაპირ ან ირიბ მონაწილეობას და ,თქვენის აზრით, რამდენად საჭიროა, კერძო სექტორის/კერძო უმაღლესი სასწავლებლების ჩართვა აღნიშნულ პროცესებში“, გამოკითხული უნივერსიტეტების აბსოლუტურმა უმრავლესობამ (100%), განაცხადა, რომ სამწუხაროდ აღნიშნულ პროცესებში მონაწილეობას ვერ ღებულობენ. ასევე, რესპოდენტთა აბსოლუტურ უმრავლესობას მიაჩნია, რომ ძალზედ საჭიროა საგანმანათლებლო პოლიტიკის შემუშავებაში მათი თანამონაწილეობა.

კითხვაზე: ,,თქვენის აზრით, უმაღლესი საგანმანათლებლო მომსახურების ბაზარზე, მხოლოდ რიგი პროგრამების დაფინანსება, ხომ არ ქმნის სამართლებრივი დისკრიმინაციის საფრთხეს“, გამოკითხულ რესპოდენტთა 70% თვლის, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო მომსახურების ბაზარზე სახელმწიფოს მხრიდან მხოლოდ რიგი პროგრამების დაფინანსება

არა თუ ქმნის, არამედ წარმოადგენს უმაღლესი საგანმანათლებლო მომსახურების ბაზარზე მყოფი უმაღლესი სასწავლებლების სამართლებრივ დისკრიმინაციას. თავის მხრივ, გამოკითხული უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების 30%–ი აცხადებს, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო მომსახურების ბაზარზე სახელმწიფოს მხრიდან მხოლოდ რიგი პროგრამების დაფინანსება არ ქმნის უმაღლესი საგანმანათლებლო მომსახურების ბაზარზე მყოფი უმაღლესი სასწავლებლების სამართლებრივი დისკრიმინაციის საფრთხეს. (იხ.დიაგრამა 21).

**დიაგრამა 21. უმაღლესი საგანმანათლებლო მომსახურების ბაზარზე რიგი პროგრამების დაფინანსების ექსკლუზივის სამართლებრივი შეფასება.**




კითხვაზე: ,,თქვენის აზრით, რამდენად ეფექტური და აუცილებელია, საერთაშორისო აკრედიტაციის მქონე უმაღლესმა სასწავლებელმა, ხელმეორედ გაიაროს აკრედიტაცია მიმღებ/მასპინძელ ქვეყანაში?“

რესპოდენტთა 50%–ი აღნიშნავს, რომ საერთაშორისო აკრედიტაციის მქონე უმაღლესი სასწავლებლებისათვის ხელმეორედ აკრედიტაციის გავლის ვალდებულება არ უნდა წარმოადგენდეს სავალდებულო შესასრულებელ პირობას. კვლევაში მონაწილე უმაღლესი სასწავლებლების 50% აღნიშნულ ვალდებულებას სამართლებრივ დისკრიმინაციად აფასებს. (იხ.დიაგრამა 22).

კითხვაზე: ,,თქვენის აზრით, ხომ არ ზღუდავს უმაღლესი სასწავლებლების ორგანიზაციულ თავისუფლებას სასწავლო სილაბუსებისა და პროგრამების შემუშავების საერთო სახელმწიფო წესი და რეგულაციები“, გამოკითხულთა 70%–ს მიაჩნია, რომ ამით იზღუდება მათი უფლებები, ხოლო 30%–ი აღნიშნავს, რომ უფლებების შეზღუდვის საფრთხე არ არსებობს.
(იხ. დიაგრამა 23).

დიაგრამა 22. საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო მომსახურების ბაზარზე უსდ–ის საერთაშორისო აკრედიტაციის აღიარების რეგულაციების შეფასებითი ანალიზი.




დიაგრამა 23. უსდ–ის ორგანიზაციული თავისუფლებისა და უმაღლესი განათლების საერთო სახელმწიფო წესისა და რეგულაციების ურთირთთავსებადობა.




კვლევის შედეგებმა წარმოაჩინა უმაღლესი საგანმანათლებლო მომსახურების ბაზრის როგორც მეტი სტიმულირების, ასევე ეფექტიანი ადმინისტრირების განხორციელების აუცილებლობა. უნდა აღინიშნოს, რომ უმაღლესი განათლების ხარისხის შეფასების სქემებში მეტი ყურადღების გამახვილება დასაქმების მაჩვენებლებზე, კერძო სექტორთან თანამშრომლობის ფორმების მრავალფეროვნება და ინტენსივობა, აკადემიური პროგრამების შეფასებაში მეტი ყურადღების გამახვილება ბაზარზე მოთხოვნადი კომპეტენციების განვითარებაზე წარმოადგენს მთავარ პრიორიტეტებს.

## 3.2 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების კურსდამთავრებულთა კვლევის შედეგები.

უმაღლესი სასწავლებლების კურსდამთავრებულთა კვლევის შედეგად გამოიკვეთა პრინციპულად მნიშვნელოვანი გარემოებები და პრობლემები. წარმოგიდგენთ კვლევის შედეგებს რაოდენობრივი და პროცენტული მაჩვენებლებით.

კითხვაზე: ,,მიგაჩნიათ, რომ უნივერსიტეტი უნდა იყოს დაინტერესებული თქვენს მიერ მიღებული განათლების რეალიზაციით“, კურსდამთავრებულებმა ერთხმად (100%) უპასუხეს, რომ უმაღლესი სასწავლო დაწესებულებები აუცილებლად უნდა იყვნენ დაინტერესებულები მათი კურსდამთავრებულების თვითრეალიზაციით. სავსებით ცხადი და გასაგებია კურსდამთავრებულთა პოზიცია. საბაზრო ეკონომიკის ფუნდამენტური პრინციპების გათვალისწინებით, ფირმები დაინტერესებულები არიან საკუთარი პროდუქციის მომავლით და კონკურენტუნარიანი ბაზარი უბიძგებს ფირმებს, რომ იზრუნონ საკუთარი პროდუქციის ხარისხის ამაღლებაზე და კონკურენციაში შევიდნენ მეტოქე ფირმებთან, როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო დონეზე.

კითხვაზე:,,რამდენად მნიშვნლოვანია თანამშრომლობა, უნივერსიტეტსა და დამსაქმებელს შორის? რესპოდენტთა 90%–მა აღნიშნა, რომ აუცილებელია თანამშრომლობა, უნივერსიტეტსა და დამსაქმებელს (კერძო სექტორი/ბაზარი) შორის, 10%–მა კი განაცხადა, რომ სასურველია. (იხ. დიაგრამა 24).

**დიაგრამა 24. თანამშრომლობა, უნივერსიტეტსა და დამსაქმებელს (კერძო სექტორი/ბაზარი) შორის.**




კითხვაზე:,,როგორ ფიქრობთ უნივერსიტეტი უნდა ატარებდეს, კერძო სექტორის/ ბაზრის კვლევას, სამუშაო ძალაზე არსებული მოთხოვნის განსაზღვრისათვის“, რესპოდენტთა 80%–

მა აღნიშნა, რომ აღნიშნული წარმოადგენს აუცილებლობას, ხოლო 20%–მა განაცხადა, რომ სასურველია. (იხ. დიაგრამა 25).

**დიაგრამა 25. სამუშაო ძალაზე მოთხოვნის განსაზღვრისათვის, ბაზრის კვლევის მიზანშეწონილობის მაჩვენებელი**




კითხვაზე: ,,თქვენი აზრით რა უნარებს უნდა ფლობდეს უნივერსიტეტის კურსდამთავრებული, რათა შეძლოს მიღებული საკუთარი განათლების რეალიზება" რესპოდენტთა 60%–მა აღნიშნა, რომ ეს უნარებია:

– ანალიტიკური აზროვნების უნარი,

– გადაწყვეტილების მიღების უნარი;

– დროის ეფექტურად მართვის უნარი,

20%–მა კი განაცხადა რომ ეს უნარებია:

– საქმის პრიორიტეტებად დაგეგმვის უნარი;

– მოლაპარაკების წარმოების უნარი;

ასევე, 20%–მა აღნიშნა, რომ პრიორიტეტულია:

– გუნდის მართვისა და გუნდური მუშაობის უნარი;

– შემჭიდროებულ ვადებში მუშაობის უნარი. (იხ.დიაგრამა 26).

**დიაგრამა 26. თვითრეალიზაციისათვის საჭირო პრიორიტეტული კომპეტენციები.**



სამწუხაროდ, უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში, როგორც სჩანს, ნაკლები ყურადღება ექცევა, საჭირო და მოთხოვნადი უნარ ჩვევებს. უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების მიზნები, რაოდენ მასშტაბური და შორსმიმავალიც არ უნდა იყოს, სრულ ჰარმონიზაციაში უნდა მოვიდეს კერძო სექტორის, კერძოდ დამსაქმებლის მოთხოვნებთან. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, უმაღლესმა სასწავლო დაწესებულებებმა უნდა უპასუხონ ბაზრის ახალ გამოწვევებს. ყველა სხვა ალტერნატივა უპერსპექტივოა და ხელს ვერ შეუწყობს უმაღლესი საგანმანათლებლო მომსახურების ბაზრის კონკურენტუნარიანობის ამაღლებას.

კითხვაზე: ,,გსმენიათ, თუ არა თქვენს უნივერსიტეტში კარიერის სამსახურის შესახებ? კურსდამთავრებულთა 55%–მა აღნიშნა, რომ მათ სმენიათ აღნიშნული სერვისების შესახებ, ხოლო 45%–მა კი განაცხადა, რომ მათ არ აქვთ ინფორმაცია და აღნიშნული სამსახურის სერვისებით არასოდეს უსარგებლიათ. (იხ. დიაგრამა 27).

**დიაგრამა 27. უნივერსიტეტებში კარიერის სამსახურის ცნობადობის მაჩვენებელი.**




კითხვაზე: ,,სასწავლო პროგრამის შინაარსი სრულყოფილად პასუხობს ბაზარზე არსებულ მოთხოვნებს“, კურსდამთავრებულთა 65%–მა აღნიშნა, რომ სასწავლო პროგრამის შინაარსი სრულყოფილად ვერ პასუხობს ბაზარზე არსებულ მოთხოვნებს, 35%–მა კი განაცხადა, რომ სასწავლო პროგრამის შინაარსი სრულყოფილად პასუხობს ბაზარზე არსებულ მოთხოვნებს. (იხ.დიაგრამა 28).

დღეს, როდესაც ვსაუბრობთ უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების ავტორიზაციაზე, სასწავლო პროგრამების აკრედიტაციაზე და ზოგადად ამ მიმართულებების რეფორმებზე, მსგავსი პრობლემების არსებობა, როგორიც არის სასწავლო პროგრამების შინაარსობრივი შეუთავსებლობა, ბაზარზე არსებულ მოთხოვნებთან უდროოა.

**დიაგრამა 28. სასწავლო პროგრამების თავსებადობის მაჩვენებელი, ბაზრის მოთხოვნებთან.**




კითხვაზე: ,,სასწავლო პროგრამაში შემავალი საგნები შეესაბამებოდა იმ პროფესიას, რომელსაც ეუფლებოდით“, კურსდამთავრებულთა 60%–მა აღნიშნა, რომ სასწავლო პროგრამაში შემავალი საგნები არ შეესაბამებოდა იმ პროფესიას, რომელსაც ეუფლებოდა, 30%–მა კი განაცხადა, რომ სასწავლო პროგრამაში შემავალი საგნები შეესაბამებოდა იმ პროფესიას, რომელსაც ეუფლებოდა, ხოლო 10%–მა აღნიშნა რომ უჭირს პასუხის გაცემა. (იხ.დიაგრამა 29).

**დიაგრამა 29. სასწავლო პროგრამაში შემავალი საგნების თავსებადობა კვალიფიკაციასთან.**




წარმოდგენილი სტატისტიკა მიუთითებს უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების და კერძო სექტორის სუსტ და არაკონსტრუქციულ კავშირურთიერთობებზე, რაც საბოლოოდ ხდება უმაღლესი საგანმანათლებლო მომსახურების ბაზრის დაბალი კონკურენტუნარიანობის ერთ–ერთი მიზეზი.

კითხვაზე: ,,სასწავლო პროგრამის ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალები რამდენად კარგად იყო შერჩეული“, კურსდამთავრებულთა 70%–მა აღნიშნა, რომ სასწავლო პროგრამის ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალები კარგად არ იყო შერჩეული. 25%–მა კი განაცხადა,

რომ სასწავლო პროგრამის ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალები კარგად იყო შერჩეული. ხოლო 5%–მა აღნიშნა, რომ უჭირს პასუხის გაცემა. (იხ. დიაგრამა 30).

უნდა აღინიშნოს, რომ სასწავლო პროგრამის რეალიზაციის ძირითადი ინსტრუმენტები, (ძირითადი და დამხმარე ლიტერატურა, სხვადასხვა სასწავლო მასალები, რიდერები, მეორადი საინფორმაციო წყაროები და ა.შ.), პრინციპულ და გადამწყვეტ როლს თამაშობს, შედგენილი და დამტკიცებული სასწავლო პროგრამის ეფექტიან რეალიზებაში. აქვე აღსანიშნავია, რომ საუბარი ლიტერატურის შეუსაბამობის შესახებ უმაღლესი საგანმანათლებლო მომსახურების ბაზრის ერთგვარი ნაკლოვანებაა.

კითხვაზე: ,,სასწავლო პროგრამას ჰქონდა საკმარისი პრაქტიკული ელემენტები“, კურსდამთავრებულთა 85%–მა აღნიშნა, რომ სასწავლო პროგრამას არ ჰქონდა საკმარისი პრაქტიკული ელემენტები. 10%–მა კი განაცხადა, რომ სასწავლო პროგრამას ჰქონდა საკმარისი პრაქტიკული ელემენტები, ხოლო 5%–მა აღნიშნა, რომ უჭირს პასუხის გაცემა. (იხ. დიაგრამა 31). სწავლების თანამედროვე პრინციპებითა და მეთოდებით მიჩნეულია, რომ ნებისმიერი თეორიული სწავლება უნდა იყოს მხარდაჭერილი საკმარისი პრაქტიკული მეცადინეობებით.

**დიაგრამა 30. სასწავლო პროგრამებში გამოყენებული ლიტერატურის ხარისხობრივი შეფასების მაჩვენებელი.**




კითხვაზე: ,,ის რასაც სწავლობდით რეალურად გამოგადგათ პრაქტიკაში“, კურსდამთავრებულთა 75%–მა აღნიშნა, რომ ის რასაც სწავლობდა რეალურად არ გამოადგათ პრაქტიკაში. 20%–მა კი განაცხადა, რომ ის რასაც სწავლობდა რეალურად გამოადგათ პრაქტიკაში. ხოლო, 5%–მა აღნიშნა, რომ უჭირს პასუხის გაცემა. (იხ.დიაგრამა 32).

დიაგრამა 31. სასწავლო პროგრამაში, პრაქტიკული სასწავლო ელემენტების დონის მაჩვენებელი.




უნდა აღინიშნოს, რომ არა მხოლოდ კურსდამთავრებულები, არამედ დამსაქმებლებიც გამოხატავენ უკმაყოფილებას, იმ პრაქტიკული უნარ-ჩვევების დაბალი ხარისხით, რომელიც სწავლის დასრულების შემდგომ გააჩნიათ სტუდენტებს. როგორც დამსაქმებლებმა განხორციელებულ კვლევაში აღნიშნეს, კურსდამთვრებულს არ უნდა სჭირდებოდეს უნივერსიტეტის დასრულების შემდგომ პროფესიულ უნარებში ხელახლა გადამზადება.

დიაგრამა 32. კურსდამთვრებულთა ცოდნისა და უნარ–ჩვევების, პრაქტიკაში რეალიზების ხარისხობრივი მაჩვენებელი




კითხვაზე: ,,უნივერსიტეტის კურსდამთავრებულს დასაქმების მაღალი შანსი აქვს", რესპოდენტთა 65%–მა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტის კურსდამთავრებულს დასაქმების მაღალი შანსი არ აქვს. 30%–მა კი განაცხადა, რომ უნივერსიტეტის კურსდამთავრებულს დასაქმების მაღალი შანსი აქვს. ხოლო 5%–მა კი აღნიშნა, რომ უჭირს პასუხის გაცემა. ზოგადად ცნობილი ფაქტია, რომ უმაღლესი განათლების, გარეშე ისევე როგორც საჯარო სექტორში, კერძო სექტორშიც სამუშაო ადგილის მოპოვება ძალზედ რთულ პროცესს წარმოადგენს. (იხ.დიაგრამა 33).

არსებული რეალობის გათვალისწინებით უნდა აღინიშნოს, რომ უმაღლესი განათლების ბაზარზე, არსებული უამრავი ნაკლოვანებების გამო, უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში მიღებული განათლება, სულაც არ წარმოადგენს საწინდარს, სამუშაო ადგილის მოპოვებისათვის.

**დიაგრამა 33. უნივერსიტეტების კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი**




კითხვაზე: ,,გამოირჩევა, თუ არა უნივერსიტეტი სწავლების მაღალი დონით“, რესპოდენტთა 70%–მა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტი არ გამოირჩევა სწავლების მაღალი დონით. 25%–მა კი განაცხადა, რომ უნივერსიტეტი გამოირჩევა სწავლების მაღალი დონით. ხოლო 5%–მა კი აღნიშნა, რომ უჭირს პასუხის გაცემა. (იხ.დიაგრამა 34).

**დიაგრამა 34. უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში, სწავლების ხარისხის მაჩვენებელი.**




კითხვაზე: ,,აქვს, თუ არა უნივერსიტეტს რეალურად გამოსაყენებელი სპეციალობების ფართო არჩევანი“, კურსდამთავრებულთა 80%–მა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტს აქვს რეალურად გამოსაყენებელი სპეციალობების ფართო არჩევანი. 15%–მა კი განაცხადა, რომ უნივერსიტეტს არ აქვს რეალურად გამოსაყენებელი სპეციალობების ფართო არჩევანი. ხოლო 5%–მა აღნიშნა, რომ უჭირს პასუხის გაცემა. (იხ.დიაგრამა 35).

უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში სპეციალობების ფართო არჩევანი, თუმცაღა კერძო სექტორთან დაბალი კომუნიკაციის პირობებში, უფრო მეტად შეთავაზების სახეს ატარებს და ვერ უზრუნველყოფს მაღალი ხარისხის კომპეტენციების განვითარებას. შედეგად ვღებულობთ კურსდამთავრებულს, რომელსაც პრესტიჟული პროფესიის დიპლომი გააჩნია,

მაგრამ მისი რეალური შესაძლებლობები, როგორც წესი დამსაქმებლის მხრიდან კრიტიკის ძირითად ობიექტად არის ქცეული.

**დიაგრამა 35. უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში სპეციალობათა შეფასების მაჩვენებელი.**




კითხვაზე: ,,აქვს, თუ არა უნივერსიტეტს თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკური ბაზა რომელიც პასუხობს კერძო სექტორის თანამედროვე სტანდარტებს“, კურსდამთავრებულთა 70%–მა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტს აქვს თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, რომელიც პასუხობს კერძო სექტორის თანამედროვე სტანდარტებს. 25%–მა კი განაცხადა, რომ უნივერსიტეტს არ აქვს თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, რომელიც პასუხობს კერძო სექტორის თანამედროვე სტანდარტებს. ხოლო 5%–მა კი აღნიშნა, რომ უჭირს პასუხის გაცემა. (იხ.დიაგრამა 36).

**დიაგრამა 36. უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში მატერიალურ–ტექნიკური ბაზის ხარისხობრივი მაჩვენებელი.**




ფრიად სასიხარულოა, რომ დღეს საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო მომსახურების ბაზარზე უნივერსიტეტების უმრავლესობას გააჩნია თანამედროვე მატერიალურ–ტექნიკური ბაზა. სამწუხაროდ, ყველა უმაღლეს სასწავლებელში ჯერ კიდევ არ არსებობს სათანადო პირობები, როგორც მაღალი ხარისხის სწავლის პროცესის უზრუნველსაყოფად, ასევე სამეცნიერო და კვლევითი საქმიანობის განსახორციელებლად. აღნიშნულ რეალობას ვაწყდებით, იმ უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში, რომლებსაც

გავლილი აქვთ როგორც  ავტორიზაცია, ასევე პროგრამული აკრედიტაცია. ავტორიზაციისა და აკრედიტაციის საკითხები არა ერთგზის და არა ერთგვაროვანი განხილვის საგანი გამხდარა საზოგადოებისათვის.

უაღრესად საინტერესოა უმაღლესი სასწავლებლების კურსდამთავრებულთა თვისებრივი კვლევის შედეგები. ჩატარებულმა ფოკუს ჯგუფებმა წარმოაჩინა უმაღლეს სასწავლებლებში არსებული პრინციპული ხასიათის პრობლემები. კვლევის აღნიშნული მეთოდის გამოყენების დროს განხილულ იქნა შემდეგი მნიშვნელოვანი მიმართულებები: სწავლების შინაარსი და შეძენილი უნარები, კვლევით საქმიანობაში ჩართულობა, ლექტორების აკადემიური დონით კმაყოფილება და სხვა.

კურსდამთავრებულებმა აღნიშნეს, რომ: ,,სწავლის პროცესი მონოტონური და მოსაბეზრებელია, აქტიურად ხდება უშინაარსო და მოძველებული ლიტერატურის მოწოდება, მასალებიც უფრო თეორიული ხასიათისაა, სემინარზე კიდევ უფრო გვაქვს საშუალება ჩავერთოთ, რადგან მეტ–ნაკლებად თანამონაწილეები ვხდებით“.

,,სასწავლო კურსის შინაარსი ხშირად ვერ მოდის თანამედროვე ბაზრის, კერძო სექტორის მოთხოვნებთან. რჩება შთაბეჭდილება, რომ ტყუილად დროს ვკარგავთ. სასურველია, რომ მიღებული ცოდნა მეტად უწყობდეს ხელს ჩვენს რეალურ პროფესიულ უნარებს. ამისათვის სურვილი გვაქვს სასწავლო პროგრამებს დაემატოს სწავლების მეტი პრაქტიკული კომპონენტი“. ,,შეიძლება ითქვას, რომ უნივერსიტეტი ვერ გვთავაზობს კვლევით საქმიანობაში ჩართვას“, ,,ხშირ შემთხვევაში რასაც ვაკეთებთ, არის რაიმე ლოკალური საკითხის გარშემო პრეზენტაციის გაკეთება, რაც  ჩვენში იწვევს აღნიშნული მიმართულებისადმი ინდიფერენტულ დამოკიდებულებას, ვფიქრობ, რომ სწავლის გადასახადით გათვალისწინებული უნდა იყოს რეალური კვლევის ჩასატარებლად ყველა ღონისძიების ფინანსური მხარდაჭერის შესაძლებლობები“. ,,ვიხდი სოლიდურ თანხას და სურვილი მაქვს მივიღო სათანადო ცოდნაც. სურვილი მაქვს ლექციები წამიკითხონ უშუალოდ დარგის სპეციალისტებმა, რადგანაც მიმაჩნია, რომ თეორიული ცოდნის ყველაზე კარგი საშუალებაა მისი გამყარება პრაქტიკული უნარ–ჩვევებით“. ,,ძალიან ბედნიერი ვიქნები თუ სწავლის პროცესში ჩაერთვებიან უცხოელი ლექტორები და მიმაჩნია, რომ ინტერნაციონალიზაცია მეტად კონკურენტუნარიანს გახდის უნივერსიტეტს და ზოგადად უმაღლესი განათლების სფეროს“.

,,ზოგი ლექტორი პირდაპირი მნიშვნელობით კითხულობს ლექციას წიგნიდან, ან საკუთარი ლეპტოპიდან, ამის გაკეთება ჩვენც შეგვიძლია. ეს უკავშირდება ლექტორების დაბალ მომზადებას, სწავლების თანამედროვე მეთოდების არ ცოდნას“.

,,თუ ლექტორმა 2-3 სტუდენტი დაგვინახა უბრალოდ გადის ლექციიდან, ხშირად ლექციებიდან ადრე გვიშვებენ. ლექტორს ვამჩნევთ კიდეც, რომ არ აქვს დიდი სურვილი ლექციის წაკითხვის. პროფესიონალი ლექტორები სამწუხაროდ ცოტა გვყავს. ამის მიზეზია სასწავლო პროცესებში, უცხოელი პროფესორების უაღრესად დაბალი ჩართულობა, ფაქტორივად არ არსებობა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, დაბალია ინტერნაციონალიზაციის დონე“.

## 3.3 დამსაქმებელთა კვლევის შედეგები.

პრინციპულად მნიშვნელოვან გარემოებად მიჩნეულ იქნა დამსაქმებელთა კვლევაც, რადგან უმაღლესი სასწავლებლების კურსდამთავრებულებს საკუთარი ცოდნისა და უნარების რეალიზება სწორედ სამუშო ძალის ბაზრის გავლით უწევთ.

კვლევის სამიზნე ობიექტებად შეირჩეულ იქნა კერძო სექტორის, ისეთი აქტიური წარმომადგენლები, როგორებიც არიან: საბანკო მომსახურების ფირმები, სადაზღვევო მომსახურების ფირმები, ფიჭური კავშირგაბმულობის კომპანიები, სამრეწველო კომპანიები, და აუდიტორული კომპანიები.

კვლევის შედეგებმა ცხადჰყო, რომ ჯერ კიდევ ბევრი პრობლემებია გადასაწყვეტი, რომელიც უკავშირდება, უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების კურსდამთავრებულთა პროფესიულ შესაძლებლობებს და მათ კვალიფიკაციას.

კითხვაზე: ,,ფიქრობთ თუ არა, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების კურსდამთავრებულები კარგად არიან მომზადებულები სამუშაოს განსახორციელებლად“, კვლევაში მონაწილე დამსაქმებლების 65%–მა განაცხადა, რომ კურსდამთავრებულები ვერ პასუხობენ თანამედროვე ბაზრის, კერძო სექტორის მოთხოვნებს. 20%–მა აღნიშნა, რომ კურსდამთავრებულები მხოლოდ ნაწილობრივ პასუხობენ თანამედროვე ბაზრის მოთხოვნებს. 10%–მა განაცხადა, რომ კურსდამთავრებულები პასუხობენ თანამედროვე ბაზრის მოთხოვნებს, ხოლო 5%–მა განაცხადა, რომ უჭირთ პასუხის გაცემა. (იხ. დიაგრამა 37).

**დიაგრამა 37. კურსდამთვრებულთა მომზადების დონით კმაყოფილების მაჩვენებელი**




კითხვაზე: ,,რა ცოდნა არ მიგაჩნიათ საკმარისად კურსდამთავრებულების განათლებაში სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულებისას“, რესპოდენტთა 30 %–მა უპასუხა, რომ ეს

არის გადაწყვეტილების მიღების უნარი, 60%–მა კი განაცხადა, რომ ეს არის ანალიტიკური აზროვნების უნარი. დროის ეფექტურად მართვის უნარი დაასახელა 2%–მა, საქმის პრიორიტეტებად დაგეგმვის უნარი – 2%, გუნდის მართვისა და გუნდური მუშაობის უნარი – 2%, სტრესულ გარემოში მუშაობის უნარი–1%, მოლაპარაკების წარმოების უნარი–1%, ეფექტური კომუნიკაციის უნარი– 1%, შემჭიდროებულ ვადებში მუშაობის უნარი–1%. (იხ.დიაგრამა. 38).

**დიაგრამა 38. პრიორიტეტული კომპეტენციების რეიტინგი**




ნათელია, რომ როდესაც კურსდამთავრებულს არ აქვს საკმარისი რაოდენობის ცოდნა და მისი უნარ-ჩვევები ვერ პასუხობს ბაზარის სტანდარტებსა და გამოწვევებს, შესაბამისად იქმნება სამუშაოს შესრულების დროს სერიოზული პრობლემები. შედეგად კლებულობს მოთხოვნა დამსაქმებლის მხრიდან და მატულობს უკმაყოფილების მაჩვენებელი კურსდამთავრებულთა შორის.

კითხვაზე: ,,თქვენი აზრით, უახლოეს 3–5 წელიწადში, რომელი მნიშვნელოვანი უნარები, ცოდნა, თვისება, დასჭირდებათ კურსდამთავრებულებს პროფესიული საქმიანობისთვის“, დროის ეფექტურად მართვის უნარი დაასახელა 3%, სტრესულ გარემოში მუშაობის უნარი – 4%–მა, შემჭიდროებულ ვადებში მუშაობის უნარი– 3%, თანამედროვე ტექნოლოგიების ცოდნა — 40%, უახლესი თეორიების ცოდნა — 50%. (იხ.დიაგრამა. 39).

**დიაგრამა 39. პროფესიული უნარების საპროგნოზო მაჩვენებელი უახლოეს 3–5 წელიწადში.**



უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენს რეალობაში ძალზედ ხშირია, როდესაც დამსაქმებელს თავად უწევს კურსდამთავრებულთა როგორც თეორიული მომზადება, (სხვადასხვა სახის ტრეინინგები, სასწავლო ბლოკ–კურსები), ასევე პრაქტიკული უნარ-ჩვევების (კომპიუტერული პროგრამების, ფინანსური და საბუღალტრო პროგრამების, მსოფლიო საძიებო სისტემების Google, Bing და სხვა გამოყენების, საჭირო ინფორმაციის მოძიების), განვითარება. აღნიშნული პროცესები კი უკავშირდება როგორც დროით დანახარჯებს, ასევე ფინანსურ ხარჯებს, რაც საბოლოოდ სტიმულს უკარგავს დამსაქმებელს დაინტერესდეს სამუშაოს მაძიებლით. შედეგად კურსდამთავრებული საწყის ეტაპზევე, ღებულობს უარს დასაქმებაზე.

კითხვაზე: ,,როგორი იქნება თქვენი ორგანიზაციის სურვილები სასწავლებლის მიმართ, რომელიც ამზადებს სპეციალისტებს თქვენი ორგანიზაციის საქმიანობისთვის საჭირო პროფესიებში“, რესპოდენტთა 60%–ი, თვლის რომ აუცილებელია, სასწავლო პროგრამებში დამსაქმებლების აქტიური ჩართვა და მათი რეკომენდაციების დანერგვა/რეალიზება. ასევე აუცილებელია სტუდენტთა შეფასების პროცესში დამსაქმებლის ჩართვა. 40%–მა აღნიშნა, რომ აუცილებელია თეორიული ცოდნის პრაქტიკასთან მეტი სინთეზი და მიზანშეწონილია მეტი კონცენტრაცია პრაქტიკულ სწავლებაზე კერძო სექტორის თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად. (იხ.დიაგრამა 40).

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები, ფაქტობრივად კურსდამთავრებულთა სახით ქმნიან პროდუქტებს, რომლის უშუალო მომხმარებელები არიან სწორედ დამსაქმებლები. შესაბამისად საბაზრო ეკონომიკის ფუნდამენტალური პრინციპების გათვალისწინებით, ,,მწარმოებლებმა“ – უმაღლესმა სასწავლო დაწესებულებებმა, მეტად უნდა გაითვალისწინონ, ,,მომხმარებელთა“, ანუ დამსაქმებლები ინტერესები, რათა მოხდეს ორმხრივად მიზნების ჰარმონიზაცია. შედეგად, ამაღლდება უმაღლესი საგანმანათლებლო მომსახურების ბაზრის კონკურენტუნარიანობა და ამავდროულად, აცილებული იქნება დისბალანსი სამუშაო ძალის მიწოდებასა და მასზე მოთხოვნას შორის.

კითხვაზე: ,,ღებულობთ, თუ არა მონაწილეობას, სტუდენტების სასწავლო პროგრამების უზრუნველყოფის (შედგენა – განხილვა – ანალიზი – რეალიზაცია) პროცესებში“, რესპოდენტთა 90%–მა განაცხადა, რომ ისინი მსგავს აქტივობებში არ ღებულობენ

მონაწილეობას. 10%–მა კი დაადასტურა, რომ ნაწილობრივ ჩართული არიან ზემოაღნიშნულ პროცესებში. (იხ.დიაგრამა 41).

**დიაგრამა 40. დამსაქმებელთა რეკომენდაციების შკალა**




**დიაგრამა 41. დამსაქმებელის ჩართულობის მაჩვენებელი სასწავლო პროგრამების შედგენის,განხილვის,ანალიზის და რეალიზაცის კუთხით.**




კითხვაზე: ,,ხართ თუ არა ჩართული სტუდენტების საწარმოო პრაქტიკის უზრუნველყოფის პროცესში, მათ შორის სამუშოზე შეფასების პროცესში“, რესპოდენტთა 70%–მა განაცხადა, რომ ისინი მსგავს აქტივობებში არ ღებულობენ მონაწილეობას. 30%–მა კი, დაადასტურა, რომ ნაწილობრივ ჩართული არიან ზემოაღნიშნულ პროცესებში. (იხ.დიაგრამა 42).

კითხვაზე:,,თუ როგორია თქვენთვის კონკურენტუნარიანი უმაღლესი სასწავლებლის შეფასების მთავარი კრიტერიუმები“, რესპოდენტთა 90%–მა განაცხადა, რომ კურსდამთავრებულებული არ უნდა საჭიროებდეს გადამზადებას ადგილზე, უნივერსიტეტი აქტიურად უნდა თანამშრომლობდეს დამსაქმებლებთან და უნივერსიტეტი უნდა აწარმოებდეს სტუდენტების კარიერული განვითარების რეესტრს. 10%–მა კი აღნიშნა, რომ უნივერსიტეტი უნდა იყოს ბრენდული ნიშნით გამორჩეული და კურსდამთავრებული უნდა ფლობდეს უმაღლეს დონეზე 2 ან მეტ უცხო ენას.(იხ.დიაგრამა 43).

უაღრესად საინტერესოა დამსაქმებლებთან ჩატარებული ჩაღრმავებული ინტერვიუების შედეგები. როგორც დამსაქმებლებმა საუბარში აღნიშნეს: ,,კვალიფიკაციის დონეზე ვერ

ვხედავ სხვაობას ბაკალავრსა და მაგისტრს შორის, მათი უნარები თითქმის იდენტურია, ამის მიზეზია ხშირად, სასწავლო პროგრამაში შემავალი საგნების დუბლირებები“.

**დიაგრამა 42. დამსაქმებელის ჩართულობის მაჩვენებელი, საწარმოო პრაქტიკის უზრუნველყოფის პროცესში.**




**დიაგრამა 43. უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების კონკურენტუნარიანობის მთავარი კრიტერიუმები**




,,კურსდამთვრებულს არ გააჩნია თვისი კვალიფიკაციის შესაბამისი ცოდნა, განსაკუთრებით ეს ჩანს თეორიოული ცოდნის პრაქტიკაში გადატანის დროს, ეს უკავშირდება უნივერსიტეტების დამსქმებლებთან მიმართებაში დაბალ აქტივობას“. ,,რამოდენიმე კერძო კომპანიამ, კერძო უმაღლეს სასწავლებლებთან ერთად განვახორციელეთ კურსდამთვრებულებთან გასაუბრება მათი დასაქმების მიზნით. იმის გამო, რომ არჩევანის საშუალება ფაქტობრივად არ იყო, 600 კურსდამთავრებულიდან შერჩეულ იქნა 16. ამის მიზეზია სწავლების კომპონენტში პრაქტიკული მეცადინეობების ნაკლებობა “. ,,ხშირად წერილობითაც კი მივმართავთ უმაღლეს სასწავლებლებს, რათა აცნობონ ჩვენთან არსებული ვაკანსიების შესახებ სტუდენტებს, თუმცაღა არ ვგრძნობთ მათგან თანამზაობას, რაც მიგვაჩნია არასწორად, რადგანაც ამით სტუდენტებს შორის მცირდება კონკურენცია და მოტივაცია“. ,,სტუდენტთა სასწავლო პროგრამების შედგენაში და სტუდენტთა შეფასების პროცესებში აუცილებლობად მიგვაჩნია, პერიოდულად მაინც ჩვენი თანამონაწილეობა, რადგანაც ჩვენი აზრით, ხშირ შემთხვევაში აბსოლუტურად აცდენილია სწავლის შედეგი ბაზარზე არსებულ მოთხოვნებს“.

# თავი 4. განსჯა და მეცნიერული მიგნებები

## 4.1 უმაღლესი საგანმანათლებლო მომსახურების ბაზრის კონკურენტუნარიანობის ფორმირების თავისებურებანი.

საქართველოში დაწყებული უმაღლესი განათლების სისტემის რეფორმების შედეგად საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო მომსახურების ბაზარმა სერიოზული წინსვლა განიცადა, როგორც სამართლებრივი რეგულირების თვალსაზრისით, ასევე ბაზრის ადმინისტრირების კუთხით. თუმცა, საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო მომსახურების ბაზარს მსოფლიოში მიმდინარე უმაღლესი განათლების სისტემის განვითარების დინამიური პროცესების გათვალისწინებით, სულ უფრო და უფრო მეტი გამოწვევების მიღება უხდება.

ამ მხრივ, ძალზედ საინტერესო იყო ჩვენთვის უმაღლესი განათლების სისტემის იმ რეფორმების გამოცდილების გაზიარება, რომელიც წარმატებულად განახორციელეს ბალტიის ზღვის რეგიონის ქვეყნებმა (ესტონეთი, ლიტვა, ლატვია).

დღეს უკვე ზემოაღნიშნული ქვეყნები, ევროკავშირის წევრები არიან. მათი განვლილი გზა და მცირე დროის მონაკვეთში მიღწეული დიდი წარმატების და გამოცდილების გაზიარება განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო მომსახურების ბაზრის მომავალი განვითარებისათვის.

ბალტიის ზღვის რეგიონის ქვეყნების უმაღლესი საგანმანათლებლო სისტემის რეტროსპექტივის განხილვის დასაწყისია გასული საუკუნის 90-იანი წლები, როდესაც საფუძველი ჩაეყარა ძირეულ სტრუქტურულ ცვლილებებს. სწორედ ამ პერიოდში ლიტვამ, ლატვიამ და ესტონეთმა, მიიღო ევროკავშირის რეკომენდაცია, სადაც გაკეთდა შემდეგი ჩანაწერი: ,,მსხვილი მასშტაბური ინვესტიციები უმაღლესი განათლების სფეროში, ესაა პირდაპირი ინვესტიცია, ბალტიის ზღვის რეგიონის ქვეყნების ევროპულ მომავალში“.(49, 3).

ევროკავშირმა ფაქტობრივად ბალტიის ზღვის რეგიონის ქვეყნებს მისცა პირდაპირი დირექტივა. ერთი მხრივ მოუწოდა რა განეხორციელებინა მსხვილი ინვესტიციები უმაღლესი განათლების სისტემაში, მეორე მხრივ, ეს განხილული იქნებოდა, როგორც ინვესტიცია მათი ევროპული მომავლის უზრუნველსაყოფად. გასული საუკუნის 90-იანი

წლებიდან დღემდე ლიტვამ, ლატვიამ და ესტონეთმა განახორციელეს არაერთი წარმატებული რეფორმა, სადაც წამყვანი პოზიციები ეკავა უმაღლესი განათლების მხარდაჭერის ისეთ სტრატეგიულ მიმართულებებს, როგორიცაა:

– განათლება და სწავლება;

– განათლების ხარისხის უზრუნველყოფა;

– ინტერნაციონალიზაციის მხარდაჭერა;

– უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

ამასთანავე, მნიშვნელოვან მიღწევებად ითვლება თანამედროვე მსოფლიოს ისეთი სერიოზული გამოწვევების რეალიზება, როგორიცაა:

– სამ საფეხუროვანი სწავლების უზრნველყოფა;

– ევროპული შეფასების სისტემის (ECTS) დანერგვა;

– ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს შექმნა და მისი თავსებადობაში მოყვანა ევროპულ სტანდარტებთან;

– უწყვეტი განათლების (Lifelong Learning ) მხარდაჭერა;

– სტუდენტთა მობილობის უზრუნველყოფა.

ხარისხის უზრუნველყოფის მოდულის ნაწილში განსაკუთრებით საყურადღებოა ისეთი მიმართულებები, როგორიცაა:

– სასწავლო პროგრამების/ კურიკულუმის შედგენა და განვითარება;

– სამეცნიერო ხარისხის განსაზღვრის, მინიჭების, აღიარების რეგლამენტაციის დახვეწა და რეალიზაცია;

– აკადემიური თანამდებობების დაკავების საკონკურსო სისტემის შემოღება და უზრუნველყოფა. რაც შეეხება ინტერნაციონალიზაციის მოდულს, ავტორს მიაჩნია, რომ ამ მხრივ ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ისეთი საკითხები, როგორიცაა:

– უნივერსიტეტების ქმედუნარიანობა საერთაშორისო ერთობლივი პროექტების განხორციელება და მხარდაჭერა;

– უცხოელი აკადემიური პერსონალისა და სტუდენტებისათვის ინტეგრირების შესაძლებლობების ხელშეწყობა;

– სასწავლო და საგანმანათლებლო ინფორმაციის უცხო ენაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;

– უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან მემორანდუმების გაფორმება, რითაც თვითოეული უნივერსიტეტი აიღებს ვალდებულებას ხელი შეუწყოს ინტერნაციონალიზაციის პროცესს.

2004 წლის 4 ივლისს ლიტვის პარლამენტმა დაამტკიცა უმაღლესი განათლების ნაციონალური სტრატეგია, სადაც გამოიკვეთა 3 ძირითადი პრიორიტეტი:

– უმაღლესი განათლების მიზნობრივი დაფინანსება;

– უმაღლესი განათლების ადმინისტრირების/მენეჯმენტის სისტემის განვითარება;

– უწყვეტი განათლების სისტემის შექმნა, განვითარება და უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის ზრდა, როგორც სოციალური სამართლიანობის მხარდაჭერის პრიორიტეტი. (49, 10).

დღეს საქართველოში რეგისტრირებულია 75 უმაღლესი სასწავლებელი. მათ შორის 55 კერძო უმაღლესი სასწავლებელი და 20 სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებელი, სადაც სწავლობს დაახლოვებით 167247 სტუდენტი. (33). ერთი შეხედვით საკმაოდ კონკურენტულად გამოიყურება უმაღლესი საგანმანათლებლო მომსახურების ბაზარი. რეალურად ბაზარზე არსებული უმაღლესი სასწავლებლების რიცხობრივი სიჭარბე ქმნის არასამართლიანი კონკურენციის გარემოს. შედეგად სახეზეა კურსდამთავრებულთა დაბალი კვალიფიკაცია. ევროპული გამოცდილების გათვალისწინებით, აბსოლუტურად შეუსაბამოა ქვეყნის მოსახლეობის რაოდენობა (3,7 მლნ.), ქვეყანაში არსებულ უმაღლეს სასწავლებელთა რიცხობრივ მაჩვენებელთან.

გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში 109 უნივერსიტეტია იმ დროს, როდესაც მოსახლეობა 82 მლნ. მაცხოვრებელია; ლიტვის რესპუბლიკაში 23 უნივერსიტეტია, მოსახლეობის რაოდენობა კი 3,5 მლნ–ს არ აღემატება; ლატვიის რესპუბლიკაში 26 უნივერსიტეტია, მოსახლეობის საერთო რაოდენობა 3 მლნ. მაცხოვრებელია; ესტონეთის რესპუბლიკაში 15 უნივერსიტეტია, ხოლო ქვეყნის მოსახლეობა - 1,4 მლნ. მაცხოვრებელი; ნიდერლანდებში 32 უნივერსიტეტია, მოსახლეობის რაოდენობა კი - 16 მლნ. მაცხოვრებელი; ფინეთში - 15 უნივერსიტეტი, ქვეყნის მოსახლეობის რაოდენობა 5,3 მლნ. მოსახლეს შეადგენს. (96).(97).(101).

შესაბამისად, წარმოდგენილი ევროპული გამოცდილების გათვალისწინებით, მხედველობაში, თუ მივიღებთ ქვეყნის მოსახლეობის რაოდენობასა და ქვეყანაში არსებული

უნივერსიტეტების რაოდენობას, მაშინ საქართველოში ქვეყნის მოსახლეობის რაოდენობის (3,7 მლნ.) გათვალისწინებით, უნივერსიტეტების რაოდენობის ოპტიმალურ შკალას წარმოადგენს 15-30 ერთეული. შესაბამისად, მიზანშეწონილია კერძო უმაღლესი სასწავლებლების ავტორიზაციის პროცესის გამკაცრება.

ევროპის ქვეყნების გამოცდილების გათვალისწინებით განხორციელებული შედარებითი ანალიზი კიდევ ერთხელ ადასტურებს საქართველოს უმაღლესი საგანმანთლებლო მომსახურების ბაზარზე არსებული უნივერსიტეტების რიცხობრივ სიჭარბეს. არადა უდავოა, რომ დღეის მდგომარეობით მსოფლიოში უმაღლესი საგანმანათლებლო მომსახურების ბაზარზე ისევე, როგორც გერმანიასა და ჰოლანდიის სამეფოს, ფინეთსა და ბალტიის ზღვის რეგიონის ქვეყნებსაც, მოწინავე პოზიციები უკავიათ და მნიშვნელოვანი უმაღლესი საგანმანათლებლო რეფორმების ავტორებადაც გვევლინებიან.

ევროკომისიის და სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების შეფასებით, ბალტიის ზღვის რეგიონის ქვეყნები აღმოსავლეთ ევროპის სხვა წამყვან ქვეყნებთან ერთად განათლების ხარისხისა და ადმინისტრირების მიხედვით ლიდერებად მოიაზრებიან აღმოსავლეთ ევროპაში აღნიშნულ სექტორში. (52, 3-4).

კიდევ ერთი საინტერესო გარემოება, რომელიც უარყოფითად აისახება უმაღლესი საგანმანათლებლო მომსახურების ბაზრის კონკურენტუნარიანობაზე არის ის, რომ საქართველოში ძალზედ დიდია რიცხობრივი მაჩვენებელი იმ უნივერსიტეტების, რომლებსაც ბაზარზე ოპერირების უაღრესად მცირე (2-7 წლის) გამოცდილება გააჩნიათ. საქართველოში ყველაზე ახალგაზრდა უნივერსიტეტი 2-3 წლის არის იმ დროს, როდესაც ზემოხსენებული ევროპული ქვეყნებიდან ყველაზე ახალგაზრდა უნივერსიტეტი ნახევარ საუკუნეზე მეტ პერიოდს ითვლის. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების რაოდენობრივი ზრდა არ უნდა მოხდეს განათლების ხარისხობრივი დევალვაციის ხარჯზე, რადგანაც შედეგად უახლოეს პერიოდში მივიღებთ უამრავ კონკურენტუუნარო უმაღლეს სასწავლებელს.

უფრო მეტიც, 2011 წლის სტატისტიკის მიხედვით, საქართველოში 57 უმაღლესი სასწავლებელი იყო. (40). 2015 წლის მონაცემებით უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების რიცხობრივი მაჩვენებელი 75 ერთეულამდეა გაზრდილი. (40). ბოლო პერიოდის აღნიშნული ნეგატიური ტენდენცია პირდაპირ ზეგავლენას ახდენს სამუშაო ძალის ბაზარზეც. შედეგად,

დაბალია კურსდამთავრებულთა კვალიფიკაცია, ხოლო შრომის ბაზარზე გაზრდილია კვალიფიცირებული კადრების დეფიციტი.

პარადოქსალურია კვლევის შედეგები ბაზარზე არსებულ კონკურენციასთან დაკავშირებით. კვლევაში მონაწილე უმაღლესი სასწავლებლების აბსოლუტურმა უმრავლესობამ განაცხადა, რომ დღეის მდგომარეობით, დიდი კონკურენციაა უმაღლესი საგანმანათლებლო მომსახურების ბაზარზე. ამავე დროს, როგორც რესპოდენტებმა აღნიშნეს დღეს საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო მომსახურების ბაზარზე მყოფი უნივერსიტეტების მხოლოდ 40%–ია კონკურენტუნარიანი.

კვლევის შედეგების კრიტიკული ანალიზით, საქართველოში უმაღლეს საგანმანათლებლო მომსახურების ბაზარზე მნიშვნელოვანი წილი უკავიათ კონკურენტუუნარო უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებს, რაც მინიმუმ ორი დასკვნის გამოტანის საშუალებას გვაძლევს:

– მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაში მოქმედებს მკაცრი ავტორიზაციის და აკრედიტაციის წესებისა და ნორმების ერთობლიობა, ხშირ შემთხვევაში ბაზარზე მაინც გვხვდება კონკურენტუუნარო უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების საკმაოდ დიდი რაოდენობა, რაც უმაღლესი საგანმანათლებლო მომსახურების ბაზარზე უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების კონკურენტუნარიანობის ამაღლების წინაპირობად ვერ იქნება განხილული;

– სახეზეა კონკურენცია ,,კონკურენტუუნარო“ უმაღლეს სასწავლებლებს შორის;

ფაქტია, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო მომსახურების ბაზარზე სრულყოფილი კონურენციას ჯერ კიდევ მრავალი ფაქტორი გვაშორებს. ამ ფაქტორთა გამოსავლენად სპეციალურად შემუშავებულ იქნა, უნიფიცირებული კითხვარის ერთგვარი სკალა. (იხ. ცხრილი 3).

რესპოდენტთა 90%–მა აღნიშნა, რომ უმაღლესი საგანმანთლებლო მომსახურების ბაზარზე კონკურენციას უაღრესად აფერხებს ისეთი ფაქტორები, როგორიცაა: ერთიანი ეროვნული გამოცდების პრაქტიკა, სახელმწიფო დაფინანსების საგრანტო სისტემა, ავტორიზაციის და აკრედიტაციის დაბალი სტანდარტები, უმაღლესი სასწავლებლების კონტროლის დაბალი სტანდარტები. ასევე, გამოკითხულთა 80%–მა განაცხადა, რომ უმაღლესი საგანმანთლებლო მომსახურების ბაზარზე კონკურენციას აფერხებს: ბაზარზე მყოფი უნივერსიტეტების

რაოდენობა, ბაზარზე არსებული დაბალი მოთხოვნა, ბაზართან – (კერძო სექტორთან) კომუნიკაციის დაბალი დონე.

**ცხრილი 3. უმაღლესი საგანმანათლებლო მომსახურების ბაზარზე კონკურენციის შემაფერხებელი ფაქტორები**

| -2<br>უაღრესად აფერხებს რიგ შემთხვევებში | -1<br>აფერხებს | 0<br>არ ზემოქმედებს | 1<br>მცირედით აფერხებს | 2<br>აფერხებს |
|---|---|---|---|---|
| (საპასუხო ვარიანტები) | | | | |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| არსებული ნორმატიული ბაზა | –2 | –1 | 0 | 1 | 2 |
| ბაზარზე არსებული დაბალი მოთხოვნა | –2 | –1 | 0 | 1 | 2 |
| ერთიანი ეროვნული გამოცდების პრაქტიკა | –2 | –1 | 0 | 1 | 2 |
| ავტორიზაციის და აკრედიტაციის დაბალი სტანდარტები | –2 | –1 | 0 | 1 | 2 |
| სახელმწიფო დაფინანსების საგრანტო სისტემა | –2 | –1 | 0 | 1 | 2 |
| უმაღლესი განათლების ბაზრის კონტროლის დაბალი სტანდარტები | –2 | –1 | 0 | 1 | 2 |
| შრომის ბაზრის და განათლების ბაზრის დაბალი კომუნიკაცია | –2 | –1 | 0 | 1 | 2 |
| ბაზარზე მყოფი უნივერსიტეტების რაოდენობა | –2 | –1 | 0 | 1 | 2 |
| სასწავლო პრაქტიკისა და დასაქმების დაბალი დონე | –2 | –1 | 0 | 1 | 2 |

სერიოზულ პრობლემად უნდა მივიჩნიოთ ასევე ის გარემოება, რომ საქართველოში არსებული უნივერსიტეტების 68% დედაქალაქში მდებარეობს (33), რაც ფაქტობრივად შეუსაბამობაში მოდის საქართველოს კანონმდებლობასთან. კერძოდ, საქართველოს კანონში უმაღლესი განათლების შესახებ (მუხლი.3) აღნიშნულია: ,,სახელმწიფო უზრუნველყოფს პიროვნების ინტერესებისა და შესაძლებლობების შესატყვისი უმაღლესი განათლების მიღების, კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას და უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობას". (15,3-4) შექმნილი რეალობის გათვალისწინებით, უაღრესად რთული მდგომარეობა იქმნება ,,პიროვნების ინტერესებისა და შესაძლებლობების შესატყვისი უმაღლესი განათლების მიღების" ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით.

ამ მხრივ, ევროპის ქვეყნებში სიტუაცია საპირისპიროა და უმაღლესი სასწავლო დაწესებულებები პროპორციულად არის განაწილებული ცენტრსა და რეგიონების შორის. ესტონეთში, კერძოდ ტალინში თავს იყრის უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების საერთო რაოდენობის მხოლოდ 30%–ი, ლიტვაში - ვილნიუსში მაჩვენებელი არ აღემატება 25%–ს, ხოლო ლატვიაში - რიგაში აღნიშნული მაჩვენებელი 30%–ს შეადგენს. დაბალი მაჩვენებელია დასავლეთ ევროპის ქვეყნებშიც. კერძოდ, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში,

ბერლინში იგი 10%–ს შეადგენს; ავსტრიაში, ვენაში მაჩვენებელი 15%–ია; იტალიაში, რომში 20%-ს; ხოლო, საფრანგეთში მაჩვენებელი ასევე 20%-ს შეადგენს. (103).(104).(105)

აღნიშნული ნეგატიური ტენდენციის საპირისპიროდ, მნიშვნელოვანია მომავალში კერძო უმაღლესი სასწავლებლების პროპორციული გადანაწილების უზრუნველყოფა ცენტრისა და რეგიონების დონეზე. ამ მხრივ ძალზედ დიდია ავტორიზაციის პოლიტიკის როლი. უნდა აღინიშნოს, რომ სამწუხაროდ, საქართველოში მკაცრი საავტორიზაციო პოლიტიკის ნაცვლად, ადგილი აქვს შედარებით ლიბერალურ პოლიტიკას, ხოლო სახელმწიფო ავტორიზაციისა და აკრედიტაციის არსებული ნორმები სრულყოფილად ვერ პასუხობენ მსოფლიო საავტორიზაციო სტანდარტებს. რაც უარყოფით ასახვას ჰპოვებს საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო მომსახურების ბაზარზე.

დღეის მდგომარეობით, ასევე მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს, უმაღლესი განათლების ბაზრის ადმინისტრირების დაბალი დონე. მოუგვარებელია ისეთი საკითხები, როგორიცაა:

– უმაღლესი განათლების სფეროში ერთიანი სახელმწიფო საგანმანათლებლო პოლიტიკის შემუშავების დროს განათლების ბაზართან აქტიური კომუნიკაცია (დიალოგი);

– საგრანტო პრიორიტეტების და ოდენობებს განსაზღვრის დროს, უმაღლესი საწავლებლების მოსაზრებები და წინადადებების ნაკლებად გათვალისწინება და სხვა.

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს ნაკლებად ეძლევათ საშუალება მონაწილეობა მიიღონ მსგავსი მნიშვნელობის ღონისძიებებში.

კვლევაში მონაწილე რესპოდენტთა 90%–მა განაცხადა, რომ სახელმწიფოს მიერ უმაღლესი განათლების სფეროში ერთიანი სახელმწიფო საგანმანათლებლო პოლიტიკის შემუშავების და განხორციელების პროცესში უნდა იყოს ჩართული უმაღლესი განათლების კერძო სექტორიც, რათა უმაღლესი განათლების პოლიტიკა მეტად ეფექტიანად წარიმართოს. გამოკითხული უნივერსიტეტების აბსოლუტურმა უმრავლესობამ (100%) განაცხადა, რომ სამწუხაროდ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ საგრანტო პრიორიტეტების და ოდენობების შემუშავების პროცესებში მონაწილეობის საშუალება არ გააჩნიათ.(6). სერიოზული პრობლემებია საგრანტო პრიორიტეტების და ოდენობებს განსაზღვრის და განაწილების კუთხითაც.

გამოკითხულ რესპოდენტთა 70%–ი, თვლის, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო მომსახურების ბაზარზე საწელმწიფოს მხრიდან მხოლოდ რიგი პროგრამების დაფინანსება წარმოადგენს უმაღლესი საგანმანათლებლო მომსახურების ბაზარზე მყოფი უმაღლესი სასწავლებლების სამართლებრივ დისკრიმინაციას.

საინტერესოა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2015 წლის #43/ნ ბრძანება: ,,დამტკიცდეს 2015-2016 სასწავლო წელს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებზე პროგრამული დაფინანსების გაცემის წესი და პირობები" ამ ბრძანების დანართი 1-ის შესაბამისად" (20,1). ,,დამტკიცდეს ,,2015-2016 სასწავლო წელს სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ბაკალავრიატის აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამების ის პროგრამული მიმართულება/მიმართულებები, რომელშიც/რომლებშიც სტუდენტის სწავლის საფასურს სრულად აფინანსებს სახელმწიფო" დანართი 2-ის შესაბამისად". (20, 1-2).

მასში აღნიშნულია, რომ სახელმწიფო თავის თავზე იღებს ვალდებულებას სტუდენტების სწავლის საფასური მთლიანად დააფინანსოს, რიგ უმაღლეს სასწავლებლებში, რიგ პროგრამებზე. სახელმწიფოს კეთილი ნება შეეხიდოს სტუდენტებს და დახმარება გაუწიოს მათ განათლების მიღების პროცესში შესაძლებელია განხილულ იქნას, როგორც დადებითი მოვლენა, მაგრამ საბაზრო ეკონომიკის ფუნდამენტალური პრინციპებიდან გამომდინარე უნდა აღინიშნოს, რომ მსგავსი სამთავრობო დონის გადაწყვეტილება, სადაც პირდაპირ არის მითითებული ის უმაღლესი სასწავლო დაწესებულებები, (მათი შერჩევის ყოველგვარი არგუმენტაციის გარეშე) და ის პროგრამები, (ასევე დასაბუთებისა და ყოველგვარი ახსნის გარეშე) რომლებზედაც ვრცელდება სახელმწიფო სუბსიდია, რა თქმა უნდა, ქმნის არათანაბარი კონკურენციის წინაპირობებს, წარმოადგენს სერიოზულ საფრთხეს, ასუსტებს ბაზარზე მყოფ ყველა დანარჩენ უმაღლეს სასწავლო დაწესებულებას, რაც საბოლოოდ აისახება უმაღლესი განათლების ბაზრის კონკურენტუნრიანობაზე. აღნიშნული ბრძანება ქმნის სამართლებრივი დისკრიმინაციის საფრთხეს და აბსოლუტურად ეწინააღმდეგება უმაღლესი საგანმანათლებლო მომსახურების ბაზრის სამართლებრივი ადმინისტრირების თანამედროვე სტანდარტებს.

საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო მომსახურების ბაზრის ადმინისტრირების დაბალი ხარისხი, შესაბამისად, უმაღლესი საგანმანათლებლო მოსახურების ბაზრის დაბალი კონკურენტუნარიანობა, ასევე ვლინდება შემდეგი პრობლემატური საკითხებითაც:

– საერთშორისო აკრედიტაციის აღიარების მექანიზმების არ არსებობა;
– საერთაშორისო აკრედიტაციის მქონე უმაღლესი სასწავლებლებისათვის აკრედიტაციის ხელმეორედ გავლის ვალდებულება;
– უმაღლესი სასწავლებლების ორგანიზაციული თავისუფლების შეზღუდვა და სხვა.

კვლევაში მონაწილე რესპოდენტთა 50%–მა აღნიშნა, რომ საერთაშორისო აკრედიტაციის მქონე უმაღლესი სასწავლებებლების დავალდებულება, ხელმეორედ გაიარონ აკრედიტაცია მიმღებ/მასპინძელ ქვეყანაში აუცილებლობას არ უნდა წარმოადგენდეს. გამოკითხულთა 50%-მა კი, აღნიშნული ვალდებულება სამართლებრივ დისკრიმინაციად შეაფასა. განვითარებულ ქვეყნებში (საფრანგეთი, გერმანია, ავსტრია, იტალია) უპირობოდ აღიარებულია საერთშორისო ლიცენზიის მქონე ყველა უფლება და საერთაშორისო სტანდარტებისა და ვალდებულებების პატივისცემა მთავარი პრიორიტეტია.

პრობლემურია საკითხი უმაღლესი სასწავლებლების ორგანიზაციული და აკადემიური თვისუფლების კუთხითაც. გამოკითხულთა 70%–ს მიაჩნია, რომ სასწავლო სილაბუსებისა და პროგრამების შემუშავების საერთო სახელმწიფო წესით და რეგულაციებით იზღუდება მათი ორგანიზაციული თავისუფლება. ასევე, რესპოდენტთა 70% თვლის, რომ შეზღუდულია უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების აკადემიური თავისუფლებაც, უმაღლეს სასწავლო დაწესებულებას უნდა ქონდეს უფლება თავად შეარჩიოს აბიტურიენტები. ეს უმთავრესი პრინციპი საფუძვლად უდევს მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების საგანმანათლებლო პოლიტიკას. აბიტურიენტთა შერჩევისა და მიღების შესაძლებლობის პრაქტიკა უკვე დიდი ხანია დამკვიდრებულია განვითარებული ქვეყნების, უმაღლესი საგანმანათლებლო მოსახურების ბაზარზე. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ზემოხსენებული პრაქტიკის დამკვიდრება და ამ კუთხით სახელმწიფოს მინიმალური ჩარევა უმაღლესი საგანმანათლებლო მომსახურების ბაზარზე უდავოდ აამაღლებს ბაზრის კონკურენტუნარინობის ხარისხს.

კვლევის ფარგლებში საგანმანათლებლო მომსახურების ბაზრის პრობლემებისადმი მიძღვნილი ქართველი და უცხოელი ავტორების შრომების, სხვადასხვა სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციების, საერთაშორისო ფორუმების მასალების, საერთაშორისო

ორგანიზაციების კვლევების ანგარიშების, ადგილობრივი, თუ საერთაშორისო ნორმატიული აქტების, მათ შორის დეკლარაციების და შეთანხმებების შესწავლამ და კრიტიკულმა შედარებითმა ანალიზმა, ბალტიის ზღვის რეგიონის და ევროპის ქვეყნების გამოცდილების გათვალისწინებით, საშუალება მოგვცა განგვესაზღვრა უმაღლესი საგანამანათლებლო მომსახურების ბაზრის კონკურენტუნარიანობის სრულყოფის მთავარი პრიორიტეტები, როგორიცაა:

– უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაცია,

– უმაღლესი განათლების დაფინანსების დივერსიფიკაცია – აქცენტების გაკეთება დაფინანსების თანამედროვე მოდელებზე;

– უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებსა და დამსაქმებლებს შორის მჭიდრო კავშირურთიერთობების ხელშეწყობა და განვითარება;

– ადგილობრივი და ევროპული სამართლებრივი რეგულაციების ჰარმონიზაცია.

განხორციელებული კვლევის კრიტიკული ანალიზით გამოვლენილია პრობლემათა ფართო სპექტრი:

– უმაღლესი საგანმანათლებლო მომსახურების ბაზარზე ოპერირებადი უმაღლესი სასწავლებლების რიცხობრივი სიჭარბე;

– უმაღლესი საგანმანათლებლო მომსახურების ბაზარზე კონკურენტუუნარო უმაღლესი სასწავლებლების რაოდენობის ზრდა;

– უმაღლესი სასწავლებლების ძალზედ მაღალი კონცენტრაცია ცენტრის დონეზე;

– სამართლებრივი ბაზის ნაკლოვანებები, როგორიცაა: უმაღლესი განათლების სფეროში ერთიანი სახელმწიფო საგანმანათლებლო პოლიტიკის შემუშავების დროს უმაღლესი განათლების ბაზრის კერძო სექტორთან დაბალი კომუნიკაცია;

– საგრანტო პრიორიტეტების და ოდენობების განსაზღვრის დროს, კერძო უმაღლესი საწავლებლების მოსაზრებების და წინადადებების ნაკლებად გათვალისწინება;

– საერთშორისო აკრედიტაციის აღიარების მექანიზმების არ არსებობა;

– საერთაშორისო აკრედიტაციის მქონე უმაღლესი სასწავლებლებისათვის აკრედიტაციის ხელმეორედ გავლის ვალდებულება; უმაღლესი სასწავლებლების ორგანიზაციული თავისუფლების შეზღუდვა;

– სამართლებრივი დისკრიმინაციის პრეცედენტები, კერძოდ: სახელმწიფოს მხრიდან მხოლოდ რიგი უმაღლესი სასწავლებლების და პროგრამების დაფინანსების ექსკლუზივის ლეგალიზება და სხვა სერიოზულ საფრთხეს უქმნის ბაზრის კონკურენტუნარიანობის ამაღლებას.

## 4.2 უმაღლესი საგანმანათლებლო მომსახურების ბაზრის დაფინანსება და მისი ოპტიმიზაცია.

უმაღლესი საგანმანათლებლო მოსახურების ბაზარზე განათლების მაღალი ხარისხის მიღწევა მნიშვნელოვანი ფინანსური ინვესტიციების გარეშე შეუძლებელია. მიუხედავად უმაღლესი განათლების სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის ეროვნულ პრიორიტეტად გამოცხადებისა, ამ სფეროებზე გამოყოფილი დაფინანსება არ არის საკმარისი იმისათვის, რომ უზრუნველყოს რეგიონში და მსოფლიო დონეზე კონკურენტუნარიანი პროდუქტის შექმნა.

უმაღლესი განათლებისა და კვლევის სახელმწიფო დაფინანსების არსებული მექანიზმი არასტაბილურ გარემოს ქმნის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის. უმაღლესი განათლების დაფინანსების არსებული მექანიზმი არასახარბიელო მდგომარეობაში აყენებს უმაღლეს სასწავლებლებს. საქართველოში განათლებაზე გაწეული დანახარჯები მშპ–თან მიმართებაში 2015 წლის მდგომარეობით დაახლოებით 2,7%, საიდანაც უმაღლეს განათლებაზე იხარჯება მხოლოდ მესამედი, ანუ დაახლოებით 0,9%. (40) ანალოგიური მაჩვენებელი ბალტიის ზღვის რეგიონის ქვეყნებში, სადაც მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე, თითქმის 4–ჯერ მეტია ვიდრე საქართველოში, მერყეობს 2–3%–მდე, რაც უდავოდ სოლიდურ მაჩვენებელს წარმოადგენს. კერძოდ, ესტონეთში მაჩვენებელი შეადგენს 2,9%-ს, ლიტვაში - 2,4%-ს, ხოლო ლატვიაში - 2%-ს. ასევე სოლიდური ბიუჯეტის გათვალისწინებით, საკმაოდ მაღალია ფინანსური მხარდაჭერა როგორც აღმოსავლეთ, ასევე დასავლეთ ევროპის ქვეყნებში. უმაღლეს განათლებაზე გაწეული დანახარჯები მშპ–თან მიმართებაში პოლონეთში 2,8%–ს შეადგენს, ფინეთში - 3%–ს, ჰოლანდიის სამეფოში - 3%–ს, გერმანიაში - 3,2%–ს, ხოლო ავსტრიაში - 3,1%–ს. (111).(112) შესაბამისად ჩვენი ქვეყნისათვის პრინციპულად მნიშვნელოვანია მისი მიახლოვება ევროპულ ორიენტირთან, რომელიც მთლიანი შიდა პროდუქტის 3% შეადგენს.

უმაღლეს საგანმანათლებლო მომსახურების ბაზარზე დამატებითი კერძო ფონდების მოზიდვა პრინციპულად მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს. უაღრესად საინტერესოა აღნიშნული მიმართულების კვლევის შედეგების ანალიზიც. რესპოდენტთა უმრავლესობამ (80%), აღნიშნა, რომ სამეცნიერო საგრანტო პროექტებში მონაწილეობის დროს, სრულიად უსამართლო და არაკონკურენტული გარემოა შექმნილი უმაღლესი განათლების ბაზარზე. ფაქტობრივად მათ არ ეძლევათ მონაწილეობის უფლება და კონკურსის პირველივე ეტაპზე (წარდგენილი დოკუმენტაციის შესწავლა) უარს ღებულობენ. ასევე გამოკითხულთა 70%–მა განაცხადა, რომ აღნიშნული ფაქტორების გამო, ბოლო 3 წლის განმავლობაში, არ მიუღიათ

მონაწილეობა სამეცნიერო (ადგილობრივ) საგრანტო და (საერთაშორისო) საგრანტო კონკურსში.

ამჟამად, საქართველოში უმაღლესი განათლებისა და კვლევის დაფინანსების როგორც წყაროები, ისე ფორმები არ არის სათანადოდ დივერსიფიცირებული იმისათვის, რომ უზრუნველყოს ხარისხი და ხელმისაწვდომობა. მიუხედავად იმისა, რომ როგორც ესტონეთში, ლიტვასა და ლატვიაშიც ეროვნული გამოცდების პრაქტიკა დღესაც არსებობს, სტუდენტთა საერთო რაოდენობის დაახლოებით 20–25%, საშუალება ეძლევა სახელმწიფო ხელშეწყობით მიიღონ მონაწილეობა საერთაშორიოს გაცვლით სასწავლო პროგრამებში. განსაკუთრებული ხელშეწყობა კი სწავლების მესამე საფეხურზე მყოფი სტუდენტებისათვისაა უზრუნველყოფილი და დოქტორანურაში მსწავლელთა 10% უფინანსდება სწავლა. (112).

უმაღლესი საგანმანათლებლო მომსახურების ბაზრის დაფინანსების საკითხი არა ერთგზის გამხდარა საჯარო პოლემიკის თემა. ამდენად, კვლევაში მონაწილე რესპოდენტთა კრიტიკული პოზიცია სავსებით გასაგებია. გამოკითხულთა 100%–მა აღნიშნა, რომ 2250 ლარი, ნაწილობრივ შეესაბამება სწავლების საბაზრო ფასს და იგი არ წარმოადგენს რეალურ საბაზრო ღირებულებას, რადგან სასწავლო ინფრასტრუქტურის, მატერიალურ ტექნიკური ბაზისა და სწავლების თანამედრო მეთოდების გათვალისწინებით, ფასი გაცილებით მეტი უნდა იყოს. (6). ამდენად, სასურველია განისაზღვროს ერთგვარი ზღვარი რომლის ქვევითაც ფასი არ უნდა დაეშვას, რადგან რიგ შემთხვევებში ფასი აბსოლუტურად ვერ უზრუნველყოფს და ვერ აკმაყოფილებს უმაღლესი სასწავლებლების ფუნქციონირების მიზნებს და უფრო დემპინგის ხასიათს ატარებს, რაც ვფიქრობთ, რომ ხელს შეუშლის ბაზარზე კონკურენტული გარემოს სრულყოფას. უმაღლესი საგანმანათლებლო მომსახურების ბაზარზე განხორციელებული კვლევის თანახმად, საბაზრო ფასი საშუალოდ 2500–5000 ლარის ფარგლებში მერყეობს. აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ თუნდაც არასაბაზრო ფასის პირობებში, უმაღლესი საგანმანათლებლო მომსახურების ბაზარზე სრულყოფილ კონკურენციაზე საუბარი სამწუხაროდ ჯერ კიდევ ნაადრევია.

დღეს საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო მომსახურების ბაზრის დაფინანსების მექანიზმები არ არის საკმარისად დივერსიფიცირებული. მიუხედავად იმისა, რომ კვლევაში მონაწილე რესპოდენტთა 80%–მა, განაცხადა, რომ მათთვის ცნობილია უმაღლესი საგანმანათლებლო მომსახურების ბაზრის დაფინანსების ალტერნატიული მოდელები,

საქართველოში უმაღლესი საგანმანათლებლო მომსახურების ბაზრის მხარდაჭერა დაფინანსების ალტერნატიული მოდელებით რეალობაში არ ხორციელდება მისი კონცეფციის არ ცოდნის გამო. საქართველოში უმაღლესი საგანმანათლებლო მომსახურების ბაზრის დაფინანსება უმრავლეს შემთხვევაში შემოიფარგლება მხოლოდ უნივერსიტეტის შიდა სტიპენდიით, რაც საკმარის ფინანსურ მხარდაჭერად ვერ იქნება მიჩნეული.
იმისათვის, რომ საქართველოში ამაღლდეს უმაღლესი საგანმანათლებლო მომსახურების ბაზრის კონკურენტუნარიანობა, საჭიროა დაფინანსების ალტერნატიული მოდელების დანერგვა.

უდავოა, რომ დაფინანსების მოდელების უზრუნველყოფა მხოლოდ სტიპენდიის სახით, დღეს უკვე აღარ წარმოადგენს უმაღლესი საგანმანათლებლო მომსახურების ბაზრის თანამედროვე სტანდარტების დაკმაყოფილების წინაპირობას. თანამედროვე მსოფლიოში უმაღლესი საგანმანათლებლო მომსახურების ბაზრის დაფინანსების მოდელები წარმოადგენს ყველაზე მნიშვნელოვან ელემენტს, რომელიც განსაზღვრავს უმაღლესი განათლების მთლიან სისტემას მისი ინსტიტუციური, თვისებრივი და ხარისხობრივი მახასიათებლებით. სწორედ ეფექტიანი დაფინანსების მოდელები ქმნის უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის რეალურ შესაძლებლობებს.

ბუნებრივია, ჩნდება რამოდენიმე ფუნდამენტური და სტრატეგიული მნიშვნელობის შეკითხვა ქვეყნის უმაღლესი განათლების დაფინანსების თვალსაზრისით.

– როგორ განაწილდეს სახელმწიფო ბიუჯეტის შეზღუდული ფინანსური რესურსები? და არსებობს, თუ არა სახელმწიფოს ფინანსური რესურსის ალტერნატივა?
– ან/და უნდა არსებობდეს, თუ არა სახელმწიფოს ფინანსური რესურსის ალტერნატივა?
– და ბოლოს, რა ფინანსური და იურიდიული მექანიზმები არსებობს უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის, უმაღლესი განათლების დაწესებულებების სწავლის ხარისხისა და კონკურენტული შესამლებლობების ასამაღლებლად?

ამ მხრივ ძალზედ საინტერესოა, დასავლეთ ევროპისა და ბალტიის ზღვის რეგიონის ქვეყნების გამოცდილება. აღნიშნული ქვეყნების წამყვანი მეცნიერები და პრაქტიკოსები უმაღლესი განათლების ეკონომიკისა და მართვის სისტემაში გვთავაზობენ უმაღლესი განათლების დაფინანსების სხვადასხვა წყაროებსა და მოდელებს თეორიული საფუძვლებითა და მიზეზებით, მათი სუსტი და ძლიერი მხარეების გაანალიზებით და რაც

მთავარია კერძო და სახელმწიფო დაფინანსების ურთიერთკავშირისა და მნიშვნელობის დასაბუთებით.

ევროპულ ქვყნებში ყურადღება ფოკუსირებულია დაფინანსების შემდეგ მოდელებზე: ბიუროკრატიული, კოლეგიალური, საბაზრო მოდელი, ინსტიტუციონალური, პროგრამული ფინანსირებისა და მომსახურების მიმღების დაფინანსების მოდელი და დაფინანსების ბლოკ–გრანტული მოდელი. განვიხილოთ თითოეული მოდელი შინაარსობრივ და თვისობრივ ჭრილში და მოვახდინოთ თითოეული მოდელის დადებითი და უარყოფითი მხარეების ანალიზი. (48,2).

უმაღლესი საგანმანთლებლო მოსახურების ბაზრის დაფინანსების ბიუროკრატიული მოდელის თანახმად დაფინანსება სრულად ხორციელდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან. თავიმხრივ, ამ შემთხვევაში სახელმწიფო პირდაპირ გავლენას ახდენს დაფინანსების ყველა სფეროზე იურიდიული და ფინანსური თვალსაზრისით. მას შეუძლია განსაზღვროს დაფინანსების სტრუქტურა, დეპარტამენტების რაოდენობა, დასაქმებულთა და მისაღები სტუდენტების რაოდენობა, სამეცნიერო კვლევების მიმართულებები და საჭიროებები და ა.შ. ფაქტობრივად სახელმწიფო იღებს სრულ კონტროლს ფინანსური რესურსების ადმინისტრირებაზე. სახლემწიფოს შეუძლია გადასცეს ფუნქციები სხვადასხვა მაკონტროლებელ ორგანოებს (საბჭოებს, კომისისებს, კომიტეტებს და სხვა) სადაც წარმომადგენლები აკადემიური საზოგადოებიდან იქნებიან წარმოდგენილნი. (იხ.სქემა 2). (48, 3).

ამ მოდელის ძირითადი უპირატესობა მდგომარეობს იმაში, რომ სახელმწიფო სრულად აკმაყოფილებს შრომის ბაზრის მოთხოვნას, დარგის სპეციალისტებზე, სათანადო კადრებზე და ექსპერტებზე. თუმცაღა აღნიშნულ მოდელს თავისი ნაკლოვანებებიც გააჩნია:

– წარმოქმნილი ცენტრალიზებული ფინანსები თითქმის სრულიად ზღუდავს უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების ავტონომიას და აკადემიურ თავისუფლებას, უნივერსიტეტის ცხოვრების ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტაში;

– ასეთი დაფინანსების მქონე უმაღლესი სასწავლო დაწესებულებებს არ აქვთ დამოუკიდებელი ფინანსური რესურსების მოძიების უფლება;

– არსებული ფინანსური რესურსების გამოყენების ყოველი ახალი ფაზა ძირითადად დამოკიდებულია წინა წლის გამოცდილებაზე, რაც ვერ ითვალისწინებს ახალ მოთხოვნებს,

რომელიც შესაძლოა წლის განმავლობაში უმაღლესი საგანმანათლებლო მოსახურების ბაზარზე შეიცვალოს;

– შეზღუდულია ფინანსური ცვლილებების განხორციელების შესაძლებლობაც, რომელიც უკავშირდება სწრაფი გადაწყვეტილების მიღებას, რადგან გადაწყვეტილების მიღების პროცესი, როგორ წესი, მოითხოვს უამრავი ბიუროკრატიული პროცედურით რეგულირებას.

სქემა 2. დაფინანსების ბიუროკრატიული მოდელი




საინტერესოა დაფინანსების კოლეგიალური მოდელიც. აღნიშნული მოდელი აღწერს უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების ქმედებებს, რომელიც მხოლოდ ნაწილობრივ სუბსიდირებულია სახელმწიფოს მიერ. უმაღლესი სასწავლო დაწესებულებებს უფლება აქვთ მოიზიდონ კერძო ფონდები (სწავლის გადასახადის დაფინანსებით, სხვადასხვა პროექტებით მომსახურების სანაცვლოდ, ეკონომიკური დაწესებულებებისათვის სამეცნიერო კვლევების ჩატარების შედეგად, სხვადასხვა სტიპენდიებისა და პროგრამების დაფინანსების მეშვეობით), მათ აქვთ ასევე უფლება თავისუფლად განკარგონ მათ ხელთ არსებული ყველა რესურსები.

ასეთი მოდელის სტრუქტურა ემყარება უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების ფინანსური დამოუკიდებლობის ტრადიციულ იდეას, ასევე ნდობაზე დამყარებულ ურთიერთობებს სახელმწიფოსა და უნივერსიტეტებს შორის. უმაღლესი სასწავლო დაწესებულებებზე გადაცემული ფინანსური დამოუკიდებლობის უფლება, უნივერსიტეტებს საშუალებას აძლევს თავად აირჩიონ ეფექტური ხარჯვის პრინციპი. სახელმწიფო სუბსიდია, მოიცავს

ბიუჯეტს, უმაღლესი სასწავლებლის ინსტიტუციური დონის - სენატის, საბჭოს მიერ მისი ხარჯვის უფლებას. (იხ.სქემა 3). (58, 10).

აღნიშნული მოდელის ერთ-ერთი ნაკლოვანები მდგომარეობს იმაში, რომ უმაღლეს სასწავლებლებში, როგორც წესი, ყველა სპეციალობა და მიმართულება ერთნაირი მოთხოვნით არ არის წარმოდგენილი. შესაბამისად, ჩნდებიან ნაკლებად პოპულარული სპეციალობები და მიმართულებები. ესეთ დროს კი მათი კერძო დაფინანსებით უზრნველყოფა წარმოშობს დიდ სირთულეებს, რაც საბოლოოდ აისახება არაეფექტურ ადმინისტრირებაზე. შესაბამისად, პროგრამების ხარისხზე და მათი განვითარების სამომავლო პერსპექტივებზე. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებასაც, რომ ხშირად არაპოპულარულ სასწავლო მიმართულებებს შორის ხვდებიან ისეთი ფუნდამენტური მეცნიერებები, როგორიცაა ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებები, მაშინ სულ უფრო აქტუალური ხდება საკითხი მათი სახელმწიფოს მხრიდან სუბსიდირების აუცილებლობისა.

განსაკუთრებული ყურადღება ბალტიის ზღვის რეგიონის ქვეყნებში ეთმობა უმაღლესი საგანმანათლებლო მომსახურების ბაზრის დაფინასების ე.წ. ,,საბაზრო მოდელს“. აღნიშნული მოდელი თავის შინაარსიდან გამომდინარე უნიფიცირებულ სახეს ატარებს და რაც ყველაზე მთავარია, უნივერსიტეტებს ავალდებულებს, რომ მჭიდროდ ითანამშრომლონ უმაღლესი საგანმანათლებლო მომსახურების ბაზრის თითოეულ სუბიექტთან.

**სქემა 3. დაფიანანსების კოლეგიალური მოდელი**




სწორედ ამ მოდელის ფარგლებში უმაღლესი სასწავლო დაწესებულებები აქტიურად ახორციელებენ საქმიან, პარტნიორულ ურთიერთობებს, როგორც სტუდენტებთან და

აკადემიურ პერსონალთან, ასევე სხვადასხვა კერძო სექტორის წარმოამადგენლებთან და რაც მთავარია, უშუალოდ დამსაქმებლებთან. მოდელის ადმინისტირების არსებული მექანიზმი საშუალებას აძლევს უნივერსიტეტებს შექმნან განვითრების მდგრადი გარანტიები. იგი ემიჯნება მოსაზრებას იმის შესახებ, რომ სახელმწიფომ განსაზღვროს სამომავლო სასწავლო და დარგობრივი პრიორიტეტები და მთლიანად მხარს უჭერს იდეას, რომლის თანახმადაც აღნიშნულ პროცესებში ჩართული უნდა იყვნენ ბაზრის მიერ შექმნილი პროდუქტების უშუალოდ მიმღებები, კერძოდ: საზოგადოება, ბიზნესი და წარმოება.

მოდელის კიდევ ერთ უპირატესობას წარმოადგენს მკაფიო და გამჭირვალე ფინანსური გეგმების, ანგარიშების, საპროგნოზო მაჩვენებლების შემუშავება და მათი წარდგენა პოტენციური ინვესტორებისათვის (სახელმწიფო, კერძო კომპანიები, კერძო საინვესტიციო ფონდები და სხვა.). აღნიშნული პროცესი აამაღლებს რა კონკურენტუნარიანობას უმაღლესი საგანმანათლებლო მომსახურების ბაზარზე, პარალელურად ხელს უწობს განათლების ბაზარზე, კიდევ უფრო მძაფრი კონკურენციის განვითარებას ფინანსური რესურსების მოსაპოვებლად. (იხ.სქემა 4). (58, 20).

ამასთანავე, სწორედ აღნიშნული მოდელით შესაძლებელი ხდება უმაღლესი სასწავლებლების მეტი საბაზრო მოქნილობის უზრუნველყოფა, რათა უპასუხონ ბაზარზე არსებულ ყველაზე უახლეს და მნიშვნელოვან გამოწვევებს. სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ უპასუხონ უმაღლესი საგანმანათლებლო მომსახურების ბაზრის ყველაზე აქტუალურ მოთხოვნებს.

მოდელს გააჩნია თავისი ნაკლოვანებებიც. აღნიშნული მოდელის გათვალისწინებით, აქცენტები უფრო მეტად კეთდება იმ პროგრამების და პროექტების მხარდაჭერაზე, რომელთაც მოკლევადიან პერიოდში გააჩნიათ მაღალი უკუგება. გარდა ამისა უაღრესად მკაცრი ფინანსური კონტროლი, ერთი მხრივ დადებითი ეფექტის მომტანია, მაგრამ მეორე მხრივ, მოითხოვს უზომოდ დიდ შრომას და ენერგიას, მათ შორის აკადემიური პერსონალისგანაც (სხვადასხვა ფინანსური ანგარიშების წარმოდგენა, საფინანსო ანკეტების და დოკუმენტების შევსება, ანალიზი, სხვადასხავა სასწავლო პროექტების მიზანშეწონილობის დამტკიცების უზრუნველყოფა), რაც შესაძლებელია ბიუროკრატიული პროცესებით გართულებულ იქნას.

სქემა  4. დაფინანსების საბაზრო მოდელი




საინტერესოა ასევე, დაფინანსების ინსტიტუციური მოდელი. ისევე როგორც ზემოთ განხილული სხვა მოდელები, დაფინანსების ინსტიტუციური მოდელი, უაღრესად დიდი პოპულარობით სარგებლობს თანამედროვე მსოფლიოში როგორც შინაარსობრივი თვალსაზრისით, ასევე მოდელის რეალიზაციის სიმარტივის ფაქტორის გამო. მოდელი მხედველობაში იღებს და განსაკუთრებულ აქცენტებს აკეთებს უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში არსებულ სწავლების ხარისხზე და უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების სამეცნიერო აქტივობებზე.

სახელმწიფო დაფინანსების არსებული მოდელის აპრიორია, სახელმწიფოს დონეზე უმაღლესი საგანმანთლებლო მომსახურების ბაზრის კონკურენტუნარიანობის ამაღლება და სრულყოფა. ის აბსოლუტურად თავსებადია დაფინანსების როგორც ბიუროკრატიულ, ასევე კოლეგიალურ მოდელებთან. მისი გამოყენება საბაზრო მოდელის დროსაცაა შესაძლებელი, სახელმწიფო ფინანსური ფონდების უზრუნველსაყოფად. (58, 23).

აღნიშნული მოდელის მიხედვით, უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებს ევალებათ ყოველწლიური საფინანსო განაცხადის წარდგენა, შესაბამის საგანმანათლებლო და საფინანსო უწყებებში, მისი საჭიროების და ეფექტიანობის დამტკიცებით. წარდგენილი განაცხადის დაკმაყოფილების შემთხვევაში გამოყოფილი ფინანსური სახსრები ექვემდებარება მკაცრ საფინანსო კონტროლს როგორც დონორის მიერ, ასევე უმაღლეს

სასწავლო დაწესებულებების აუდიტის სამსახურების მიერ. დაუხარჯავი ფინანსური ასიგნები კი, ექვემდებარება უკან დაბრუნებას და მათი სხვა დანიშნულებით გამოყენება დაუშვებელია.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ მომავალი წლის ბიუჯეტში, როგორც წესი, დონორი საფინანსო ინსტიტუტი ახორციელებს დაფინანსების შემცირებას, იმ უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებისათვის, რომელთაც წლის ბოლოს რჩებათ დაუხარჯავი ფინანსური რესურსი. ეს კი ხელს უწყობს უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების საფინანსო გეგმების დახვეწასა და სრულყოფას.

საინტერესოა მოდელის დაფინანსების წინაპირობაც, სადაც განსაკუთრებული ყურადღება ექცევა წარდგენილი ფინანსური განაცხადის თითოეული მოთხოვნის მიზნობრიობასა და მნიშვნელობას, ყველაზე უმნიშვნელო წვრილმანი საკითხების გათვალისწინებითაც კი. მხედველობაში მიიღება ისეთი საკითხები როგორიცაა: უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების მიერ სტუდენტთა მაქსიმალური გამტარუნარიანობა, (სტუდენტთა მაქსიმალური მიღების შესაძლებლობა), თანაფარდობა აკადემიურ პერსონალსა და სტუდენტთა შორის, სამეცნიერო აქტივობების და სამეცნიერო პუბლიკაციების მაჩვენებელი, ასევე, დაცული დისერტაციების ჰაბილიტაციის მაჩვენებელი. განხილული მოდელები გამოიყენება ისეთ განვითარებულ ქვეყნებში, როგორიცაა ფინეთი, დანია, ნიდერლანდები, შვედეთი, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკა, ავსტრია და სხვა. (58, 29).

საინტერესოა ასევე, პროგრამული ფინანსირებისა და მომსახურების მიმღების დაფინანსების მოდელი. მოდელის რეალიზების მთავარი პრინციპია, აქცენტირება, იმ უმაღლეს სასწავლებლებზე, რომლებზედაც ძალზედ დიდია მოთხოვნა მომსახურების მიმღების (აბიტურიენტები, სტუდენტები) მხრიდან. მოდელის უნიკალურობა, გამოიხატება იმაში, რომ უმაღლესი სასწავლო დაწესებულებები ფაქტობრივად აბსოლუტურად დამოუკიდებლები არიან და არ ექვემდებარებიან სახელმწიფო რეგულირებას ფინანსური კუთხით.

უმაღლესი სასწავლო დაწესებულებებისათვის ფინანსური რესურსის უშუალო მიმწოდებელი თავად აბიტურიენტია იმდენად, რამდენადაც მომსახურების მიმღებმა (აბიტურიენტები, პოტენციური სტუდენტები) თავად აირჩია რა ესა, თუ ის უნივერსიტეტი, სახელმწიფო ვალდებული ხდება დააფინანსოს სწორედ მის მიერ არჩეული უმაღლესი

სასწავლებელი. დაფინანსების აღნიშნული მოდელი, დეცენტრალიზაციის მაღალი ხარისხის გამო, მიიჩნევა დაფინანსების საბაზრო მოდელთან ყველაზე ახლოს მდგომ მოდელად.

მოდელს გააჩნია თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები. შესაძლებელია ნაკლოვანებად მივიჩნიოთ ის გარემოება, რომ დაფინანსების ოდენობას, რიგ შემთხვევაში სახელმწიფო დამოუკიდებლადაც განსაზღვრავს. განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ სწავლის გადასახადი მკვეთრად აღემატება სახელმწიფო სუბსიდიის ოდენობას. როგორც წესი უმრავლეს შემთხვევაში სახელმწიფო სრულად ან 70 %–ით ფარავს სტუდენტის სწავლის საფასურს.

დადებითი ფაქტორია ის გარემოება, რომ სწავლის დაფინანსების ოდენობის განსაზღვრასთან დაკავშირებით სახელმწიფო გადის ასევე აქტიურ კონსულტაციებს უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებთანაც. თავის მხრივ, დაფინანსების ოდენობა ცვალებადია და ის დამოკიდებულია იმ სასწავლო პროგრამის სახეზე, რასაც ირჩევს სტუდენტი. დადებითი ფაქტორია ისიც, რომ სწორედ პროგრამული ფინანსირებისა და მომსახურების მიმღების დაფინანსების მოდელი ევროპის ქვეყნებში მიჩნეულია, როგორც კონკურენციის ხელშეწყობისა და უმაღლესი განათლების ბაზრის კონკურენტუნარიანობის ამაღლების სერიოზული მოტივატორი. ასევე მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული მოდელის დაფინანსების ფარგლებში, სტუდენტს აქვს უფლება განაცხადოს მოთხოვნა დამატებითი დაფინანსების უზრუნველსაყოფად.

ევროპის ქვეყნებში, უმაღლესი საგანმანათლებლო მომსახურების ბაზარზე, ასევე ფართო აღიარება აქვს სასწავლო პროგრამული დაფინანსების ე.წ. ,,ბლოკ–გრანტების“ მოდელს. აღნიშნული მოდელი წარმატებით მუშაობს ევროპის უამრავ ქვეყანაში, როგორიცაა: შვედეთი, ბრიტანეთი, ავსტრია, საბერნეთი, თურქეთი, სლოვენია, ესტონეთი, ლიტვა და ლატვია.

მოდელში მთავარი აქცენტი კეთდება შესაძლებლობაზე, უმაღლეს სასწავლო დაწესებელებებს, სახელმწიფო ბიუჯეტიდან, სასწავლო გრანტებთან ერთად გადაეცეთ ბლოკ-გრანტებიც, რომელთა ოდენობაც გათვლილი იქნება ფორმულის საფუძველზე. ფორმულის შემადგენლობაში შედის შემდეგი კომპონენტები:

– აკადემიური პერსონალის რაოდენობა;
– აკადემიური პერსონალის კვალიფიკაცია;

– აკადემიური პროგრამების და სწავლების ხარისხი;

– უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში, ინტერნაციონალიზაციის ხარისხი;

– უმაღლეს სასწავლო დაწესებულებების, კერძო სექტორთან ურთიერთობის მაჩვენებლები. (58, 36). მოდელის უპირატესობა, მდგომარეობს იმაში, რომ ამ პირდაპირი დაფინანსების განკარგვა უნივერსიტეტებს შეუძლიათ საკუთარი შეხედულებისამებრ.

ევროპისა და ბალტიის ზღვის რეგიონის ქვეყნებში, ასევე განსაკუთრებული აქცენტები გადატანილია უშუალოდ სტუდენტთა ფინანსურ მხარდაჭერაზე. სტუდენტთა ფინანსური უზრუნველყოფა შემუშავებულია და წარმოდგენილია მრავალი ასპექტის გათვალისწინებით. საშუალება გვაქვს წარმოვადგინოთ ზოგიერთი მათგანი.

ლატვიის რესპუბლიკის მაგალითი. ლატვიაში სწავლების პირველ საფეხურზე, სტუდენტთა 55%–ს უფინანსდება სწავლება. დაფინანსების მთავარი კრიტერიუმი კი, მათი აკადემიური მოსწრებაა. თავის მხრივ, სტუდენტთა სახელმწიფო მხარდაჭერა უცხოელ სტუდენტებზეც (შეზღუდული ოდენობით 10%–ი) ვრცელდება. აკადემიური მოსწრება სტუდენტთა დაფინანსების ერთადერთ კრიტერიუმს არ წარმოადგენს. ლატვიაში განსაკუთრებული აქცენტები კომპიუტერული, ფუნდამენტალური სამეცნიერო დარგების და თანამედროვე ტექნოლოგიების შემსწავლელ სასწავლო პროგრამების მხარდაჭერაზე კეთდება. ასევე, ყურადღება ეთმობა ინკლუზიური განათლების ხელშეწყობას. ლატვიაში ყოველწლიურად დაახლოებით 4000 სტუდენტს, რომლების განეკუთვნებიან შეზღუდული უნარ-ჩვევების, სოციალურად დაუცველების კატეგორიას და ა.შ. სახელმწიფო უფინანსებს სწავლას.

მხარდაჭერილია სწავლების მეორე (მაგისტრატურა) საფეხურიც. სწავლების პირველი საფეხურისგან განსხვავებით, ამ შემთხვევაში ფინანსური მხარდაჭერის მთავარი დონორი ორგანიზაციაა ევროპის სოციალური განვითარების ფონდი, რომელიც ზემოაღნიშნული სწავლების საფეხურზე მყოფი სტუდენტების საერთო რაოდენობის 40%–ს აფინანსებს. დაფინანსების კრიტერიუმები ამ შემთხვევაშიც მკაცრადაა დადგენილი. დაფინანსების მთავარ პრიორიტეტებს წარმოადგენს ისეთი სასწავლო დარგები, როგორიცაა, ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებები, მანქანათმშენებლობა და ჯანდაცვა.

ლატვიაში საკმაოდ მოქნილია სტუდენტთა საკრედიტო სისტემაც. სტუდენტური სესხი ძირითადად ორი სახისაა: სტუდენტური სესხი სწავლების დასაფინანსებლად, და სტუდენტური სესხი სწავლების პროცესში ცხოვრების ხარჯების დასაფარად. სტუდენტური

სესხი წარმოადგენს ხელსაყრელ საკრედიტო ვალდებულებას, რომლიც გამოირჩევა როგორც დაბალი პროცენტით (2-3%), ასევე სარგებლის დიდი პერიოდით (5-10წ). (113).

ლიტვის რესპუბლიკის მაგალითი. როგორც ლატვიაში, ასევე ლიტვის რესპუბლიკაშიც უმაღლესი განათლების ფინანსური მხარდაჭერა ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის ერთ–ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს. ლიტვაში სტუდენტებს გააჩნიათ არა მხოლოდ სწავლის დაფინანსების რეალური მხარდაჭერა, არამედ მათ აქვთ შესაძლებლობა მოიპოვონ ისეთი სახის სტიპენდიები, როგორიცაა: აკადემიური განვითარების ხელშეწყობისა და სოციალური სტიპენდია. ლიტვაში სწავლების პირველი საფეხურის 2 სემესტრის შედეგებზე დაყრდნობით. ხორციელდება სტუდენტთა სწავლების დაფინანსება, მთელი სასწავლო პერიოდი სწავლის დასრულებამდე. სტუდენტთა მეტი ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, ლიტვაში მოქალაქეთა იმ კატეგორიას, ვისი შვილიც წარმატებული სტუდენტია, წლის ბოლოს უბრუნდება უკვე გადახდილი საშემოსავლო გადასახადი სწავლის საფასურის 15%ის ოდენობით. მაღალ დონეზეა ასევე განვითარებული სტუდენტთა საკრედიტო სისტემაც. სტუდენტთა სახელმწიფო მხარდაჭერა უცხოელ სტუდენტებზეც (შეზღუდული ოდენობით) ვრცელდება. გარდა ამისა, ყურადღება ეთმობა ინკლუზიური განათლების ხელშეწყობას. (113).

ესტონეთის რესპუბლიკის მაგალითი. ესტონეთის რესპუბლიკაში სტუდენტთა ფინანსური მხარდაჭერა სწავლების პირველივე საფეხურზეა უზრუნველყოფილი. სწავლების დაფინანსების ოდენობა რეგლამენტირებულია სახელმწიფოს მხრიდან, თუმცაღა ის არ არის უნიფიცირებული და სწავლების დაფინანსება დამოკიდებულია სასწავლო პროგრამულ მიმართულებებზე.

პრიორიტეტული სასწავლო მიმართულებებია ჯანდაცვის, საავიაციო და მანქანათმშენებლობის დარგები. ესტონეთშიც ყურადღება ეთმობა ინკლუზიური განათლების ხელშეწყობას. სტუდენტთა სახელმწიფო მხარდაჭერა უცხოელ სტუდენტებზეც (შეზღუდული ოდენობით) ვრცელდება. ყოველწლიურად დაახლოებით 5000 სტუდენტს, რომლების განეკუთვნებიან შეზღუდული უნარ-ჩვევების, სოციალურად დაუცველების კატეგორიას და ა.შ. სახელმწიფო უფინანსებს სწავლას.

მოქნილია სტუდენტთა საკრედიტო სისტემაც. სტუდენტური სესხი, რომელიც ძირითადად ორი სახისაა: სტუდენტური სესხი სწავლების დასაფინანსებლად, და სტუდენტური სესხი,

სწავლების პროცესში ცხოვრების ხარჯების დასაფარად, წარმოადგენს ხელსაყრელ საკრედიტო ვალდებულებას, რომლიც გამოირჩევა, როგორც დაბალი პროცენტით, ასევე სარგებლის დიდი პერიოდით. (114).

შვედეთის მაგალითი. შვედეთში სწავლების პირველ საფეხურზე სტუდენტთა 67%–ს უფინანსდება სწავლა. დაფინანსების მთავარი კრიტერიუმი კი, მათი აკადემიური მოსწრებაა. გარდა სახელმწიფო დაფინანსებისა, შვედეთში დიდი ყურადღება ეთმობა, სტუდენტთა სოციალურ სტატუსს. სტუდენტთა იმ კატეგორიისათვის, რომელთაც სწავლის მომენტში შექმნილი აქვთ ოჯახები, დამატებით ხორციელდება ფინანსური მხარდაჭერა, სასწავლო კრედიტებით და ფინანსური სუბსიდიებით.

გარდა ამისა, სტუდენტებისათვის ასევე გათვალისწინებულია საგადასახადო შეღავათებიც და სტუდენტებს, აქვთ შესაძლებლობა ისარგებლონ სასწავლო სტიპენდიით, საზღვარგარეთ სწავლისას. სტუდენტებს 25 წლამდე შეუძლიათ განაცხადონ მოთხოვნა სწავლასთან დაკავშირებული სხვადასხვა სამგზავრო ხარჯების ასანაზღაურებლად. შვედეთშიც, (შეზღუდული ოდენობით 15%–ი) ასევე ვრცელდება სტუდენტთა სახელმწიფო მხარდაჭერა, უცხოელ სტუდენტებზე. (115).

ნორვეგიის მაგალითი. ნორვეგიაში სტუდენტებისათვის განსაკუთრებული პირობებია შექმნილი სასწავლო ფინანსური რესურსების მოსაპოვებლად. სწავლა სტუდენტთა დაახლოებით 40%–ს უფინანსდება. დაფინანსების მთავარი კრიტერიუმებია სტუდენტთა სასწავლო აკადემიური მოსწრების რეიტინგი. ამასთანავე აღსანიშნავია, რომ ნორვეგიაში გარდა სახელმწიფო ფინანსური მხარდაჭერისა, დამატებით შექმნილია უმაღლესი განათლების დაფინანსების სახელმწიფო საფინანსო ფონდი, რომლის ძირითადი დანიშნულებაა, სტუდენტებისათვის სახელმწიფო კრედიტების გაცემა. სტუდენტებს 25 წლამდე შეუძლიათ განაცხადონ მოთხოვნა სწავლასთან დაკავშირებული სხვადასხვა სამგზავრო ხარჯების ასანაზღაურებლად.

გაცემული სახელმწიფო გრანტი, შესაძლებელია გადაკვალიფიცირებულ იქნას, როგორც სტიპენდია, თუ სტუდენტები ცხოვრობენ მშობლებისგან განმარტოებით (ცალკე) და გამოირჩევიან განსაკუთრებული ნიჭითა და სწავლის მაღალი დონით. გარდა ამისა, განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ ნორვეგიაში სტუდენტებს, აქვთ შესაძლებლობა ისარგებლონ სასწავლო სტიპენდიით საზღვარგარეთ სწავლისას. ასევე,

ნორვეგიაში ხორციელდება იმ კატეგორიის სტუდენტების დაფინანსება, რომელთაც სწავლების პერიოდში მცირე წლოვანი ბავშვი ჰყავთ. მათთვის დამატებით დაწესებულია ასევე, ფინანსური დახმარებები შვებულებისათვის და ავადმყოფობისათვის. (116).

დანიის მაგალითი. დანიაშიც სტუდენტებისათვის განსაკუთრებული პირობებია შექმნილი. სტუდენტთა დაახლოებით 35%–ს უფინანსდება სწავლა. დაფინანსების მთავარი კრიტერიუმებია სტუდენტთა სასწავლო აკადემიური მოსწრების რეიტინგი. დანიაშიც, გარდა სახელმწიფო ფინანსური მხარდაჭერისა, დამატებით შექმნილია უმაღლესი განათლების დაფინანსების სახელმწიფო საფინანსო ფონდი, რომლის ძირითადი დანიშნულებაა სტუდენტებისათვის სახელმწიფო კრედიტების გაცემა. თავის მხრივ, გაცემული სახელმწიფო გრანტი შესაძლებელია გადაკვალიფიცირებულ იქნას, როგორც სტიპენდია, თუ სტუდენტები ცხოვრობენ მშობლებისგან განმარტოებით (ცალკე) და გამოირჩევიან განსაკუთრებული ნიჭითა და სწავლის მაღალი დონით.

გარდა ამისა, სტუდენტებს 25 წლამდე შეუძლიათ განაცხადონ მოთხოვნა სწავლასთან დაკავშირებული სხვადასხვა სამგზავრო ხარჯების ასანაზღაურებლად. დამატებით, სტუდენტებს, აქვთ შესაძლებლობა ისარგებლონ სასწავლო სტიპენდიით, საზღვარგარეთ სწავლისას.

ხორციელდება ასევე იმ კატეგორიის სტუდენტების დაფინანსება, რომელთაც სწავლის პერიოდში მცირე წლოვანი ბავშვი ჰყავთ. მათთვის დამატებით დაწესებულია ასევე, ფინანსური დახმარებები შვებულებისათვის და ავადმყოფობისათვის. საკმაოდ მოქნილია სტუდენტთა საკრედიტო სისტემაც. განსაკუთრებით მოსახერხებელია, სახელმწიფო სესხი, რომლის საპროცენტო განაკვეთები მერყეობს 2%-დან 4%–მდე. ხოლო საკრედიტო ვალდებულების პერიოდია 15 წელი. (117).

საქართველოში უმაღლესი საგანმანათლებლო მომსახურების ბაზარზე დაფინანსების სისტემის სრულყოფის გარდა, სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს სწავლის გადასახადის კალკულაციის არ არსებობა. ამჟამად არ არსებობს უმაღლესი სასწავლებლებისათვის სწავლის გადასახადის გამოთვლის დადგენილი, რეგლამენტირებული რეალურად ეფექტური წესი, როგორც სახელმწიფო სასწავლებლებში, ასევე კერძო სასწავლებლებში.

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ საქართველოში უმაღლესი საგანმანათლებლო მომსახურების ბაზარზე, სწავლის გადასახადის განსაზღვრა ხდება იდეალურ შემთხვევაში მარტივი წესით, რაც მოიაზრებს ძირითადად მუდმივ ხარჯებს (შრომის ანაზღაურება და კომუნალური ხარჯი), ან უარეს შემთხვევაში პრიმიტიული წესით, რაც მოიაზრებს სწავლის გადასახადის პირდაპირ მორგებას სტუდენტების შესაძლებლობებზე და გადახდისათვის მზადყოფნაზე, ბაზარზე მიმდინარე რეალობის და ქვეყანაში არსებული სოციალურ–ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით, რაც საკმაოდ არასერიოზულად მიგვაჩნია.

უაღრესად საინტერესოა, უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში სწავლის ღირებულების (1 კრედიტი = 25 სთ), გაანგარიშების პრინციპიც. ასე მაგალითად, საქართველოს უმაღლეს საგანამანათლენლო მომსახურების ბაზარზე ოპერირებადი კერძო უმაღლესი სასწავლებლები, (მათი ნაწილი) ჯერ კიდევ 1-2 წლის წინ, მომხმარებელს სწავლას სთვაზობდნენ 3000-4000 ლარის ფარგლებში, ხოლო დღეის მდგომარეობით იგივე უმაღლესი სასწავლო დაწესებულებებში სხვადასხვა პროგრამაზე სწავლების ფასი არ აღემატება 2250 ლარს, რაც ბადებს საფუძვლიან ეჭვს საფასო კალკულაციის კუთხით და მიუთითებს არსებითი და პრინციპულად მნიშვნელოვანი სახის პრობლემებზე.

საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო მომსახურების ბაზარზე კრედიტი - (European Credit Transfer and Accumulation System) - (ECTS), ასახავს სამუშაოს იმ რაოდენობას, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამის ამა, თუ იმ კომპონენტის დასასრულებლად და სწავლის შედეგების მისაღწევად. კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სილაბუსით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება დადებითი შეფასებით. კრედიტების დაანგარიშების საფუძვლად აღებულია ევროპული სისტემა (ECTS): 1 კრედიტი = 25 სთ.

უმაღლესი საგანმანათლებლო ზოგადი რეგულაციებით საბაკალავრო პროგრამა - მინიმუმ 240 კრედიტს შეადგენს ხანგრძლივობა კი 4 წელიწადს, ანუ 8 სემესტრს; სამაგისტრო პროგრამა - მინიმუმ 120 კრედიტს, ხანგრძლივობა: 2 წელიწადს, ანუ 4 სემესტრს. ხოლო სადოქტორო პროგრამა – მინიმუმ 180 კრედიტს, ხანგრძლივობა კი 3 წელიწადს. დღეისმდგომარეობით უმაღლესი საწავლო დაწესებულებები სწავლის 1 კრედიტის საფასურს შემდეგნაირად ანგარიშობენ: სწავლის ღირებულების მთლიანი თანხა გაყოფილი, 1 სასწავლო წელიწადში სავალდებულოდ გასავლელი კრედიტების რაოდენობაზე. შესაბამისად, თუ სწავლის საფასური 2250 ლარია, გამოდის რომ 1 სასწავლო წელიწადში

უმაღლეს სასწავლო დაწესებულებაში სავალდებულოდ გასავლელი 60 კრედიტის გათვალისწინებით, 1 კრედიტის ფასი წარმოადგენს 2250–ის 60–ზე განაყოფს, კერძოდ: 37,5 ლარს. თუ რომელიმე უმაღლეს სასწავლო დაწესებულებაში სწავლის ღირებულებაა 4000 ლარი, მაშინ 1 კრედიტის ღირებულება შეადგენს 4000–ის და 60–ის განაყოფს, დაახლოებით 67 ლარს. ზემოაღნიშნული მეთოდოლოგიის გათვალისწინებით, ჩნდება უამრავი შეკითხვა:

– როგორ ახორციელებენ უმაღლესი სასწავლო დაწესებულებები მოკლევადიან პერიოდში ფასის მინუმუმამდე შემცირებას, ან პირიქით ფასის მაქსიმუმამდე გაზრდას იმ დროს, როდესაც სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული სავალდებულო კრედიტების რაოდენობა უცვლელია და სტანდარტულად 60 კრედიტს შეადგენს ერთ სასწავლო წელიწადში;

– რატომ აწესებენ უმაღლესი სასწავლო დაწესებულებები მაღალ ფასს, როდესაც აღნიშნულის განხორციელება გაცილებით დაბალი ფასის პირობებშიცაა შესაძლებელი, მითუმეტეს ფუნდამენტალური საბაზრო ეკონომიკური პრინციპების გათვალისწინებით ბაზარზე არსებობის მომავალი მხოლოდ იმ ფირმას აქვს ვისაც დაბალი ფასით კონკურენცია შეუძლია.

– როგორ ინარჩუნებენ უმაღლესი სასწავლო დაწესებულებები სწავლების მაღალ ხარისხს და კონკურენტუნარიანობას, როდესაც აბსოლუტურად თავისუფლად ცვლიან მომსახურების ფასს?

საქართველოში არსებული სწავლის გადასახადის კალკულაციის მექანიზმი ვერ პასუხობს ევროპის ქვეყნების (ავსტრია, ფინეთი, გერმანია, დანია, ნიდერლანდები, ესტონეთი, ლატვია, ლიტვა), უმაღლეს სასწავლებლებში არსებულ სწავლის გადასახადის გაანგარიშების სტანდარტს. საილუსტრაციოდ შეგვიძლია მოვიყვანოთ იმ ხარჯების ჩამონათვალი, რომელზედაც ყველაზე მეტი აქცენტი კეთდება ზემოაღნიშნულ ქვეყნებში და რომელი ხარჯებიც საფუძვლად უდევს უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში სწავლების ფასის კალკულაციას.

ეს ხარჯებია, სასწავლო და სამეცნიერო აქტივობების მიმართულებით, როგორც სტუდენტებისათვის ასევე აკადემიური პერსონალისათვის კერძოდ:

- ხარჯები უახლესი თანამედროვე ლიტერატურის ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად;
- სტუდენტთა საერთაშორისო სასწავლო გაცვლითი პროგრამების ხარჯები;
- სტუდენტთა სასწავლო პრაქტიკული მომზადების ხარჯები;

- აკადემიური პერსონალის სამეცნიერო აქტივობების მხარდამჭერი ხარჯები – (სავალდებულო სამეცნიერო მივლინებები, კვალიფიკაციის ასამაღლებელი სავალდებულო სწავლებები);
- პრაქტიკული საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციების უზრუნველყოფის ხარჯები;
- კერძო სექტორთან (დამსაქმებელი), ერთობლივი პროექტების განხორციელების ხარჯები;
- სტუდენტთა კარიერული ხელშეწყობის უზრუნველმყოფელი ხარჯები;
- უნივერსიტეტის საერთაშორისო მისიის გაძლიერების ხარჯები, (პარტნიორ უნივერსიტეტებთან სასწავლო და სამეცნიერო კოლაბორაცია). (48, 19).

ამდენად, საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით, აუცილებელია, რომ კერძო უმაღლეს სასწავლებლებს სწავლის გადასახადის შემუშავების დროს, მიეცეთ რეკომენდაცია იმ ხარჯთა კლასიფიკაციის გათვალისწინების შესახებ, რომელიც სწავლების ფასის კალკულაციის დროს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სწავლების, როგორც ბაკალავრიატის, ასევე მაგისტრატურის და დოქტორანტურის საფეხურებზე. უნდა აღინიშნოს, რომ განხილული მოდელების მსგავსად, დაფინანსების წარმოდგენილი მოდელიც მოითხოვს ასევე განათლების ბაზრისა და კერძო სექტორის მეტ კონსტრუქციულ აქტივობას. კვლევის პროცესში მოპოვებული მეორადი ინფორმაციების დამუშავებით მიზანშეწონილად მიგვაჩნია წარმოვადგინოთ საფასო კალკულაციის ხარჯების ჩამონათვალი შემდეგი სქემატური და პროცენტული კონფიგურაციით:

1. შრომის ანაზღაურება – ნაერთი ბიუჯეტის 40%–ი.
– აკადემიური პერსონალის შრომის ანაზღაურების ხარჯები;
– ადმინისტრაციული პერსონალის შრომის ანაზღაურების და პრემიის ხარჯები;
2. საქონელი და მომსახურება – ნაერთი ბიუჯეტის 20%–ი.
– კომუნალური ხარჯები;
– საკანცელარიო ხარჯები;
– სასწავლო–მატერიალური ბაზის განახლების ხარჯები: ლაბორატორიები, საჭირო ინვენტარი და მასალები;
– თანამედროვე ლიტერატურის ხელმისაწვდომობის ხარჯები;
– საბუღალტრო ხარჯები: იჯარის, ლიზინგის და ა.შ. ხარჯები,
– ავტორიზაციისა და აკრედიტაციის უზრუნველყოფის ხარჯები;

3. გრანტები და სტიპენდიები – ნაერთი ბიუჯეტის 20 %–ი.

– აკადემიური პერსონალის სამეცნიერო მივლინებების ხარჯები;

– მნიშვნელოვანი სამეცნიერო–საინოვაციო პროექტების ხელშეწყობის ხარჯები;

– საერთაშორისო სასწავლო გაცვლითი პროგრამების ხარჯები;

– სტუდენტთა სასწავლო პრაქტიკული მომზადების ხარჯები;

– სტუდენტთა კარიერული ხელშეწყობის უზრუნველმყოფელი ხარჯები;

– სამეცნიერო აქტივობების ხარჯები;

– სხვადასხვა პუბლიკაციების ხარჯები;

– კვალიფიკაციის ამაღლების ხარჯები;

– პრაქტიკული საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციების ხარჯები;

4. სხვა ხარჯები – ნაერთი ბიუჯეტის 20 %–ი.

– კერძო სექტორთან (დამსაქმებელი), ერთობლივი პროექტების განხორციელების ხარჯები;

– უნივერსიტეტის საერთაშორისო მისიის გაძლიერების ხარჯები;

– პარტნიორ უნივერსიტეტებს შორის სასწავლო და სამეცნიერო კოლაბორაციის ხარჯები;

– უნივერსიტეტის საერთაშორისო ფორუმებში და სიმპოზიუმებში მონაწილეობის ხარჯები;

– რეკლამისა და მარკეტინგის ხარჯები;

– სტუდენტთა თვითმმართველობის ხარჯები;

– გაუთვალისწინებელი ხარჯი;

– სარეზერვო ხარჯი.

სადისერტაციო კვლევის ფარგლებში შემუშავებულია, სწავლების გადასახადის კალკულაციის შინაარსობრივად ახალი მათემატიკური მოდელი. უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების სტუდენტების სწავლის გადასახადის გაანგარიშებისათვის, მიზანშეწონილია გამოყენებულ იქნას შემდეგი მათემატიკური ფორმულა $R = [f_1 + f_2 + f_3 + \dots + f_{12}] = (\sum_{i=1}^{12} f_i)$; სადაც, $R$–არის უმაღლესი სასწავლო დაწესებულების მთლიანი წლიური ხარჯი, $f_1 + f_2 + f_3 + \dots + f_{12}$-არის ხარჯების კლასიფიკატორი. იმისათვის, რომ ერთ სტუდენტზე ხარჯი გავიანგარიშოთ, საჭიროა დამატებითი ფორმულირების უზრუნველყოფა, კერძოდ: $\frac{R}{N}$, სადაც **N**-არის უმაღლეს სასწავლო დაწესებულებაში მყოფი სტუდენტების საერთო რაოდენობა. ამევე დროს, აუცილებელია, რომ მოგების მარჟის გათვალისწინების მიზნით, დამატებით შემოღებულ იქნას **Sq** –ცვლადი,

რომელიც სტუდენტთა სწავლის საფასურის გამომხატველია, მოგების მარჟის ცვლილების გათვალისწინებით. მხედველობაში მისაღებია ასევე მოგების მარჟის კორელაცია, სტუდენტების რაოდენობასთან. თუ, $N > 100$, ხოლო მოგების მარჟის ოპტიმალური შკალა მერყეობს (10%-დან 20%–მდე), მაშინ Sq-თვის, ცხადია **Sq**$>\frac{R}{N}$., მაშასადამე ყველა თანაბარ პირობებში მათემატიკური ფორმულირება საბოლოოდ შემდეგ სახეს ღებულობს:

$$\mathrm{Sq} = \begin{cases} 1{,}2 * \frac{R}{N}, \text{თუ } 100 < N \leq 1000 \\ 1{,}15 * \frac{R}{N}, \text{თუ } 1000 < N \leq 2000 \\ 1{,}1 * \frac{R}{N}, \text{თუ } N > 2000 \end{cases}$$

სწავლების კალკულაციის შემუშავების დროს ასევე ყურადღება გავამახვილეთ ქვეყნაში ფასების საერთოდ დონის შესაძლო ცვლილებებზეც. შესაბამისად კალკულაციის შინაარსობრივად ახალ მათემატიკური მოდელში გათვალიწინებულ იქნა ინფლაციის მაჩვენებელიც, რომლის გაანგარიშება შესაძლებელია შემდეგი მათემატიკური ფორმულირებით: (Sq+x) . (1-p)=Sq => x=Sq . p/(1-p);

**(მაგალითი),** თუ Sq=4000 ლარს, ხოლო ინფლაცია=10%–ს, მაშინ სწავლის საფასური იანგარიშება: 4000 + 4000 . 0,1/0,9 = 4000 + 4000/9 = 4444,4 ლარს. დაფინანსების მოცემული მეთოდოლოგია ერთი მხრივ, ხელს შეუწყობს უმაღლეს სასწავლებლებში, სწავლის ღირებულების კალკულაციის გაუმჯობესებას, ხოლო მეორე მხრივ, გაზრდის სხვადასხვა სასწავლო–პრაქტიკული და სამეცნიერო აქტივობების განხორციელების შესაძლებლობებს, რითაც ხელს შეუწყობს უმაღლესი სასწავლებლების კონკურენტუნარინობას.

სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობის პროცესში, საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით, შემუშავებულია საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო მომსახურების ბაზრის დაფინანსების ალტერნატიული მოდელი. (იხ სქემა. 5). უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო მომსახურების ბაზრის თვისებრივად ახალი დაფინანსების ალტერნატიული მოდელი აბსოლუტურად არ მოდის წინააღმდეგობაში დღეს არსებულ სახელმწიფო საგრანტო დაფინანსების სისტემასთან. იგი არც ზღუდავს მას და არც ხელისშემშლელ ფაქტორად გვევლინება. უფრო მეტიც, წარმოდგენილი მოდელი საშუალებას გვაძლევს, რომ დაფინანსების საგრანტო სისტემის პარალელურად შევქმნათ სახელმწიფო ფინანსური სუბსიდიის ალტერნატიული პრეცედენტი უმაღლესი საგანმანათლებლო მომსახურების ბაზრის კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად, სადაც სახელმწიფო განვითარების სპეციალური ფონდის მეშვეობით

მიიღებს გარკვეულ მონაწილეობას სტუდენტების გრძელვადიანი დაფინანსების უზრუნველყოფაში.

იმისათვის, რომ მოდელმა ეფექტურად იმუშაოს საჭიროა განხორციელდეს საქართველოში არსებული ავტორიზებული უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების რეიტინგების განსაზღვრა. შესაბამისად უნდა განხორციელდეს მათი რანჟირება. მიუხედავად იმისა, რომ წარმოდგენილი მოდელი უზრუნველყოფს უმაღლესი საგანმანათლებლო მომსახურების ბაზარს დამატებითი ფინანსური სახრებით, დაფინანსების ობიექტები იქნებიან მხოლოდ რეიტინგში მოხვედრილი უმაღლესი სასწავლო დაწესებულებები.

ამით საშუალება მოგვეცემა გავზარდოთ როგორც დაფინანსების ეფექტიანობა, ასევე შევქმნათ ჯანსაღი კონკურენტული გარემო, რათა მომავალში სხვა უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებს მიეცეთ საშუალება იბრძოლონ დამატებითი ფინანსური ასიგნებებისათვის. მსგავსი ჯანსაღი კონკურენცია სურვილს გაუჩენს დაბალი რეიტინგის უნივერსიტეტებს იზრუნონ რეიტინგის ამაღლებაზე, რათა მომავალში მოიპოვონ სახელმწიფო საგრანტო დაფინანსების გარდა, ალტერნატიული წყაროებიდან დაფინანსების შესაძლებლობაც.

აღნიშნულის განსახორციელებლად, აუცილებელ წინაპირობად მიგვაჩნია, შეიქმნას საქართველოს უნივერსიტეტების ასოციაცია, როგორც დამოუკიდებელი ინსტიტუტი. უნივერსიტეტების ასოციაცია, იქნება ყველა ინოვაციისა და რეფორმის ინიციატორი, და განმახორციელებელი რა თქმ აუნდა, შესაბამის სახელმწიფო უწყებებთან ერთად. მოდელის მიხედვით საქართველოს უნივერსიტეტების ასოციაცია, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან, სხვადასხვა სამთავრობო უწყებებთან, კერძო სექტორთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად შეიმუშავებს და განსაზღვრავს უმაღლესი საგანმანათლებლო მომსახურების ბაზრის განვითარებისა და კონკურენტუნარიანობის ამაღლების გრძელვადიან სტრატეგიას, რაც გულისხმობს ბაზარზე არსებული უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების რანჟირების კრიტერიუმებსა და რეიტინგის მინიჭების წესის შემუშავებას, რის საფუძველზეც უმაღლესი სასწავლო დაწესებულებებისათვის მოხდება დამატებითი ფინანსური რესურსის მოზიდვა/გამოყოფა. აღნიშნულ პროცესში უნივერსიტეტების ასოციაცია მჭიდროდ ითანამშრომლებს საქართველოს მეცნიერებისა და განათლების სამინისტროსთან და უცხოელ ექსპერტებთან, რაც საშუალებას მოგვცემს უფრო მეტი სიზუსტით, განსაზღვრულ იქნას ბაზარზე არსებული უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების რეიტინგები, რის საფუძველზეც დადგინდება უმაღლესი სასწავლო

დაწესებულებებისათვის დამატებითი ფინანსური სუბსიდიების საბოლოო ოდენობები და მოხდება მათი მიზანმიმართვა.

**სქემა 5. საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო მომსახურების ბაზრის დაფინანსების ალტერნატიული მოდელი.**

საქართველოს უმაღლესი განათლების დაფინანსების ალტერნატიული მოდელი




გარდა ამისა, უმაღლესი საგანმანათლებლო მომსახურების ბაზრის დაფინანსების ალტერნატიული მოდელი საშუალებას გვაძლევს დამატებით შეიქმნას საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო მომსახურების ბაზარზე სტუდენტთა დაკრედიტების ახალი სისტემა, რომელიც ეფუძნება უმაღლეს სასწავლო დაწესებულებების ბრენდირების პრინციპს. სტუდენტთა დაკრედიტების უაღრესად მოქნილი და რაც მთავარია ხელმისაწვდომი (იაფი) სისტემა. საქართველოს უმაღლესი განათლების დაფინანსების ალტერნატიული მოდელი მოიცავს დაფინანსების ახალ წყაროს, რაც გულისხმობს შეღავათიან პირობებით სწავლის დაფინანსებაზე ხელმისაწვდომობას. (იხ.სქემა.6)

სქემა 6. სტუდენტთა დაკრედიტების ახალი სისტემა




აღნიშნული მოდელის მოქმედების მექანიზმის ფარგლებში, ეროვნული გამოცდების საფუძველზე რომელიმე უმაღლეს სასწავლებელში ჩარიცხულ სტუდენტს შესაძლებლობა ეძლევა სესხის აღების მიზნით, მიმართოს განათლების სამინისტროს საკუთარი დოკუმენტაციით, რომელიც მოიცავს საჯარო სკოლის აკადემიური მოსწრების, ეროვნული გამოცდის სკალირებული ქულის, ასევე, სხვა ზოგადი და აკადემიური აქტივობების (კონფერენციებში, სასკოლო ტურებში მონაწილეობის, ოლიმპიადებში წარმატების მიღწევის) და სხვა მოთხოვნილი ინფორმაციის დამადასტურებელ დოკუმენტებს, რის საფუძველზე უნივერსიტეტის კონკურენტუნარიანობის გათვალისწინებით განათლების სამინისტრო, ან მასთან არსებული განხილვის კომპეტენტური კომისია იმსჯელებს სტუდენტის მოთხოვნის შესახებ და იღებს გადაწყვეტილებას სესხის გაცემაზე. საკითხის სტუდენტის სასარგებლოდ გადაწყვეტის შემთხვევაში, სამინისტრო მიმართავს ხელშეკრულებით განსაზღვრული პარტნიორი კომერციული ბანკის ადმინისტრაციას მსგავსი შემთხვევებისთვის (ბიუჯეტის ფარგლებში) წინასწარ გამოყოფილი ასიგნებებიდან, გასცეს დაფინანსება აღნიშნულ სტუდენტზე მის მიერ მოთხოვნილ რეიტინგულ უნივერსიტეტში სწავლის დასაფინანსებლად.

ხელშეკრულებით გათვალისწინებული კომერციული ბანკი შეღავათიანი პირობებით, დაბალი საპროცენტო განაკვეთით (2-3%–ი) და გადახდის მოქნილი სისტემით უმტკიცებს სესხს სტუდენტს და ახორციელებს ანგარიშსწორებას უნივერსიტეტთან. შედეგად, სტუდენტის მიერ გრაფიკით დასაფარი თანხის ძირი მიდის სახელმწიფო ბიუჯეტში, ხოლო პროცენტი - ბანკში. დაფინანსების ამ სისტემას მრავალი დადებითი მხარე აქვს. ყველაზე მნიშვნელოვანი სტუდენტი სესხს დააბრუნებს სწავლის დასრულების შემდგომ.

მაშასადამე, სახელმწიფო ხელს უწყობს ერთი მხრივ განათლების ხელმისაწვდომობას ზრდას, ხოლო მეორე მხრივ, კონურენტულ უნივერსიტეტს ეხმარება კიდევ უფრო განვითარებაში.

სარგებელს ნახულობს კომერციული ბანკიც, რომელიც ფაქტობრივად ახდენს საკრედიტო ვალდებულების ადმინისტრირებას. უმაღლესი საგანმანათლებლო მომსახურების ბაზრის დაფინანსების ალტერნატიული მოდელი, საშუალებას გვაძლევს, დამატებით შეიქმნას სტუდენტთა დაკრედიტების უაღრესად მოქნილი და რაც მთავარია ხელმისაწვდომი (იაფი) სისტემა. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მოდელის ფარგლებში უმაღლესი სასწავლო დაწესებულებები აქტიურად ახორციელებენ საქმიან, პარტნიორულ ურთიერთობებს, როგორც სტუდენტებთან და აკადემიურ პერსონალთან, ასევე კერძო სექტორის სხვადასხვა წარმომადგენლებთან და რაც მთავარია, უშუალოდ დამსაქმებლებთან.

აღნიშნული პროცესი, ამაღლებს რა კონკურენტუნარიანობას უმაღლესი საგნამანთლებლო მომსახურების ბაზარზე, პარალელურად ხელს უწყობს განათლების ბაზარზე კიდევ უფრო მძაფრი კონკურენციის განვითარებას ფინანსური რესურსების მოსაპოვებლად. დაფინანსების ალტერნატიული მოდელის კიდევ ერთ უპირატესობად მიჩნეულ უნდა იქნას, უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების წამახალისებელი სქემა, დამატებით მოიზიდონ კერძო ფონდები სხვადასხვა პროექტებით მომსახურებისა და ეკონომიკური დაწესებულებებისათვის სამეცნიერო კვლევების ჩატარების შედეგად.

მაშასადამე, დღეის მდგომარეობით ქვეყანაში არსებული უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების დაფინანსების საკითხები და დაფინანსების საგრანტო სისტემა ისევე, როგორც საკითხი სახელმწიფო გრანტის მიკუთვნების შესახებ, არ არის ეფექტიანი რიგი პრობლემების გამო. კერძოდ:

– უმაღლესი საგანმანათლებლო მომსახურების ბაზრის დაფინანსების არსებული სისტემა არ არის დივერსიფიცირებული;

– სახელმწიფო საგრანტო სისტემით განსაზღვრული სწავლების დაფინანსების ოდენობა, რომელიც შეადგენს 2250 ლარს, მხოლოდ ნაწილობრივ შეესაბამება სწავლების ღირებულებას და იგი არ წარმოადგენს რეალურ საბაზრო ფასს;

– სახელმწიფო გრანტი არ ვრცელდება პროფესიულ სწავლებაზე და დოქტორანტურაზე;

– დაბალია გრანტის მოპოვების ზღვარი. ფინანსური რესურსების მეტი ოპტიმიზაციისათვის გრანტის მოპოვების ზღვარი უნდა ამაღლდეს, რაც ორგვარი ეფექტის მომტანი გახდება. ის საშუალებას მოგვცემს გაიზარდოს დაფინანსების ოდენობა და ხარისხი;

## 4.3 ინტერნაციონალიზაციისა და ხარისხის უზრუნველყოფის პროცესების მართვის სრულყოფა უმაღლესი საგანმანათლებლო მომსახურების ბაზარზე.

თანამედროვე მსოფლიოში უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციას, უაღრესად დიდი ყურადღება ეთმობა, როგორც განათლების მხარდაჭერის და სრულყოფის ერთ–ერთ მთავარ განმსაზღვრელ კომპონენტს. დღეისათვის განვითარებულ ქვეყნებში უმაღლესი განათლების და ინტერნაციონალიზაციის მხარდამჭერი მრავალი საერთაშორისო ასოციაცია ფუნქციონირებს, რომლებიც აქტიურად ახორციელებენ უმაღლესი განათლების და ინტერნაციონალიზაციის პროცესების მხარდაჭერას, სხვადასხვა ღონისძიებების გატარების გზით კერძოდ:

– ევროპული უნივერსიტეტების ასოციაცია (EUA – European University Association), რომელიც აერთიანებს ევროპის წამყვან უნივერსიტეტებს. მას დიდი წვლილი მიუძღვის ლისაბონის დეკლარაციის შემუშავებაში.

– უნივერსიტეტების საერთაშორისო ასოციაცია (IAU – International Association of Universities), რომელიც დაარსებულია 1950 წელს, მსოფლიო ორგანიზაციის იუნესკოს ბაზაზე, წარმოადგენს, უმაღლესი განათლების დაწესებულებების მსოფლიო ორგანიზაციას, რომელიც თავის მხრივ, საერთო სასწავლო და საგანმანათლებლო სტრატეგიით აერთიანებს მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებს.

– უნივერსიტეტების პრეზიდენტების საერთაშორისო ასოციაცია (IAUP – The International Association of University Presidents), რომელიც დაარსდა გასული საუკუნის 60–იან წლებში, წარმოადგენს უნივერსიტეტების უმაღლეს თანამდებობის პირთა მსოფლიო ასოციაციას.

წარმოდგენილ საერთაშორისო ასოციაციებს გააჩნიათ საერთო მიზნები და ამოცანები, რომელთაგანაც შესაძლებელია სამი ძირითად პრიორიტეტის გამოყოფა ესენია:

– მთელი მსოფლიოს მასშტაბით უნივერსიტეტების საერთაშორისო მისიის გაძლიერება, როგორც მსოფლიოს მდგრადი განვითარების წინაპირობა;

– უმაღლესი განათლების განვითარების გლობალური ხედვის ჩამოყალიბება;

– პარტნიორ უნივერსიტეტებს შორის სასწავლო და სამეცნიერო კოლაბორაციისა და გამოცდილების გაზიარება.

უფრო მეტიც, უნივერსიტეტების პრეზიდენტების საერთაშორისო ასოციაციას გააჩნია უმაღლესი საკონსულტაციო უფლებები გაეროში და ოფიციალური საკონსულტაციო უფლებები იუნესკოში.

თავის მხრივ, განხორციელებულმა კვლევამ ცხადყო, რომ დღეის მდგომარეობით საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების აბსოლუტური უმრავლესობა სამწუხაროდ არ ატარებს არც სრულუფლებიანი წევრის და არც წევრი კანდიდატების სტატუსს, რაც დასანანია, რადგანაც თანამედროვე მსოფლიოს უაღრესად დიდი გამოცდილება დიდად დაეხმარებოდა ჩვენს ქვეყანას არსებული მსოფლიო გამოწვევების პირობებში.

გარდა ამისა, კვლევის ფარგლებში მოძიებულ იქნა მსოფლიოში ყველაზე ცნობილი უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების სარეიტინგო სიები, რომლებშიც სწორედ ინტერნაციონალიზაციის კომპონენტებია გათვალისწინებული ესენია:
– ჟურნალ თაიმზის უმაღლესი განათლების დამატება (THES);
– მსოფლიო უნივერსიტეტების აკადემიური რეიტინგი (ARWU);
– ქუაქუარელ სომონდის მსოფლიო უნივერსიტეტების რეიტინგი (QS);
– ვებომეტრიქსის რეიტინგი (WM).

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ დღეის მდგომარეობით საქართველოს უმაღლესი სასწავლო დაწესებულებები, გარდა (ვებომეტრიქსის – WM) – სარეიტინგო სიებისა, სამწუხაროდ, არსად ფიგურირებენ. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ქართული უმაღლესი სასწავლებლები შედარებით აქტიურობას იჩენენ საერთაშორისო საგანმანათლებლო პროექტებში მონაწილეობის კუთხით. საქართველოში ევროკავშირის მიერ განათლების დაფინანსება ორი ტიპის ინსტრუმენტის საშუალებით ხდება ესენია:
– ევროპის სამეზობლო და პარტნიორობის ინსტრუმენტი, რომლის საშუალებით ხდება საგანმანათლებლო პოლიტიკის განხორციელება ეროვნულ და რეგიონულ დონეზე;
– თემატური პროგრამის ,,ინვესტირება ადამიანებში“ ფარგლებში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ხარისხიანი საბაზისო განათლების მიწოდებას სირთულეების მქონე

ბავშვებისთვის, ასევე პროფესიული განათლების და კვალიფიკაციის ამაღლების შესაძლებლობების გაზრდას.

აღსანიშნავია, უმაღლესი განათლების სფეროში თანამშრომლობის და მობილურობის პროგრამაა ერასმუს მუნდუსი – (ERASMUS MUNDUS). მისი მიზანია ადამიანებს შორის მულტიკულტურული ურთიერთგაგების ხელშეწყობა მესამე სამყაროს ქვეყნებთან, მათ შორის საქართველოსთან თანამშრომლობის გზით. მას წვლილი შეაქვს ადამიანური რესურსების განვითარებაში და საერთაშორისო თანამშრომლობაში უმაღლესი განათლების დაწესებულებებს შორის მესამე სამყაროს ქვეყნებში, ევროკავშირსა და ამ ქვეყნებს შორის მობილურობის გაზრდის გზით.

ევროკავშირის პროგრამა - ტემპუსი (TEMPUS) ეხმარება აღმოსავლეთ ევროპის, ცენტრალური აზიის, დასავლეთ ბალკანეთის და ხმელთაშუაზღვის რეგიონის პარტნიორ ქვეყნებს თანამშრომლობის პროექტების საშუალებით საუნივერსიტეტო უმაღლესი განათლების სისტემის მოდერნიზებაში. ტემპუსი მხარს უჭერს პარტნიორი ქვეყნების აკადემიური წრეების თანამშრომლობას ევროპულ უნივერსიტეტებთან, რაც ითვალისწინებს გამოცდილების გაზიარებას განათლებაში ევროპული სტანდარტების სფეროში, საბაზრო ეკონომიკის შესაბამისი საგანმანათლებლო დღის წესრიგისა და პროგრამების შემუშავებას, თანამედროვე ლიტერატურის შექმნას, მასწავლებელთა უნარ-ჩვევების ამაღლებაზე გამიზნული ტრენინგების ჩატარებას, სტუდენტთა სწავლას უცხოეთში, უნივერსიტეტების მართვის გაუმჯობესებას, საუნივერსიტეტო რეფორმას, ახალი საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებას და განვითარებას, უნივერსიტეტის არა აკადემიური თანამშრომლების მომზადებას.

ევროკავშირის სტუმრის პროგრამა - (EUVP) შესაძლებლობას აძლევს ევროკავშირის არაწევრი ქვეყნების ახალგაზრდა ლიდერებს, რომლებსაც ევროკავშირისადმი პროფესიული ინტერესი აქვთ, ეწვიონ ევროკავშირის ინსტიტუტებს და როგორც ინდივიდუალური სტუმრები, გაეცნონ ევროპის პარლამენტის და ევროკომისიის მუშაობას. პროგრამა 25-45 წლამდე ადამიანებისთვისაა გამიზნული (ახალგაზრდა პოლიტიკოსები, საგარეო ურთიერთობების სპეციალიზაციის მქონე ჟურნალისტები, აკადემიური წრეების წარმომადგენლები, რომელთა სპეციალიზაცია ევროკავშირი და საერთაშორისო ურთიერთობებია. აღსანიშნავია ისიც, რომ პროგრამა მგზავრობის და ცხოვრების ხარჯებს ანაზღაურებს.

თავის მხრივ, ჩვენი დაშვება, რომ უმაღლესი განათლების სფეროში ინტერნაციონალიზაციის ხარისხის (საგანმანათლებლო პროგრამების საერთაშორისო აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა, აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების საერთაშორისო მობილობა, ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება, პუბლიკაციები საერთაშორისოდ რეფერირებად ჟურნალებში) ამაღლება, უმაღლესი საგანმანათლებლო მომსახურების ხარისხის თანამედროვე სტანდარტებთან თავსებადობის მიღწევის აუცილებელი პირობაა, ამ მხრივადაც დადასტურდა.

საქართველოში უმაღლესი საგანმანათლებლო მომსახურების ბაზარზე არსებულ უმაღლეს სასწავლო დაწესებულებათა თითქმის ნახევარს არ გააჩნიათ ერთობლივი სასწავლო პროგრამა. გარდა ამისა, საქართველოში უმაღლესი საგანმანათლებლო მომსახურების ბაზარზე, უნივერსიტეტებს არ გააჩნიათ საერთაშორისო აკრედიტაცია. დაბალია ინტერნაციონალიზაციის სხვა მაჩვენებლებიც. როგორც წესი, უმაღლეს სასწავლებლებში აკადემიური პერსონალი მთლიანად დაკომპლექტებულია ადგილობრივი კადრებით და აბსოლუტური უმრავლესობითაა ჩართულია სასწავლო პროცესში.

უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში დაბალია ინტერნაციონალიზაციის კიდევ ერთი მაჩვენებელი თანაფარდობა ადგილობრივ და უცხოელ სტუდენტებს შორის. საქართველოდან უცხოეთში გაგზავნილი სტუდენტების რიცხოვნობა, საქართველოში მყოფ, უცხოელ სტუდენტებთან მიმართებაში დაახლოვებით 9%–ს შეადგენს. უცხოელი სტუდენტების ხვედრითი წილი ადგილობრივ სტუდენტების საერთო ჯამობრივ მაჩვენებელთან მიმართებაში 2.8 %–ს არ აღემატება. (40)

აღსანიშნავია, რომ ორივე შემთხვევას ეკონომიკური ახსნა გააჩნია. პირველი, ჩვენს ქვეყანაში გაცილებით იაფია როგორც სწავლა, ასევე ცხოვრება და მეორე საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო მომსახურების ბაზარი უცხოელი სტუდენტებისათვის არასაკმარისად კონკურენტუნარიანია. აბსოლუტურად კონტრასტულია ანალოგიური სტატისტიკური მაჩვენებლები, როგორც ბალტიის ზღვის რეგიონის ქვეყნებში, ასევე ევროპის სხვა განვითარებული ქვეყნებშიც. ლიტვის რესპუბლიკაში, თანაფარდობა ადგილობრივ და უცხოელ სტუდენტებს შორის შეადგენს 5%–ს, ლატვიის რესპუბლიკაში – 4,5%–ს, ესტონეთის რესპუბლიკაში – 6%–ს, პოლონეთის რესპუბლიკაში – 9%–ს, ხოლო გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში – 12%–ს. (128),(130)

ამდენად, დაბალია ინტერნაციონალიზაციის მაჩვენებლები განსაკუთრებით სასწავლო პროგრამების, სტუდენტების და აკადემიური პერსონალის კუთხით, რაც უარყოფითად აისახება უმაღლესი საგანმანათლებლო მომსახურების ბაზრის კონკურენტუნარიანობაზე. ამ მხრივ, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია უმაღლესი სასწავლებლების საერთაშორისო ინტეგრაციის ხელშეწყობა.

კვლევის რელევანტურობის ხარისხის ასამაღლებლად, კვლევის კითხვარში დამატებით შეტანილ იქნა ინტერნაციონალიზაციის შემაფერხებელი ფაქტორების საკვლევი კითხვები. როგორც რესპოდენტთა უმრავლესობამ აღნიშნა, უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების სასწავლო გეგმისა და პროგრამების შეუთავსებლობა, ორგანიზაციული და აკადემიური ავტონომიის სიმწირე, უმაღლესი საგანმანთლებლო მომსახურების ბაზრის ადმინისტრირების ხარისხი, არსებული ნორმატიული ბაზა, ბაზარზე არსებული დაბალი მოთხოვნა, ფინანსების სიმცირე, ქვეყნის მსოფლიო იმიჯი, აფერხებს ინატერნაციონალიზაციას. როგორც ვხედავთ, საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო მომსახურების ბაზარზე, პრობლემათა საკმაოდ ფართო სპექტრი იკვეთება. ბაზარზე არსებული მდგომარეობის კრიტიკული ანალიზის შედეგად, მიზანშეწონილია საქართველოშიც შეიქმნას უნივერსიტეტების სტრატეგიული კოლაბორაციის ასოციაცია, რომელიც ევროპული ქვეყნების გამოცდილების გათვალისწინებით, მოახდენს განათლების ბაზრის ადმინისტრირების პროცესების ხელშეწყობას, სრულყოფას და რაც მთავარია, ყველა საჭირო–ბოროტო საკითხების უკეთ ანალიზსა და გადაწყვეტას, რაც უდავოდ დადებით ასახვას ჰპოვებს უმაღლესი საგანმანათლებლო მომსახურების ბაზრის კონკურენტუნარიანობის ამაღლებაზე.

სამწუხაროა, რომ დღემდე საქართველოში არ არსებობს მსგავსი პრაქტიკა იმ დროს, როდესაც ევროპის ქვეყნები დიდი ხანია ახორციელებენ, განათლების ბაზრის სტრატეგიულ ადმინისტრირებას. ევროპული უნივერსიტეტების ასოციაცია, ასევე უნივერსიტეტების საერთაშორისო ასოციაცია, რომელიც დაარსებულია გასული საუკუნის 50-იან წლებში, მსოფლიო ორგანიზაციის იუნესკოს ბაზაზე, წარმოადგენს უმაღლესი განათლების დაწესებულებების მსოფლიო ორგანიზაციას, რომელიც თავის მხრივ, საერთო სასწავლო და საგანმანათლებლო სტრატეგიით აერთიანებს მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებს, დასახული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისად, ახორციელებს განათლების ბაზრის ადმინისტრირებას თანამედროვე სტანდარტების გათვალისწინებით, რაც ზრდის ბაზრის

კონკურენტუნარიანობას და მოწინავე ადგილს უმკვიდრებს მსოფლიო მზარდი კონკურენციის პირობებში.

უმაღლესი საგანმანათლებლო მომსახურების ბაზარზე პრობლემებია ხარისხის მართვის კუთხითაც. ხარისხისა და კონკურენტუნარიანობის ამაღლებას ხელს უშლის ბაზარზე დამკვიდრებული თვითშეფასების პრაქტიკა. უმრავლეს შემთხვევაში უმაღლესი სასწავლო დაწესებულებები შემოიფარგლებიან განათლების სამინისტროს განათლების ხარისხის განვითრების ეროვნული ცენტრის მოთხოვნის შესაბამისად ყოველწლიური თვითშეფასების ანგარიშის წარდგინებით.

უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების ხარისხისა და კონკურენტუნარიანობის შეფასების თანამედროვე მოდელები როგორიც არის: ISO 9001, ISO 9004, EFQM – მოდელი, MAB მოდელი, SWOT ანალიზის მოდელი, უმაღლესი საგანმანათლებლო მომსახურების ბაზრისათვის ნაკლებად არის ცნობილი და მათი გამოყენება ფაქტობრივად არ ხორციელდება. რესპოდენტთა მხოლოდ 20%–ი აღნიშნავს, რომ საკუთარი კონკურენტუნარიანობის შესაფასებლად ე.წ. ,,SWOT“ ანალიზის მოდელს იყენებს. გამოკითხულთა 50%–მა მიიჩნია, რომ სტუდენტების რაოდენობა, ხარისხისა და კონკურენტუნარიანობის უმთავრესი ინდიკატორია. ასევე, რესპოდენტთა მნიშვნელოვანმა ნაწილმა 30%–ი აღნიშნა, რომ დასაქმების რაოდენობა წარმოადგენს ერთ–ერთ მთავარ მაჩვენებელს. დამაჯერებელია რესპოდენტთა მოსაზრებები, მაგრამ უმაღლესი სასწავლო დაწესებულებათა სტუდენტების დიდი კონტიგენტის გათვალისწინების მიუხედავად, დაბალია ქართული უნივერსიტეტების მსოფლიო რეიტინგი.

ხარისხის გაუმჯობესება მრავალი კომპლექსური ნაბიჯისგან შედგება და შეუძლებელია ეს მიმართულება განავითარო სხვა მიმართულებაში მნიშვნელოვანი წინააღმდეგობის მიუხედავად. შესაბამისად, უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ ქვეყანაში არსებული საგრანტო სისტემის მოდიფიკაცია არ იქნას განხილული ერთიანი ეროვნული საგამოცდო სისტემისაგან მოწყვეტით. უფრო მეტიც, საჭიროა მოხდეს ერთიანი ეროვნული საგამოცდო სისტემის კონცეფციის განახლება, რომელიც მეტად უპასუხებს მსოფლიოს უმაღლესი საგანმანათლებლო მომსახურების ბაზრის ისეთ გამოწვევებს, როგორიცაა:

– უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების უფლება თავად შეარჩიონ მათთვის სასურველი კანდიდატი;

–	სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა უმაღლეს სასწავლო დაწესებულებაში, ზოგადი განათლების მიღებისთანავე, უმაღლეს სასწავლებელში მისაღებად სათანადო გამოცდის ჩაბარების შესაბამისად.

უკვე მეთერთმეტე წელია, რაც საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო მომსახურების ბაზარზე ერთიანი ეროვნული გამოცდების პრაქტიკაა დამკვიდრებული. სამართლიანობა მოითხოვს აღვნიშნოთ, რომ  გამოცდები აღიარებულია, როგორც მნიშვნელოვანი მიღწევა საგანმანათლებლო სივრცეში. ამ აღიარების საფუძვლად შესაძლებელია დავასახელოთ ორი მთავარი მიზეზი:

–	ერთიანმა ეროვნულმა გამოცდებმა შემოიტანა მერიტოკრატია განათლების სისტემაში და დაამარცხა უმაღლეს სასწავლებლებში მოხვედრის ეტაპზე კორუფცია, რითაც დამყარდა უფრო მეტი სოციალური სამართლიანობა და ნაკლებად შეძლებულ ოჯახებს იგივე შანსი მიეცათ უმაღლეს სასწავლებელში მოხვედრის, როგორც მდიდრებს.

–	გამოცდების შემოღებით განათლების ხარისხმა პირველ ეტაპზე მოიმატა, რადგანაც გამკაცრდა მონიტორინგი მისაღებ საგამოცდო საგნებზეც.

შესაბამისად, უნდა ითქვას, რომ რეფორმების საწყის/გარდამავალ ეტაპზე განხორციელებული ცვლილებები უნდა შეფასდეს, როგორც ეფექტიანი. თუმცაღა, მიღწეული წარმატებების პარალელურად უნდა დაისვას უაღრესად მნიშვნელოვანი და პრინციპული შეკითხვები. დღევანდელ დღეს, როდესაც რეფორმების დაწყებიდან უკვე 11 წელია გასული, რომელიც საკმაოდ დიდ პერიოდად შესაძლებელია მივიჩნიოთ:

–	უწყობს, თუ არა ხელს, ან/და შეუწობს, თუ არა ხელს მომავალშიც, ერთიანი ეროვნული გამოცდების პრაქტიკა უმაღლესი საგანმანათლებლო მოსახურების ბაზრის განვითარებას, შესაბამისად, ბაზარზე კონკურენტუნარიანობის ამაღლებას?

–	შეიძლება, თუ არა აბიტურიენტს ვუწოდოთ ,,წარმატებული“, თუ მან მოიპოვა უფლება ისწავლოს უმაღლეს სასწავლებელში?

უპირველეს ყოვლისა, საინტერესოა იმის გაანალიზება, თუ რამდენად არის განათლების ხარისხი დაკავშირებული ეროვნულ გამოცდებთან და როგორ უნდა ემსახურებოდეს განათლების პოლიტიკა აღნიშნულ საკითხს, ამ კონტექსტიდან გამომდინარე. სანამ ერთიანი ეროვნული გამოცდების ნაკლოვანებებზე და მის განათლების ხარისხთან კავშირზე ვისაუბრებთ მნიშვნელოვანია, რომ გავიხსენოთ, თუ როგორ ტარდება ერთიანი ეროვნული გამოცდები ქვეყანაში.

კონკურსის ფორმატი შემდეგია: აბიტურიენტი წერს ტესტს სამ, ან ოთხ საგანში. თუ მისი ქულები მისი კონკურენტის ქულებზე უფრო მაღალია და გარკვეულ რაოდენობაში ხვდება, ის იკავებს ადგილს სასურველ ფაკულტეტზე და იღებს სახელმწიფოს მიერ გამოყოფილ გრანტს სწავლის სრულად, ან ნაწილობრივად დასაფინანსებლად.

რა განაპირობებს იმას, თუ რამდენად მიაღწევს აბიტურიენტი იმ მიზანს, რასაც მის სასურველ ფაკულტეტზე მოხვედრა ჰქვია, და რამდენად მცოდნე იქნება სტუდენტი მომავალში იმ სფეროში, რაც მან აირჩია? პასუხი თითქოს ერთმნიშვნელოვანია: მისი სასტარტო ცოდნა და შესაძლებლობები. სინამდვილეში პასუხი ამ კითხვაზე გაცილებით უფრო რთულია, ვიდრე ეს თავდაპირველად ჩანს. ერთ–ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორები, რომლებიც საქართველოს ერთიან ეროვნულ გამოცდებზე აბიტურიენტის წარმატებას განაპირობებს არის:

– აბიტურიენტისა და მისი კონკურენტების მიერ არჩეული ფაკულტეტების შერჩევის სტრატეგია;

– აბიტურიენტისა და მისი კონკურენტების ცოდნა და უნარები კონკრეტულ სფეროს მხოლოდ ვიწრო ნაწილში და სფეროების კომბინირებისას ტესტის შინაარსის, ჩატარების მეთოდოლოგიისა და ტესტის შექმნის ტექნოლოგიის გათვალისწინებით.

ამდენად, მხოლოდ ცოდნის, უნარების ან ზოგადად განათლებულობის ხარისხი სულაც არ არის გადამწყვეტი იმისთვის, რომ აბიტურიენტი მოხვდეს მისთვის სასურველ ფაკულტეტზე. შესაბამისად, ერთიანი ეროვნული გამოცდების სტრუქტურა და გამოყენებული შეფასების მეთოდიკა საწყის ეტაპზევე, ეჭვის ქვეშ აყენებს საქართველოში უმაღლესი საგანმანათლებლო მოსახურების ბაზარზე განათლების ხარისხის გაუმჯობესებას. უფრო მეტიც, ერთი შეხედვით, ქულას მხოლოდ კონკრეტული დისციპლინის ფარგლებში კონკურსანტის ცოდნის ხარისხი და ოდენობა განაპირობებს, თუმცა სიტუაცია უფრო რთულია, ვიდრე ეს თავდაპირველად სჩანს.

იმისთვის, რომ აბიტურიენტი რომელიმე უმაღლეს სასწავლებელში მოხვდეს, მას აქვს უფლება ერთდროულად რამდენიმე ფაკულტეტზე არსებულ კონკურსში მიიღოს მონაწილეობა. ამ ფაკულტეტებზე მოხვედრის მსურველების სია ერთგვაროვანი არ არის. სია არა მხოლოდ იმით განსხვავდება, რომ სხვადასხვა ადამიანები იღებენ მონაწილეობას,

არამედ პირველ რიგში იმით, რომ მათი შესაძლებლობები და შესაბამისად ტესტში მიღებული ქულებიც განსხვავდება.

საილუსტრაციოდ: შესაძლოა X ფაკულტეტზე უფრო მეტმა პირობითად ,,ჩემმა" კონკურენტმა მიიღოს ჩემზე მაღალი ქულა კონკრეტულ საგანში ვიდრე Y ფაკულტეტზე. აბიტურიენტის მიერ მიღებული ქულა ზოგ ფაკულტეტზე არსებულ კონკურსში შეიძლება ძალიან მაღალი იყოს მაშინ, როდესაც სხვა ფაკულტეტზე ეს ქულა უაღრესად დაბალია. მისი ქულები ფარდობითია თანაკონკურსანტების ქულებთან მიმართებაში.

გარდა ამისა, ჩაბარების სტრატეგიას განაპირობებს კიდევ ერთი ფაქტორი - ფაკულტეტის პოპულარობა. რაც უფრო პოპულარულია (მოთხოვნადი) ფაკულტეტი, მით მეტი აბიტურიენტი იღებს მონაწილეობას კონკრეტულ ფაკულტეტზე ადგილების დაკავებაში, შესაბამისად უფრო რთულდება საკონკურსო პირობები, რადგან ერთდროულად უაღრესად დიდი ნაკადი აბიტურიენტებისა აცხადებენ პრეტენზიას ადგილის დასაკავებლად.

თავის მხრივ, მიუხედავად იმისა, თუ აბიტურიენტი 100-ქულიან ტესტში საშუალო და საშუალოზე დაბალ ქულებს იღებს, მას მაინც საკმაოდ კარგი შანსები უნარჩუნდება უმაღლეს სასწავლებელში მოსახვედრად, თუ ის დაბალი პოპულარობის, (ნაკლებად მოთხოვნადი) ანუ დაბალი რეიტინგის მქონე ფაკულტეტზე ცდილობს ადგილის დაკავებას. სამწუხაროდ, უნდა აღინიშნოს, რომ ასეთ ფაკულტეტებს წინასწარ ირჩევენ აბიტურიენტები, რომლებსაც რბილად რომ ვთქვათ, არ აქვთ მოლოდინი, რომ მაღალ ქულებს მიიღებენ. სტრატეგია შემდეგია: პირველ რამდენიმე პრიორიტეტად ვირჩევთ მაღალი კონკურსის მქონე ფაკულტეტს, მაინც ყოველი შემთხვევისათვის, ხოლო ბოლო პრიორიტეტებად კი დაბალი კონკურსის მქონეს.

შედეგად, დღეს უკვე რას გვაძლევს ერთიანი ეროვნული გამოცდების პრაქტიკა? ის კვლავაც რჩება კორუფციასთან ბრძოლის მთავარი ბერკეტი, თუმცაღა განათლების ხარისხის კუთხით, იგი ახდენს როგორც ,,დაბალი მოთხოვნის და ურეიტინგო ფაკულტეტების", შესაბამისად უმაღლესი სასწავლებლების ინსტიტუციონალურ ლეგალიზებას, ასევე ხელს უწყობს ,,წარმატებული სტუდენტების" რიცხობრივ ზრდას. სირთულეს არ წარმოადგენს წარმოვიდგინოთ უმაღლესი საგანმანათლებლო მომსახურების ბაზრის განვითრების ტენდენციები და მომავალი უახლოეს 10–20 წელიწადში, თუ რადიკალური ცვლილებები არ იქნება მიღებული, რისი სურვილი და მზაობა სამწუხაროდ ჯერ არ სჩანს.

გარდა ამისა, თუ ვერ მოხვდი X ფაკულტეტზე და მოხვდი Y ფაკულტეტზე ეს არ არის დიდი ტრაგედია იმ შემთხვევაშიც კი, თუ მაინცდამაინც X ფაკულტეტზე გინდა სწავლა, რადგან ამით უმაღლეს სასწავლებელში მოხვედრის პროცესი არ დამთავრებულა. ერთი წლის თავზე, უკვე ,,წარმატებულ სტუდენტს" ე.წ. მობილობის წესით თავისუფლად შეუძლია გადასვლა ნებისმიერ ფაკულტეტზე. მართალია ამ პროცესებს არანაირი კავშირი არ აქვთ ერთიანი ეროვნული გამოცდების პრაქტიკასთან, თუმცაღა უნდა აღინიშნოს, რომ სწავლების ამ ეტაპზე უკვე იკვეთება ერთიანი ეროვნული გამოცდების ალტერნატივა, სწორედ უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების სახით. სტუდენტი მობილობის დროს ხომ ერთიანი ეროვნული გამოცდების ნაცვლად აბარებს შიდა საუნივერსიტეტო გამოცდას, რომლის გამჭირვალობას, სამართლიანობას და ხარისხს, არავინ აყენებს (თვითონ სტუდენტიც კი) ეჭვქვეშ.

ნაკლოვანია ასევე, ერთიან ეროვნულ გამოცდებზე გამოყენებული ტესტებიც, რომელიც კონკრეტულ ცოდნის სფეროში (Domain of knowledge) შესაძლო ცოდნის მხოლოდ ძალიან მცირე ნაწილს ამოწმებს. მაგალითისთვის განვიხილოთ უცხო ენის და მათემატიკის ტესტები, რომლებიც დომინანტებად გვევლინებიან გამოცდებზე.

უცხო ენის ფლობა გულისხმობს, როგორც მინიმუმ ოთხი ძირითადი მიმართულებით გარკვეული კომპეტენციების ფლობას: წერას, კითხვას, მოსმენასა და მეტყველებას. დამატებით, უცხო ენის ფლობა გულისხმობს გარკვეულ კულტურულ კომპეტენციებსაც, რაც გულისხმობს უცხო ენაზე კომუნკაციის შესაძლებლობას უცხო კულტურის გათვალისწინებით. მათემატიკაც ასევე რამოდენიმე კომპეტეციისაგან შესდგება ესაა ზოგადი თეორიული: დაშვება–ჰიპოთეზა, პრაქტიკული: ჰიპოთეზის დამტკიცება, შემოქმედებითი: სიახლე, ამონახსენის მრავალ ვარიანტულობის უზრუნველყოფა და ასე შემდეგ.

რას ამოწმებს ერთიანი ეროვნული გამოცდების ტესტი? ის ამოწმებს მხოლოდ წერისა და კითხვის კომპეტენციებს პირველ შემთხვევაში, ხოლო მეორე შემთხვევაში სთავაზობს აბიტურიენტს მზა რეცეპტს, ირჩევს რა სტუდენტი, უკვე არსებული მოცემულობიდან–პასუხებიდან, მისთვის მისაღებ ერთ–ერთ ვარიანტს. იქმნება ისეთი შთაბეჭდილება, რომ ერთიან ეროვნულ გამოცდებზე, არსებული ტესტის ფორმატი უფრო მეტად ორიენტირებულია შეფასების ობიექტურობის დაცვაზე, ვიდრე მნიშვნელოვანი/სათანადო კომპეტენციების შემოწმებაზე და განათლების ხარისხის ამაღლებაზე.

არადა ძალიან ვიწრო სფეროში მიღებული ქულა გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია აბიტურიენტისთვის, ვიდრე მისი შემდგომი წარმატებისთვის გაცილებით უფრო ,საჭირო“ მრავალი უნარის სწავლა. სწორედ ამის გამო, რომ აბიტურიენტთა სათანადოდ სპეციალობის შესაბამისად გამოცდა ვერ ხერხდება, უკვე სტუდენტებს ექმნებათ სერიოზულ პრობლემები უნივერსიტეტში სწავლის დროს.

ასევე მნიშვნელოვან ნაკლოვანებად შესაძლებელია მივიჩნიოთ ტესტის ჩამბარებელთა პოპულაციაზე მორგება. ცოდნის შესაფასებლად ორი ტიპის ტესტებია გავრცელებული ე.წ. ნორმაზე დაფუძნებული და ე.წ. კრიტერიუმებზე დაფუძნებული ტესტები. პირველი ტესტის თავისებურება არის ის, რომ ტესტის სირთულე დგება პოპულაციის მომზადების დონიდან გამომდინარე. მეორე ტესტის სირთულე კი დაფუძნებულია ცოდნის იმ კრიტერიუმებს, რომლებზეც წინასწარ არსებობს შეთანხმება. საქართველოში არსებული ერთიანი ეროვნული გამოცდების სისტემა პირველ სისტემას ეყრდნობა. ეს გულისხმობს ტესტის სირთულის ყოველწლიურად მორგებას არსებულ აბიტურიენტების სიძლიერეზე.

პროცესი რომ თვალნათელი იყოს ,გავამარტივოთ ტესტის შექმნის პროცესის სურათი და ისე აღვწეროთ. საილუსტრაციოდ, აბიტურიენტების გამოცდამდე დიდი ხნით ადრე სხვადასხვა პარამეტრის მიხედვით გამოიცდება ტესტი და თითოეული მისი კითხვა გამოცდა საცდელ ტესტირებებზე. საბოლოო ტესტი ისეთი კითხვებისგან უნდა იყოს შედგენილი, რომ თუ ის 100 ქულიანია, აბიტურიენტების 50% საშუალოზე ნაკლებ ქულას უნდა იღებდეს, ხოლო მეორე ნახევარი კი საშუალოზე მაღალს. თუ ბევრი რთული კითხვა აღმოჩნდა ისინი იცვლება მარტივებზე, ხოლო თუ ბევრი მარტივი, ისინი რთულებზე. კითხვების შედგენისას კიდევ სხვა მრავალი სირთულეა (მაგ. ის, რომ ისინი ვინც რთულ კითხვებს პასუხობენ, ისინი ზოგადად მარტივებსაც უნდა პასუხობდნენ და ა.შ. მაგრამ ეს უკვე ტესტის ხარისხიანობის თემაა და არა ტესტის მიერ ხარისხის შემოწმების).

ამდენად, ტესტის ჩამბარებელთა პოპულაციაზე მორგება იწვევს იმას, რომ ტესტის სირთულე ისევე ფარდობითია, როგორც ქულები. შესაბამისად, თუ ერთ დღეს ძალიან სუსტი ცოდნის აბიტურიენტები მოვლენ კონკურსზე, მათგან საუკეთესოები მაინც ჩაირიცხებიან უმაღლეს სასწავლებლებში.

გარდა ამისა, დღეს უკვე ერთიანი ეროვნული გამოცდების, როგორც მთავარ ანტიკორუფციულ ბერკეტზე საუბარი აღარ არის პირველადი მნიშვნელობის მატარებელი

გამომდინარე იქიდან, რომ სწავლების მეორე და მესამე საფეხურებზე (მაგისტრატურა, დოქტორანტურა), მიღება ერთიანი ეროვნული გამოცდებით 2009 წლიდან ხდება. და მთელი განვლილი პერიოდი 2009 წლამდე, მიღება სწავლების აღნიშნულ საფეხურებზე ყოველგვარი სირთულეების მათ შორის (კორუფციის) გარეშე, ხორციელდებოდა თავად უმაღლესი სასწავლებლების მიერ. (89). აღნიშნული მიუთითებს იმაზე, რომ ერთიანი ეროვნული გამოცდების ალტერნატივა ნამდვილად არსებობს საქართველოში არსებული უმაღლესი სასწავლებლების სახით.

თავის მხრივ, იბადება ძალზედ საინტერესო და მნიშვნელოვანი შეკითხვა: თუ საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო მომსახურების ბაზარზე, უმაღლეს სასწავლებლებს არ ძალუძთ აბიტურიენტების შერჩევა და გამოცდა მაშინ, როგორ შეძლებენ ისინი უკვე სტუდენტებისათვის მაღალი ხარისხის განათლების შეთავაზებას. მით უმეტეს იმ დროს, როდესაც განვითარებული მსოფლიოს გამოცდილების გათვალისწინებით, მსგავსი ,,ეროვნული“ საგამოცდო პრაქტიკა უკვე აღარ ითვლება პრიორიტეტულად. შესაბამისად, მეტი აკადემიური თავისუფლების უფლებით უმაღლესი სასწავლებლების აღჭურვა, უცილობლივ უზრუნველყოფს უმაღლესი საგანმანათლებლო მომსახურების ბაზრის კონკურენტუნარიანობის ამაღლების სერიოზულ საფუძველს. მიუხედავად იმისა, რომ ერთიანი ეროვნული გამოცდების პრაქტიკა, კვლავაც რჩება კორუფციასთან ბრძოლის მთავარი ბერკეტი, იგი ამავე დროს განხილულ უნდა იქნას, როგორც განათლების ხარისხის დევალვაციის პოტენციური საფრთხე. მიზანშეწონილია ერთიანი ეროვნული გამოცდების პრაქტიკის კონცეფციის განახლება.

ამდენად, საჭიროა ჩამოვაყალიბოთ მკაფიო პოზიცია, აღნიშნულ პრობლემატურ საკითხთან მიმართებაში. იმისათვის რომ უმაღლესი საგანმანათლებლო მომსახურების ბაზარი უფრო გამართული და ეფექტიანი იყოს კონკურენტუნარიანობის თვალსაზრისით, უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ ერთიანი ეროვნული გამოცდების როლი ეტაპობრივად შეიცვალოს, რადგან უმაღლესი განათლების ხარისხზე ზრუნვა არანაკლებ მნიშვნელოვანი საქმეა, ვიდრე კორუფციასთან ბრძოლა. ერთის ხარჯზე მეორის მიღწევა განათლების პოლიტიკის თვალსაზრისით უტოპიაა.

ეროვნული გამოცდების პრაქტიკამ თვისი დრო ამოწურა და მიზანშეწონილი მისი კონცეფციის ეტაპობრივი მოდიფიცირება, სადაც გაიზრდება უმაღლესი სასწავლებლების აკადემიური ავტონომია. პრინციპულად მნიშვნელოვანია ასევე უმაღლესი

საგანმანათლებლო მომსახურების ბაზრის დაფინანსების დივერსიფიცირებაც. აბსოლუტურად მისაღებია რესპოდენტთა მოსაზრებები ავტორიზაციის და აკრედიტაციის დაბალ სტანდარტებთან მიმართებაში, რადგან მიუხედავად არა ერთი საერთაშორისო საგანმანათლებლო რეკომენდაციისა, ჩვენი ქვეყანა ჯერ კიდევ არ არის გაწევრიანებული, აკრედიტაციის ცენტრის ხარისხის უზრუნველყოფის ევროპულ ქსელში (ENQA-The European Association for Quality Assurance in Higher Education), რაც სერიოზულ ნაკლოვანებად მიგვაჩნია და რაც არის ერთ-ერთი მიზეზი ბაზარზე არსებული მრავალი პრობლემის.

საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის ხარისხის როგორც შიდა, ისე გარე უზრუნველყოფის აუცილებლობა განისაზღვრა საკანონმდებლო დონეზე. მიუხედავად იმისა, რომ ცალკეულ შემთხვევებში პროცესები საკმაოდ მტკივნეულად წარიმართა, ხარისხის გარე უზრუნველყოფის სისტემა ამჟამად გულისხმობს ავტორიზაციასა და აკრედიტაციას. საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, ავტორიზაცია არის ,,უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების პროცედურა, რომლის მიზანია სახელმწიფოს მიერ აღიარებული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის გასაცემად შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის აუცილებელი სტანდარტების დაკმაყოფილების უზრუნველყოფა“, ხოლო აკრედიტაცია არის „აკრედიტაციის სტანდარტებთან უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისს საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის განსაზღვრის პროცედურა, რომლის მიზანია განათლების ხარისხის ასამაღლებლად სისტემატური თვითშეფასების დამკვიდრება და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების განვითარების ხელშეწყობა და რომელთანაც დაკავშირებულია სახელმწიფო დაფინანსების მიღება, ასევე ამ კანონით გათვალისწინებული ზოგიერთი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება“.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაცია ხდება სამი ძირითადი სტანდარტის მიხედვით: უსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამები, მატერიალური და ადამიანური რესურსები. გარდა ამისა, თითოეული სტანდარტი შედგება ერთგვარი ქვესტანდარტებისგან, რომლებიც შეეხება: სასწავლო-სამეცნიერო საქმიანობისათვის აუცილებელ მატერიალურ რესურსებს (ფართს, ინვენტარს, ბიბლიოთეკას და სხვ.), საქმის წარმოებას, პერსონალის მართვას, სასწავლო-სამეცნიერო პროცესს, ხარისხის უზრუნველყოფასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ რეგულაციებს, საგანმანათლებლო პროგრამების ფორმალურ და შინაარსობრივ საკითხებს, აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციას და სხვ. დღეისათვის ავტორიზაცია რეალურად არ წარმოადგენს ხარისხის

განვითარების მექანიზმს და ქართული აკადემიური საზოგადოების მიერ მოიაზრება უფრო ხშირად სადამსჯელო ღონისძიებად, ცალკეულ შემთხვევებში მეტისმეტი სიხისტის, არაერთგვაროვანი მიდგომებისა, თუ არაგამჭვირვალობის გამო.

აღსანიშნავია, რომ ავტორიზაცია არის მექანიზმი, რომლის საშუალებითაც უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას ეძლევა ფუნქციონირებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებული კვალიფიკაციის მინიჭების უფლება, მაგრამ ავტორიზაცია თითქმის არ ითვალისწინებს დაწესებულების ინსტიტუციური განვითარების შეფასებასა და ხელშეწყობას (თუმცა, თეორიულად ის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მისიაზეა ორიენტირებული), ანუ ხარისხის გარე უზრუნველყოფის ერთ-ერთი ძირითადი მიზანი - ინსტიტუციური განვითარების სტიმულირება - საქართველოში მხოლოდ ნაწილობრივ მიიღწევა.

თავის მხრივ, ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ ექსპერტების გარკვეული ნაწილი უარყოფითად აფასებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ დაფინანსების უფლების მოპოვებას პროგრამული აკრედიტაციის საფუძველზე, რადგან აღნიშნულმა პროცესმა შეიძინა ფორმალური ხასიათი და ვერ იქცა ხარისხის განვითარების რეალურ მასტიმულირებელ ძალად, რასაც შესაბამისი სტატისტიკური მონაცემებიც ცხადყოფს. 2011-2013 წლებში აკრედიტაცია მიენიჭა 1267 საგანმანათლებლო პროგრამას, ხოლო აკრედიტაციაზე უარი ეთქვა მხოლოდ 40-ს. (3, 9).

აკრედიტებული პროგრამების რაოდენობა აკრედიტაციის ვადების საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით, ხარისხთან დაკავშირებულ საფუძვლიან ეჭვს ბადებს. საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, ხარისხის შიდა უზრუნველყოფას როგორც ინსტიტუციურ, ისე საფაკულტეტო დონეზე უნდა გააჩნდეს შემდეგი ფუნქციები:

– უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა, მისი პერსონალის პროფესიული განვითარების ხარისხის სისტემატური შეფასება, რომელშიც უნდა მონაწილეობდნენ აგრეთვე ამ დაწესებულების სტუდენტები და რომლის შედეგები საჯარო და ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველა დაინტერესებული პირისთვის;
– ხარისხის კონტროლის გამჭვირვალე კრიტერიუმებისა და მათი უზრუნველყოფის მეთოდოლოგიის ჩამოყალიბების მიზნით საზღვარგარეთის ქვეყნებსა და მათ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან კავშირის დამყარება და თანამშრომლობა;
– სწავლის, სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების (მოდულები,

– საკრედიტო სისტემა და სხვა) დანერგვა და ავტორიზაციის/აკრედიტაციის პროცესისთვის თვითშეფასების მომზადება. (3, 12).

თავის მხრივ, საქართველოში ხარისხის შიდა უზრუნველყოფის სისტემის ძირითადი მიღწევებისა და ნაკლოვანი მხარეების შესახებ შეიძლება ითქვას შემდეგი: მნიშვნელოვანია, რომ ხარისხის შიდა უზრუნველყოფა, როგორც ცნება და როგორც პროცესი, უკვე დამკვიდრდა ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში, ხარისხის შიდა უზრუნველყოფასთან დაკავშირებული ინფორმაცია, ჩვეულებრივ, საჯაროა და ყველასათვის ხელმისაწვდომია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ვებგვერდებზე.

სისტემის მიღწევას წარმოადგენს სილაბუსებისა და საგანმანათლებლო პროგრამების მოწესრიგება, თუმცა ისინი მუდმივად საჭიროებენ განვითარებასა და სრულყოფას, ხარისხის შიდა უზრუნველყოფა მუდმივი პროცესია, რასაც ყველა მხარე უნდა აცნობიერებდეს. სილაბუსებსა და საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებული მოთხოვნები ხშირად იცვლება, რაც განპირობებულია ხარისხის გარე უზრუნველყოფის სისტემაში განხორციელებული ხშირი ცვლილებებით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ უნივერსიტეტში სწავლება და კვლევა ურთიერთისაგან განუყოფელი უნდა იყოს, რათა სასწავლო პროცესი არ ჩამორჩეს მსოფლიო ბაზრის ცვალებად მოთხოვნებსა და სამეცნიერო ცოდნის მიღწევებს. დასანანია, რომ დღეისათვის, ყველა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას არა აქვს იმის შესაძლებლობა, რომ სწავლება და კვლევა იყოს ურთიერთჰარმონიზებული. უმაღლეს სასწავლებლებში შედარებით უფრო განვითარებულია სასწავლო კომპონენტი, ვიდრე კვლევითი კომპონენტი, (კვლევითი კომპონენტი შედარებით სუსტია).

ხარისხის შიდა უზრუნველყოფა აკადემიური პერსონალის გარკვეული ნაწილის შეფასებით, ცალკეულ შემთხვევებში ლახავს მის აკადემიურ თავისუფლებას, რისი პრევენციაც ხარისხის შიდა უზრუნველყოფის პროცესებში ყველა დაინტერესებული მხარის აქტიური მონაწილეობით უნდა განხორციელდეს. გარდა ამისა, ხარისხის შიდა უზრუნველყოფა უფრო მეტად კონცენტრირებულია ფორმალური მხარეებისა და დოკუმენტების შემოწმებაზე და ნაკლებ ყურადღებას უთმობს შინაარსის, რეალური შედეგებისა და პროცესების შეფასებას. სტუდენტთა გამოკითხვის კითხვარები ყოველთვის არ არის პროფესიონალების მიერ შედგენილი და არც გამოკითხვის შედეგებს ექცევა ჯეროვანი ყურადღება. თითქმის არ გამოიყენება ან სათანადო შედეგებს არ იძლევა აკადემიური პერსონალის მიერ ერთმანეთის კოლეგიალური შეფასება.

ხარისხის შიდა უზრუნველყოფა შემოიფარგლება, ძირითადად, სწავლებით და ნაკლებ ყურადღებას უთმობს კვლევას. ხარისხის შიდა უზრუნველყოფის პროცესში თითქმის არ არის გაანალიზებული სტუდენტების აკადემიური მოსწრება, რაც ბევრ ევროპულ ქვეყანაში მნიშვნელოვან ინსტრუმენტს წარმოადგენს. ნაკლები ყურადღება ეთმობა აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის შეფასებასა და ამაღლებაზე ზრუნვას. აკადემიური პერსონალის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასების შედეგები არ გამოიყენება აკადემიური კონკურსების პროცესში. არასაკმარისია თანამშრომლობა უცხოეთის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან ხარისხის უზრუნველყოფის კუთხით. სტუდენტები და აკადემიური პერსონალი არასაკმარისად არიან ჩართული შეფასების პროცესებში.

ხარისხის უზრუნველყოფის სტრატეგია ხშირად მხოლოდ ფორმალურად არსებობს და რეალურად არ ხორციელდება. ხარისხის შიდა უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურები თანამშრომლობენ ხარისხის ცენტრთან, თუმცა სასურველია ამ თანამშრომლობის გაღრმავება. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები არასაკმარის ფინანსურ რესურსებს ხარჯავენ ხარისხის შიდა უზრუნველყოფისათვის აუცილებელი კვლევების ჩასატარებლად. თითქმის არ ტარდება ხარისხის შიდა უზრუნველყოფის პროცესების ინტერნაციონალიზაცია.

ხარისხის შიდა უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირების კვალიფიკაცია ხშირად არ არის საკმარისი მათ წინაშე მდგარი ამოცანების წარმატებით გადასაჭრელად (ეს განსაკუთრებით შეეხება დასავლური საგანმანათლებლო სტანდარტებისა და უმაღლესი განათლების განვითარების თანამედროვე ტენდენციების ცოდნას). ხარისხის გარე უზრუნველყოფის არსებული სისტემის პირობებში ავტორიზებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების დინამიკა შემდეგია: 119 ერთეული (2005 წ.), 43 ერთეული (2010 წ.), 57 ერთეული (2011), 64 ერთეული (2013 წ.), 75 ერთეული (2015). (2, 16-17)

მაშასადამე, დაბალია ბერგენის სამიტზე აღებული ვალდებულებების შესრულების ტემპი და ხარისხი. უნდა აღინიშნოს, რომ უმაღლესი სასწავლებლების რაოდენობის ზრდა განპირობებულია მათი შეფასების (ავტორიზაცია, აკრედიტაცია) პროცესის ცალკეული ხარვეზებით. უმაღლესი განათლების სისტემაში არსებულ ერთ-ერთ პრობლემად მიჩნეულ იქნა ქართული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიმართ ნდობის სიმცირე, ხოლო ამ პრობლემის აღმოფხვრის ერთ-ერთ პერსპექტიულ საშუალებას კი ხარისხის

უზრუნველყოფის მართვის პროცესების სრულყოფა და ინტერნაციონალიზაციის ამაღლება წარმოადგენს. სწორედ ხარისხი, და უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაცია ერთობლიობაში ქმნიან უმაღლესი საგანმანათლებლო მომსახურების ბაზრის კონკურენტუნარიანობის ამაღლების მთავარ საფუძველს.

სადისერტაციო ნაშრომის კვლევის ფარგლებში დამატებით განხორციელებულმა ურთიერთშემხვედრმა კვლევებმა, (დამსაქმებლების კვლევა, კურსდამთავრებულთა კვლევა) კიდევ ერთხელ დაადასტურა ხარისხთან დაკავშირებული პრობლემების სიმწვავე. რესპოდენტებმა ერთხმად (100%–ი) უპასუხეს, რომ უმაღლესი სასწავლო დაწესებულებები აუცილებლად უნდა იყვნენ დაინტერესებულები მათი კურსდამთავრებულების თვითრეალიზაციით.

საბაზრო ეკონომიკის ფუნდამენტური პრინციპების გათვალისწინებით, კონკურენტუნარიანი ბაზარი უბიძგებს ფირმებს, რომ იზრუნონ საკუთარი პროდუქციის რეალიზაციაზე, ხარისხის ამაღლებაზე და კონკურენციაში შევიდნენ მეტოქე ფირმებთან, როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო დონეზე. ბაზარზე არსებული უმაღლესი სასწავლო დაწესებულებები აბსოლუტური უმრავლესობით, ინდიფერენტულ დამოკიდებულებას გამოხატავენ თავიანთ კურსდამთავრებულების მიმართ. აღნიშნული დასტურდება, როგორც დამსაქმებელთან სუსტი კოოპერირების პრაქტიკით, ასევე სტუდენტთა კარიერის სამსახურების არ არსებობით, ან მათი მუშაობის დაბალ ეფექტურობით. რესპოდენტთა 90%–მა აღნიშნა, რომ აუცილებელია თანამშრომლობა, უნივერსიტეტსა და დამსაქმებელს (კერძო სექტორი/ბაზარი) შორის. გარდა ამისა, რესპოდენტთა 80%–მა აღნიშნა, უნივერსიტეტი უნდა ატარებდეს, კერძო სექტორის/ ბაზრის კვლევას, სამუშაო ძალაზე არსებული მოთხოვნის განსაზღვრისათვის. სამწუხაროდ ეს საკითხიც მოკლებულია სათანადო ყურადღებას. შრომის ბაზარზე არსებული მოთხოვნა აბსოლუტურად ვერ მოდის თავსებადობაში უმაღლესი სასწავლო დაწესებულების მიერ სპეციალისტების მიწოდებასთან. როგორც წესი ბაზარზე სპეციალისტებზე არსებულ მოთხოვნას მკვეთრად აღმატება მიწოდება.

პრობლემატურია ასევე საკითხი, კურსდამთავრებულთა შესაძლებლობების უზრუნველყოფის კუთხით, დაეუფლონ სათანადო ცოდნასა და უნარებს. როგორც რესპოდენტთა 60%–მა აღნიშნა იმისათვის, რომ კურსდამთავრებულმა თავისუფლად შეძლოს მიღებული განათლების რეალიზაცია, მას ყველაზე მეტად ესაჭიროება:

– ანალიტიკური აზროვნების უნარი;

– გადაწყვეტილების მიღების უნარი;

– დროის ეფექტურად მართვის უნარი.

განხორციელებული კვლევის შედეგების ანალიზით, ჩნდება საფუძვლიანი ეჭვი, რომ უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში, სათანადო ყურადღება არ ექცევა, ყველაზე საჭირო და მოთხოვნად უნარ ჩვევებს. ხშირია შემთხვევები, როდესაც უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებს არ გააჩნიათ საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომების კონცეფცია და სამუშაო ინსტრუქცია (ნაშრომის შემადგენელი ელემენტების/თავების, შესრულების ვადები, გზები, ამოცანები, კვლევის მეთოდები და ა.შ.), უმრავლეს შემთხვევაში უმაღლესი სასწავლო დაწესებულებები შემოისაზღვრებიან სასწავლო პროგრამული აკრედიტაციით.

ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების მიზნები, რაოდენ მასშტაბური და შორსმიმავალი არ უნდა იყოს, სრულ ჰარმონიზაციაში უნდა მოვიდეს კერძო სექტორის, კერძოდ დამსაქმებლის მოთხოვნებთან. სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ უმაღლესმა სასწავლო დაწესებულებებმა უნდა უპასუხონ ბაზრის ახალ გამოწვევებს, წინააღმდეგ შემთხვევაში უმაღლესი საგანმანათლებლო მომსახურების ბაზრის კონკურენტუნარიანობის ამაღლება შეუძლებელი იქნება. კურსდამთავრებულთა 45%–მა განაცხადა, რომ მათ არ აქვთ ინფორმაცია სტუდენტთა კარიერული სამსახურის შესახებ და აღნიშნული სამსახურის სერვისებით არასოდეს უსარგებლიათ. წარმოდგენილი შედეგები ძალზედ უიმედოა და ვთვლით, რომ ხარისხის ამაღლების მიზნით, უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებს უნდა მიეცეთ დირექტივა, რომ გააძლიერონ ზემოაღნიშნული სამსახურების როლი და მნიშვნელობა, რაც ერთგვარად სწავლების ხარისხის შიდა სამონიტორინგო ეფექტიანობის ამაღლებას და სწავლების ხარისხის გამჭირვალობას უფრო მეტად შეუწყობს ხელს. როგორც უკვე აღინიშნა, მსგავსი პრაქტიკა უკვე დიდი ხანია დანერგილია ევროპის უმაღლეს საგანმანათლებლო სისტემაში.

კურსდამთავრებულთა 65%–ი თვლის რომ სასწავლო პროგრამის შინაარსი სრულყოფილად ვერ პასუხობს ბაზარზე არსებულ მოთხოვნებს, დღეს, როდესაც ვსაუბრობთ უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების ავტორიზაციაზე და სასწავლო პროგრამების აკრედიტაციაზე და ზოგადად ამ მიმართულებების რეფორმებზე, დაუშვებლად მიგვაჩნია ისეთი პრობლემების არსებობა, როგორიცაა სასწავლო პროგრამების შინაარსობრივი შეუთავსებლობა, ბაზარზე არსებულ მოთხოვნებთან. გამოდის, რომ უმაღლესი სასწავლო

დაწესებულებები დამსაქმებელს სთავაზობენ, ან უფრო სწორედ რომ ვთქვათ, თავს ახვევენ არაკომპეტენტური და არამოთხოვნადი უნარ-ჩვევების მატარებელ კურსდამთავრებულებს, რაც ცალსახად დაუშვებელია და გაუმართლებელია.

ამ მხრივ, მიზანშეწონილია, რომ ავტორიზაციისა და აკრედიტაციის პასუხისმგებელმა უწყებებმა გაზარდონ აღნიშნული ვალდებულებების დაკმაყოფილების სტანდარტული ნორმები, რათა უმაღლეს სასწავლო პროგრამას, რომელიც გაივლის აკრედიტაციას, შესაძლებლობა ჰქონდეს მეტად უპასუხოს ბაზრის გამოწვევებს. ამასთანავე, აღნიშნული ნორმების სრულყოფა, კიდევ უფრო მეტად შეუწყობს ხელს უმაღლესი საგანმანათლებლო მომსახურების ბაზრის კონკურენტუნარიანობის ამაღლებას.
პრობლემებია სასწავლო პროგრამაში შემავალი საგნების რელევანტურობასთან მიმართებაში. კურსდამთავრებულთა 60%–მა აღნიშნა, რომ სასწავლო პროგრამაში შემავალი საგნები არ შეესაბამებოდა იმ პროფესიას, რომელსაც ეუფლებოდა.

წარმოდგენილი სტატისტიკა კიდევ ერთხელ მიუთითებს უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების და კერძო სექტორის სუსტ და არაკონსტრუქციულ კავშირურთიერთობებზე, რაც საბოლოოდ ხდება ერთ–ერთი მიზეზი, უმაღლესი საგანმანათლებლო მომსახურების ბაზრის დაბალი კონკურენტუნარიანობის.

კურსდამთავრებულთა 70%–მა აღნიშნა, რომ სასწავლო პროგრამის ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალები კარგად არ იყო შერჩეული. უნდა აღინიშნოს, რომ არა მხოლოდ სასწავლო პროგრამა, არამედ მისი რეალიზაციის ძირითადი ინსტრუმენტები, (ძირითადი და დამხმარე ლიტერატურა, სხვადასხვა სასწავლო მასალები, რიდერები, მეორადი საინფორმაციო წყაროები და ა. შ.), პრინციპულ და გადამწყვეტ როლს თამაშობს შედგენილი და დამტკიცებული სასწავლო პროგრამის ეფექტიან რეალიზებაში.

დღეს თანამედროვე ტექნოლოგიებისა და ციფრულ ეპოქაში, როდესაც სასწავლო ლიტერატურის ხელმისაწვდომობის კუთხით ფაქტობრივად აღარ არსებობს პრობლემები, საუბარი ლიტერატურის შეუსაბამობის შესახებ სერიოზულ ნაკლოვანებად უნდა იქნეს მიჩნეული. თუმცაღა, სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ჯერ კიდევ არის ქართულენოვანი ან/და ქართულად თარგმნილი სასწავლო ლიტერატურის დეფიციტი. აღნიშნული პრობლემა კი კიდევ უფრო ამძიმებს საერთო მდგომარეობას.

კურსდამთავრებულთა 85%–მა აღნიშნა, რომ სასწავლო პროგრამას არ ჰქონდა საკმარისი პრაქტიკული ელემენტები. სწავლების თანამედროვე მეთოდებითა და პრინციპებით მიჩნეულია, რომ ნებისმიერი თეორიული სწავლება უნდა იყოს მხარდაჭერილი საკმარისი პრაქტიკული მეცადინეობებით. ამ მხრივ, სამწუხაროდ, შეიმჩნევა კურსდამთავრებულთა უკმაყოფილების მაღალი მაჩვენებელი და მიზანშეწონილია, რომ სასწავლო მეთოდიკაში პროპორციულობის პრინციპის დაცვით გადანაწილდეს სწავლების თეორიული და პრაქტიკული ელემენტები. აღნიშნული პრობლემის უფრო ეფექტიანად მოგვარება შესაძლებელი გახდება, თუ უმაღლესი განათლების სფეროში მოწვეული იქნებიან სპეციალისტები სხვადასხვა პროფილის კერძო სექტორიდან. რაც უდავოდ დადებითად იმოქმედებს სწავლების პროცესში პრაქტიკული ელემენტების ზრდაზე და ამავ დროულად, აამაღლებს უმაღლესი საგანმანათლებლო მომსახურების ბაზრის კონკურენტუნარიანობას. აღნიშნული დასტურდება კვლევის შედეგებითაც. კურსდამთავრებულთა 75%–მა აღნიშნა, რომ ის რასაც სწავლობდა რეალურად არ გამოადგათ პრაქტიკაში.

უნდა აღინიშნოს, რომ არა მხოლოდ კურსდამთავრებულები, არამედ დამსაქმებლებიც გამოხატავენ უკმაყოფილებას იმ პრაქტიკული უნარ-ჩვევების დაბალი ხარისხით, რომელიც სწავლის დასრულების შემდგომ გააჩნიათ სტუდენტებს. აღინიშნა, რომ კურსდამთავრებულებს არ უნდა სჭირდებოდეს უნივერსიტეტის დასრულების შემდგომ პროფესიულ უნარებში თავიდან გადამზადება. რესპოდენტთა 65%–მა ასევე აღნიშნა, რომ უნივერსიტეტის კურსდამთავრებულს დასაქმების მაღალი შანსი აქვს.

ზოგადად ფაქტია, რომ უმაღლესი განათლების, გარეშე ისევე როგორც საჯარო სექტორში, კერძო სექტორშიც სამუშაო ადგილის მოპოვება ძალზედ რთულ პროცესს წარმოადგენს. თუმცაღა არსებული რეალობის გათვალისწინებით ისიც უნდა აღინიშნოს, რომ უმაღლესი განათლების ბაზარზე არსებული უამრავი ნაკლოვანებების გამო, უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში მიღებული განათლება, სამწუხაროდ, სულაც არ წარმოადგენს საწინდარს სამუშაო ადგილის მოპოვებისათვის.

რესპოდენტთა 70%–მა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტი არ გამოირჩევა სწავლების მაღალი დონით. აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში უპრიანი იქნება მცირე სტატისტიკური ექსკურსის განხორციელება. სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ, გვინდა წარმოვადგინოთ სტატისტიკა, რომელიც უმაღლესი საგანმანათლებლო მომსახურების ბაზარს, კერძოდ უმაღლეს სასწავლებელთა რაოდენობრივ დინამიკას უკავშირდება. მხოლოდ, ბოლო 2–3

წლის განმავლობაში უმაღლესი განათლების ბაზარს ათზე მეტი უმაღლესი სასწავლებელი შეამატა. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ უმაღლეს სასწავლო დაწესებულებათა რაოდენობრივი ზრდა არ უნდა მოხდეს განათლების ხარისხობრივი დევალვაციის ხარჯზე, რადგანაც შედეგად უახლოეს პერიოდში მივიღებთ უამრავ კონკურენტუუნარო უმაღლეს სასწავლო დაწესებულებას. ოფიციალური სტატისტიკის მიხედვით 2010 წლიდან დღემდე უმაღლესი განათლების ბაზარზე უმაღლესი სასწავლო დაწესებულებათა რიცხობრივი მაჩვენებელი თითქმის გაორმაგებულია და 43 ერთეულიდან 75 ერთეულამდეა გაზრდილი, რაც უდავოდ სიჭარბედ შესაძლებელია მივიჩნიოთ. (92).

ფრიად სასიხარულოა, რომ დღეს საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო მომსახურების ბაზარზე, უნივერსიტეტების უმრავლესობას, გააჩნია თანამედროვე მატერიალურ–ტექნიკური ბაზა. მაგრამ აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სამწუხაროდ ჯერ კიდევ ყველა უმაღლეს სასწავლებელში, არ არსებობს სათანადო პირობები, როგორც მაღალი ხარისხის სწავლის პროცესის უზრუნველსაყოფად, ასევე სამეცნიერო და კვლევითი საქმიანობის განსახორციელებლად. სამწუხაროა, რომ აღნიშნულ რეალობას ვაწყდებით, იმ უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში, რომლებსაც გავლილი აქვთ, როგორც ავტორიზაცია, ასევე პროგრამული აკრედიტაცია. ავტორიზაციისა და აკრედიტაციის საკითხები, არა ერთგზის და არა ერთგვაროვანი განხილვის საგანი გამხდარა საზოგადოების წინაშე.

ძალზედ საინტერესოა დამსაქმებლის კვლევის შედეგების კრიტიკული ანალიზი, რომელიც კიდევ ერთხელ ადასტურებს უნივერსიტეტებისა და დამსაქმებლების კოოპერირების დაბალ დონეს და ხაზს უსვამს ორმხრივი ურთიერთობების მნიშვნელობას. დამსაქმებელთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ აღნიშნა, რომ პრინციპულად მნიშვნელოვანია უნივერსიტეტის და კერძო სექტორის (დამსაქმებლის) ორმხრივი ურთიერთკავშირი სწავლების ხარისხის მართვის და სტუდენტთა კარიერული ხელშეწყობის კუთხით.

კვლევის შედეგებმა ცხადყო, რომ ჯერ კიდევ ბევრი პრობლემაა გადასაწყვეტი, რომელიც უკავშირდება უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების კურსდამთავრებულთა კვალიფიკაციას და მათ პროფესიულ შესაძლებლობებს. კვლევის კრიტიკულმა ანალიზმა საშუალება მოგვცა მოგვეხდინა მნიშვნელოვანი სამეცნიერო მიგნებების დეფინიცია. კვლევაში მონაწილე დამსაქმებლების მნიშვნელოვანმა ნაწილმა განაცხადა, რომ კურსდამთავრებულები ვერ პასუხობენ თანამედროვე ბაზრის, კერძო სექტორის მოთხოვნებს. ასევე, როგორც მათ აღნიშნეს ანალიტიკური აზროვნების უნარი, ყველაზე

მეტად ესაჭიროებათ კურსდამათავრებულებს. დამსაქმებლები უკმაყოფილო არიან კურსდამთავრებულთა სხვა უნარებითაც, როგორიც არის გადაწყვეტილების მიღების უნარი, დროის ეფექტურად მართვის უნარი და სხვა.

ნათელია, რომ როდესაც კურსდამთავრებულს არ აქვს საკმარისი რაოდენობის ცოდნა და მისი უნარ-ჩვევები ვერ პასუხობს ბაზრის თანამედროვე გამოწვევებს, შესაბამისად სამუშაოს შესრულების დროს ჩნდება სერიოზული პრობლემებიც. შედეგად დამსაქმებელთა მხრიდან კლებულობს მოთხოვნა კურსდამთავრებულებზე.

კვლევაში მონაწილე დამსაქმებლების უმრავლესობა მიუთითებს იმ კომპეტენციებზეც, რომელიც მათი აზრით ყველაზე მეტად მოთხოვნადი გახდება 3-5 წელიწადში. გამოკითხულთ 50%–მა აღნიშნა რომ ეს არის უახლესი თეორიების ცოდნა, ხოლო 40%–მა აღნიშნა რომ ეს არის თანამედროვე ტექნოლოგიების ცოდნა.

აღსანიშნავია, რომ პრობლემები არა საკმარისი კომპეტენციების გამოვლენის კუთხით ძალზედ ხშირ სტატისტიკას წარმოადგენს. ხშირია, შემთხვევები, როდესაც დამსაქმებელს თავად უწევს კურსდამთავრებულთა, როგორც თეორიული მომზადება, (სხვადასხვა სახის ტრეინინგები, სასწავლო ბლოკ–კურსები), ასევე პრაქტიკული უნარ-ჩვევების (კომპიუტერული პროგრამების, ფინანსური და საბუღალტრო პროგრამების, მსოფლიო საძიებო სისტემების Google, Bing და სხვა გამოყენების, საჭირო ინფორმაციის მოძიების), განვითარება. აღნიშნული პროცესები კი, უკავშირდება როგორც დროით დანახარჯებს, ასევე ფინანსურ ხარჯებს, რაც საბოლოოდ სტიმულს უკარგავს დამსაქმებელს დაინტერესდეს სამუშაოს მაძიებლით. შედეგად კურსდამთავრებული საწყის ეტაპზევე, ღებულობს უარს დასაქმებაზე.

დამსაქმებლებს გააჩნიათ პრობლემის მოგვარების საკუთარი ხედვაც. მათი აზრით, აუცილებელია სასწავლო პროგრამებში დამსაქმებლების აქტიური ჩართვა და მათი რეკომენდაციების დანერგვა და რეალიზება. უაღრესად მნიშვნელოვანია სტუდენტთა შეფასების პროცესში დამსაქმებლის ჩართვაც. გარდა ამისა, აუცილებელია, თეორიული ცოდნის პრაქტიკასთან მეტი სინთეზი და მიზანშეწონილია, მეტი კონცენტრაცია პრაქტიკულ სწავლებაზე კერძო სექტორის თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები, ფაქტობრივად კურსდამთავრებულთა სახით ქმნიან პროდუქტებს, რომლის უშუალო მომხმარებლები არიან სწორედ დამსაქმებლები. შესაბამისად საბაზრო ეკონომიკის ფუნდამენტალური პრინციპების გათვალისწინებით, ,,მწარმოებლებმა" – უმაღლესმა სასწავლო დაწესებულებებმა მეტად უნდა გაითვალისწინონ, ,,მომხმარებელთა" – დამსაქმებელთა ინტერესები, რათა მოხდეს ორმხრივად მიზნების ჰარმონიზაცია. შედეგად, ამაღლდება უმაღლესი საგანმანათლებლო მომსახურების ბაზრის კონკურენტუნარიანობა და ამავდროულად, აცილებული იქნება დისბალანსი სამუშაო ძალის მიწოდებასა და მასზე მოთხოვნას შორის.

რესპოდენტთა 90%–მა განაცხადა, რომ ისინი სტუდენტების სასწავლო პროგრამების უზრუნველყოფის (შედგენა–განხილვა –ანალიზი – რეალიზაცია) პროცესებში მონაწილეობას ვერ ღებულობენ, უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების დაბალი მზაობის გამო. რესპოდენტთა 70%–მა განაცხადა, რომ ისინი სტუდენტების საწარმოო პრაქტიკის უზრუნველყოფის პროცესში, მათ შორის სამუშაოზე შეფასების პროცესში არ ღებულობენ მონაწილეობას. მთავარ პრობლემა კი დამსაქმებელს მიაჩნია ის გარემოება, რომ კურსდამთავრებულებული არ უნდა საჭიროებდეს გადამზადებას ადგილზე, უნივერსიტეტი აქტიურად უნდა თანამშრომლობდეს დამსაქმებლებთან და უნივერსიტეტი უნდა აწარმოებდეს სტუდენტების კარიერული განვითარების რეესტრს.

აღნიშნული პრიორიტეტული მიმართულება კვლევაში მონაწილე დამსაქმებლემბა უმრავლესობით დაადასტურეს და კიდევ ერთხელ აღნიშნეს, რომ პრობლემის მოგვარება უდავოდ ხელს შეუწყობს უმაღლესი საგანმანათლებლო მომსახურების ბაზრის კონკურენტუნარიანობის ამაღლებას. პრინციპულად მნიშვნელოვანია დამსაქმებლებთან ჩატარებული ჩაღრმავებული ინტერვიუების შედეგები. მიგვაჩნია, რომ ის არსებით ხასიათს შესძენს აღნიშნული პრობლემების მოგვარებას.

მიუხედავად იმისა, რომ დამსაქმებელს უჭირს ღიად ილაპარაკოს უმაღლესი განათლების სისტემის არსებით პრობლემებზე, კვლევის შედეგებზე დაყრდნობით იდენტიფიცირებულ იქნა პრობლემათა ფართო სპექტრი. დამსაქმებლებმა აღნიშნეს, რომ ფაქტობრივად კვალიფიკაციის დონეზე არ იკვეთება სხვაობა ბაკალავრსა და მაგისტრს შორის და მათი უნარები თითქმის იდენტურია. ასევე, მათი აზრით კურსდამთვრებულს არ გააჩნია თვისი კვალიფიკაციის შესაბამისი ცოდნა და განსაკუთრებით ეს ჩანს თეორიოული ცოდნის პრაქტიკაში გადატანის დროს.

აღსანიშნავია ისიც, რომ კურსდამთავრებულთა დაბალი კვალიფიკაციის გამო, ხშირ შემთხვევაში დამსაქმებელს ფაქტობრივად არ გააჩნია არჩევანის გაკეთების შესაძლებლობა, შედეგად, როგორც რესპოდენტებმა განაცხადეს 600 კურსდამთავრებულიდან შერჩეულ იქნა 16. დაბალია ორმხრივი კომუნიკაციის ხარისხიც, დამსაქმებელი ხშირად წერილობითაც კი მიმართავს უმაღლეს სასწავლებლებს რათა აცნობოს არსებული ვაკანსიების შესახებ სტუდენტებს, თუმცაღა თანამზაობა არ არის ადეკვატური. დამსაქმებელთა უმრავლესობა აღნიშნავს, რომ სტუდენტთა სასწავლო პროგრამების შედგენაში და სტუდენტთა შეფასების პროცესებში აუცილებლობად მიაჩნიათ პერიოდულად მაინც თანამონაწილეობაც.

ამდენად, სასწავლო პროგრამები ნაწილობრივ ასახავს ბაზრის საჭიროებებს. შედეგად შრომის ბაზარზე სტუდენტების მიწოდება მხოლოდ ნაწილობრივ შეესაბამება სტუდენტებზე მოთხოვნას. საჭიროა ორმხრივი კომუნიკაციის ინტენსიფიკაცია. დამსაქმებლები არ მონაწილეობენ სასწავლო კურიკულუმების მომზადების და სტუდენტთა შეფასების პროცესებში, რის გამოც მომზადებული ახალგაზრდა კადრების გარკვეული ნაწილი ვერ პასუხობს ბაზრის მოთხოვნებს. მნიშვნელოვანია ზემოაღნიშნულ პროცესებში მესამე მხარის (დამსაქმებელი) ჩართულობის და უფლებების გაზრდა;

ევროპის ქვეყნებში (ფინეთი, შვედეთი, ბრიტანეთი, საფრანგეთი, გერმანია, ესტონეთი, ლიტვა, ლატვია), ზემოაღნიშნული პრობლემების მოგვარების სერიოზულ ბერკეტად უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში კარიერის სამსახურები მიიჩნევა. კარიერის სამსახურები უზრუნველყოფს კურსდამთავრებულთათვის დასახული ამოცანების გადაწყვეტას, სასურველი მიზნების მიღწევას და პროფესიული განვითარების ხელშეწყობას.

უნივერსიტეტები აქტიურად ადევნებენ თვალს საკუთარი სტუდენტების კარიერის განვითარებას, აქვთ დასაქმებულ სტუდენტთა ბაზა, ახორციელებენ არა მხოლოდ ყოველწლიურ სტატისტიკას, არამედ ახდენენ მათი კარიერული განვითარების საერთო ტენდენციებისა და დინამიკის ანალიზს, საკმაოდ ბევრს მუშაობენ პოტენციურ დამსაქმებელთან, სისტემატურად ახორციელებენ პრობლემების გამოვლენას, ასევე მათი გადაწყვეტის ეფექტიანი გზების შემუშავებას, განსაზღვრავენ საპროგნოზო მაჩვენებლებს და სხვა. უფრო მეტიც, ევროპის უნივერსიტეტებში, როგორც წესი არსებობს რეალურად ქმედითი კარიერის სამსახურები, რომლებიც უზრუნველყოფენ სტუდენტებს შემდეგი მნიშვნელოვანი ხელშემწყობი ფაქტორებით:

– ახვედრებენ სტუდენტებს დამსაქმებლებს, (ერთგვარი შუამავლის ფუნქციის შერულება სტუდენტებსა და დამსაქმებელს შორის);

– ახორციელებენ სტუდენტების ინფორმირებას სხვადასხვა მნიშვნელოვანი ინფორმაციით (ინფორმაცია ბაზარზე არსებული ვაკანსიების შესახებ), მათი კარიერული წინსვლის ხელშეწყობის თვალსაზრისით, (სტაჟირების პროგრამების შეთავაზება);

– უტარებენ სტუდენტებს ტრეინინგებს სამოტივაციო წერილების შედგენის, საკუთარი შესაძლებლობების პრეზენტირების კუთხით;

– ახორციელებენ სტუდენტების დამატებით მომზადებას, გასაუბრების და დასაქმებისათვის საჭირო სხვა მრავალი უნარის განვითარების მიზნით გასაუბრებისათვის მომზადება ტრენინგების და ვორქშოფების მოწყობა და სხვა.

საქართველოში, აღნიშნული პრაქტიკა ბოლო პერიოდში დაბალი ტემპებით, მაგრამ მაინც ინერგება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში. მათ ორგანიზაციულ სტრუქტურაში ჩნდება კარიერის მართვის ოფისები, თუმცა მათი არსებობა პირდაპირ არ ნიშნავს მათ ეფექტიან ქმედუნარიანობას. უნივერსიტეტები ასევე ცდილობენ კურიკულუმების შედგენისას გაითვალისწინონ დამსაქმებლებისა და შრომითი ბაზრის მოთხოვნები.

უნივერსიტეტები გადიან კონსულტაციებს დამსაქმებლებთან. შედეგადაც ხდება საჭირო უნარების იდენტიფიცირება, რომელიც სამომავლოდ გამოადგება მათ სტუდენტებს შრომით ბაზარზე ტრანსფერისათვის. მაგრამ მიუხედავად ამისა, ჯერ–ჯერობით მცდელობა საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების მხრიდან ზეგავლენა მოახდინონ სწავლების ხარისხზე და სტუდენტთა დასაქმებაზე, არ არის საკმარისი იმისათის, რომ ვისაუბროთ სტუდენტთა კარიერული განვითარების დადებით ტენდენციებზე და მსგავსი სამსახურების მუშაობის ეფექტიანობაზე.

აღსანიშნავია, რომ კარიერის სამსახური საქართველოში არსებული უნივერსიტეტების მხოლოდ 55%-ში არსებობს. ზოგიერთ უნივერსიტეტში კარიერის სამსახური ჯერ ჩამოყალიბების პროცესშია და როგორც რესპოდენტებმა განაცხადეს, ამ სერვისის დაარსებამდე სხვა სტრუქტურები ასრულებენ კარიერული ცენტრის მსგავს აქტივობებს. (4).

კარიერული სერვისი უკეთ არის განვითარებული კერძო უნივერსიტეტებში, ვიდრე სახელმწიფო უნივერსიტეტებში. უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების აქტიურ და

მჭიდრო თანამშრომლობის მნიშვნელობაზე დამსაქმებელთან, აღნიშნულია თითქმის ყველა საერთაშორისო რეგულაციებში.

მიუხედავად პოზიტიური ძვრებისა, საქართველოში უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების და კერძო სექტორის ურთიერთობებში მაინც ჯერ კიდევ ბევრი მოუგვარებელი საკითხია, რომლის მოგვარება პირველადი მნიშვნელობისაა და საჭიროებს დროულ და ეფექტურ გადაწყვეტას კერძოდ:

– კავშირი უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებსა და დამსაქმებლებს შორის სუსტია;

– არსებული მცირე ორმხრივი კავშირები, ძირითადად აგებულია პირად ურთიერთობებსა და კონტაქტებზე;

– მხარეებს შორის დაბალია ნდობა, მხარეები გაურბიან ხელშეკრულებების ოფიციალურად გაფორმებას;

– როგორც წესი, როგორც ერთ, ისე მეორე მხარეს აქვს პრეტენზიები ერთმანეთთან, მაგრამ ამ პრეტენზიებს ერთმანეთს არ უზიარებენ, ინდიფერენტული დამოკიდებულების გამო, შედეგად არ დგება დიალოგი დამსაქმებელსა და უმაღლეს სასწავლო დაწესებულებას შორის;

– როდესაც დამსაქმებელი აღმოაჩენს ნაკლოვანებებს და ხარვეზებს მომავალი კადრის მომზადებაში, არ ცდილობს მიმართოს სასწავლო დაწესებულებას სიტუაციის გამოსწორების მიზნით;

– უმაღლესი სასწავლო დაწესებულებები, თითქმის არ მიმართავენ დამსაქმებელს თავისი მოსაზრებების კურიკულუმში გათვალისწინების მიზნით.

უმაღლესი სასწავლებლები ცდილობენ სწავლების პროცესში სტუდენტებს განუვითარონ როგორც კონკრეტული, დარგობრივი უნარები, ასევე ტრანსფერული უნარებიც. დამსაქმებლების კონსულტაციებს ხშირ შემთხვევაში არ მიმართავენ და ეყრდნობიან ზოგად ცოდნას და თავიანთ წარმოდგენას, კერძოდ თუ რა შეიძლება დასჭირდეს სტუდენტს მუშაობისას. შედეგად, დამსაქმებლები სხვა კომპეტენციებზე აკეთებენ აქცენტს, ხოლო უნივერსიტეტები - სხვაზე. იქმნება დისბალანსი, სტუდენტების მიწოდება მხოლოდ ნაწილობრივ შეესაბამება სტუდენტებზე მოთხოვნას. ამდენად, სტუდენტთა კარიერის სამსახურები ნაკლებადაა განვითარებული უნივერსიტეტებში. უნდა ითქვას, რომ სტუდენტთა დასაქმების ხელშეწყობის მიზნით განხორციელებული აქტივობებისთვის ერთიანი, რაიმე მოდელი არ არსებობს, თუმცა, სასწავლებლების წარმომადგენლები, ზოგადად, კმაყოფილებას გამოხატავენ ამ მხრივ არსებული მდგომარეობით და ამის

დამადასტურებლად, როგორც წესი, მოჰყავთ დასაქმების სტატისტიკა, რომელიც უტყუარ და ეფექტურ მტკიცებულებად ვერ იქნება გამოყენებული, რადგანაც იგი ეყრდნობა სტუდენტთა დასაქმების პირველ ეტაპს, ხოლო რაც შეეხება არანაკლებ მნიშვნელოვან მაჩვენებელს როგორიცაა, სტუდენტების კარიერული წინსვლა, მათი კვალიფიკაციის ამაღლება, უწყვეტი სამუშაო სტაჟი, მსგავსი სახის ინფორმაციის მიღება უმაღლესი სასწავლებლების მხრიდან ფაქტობრივად შეუძლებელია, რადგანაც თავად უმაღლესი სასწავლებლები არ ფლობენ ამ ინფორმაციას. კვლევის შედეგებმა ცხადყო, რომ დღესდღეობით საქართველოში უმაღლეს საგანმანათლებლო მომსახურების ბაზარზე ოპერირებად უმაღლეს სასწავლებელთა მნიშვნელოვან ნაწილს არ გააჩნია სტუდენტთა დასაქმების კონცეფცია, ფაქტობრივად არ ხორციელდება კავშირურთიერთობები შრომის ბაზართან, არ არსებობს სტუდენტთა დასაქმების ხელშემწყობი რომელიმე რეალური კომპონენტი და სხვა.

სუსტია კავშირი (სასწავლო პრაქტიკები, დასაქმების შესაძლებლობები, სხვა დასხვა სახის საქმიანი კოოპერირება), როგორც უმაღლეს სასწავლებლებსა და კერძო სექტორს (დამსაქმებელი) შორის, ასევე თავად უმაღლეს სასწავლებლებს (სასწავლო–სამეცნიერო აქტივობები) შორის. მხარეთა შორის არსებული კომუნიკაციის დაბალი დონე ხელს უშლის სწავლის ხარისხის ამაღლებას და უმაღლესი საგანმანათლებლო მომსახურების ბაზრის კონკურენტუნარიანობის ზრდას. არსებული რეალობიდან გამომდინარე, საჭიროა უფრო ქმედითი და მეტი კონსტრუქციული კავშირურთიერთობების უზრუნველყოფა.

განხორციელებულმა კვლევამ აჩვენა, რომ უფრო მეტად უნდა ხდებოდეს უმაღლესი სასწავლებლების მიერ კერძო სექტორის შესწავლა და გამოკითხვა. ამასთანავე, პერიოდულად უნდა ხორციელდებოდეს სამუშაო ძალის ბაზრის ანალიზი და ახალი სტანდარტებისა და მოთხოვნების გაცნობა. მაშასადამე, არ არის გამოკვეთილი სტუდენტთა მკაფიო კარიერული სერვისები, უმაღლესი სასწავლებლები ნაკლებად მუშაობენ პოტენციურ დამსაქმებლებთან ამ კუთხით, შედეგად სტუდენტი ნაკლებად ფლობს ინფორმაციას პროფესიული პრაქტიკისა და შესაძლო დასაქმების შესახებ. საჭიროა კარიერული სამსახურების ეფექტიანობის გაზრდა. სამწუხაროდ, დღესდღეობით ამ მიმართულებით სერიოზული პრობლემებია უმაღლესი საგანმანათლებლო მომსახურების ბაზარზე, რაც გამოიხატება იმაში, რომ ხშირ შემთხვევაში უნივერსიტეტის კურსდამთავრებული ვერ/ან მხოლოდ ნაწილობრივ პასუხობს კერძო სექტორის და ზოგადად დამსაქმებლის მოთხოვნებს. მიუხედავად იმისა, რომ უმაღლესი სასწავლებლების უმრავლესობა დამსაქმებელთან თანამშრომლობს ერთობლივი მემორანდუმების ფარგლებში, მათი თანამშრომლობის

ძირითადი შინაარსი უმრავლეს შემთხვევაში შემოიფარგლება მხოლოდ სტუდენტთა სასწავლო პრაქტიკით და ისეთი ფუნდამენტური მიმართულებების რეალურად განხორციელება, როგორიცაა:

– მემორანდუმი სტუდენტთა დასაქმების შესახებ;

– მემორანდუმი სასწავლო პროგრამების და გეგმების შედგენისა და შემდგომი რეალიზაციის მონიტორინგის შესახებ, ჯერ კიდევ საჭიროებს სრულყოფას და ინტენსიფიკაციას. ყურადღება უნდა გავამახვილოთ იმ მიზეზებზეც, რითაც შესაძლოა ნაწილობრივ პროვოცირებული იყოს საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო მომსახურების ბაზარზე არსებული რეალობა, გამოხატული დამსაქმებლის დაბალი აქტივობით. ყოველივე შესაძლებელია უკავშირდებოდეს ქვეყნის ეკონომიკური ზრდის დაბალ მაჩვენებლებსაც, შესაბამისად წარმოდგენილ სტატისტიკას ეკონომიკური საფუძველიც გააჩნია.

დღეს როდესაც საქართველოში უმაღლესი სასწავლებლების რაოდენობა 75 ერთეულს, ხოლო ყოველწლიურად კურსდამთავრებულთა რაოდენობა 20–23 ათასს შეადგენს, (92) კერძო სექტორმა, სრულად და ეფექტიანად შეძლოს მათი მოთხოვნების დაკმაყოფილება (დასაქმება) ორმხრივი მემორანდუმების ფარგლებში არარეალურად გვეჩვენება. თუმცაღა, წარმოდგენილი საფუძვლიანი არგუმენტაციის, მიუხედავად, უმაღლესი საგანმანათლებლო მომსახურების ბაზარსა და სამუშაო ძალის ბაზარს შორის კავშირ–ურთიერთობების გაღრმავება, შესაბამისად სწავლა-სწავლების პროცესების მიბმა პრაქტიკასთან, წარმოადგენს მაღალკვალიფიციური კადრების მომზადების აუცილებელ წინაპირობას და პერსპექტივაში უზრუნველყოფს ბაზრის კონკურენტუნარიანობის ამაღლებას.

კვლევის შედეგების კრიტიკული ანალიზით ადვილად გასაგები ხდება, რომ უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში, სპეციალობების ფართო არჩევანი კერძო სექტორთან დაბალი კომუნიკაციის პირობებში, უფრო მეტად შეთავაზების სახეს ატარებს, ვიდრე ავითარებს კონკრეტულ უნარ–ჩვევებს. შედეგად ვღებულობთ კურსდამთავრებულებს, რომლებსაც პრესტიჟული პროფესიის დიპლომი გააჩნიათ, მაგრამ მათი რეალური შესაძლებლობები, როგორც წესი დამსაქმებლის მხრიდან კრიტიკის ძირითად ობიექტად არის ქცეული. უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა პოზიცია, მათი არგუმენტირებული მოსაზრებები პრობლემასთან მიმართებაში, უცილობლივ გათვალისწინებული უნდა იქნას მომავალში ზემოაღნიშნული პრობლემების გადაწყვეტის გზების მოძიების დროს.

## დასკვნა/რეკომენდაციები

სადისერტაციო ნაშრომის ფარგლებში მეორადი ინფორმაციის წყაროების (სამაგიდე კვლევა) და დამოუკიდებლად განხორციელებული სამი ურთიერთშემხვედრი კვლევის (საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების კვლევა; უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულების კურსდამთავრებულთა კვლევა; დამსაქმებელთა კვლევა) შედეგების შედარებითი და კრიტიკული ანალიზით დადასტურებულია სამეცნიერო კვლევის ყველა ჰიპოთეზა, მიღწეულია სადისერტაციო ნაშრომში დასახული მიზანი და შემუშავებულია თეორიული და პრაქტიკული ღირებულების დასკვნები და რეკომენდაციები, კერძოდ:

- საქართველოში არსებული საგრანტო დაფინანსების სისტემა, ვერ უზრუნველყოფს უმაღლესი საგანმანათლებლო მომსახურების ბაზარზე კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობის ზრდას და მის მდგრად განვითარებას. შესაბამისად, ევროპისა და ბალტიის ზღვის რეგიონის ქვეყნების უმაღლესი საგანმანათლებლო მომსახურების ბაზრის გამოცდილების გათვალისწინებით, მიზანშეწონილია საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო მომსახურების ბაზრის დაფინანსების წყაროების დივერსიფიკაცია;
- სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობის პროცესში შემუშავებული იქნა, საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო მომსახურების ბაზრის დაფინანსების კონცეპტუალურად ახალი ალტერნატიული მოდელი, რომელიც იძლევა შესაძლებლობას საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო მომსახურების ბაზარზე უზრუნველყოფილი იქნეს დაფინანსების წყაროების დივერსიფიკაცია, კერძოდ, სახელმწიფო საგრანტო დაფინანსების დღეს არსებულ პრაქტიკის, პარალელურად უნდა განვითარდეს უნივერსიტეტების ბრენდირების სისტემა, რომელიც ხარისხის მაღალ სტანდარტებზე ორიენტირებულ უმაღლეს საგანმანთლებლო დაწესებულებებს მისცემს საშუალებას მოიპოვონ დამატებითი დაფინანსება და განვითარდნენ ჯანსაღი კონკურენციის პირობებში. თავის მხრივ, უნივერსიტეტების ბრენდირება უცხოური გამოცდილების გათვალისწინებით, უნდა განხორციელდეს დამოუკიდებელი არასამთავრობო ინსტიტუტების მიერ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან მჭიდრო კოოპერირების საფუძველზე;
- საქართველოში სტუდენტთა დაკრედიტების დღეს არსებული სისტემა არ არის ხელსაყრელი სტუდენტებისათვის. კვლევის შედეგებით გამოვლინდა, რომ საბანკო სექტორი აღნიშნულ სეგმენტს მიზნობრივ სესხებს აწვდის იმდენად მაღალი საპროცენტო განაკვეთით, რომ ფაქტობრივად ამ მომსახურეობით სტუდენტები ვერ სარგებლობენ. რადგანაც განათლება (მათ შორის უმაღლესი) უპირველეს ყოვლისა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის

საზოგადოებრივი პროდუქტია, შესაბამისად უპრიანი იქნება აღნიშნულ პროცესებში საბანკო სექტორთან ერთად ალტერნატივის სახით სახელმწიფომაც (სპეციალური ფონდების მეშვეობით) მიიღოს გარკვეული მონაწილეობა, კერძოდ, მიზანშეწონილია შეიქმნას, გრძელვადიანი ხელსაყრელი (ყოველგვარი დამატებითი უზრუნველყოფის გარეშე) დაფინასების სისტემა სტუდენტებისათვის, რომელიც ასევე დაეფუძნება უმაღლესი სასწავლებლების ბრენდირების პრინციპს. დაკრედიტების ახალი სისტემა ცალსახად შეუწყობს ხელს ბაზარზე კონკურენციის ზრდას და გაიზრდება განათლების ხელმისაწვდომობის დონე, მათ შორის, სოციალურად დაუცველი, მაგრამ მოტივირებული, ცოდნის მიღებაზე ორიენტირებული სტუდენტებისათვის;

- კვლევის შედეგებით დადგინდა, რომ საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებები სწავლის ერთი კრედიტის საფასურის გასაანგარიშებლად სწავლის მთლიან თანხას ყოფენ სასწავლო წელიწადში სავალდებულოდ გასავლელი კრედიტების რაოდენობაზე. საქართველოს კერძო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებების უმრავლესობაში ერთი იგივე საგანმანთლებლო პროგრამებზეც კი სწავლის ერთი კრედიტის საფასური ყოველწლიურად მკვეთრ რყევებს განიცდის შემცირების ტენდენციით, მაშინ როდესაც ბაზარზე სწავლის ერთი კრედიტის ფასზე მოქმედი სხვა ფაქტორები ფაქტობრივად არ იცვლება მოკლე და გრძელვადიან პერიოდებშიც კი.

აღნიშნული მდგომარეობა განპირობებულია ორი გარემოებით, პირველი: არ არსებობს სასწავლო კრედიტის საფასურის დაანგარიშების მეცნიერულად არგუმენტირებული მეთოდოლოგია და მეორე, სახელმწიფოს მხრიდან სახელმწიფო უმაღლეს საგანმანთლებლო დაწესებულებებისათვის დაკრედიტების პროცესში პრიორიტეტების მინიჭება.

